

K 126247
3



ი. ანთელავა. 3. ტურჯა

საქართველოში
სოციალური
სურთიერებების
ისტორიიდან

ბმ. 1007

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ძვ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И
ЭТНОГРАФИИ ИМЕНИ И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



1967

И. Г. АНТЕЛАВА, В. Г. ГУЧУА



საქართველოს
ენციკლოპედია

ИЗ ИСТОРИИ СОЦИАЛЬНЫХ ОТНОШЕНИЙ В ГРУЗИИ

Пореформенный период
Очерки

Издательство „Мецниереба“
Тбилиси
1967

17 23. 16h 00.

2262

12.17h.

ირაკლი ანთელავა, შიკტორ გუჩუა



საქართველოში სოციალური უკეთესობის ისტორიის

რეზიუმის შემდგომი ნაწილი
ნაკვეთები

K 126.247
3



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1967

სკვ-2000
შემოწმებულია

ნაშრომში სხვადასხვა ხასიათის მასალებზე დამყარებით განხილულია დროებით გადღეობულ გლეხთა (ყოფილ საბატონო ყმათა) სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა. ნაშვენებია ამ კატეგორიის გლეხთა და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ბრძოლა გადღეობულ ურთიერთობათა მოსპობისათვის, გარჩეულია ამ უკანასკნელთან დაკავშირებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტი და 1912 წლის 20 დეკემბრის კანონი.

ნაშრომი სრულ წარმოდგენას იძლევა რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის საქართველოს ძირითადი მწარმოებელი კლასის — გლეხობის სხვა კატეგორიათა (სახელმწიფო გლეხები, ხიზნები) სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაზე.

წიგნის I—VII თავები ეკუთვნის ი. ანთელავას, ხოლო VIII — ვ. გუჩუას.

განყოფილება პირველი

დროებითვალდებულის გლახები

თავი I

თავდახსნითი საქმის მიმდინარეობა რეზორმის მომდევრო ხანაში

1864—1871 წლებში გატარებული რეფორმით, ქართველი გლეხი, როგორც ცნობილია, სანადელოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის საკუთრებად შესყიდვამდე, დროებითვალდებულ მდგომარეობაში რჩებოდა. დებულება მას უფლებას აძლევდა თავი დაეხსნა, ე. ი. ნადელი შეესყიდა და მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში გადასულიყო. მხოლოდ მაშინ თავისუფლდებოდა იგი საბატონო გადასახადებისაგან და ხდებოდა დამოუკიდებელი მეურნე. თუ როგორ მიმდინარეობდა თავდახსნის პროცესი განსახილველი ხანის საქართველოში, ამას ამომწურავ პასუხს ქვემოთ მოტანილი ცხრილი იძლევა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში 1865—1904 წლებში, ე. ი. 40 წლის განმავლობაში, დროებითვალდებულ ურთიერთობისათვის თავი დაუღწევია 3768 კომლს ან ამ კატეგორიის გლეხთა საერთო რაოდენობის (14.235 კომლი) მხოლოდ 26,4%. მათ მთავრობის დახმარებით შეუსყიდიათ 16.416 დესეტინა ან მთელი სანადელო ფონდის (55.263 დესეტინა) მხოლოდ 29,6%. შედარებით უკეთესი მდგომარეობა ყოფილა ქუთაისის გუბერნიაში, თუმცა სახარბიელო ვითარებას არც იქ ჰქონია ადგილი. აღნიშნულ წლებში იქ სახელმწიფო სესხის გამოუყენებლად მესაკუთრეთა რიგებში 33.597 კომლი ან ყოფილ საბატონო ყმათა საერთო რაოდენობის (57.070 კომლი) 58,8% გადასულა და მათ საკუთარი სახსრებით მთელი სანადელო ფონდის (107,523 დესეტინა) 69,4% შეუსყიდიათ. თუ შევაჯამებთ ესლა ორივე გუბერნიის მონაცემებს, მაშინ მივიღებთ, რომ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების ორმოცი წლისთავზე კიდევ დარჩენილი იყო 33.940 კომლი დროებითვალდებულის გლეხი ან ამ კატეგორიის გლეხთა საერთო რაოდენობის (71.305 კომლი) თითქმის ნახევარი (ზუსტად—



47,6%). მათ შესასყიდი ჰქონდათ 102.329 დესეტინა მიწა ან ნა-
ნადელოდ გამოყოფილი მთელი მიწის ფართობის (262.734 დესეტინა)
39%.

აქ მოტანილი მასალიდან მკაფიოდ ჩანს, თუ როგორი წელი ტემპით მიმდინარეობდა დამოკიდებული მდგომარეობიდან გლეხების გამოსვლის პროცესი. ამის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, ყოფილი საბატონო ყმების მძიმე სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა იყო. მათი დიდი ნაწილი, ვითარცა მატერიალურად უძლური, მოკლებული იყო თავდახსნის ყოველგვარ საშუალებას. ასეთ ვითარებაში საფიქრებელი იყო, რომ მწარმოებელი კლასი უხვად ისარგებლებდა მთავრობის „წყალობით“ და გამოიყენებდა სახელმწიფო სესხს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. სოფლის მშრომელი მოსახლეობა, როგორც წესი, თავს არიდებდა სესხის აღებას მისი უმნიშვნელო მოცულობისა¹ და გადახდის მძიმე პირობების გამო. მთავრობის დახმარებით შეძენილი მამულის პატრონმა, — წერდა 1892 წელს ალ. ფრონელი, — „ორმოცდაცხრა წლის განმავლობაში... ყოველ წლივ 21 მანეთი უნდა ჰზიდოს ხაზინაში. ოცდაერთის მანეთის საღირაღს (კი) არას იძლევა ნადელი და გადასახადის შეტანა ძნელდება. მოგეხსენებათ, ჩვენში ჯერ ფული ცოტაა, გზები არა გვაქვს რიგიანი, რომ საქონელი შერეულს ბაზარში გაეიტანოთ, ფული ვიშოვოთ და ხუშკად ჩაუთვალოთ მოვალეს (ე. ი. ხაზინას. — ი. ა.)... სოფლის ნაწარმოების (გასაღების სირთულე), უფულობა და გადასახადის სიმძიმე იმგვარად უცარავს ხელს ნადელების შესყიდვის საქმეს, რომ მისი წინსვლა, მისი წარმატება თითქმის ყოველად შეუძლებელია, ვიდრე ასეთი მიზეზი არ მოისპობა. ასეთ ვარაუბებში გლეხისათვის სასარგებლო და სახეირო არ არის ნადელის დახსნა (მთავრობის სესხით) და ფულად ძლევა (ხაზინისათვის) წლიურის გადასახადისა²“.

ამის საილუსტრაციოდ ავტორი სოფ. ნაფარეულის მაგალითის ასახელებს, რომლის 100 კომლ მოსახლეს მთავრობის დახმარებით შეუსყიდი სახადელო მიწები. მათ ისე გასჭირვებიათ სახელმწიფოსთან ანგარიშის გასწორება, რომ მამულებზე ხელის აღება გადაუწყვეტიათ. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის მიზნით, გლეხებს საუფლისწულო უწყებებისთვის მიუმართავთ და შემდეგი

¹ „მთავრობის სესხი, — წერს ს. ავალიანი, — იმდენად უმნიშვნელო იყო იმ თანხასთან შედარებით, რომელიც ნადელის შემსუიღველ გლეხებს დამატებით უნდა ეკლათ, რომ ისინი საერთოდ უარს ამბობდნენ მთავრობის დახმარებაზე“ (იხ. მისი, *Крестьянский вопрос*, ტ. IV, გვ. 11).

² გაზ. „ივერია“, 1892 წ., № 237.



1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
Կրթական տեսակ	Մասնագիտացված կրթություն (անհատական)	Կրթական ծրագրերի գումար (անհատական)	Կրթական ծրագրերի կազմակերպչների քանակ (անհատական)	Կրթական ծրագրերի համար (անհատական)	Կրթական կրթական տեսակ (անհատական)	Կրթական ծրագրերի կազմակերպչների քանակ (անհատական)	Կրթական ծրագրերի համար (անհատական)	Կրթական ծրագրերի կազմակերպչների քանակ (անհատական)	Կրթական ծրագրերի համար (անհատական)	Կրթական ծրագրերի կազմակերպչների քանակ (անհատական)
Վերականգնող	14,235**	55,983	2,768	16,416	828,906	—	—	—	10,462	28,842
Զբոսայգի	57,070	207,523	—	—	—	20,597	146,041	7,179,265	23,493	63,492

* ԱՄՆԱԼ. ֆ. 301, ձ. 502, ձ. 54, Կրթության նախարարության, Կրտսեանական անձրան և Զանաչան, թ. IV, Կրթան, 1920 թ. թր. 11—12

** Հանրակրթության նախարարության հանրակրթության կենտրոնի Կրթան (Հանրակրթական անձրան, 1991 թ., № 9, թր. 109)

უთხოვიათ: „წაიღეთ ჩვენი სავენახე მამულები, ოღონდ კი მთავრობის ვალი თავიდან მოგვაშორეთ; ოცი წელიწადია მძიმე ტვირთად გვაწევს ეგ ვალი და მის თავნ-სარგებლის გასასტუმრებლად ყოველწლიური შესატანი ხაზინაშიო; ნედრომკამ სულ თავ-გზა დაგვიკარგა და ამაზედ მეტი აღარ შეგვიძლიაო“³. ამ სიტყვებს, ალ. ფრონელი ასეთ კომენტარს უკეთებს: „არ იფიქროთ, ვითომც სოფელ ნაფარეულში უვარგისი მამულები იყოს. არა, სულ სავენახე ადგილებია, მერე ისიც კახური სავენახე ადგილები... მაშროგორ მოხდა, რომ ნაფარეულელი გლეხი ასე ადვილად სხვას უთმობს ოცი წლის ნაამაგდარ მამულს და თვითონ რიყეზედ რჩება?... როგორ მოხდა და ისე მოხდა, რომ ყოველწლიური გადასახადია მეტად დიდი და მამულმა ვერ გაუძლო... სოფელმა წინდაწინვე ვერ გამოიანგარიშა, ვერ ივარაუდა წლიურის შესატანის სიმძიმე და მოუძღურდა, დაიჩაგრა“⁴.

თავდახსნის პროცესის წარმატებით მომდინარეობას სერიოზულად აფერხებდა აგრეთვე 1864 წლის 8 ნოემბრის დებულების ის მუხლი, რომელიც მემამულის თანხმობის გარეშე შეუძლებლად თვლიდა სანადელო მიწების საკუთრებად შექმნას⁵. მემამულისათვის კი ასეთი თანხმობის მიცემა ხშირ შემთხვევაში ხელსაყრელი არ იყო და ამიტომ ის თავდახსნის მსურველს არაიშვიათად ცივი უარით ისტუმრებდა⁶.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით მთავრობის პოზიციას ამ საქმეში. ის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთი მხრივ კარგად გრძნობდა ვალდებულ ურთიერთობათა მოსაპოვის აუცილებლობას (ამას მოითხოვდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება), ხოლო, მეორე მხრივ, მას ამ ნაბიჯის გადადგმა მეტად საბიფათოდ ეჩვენებოდა. საქმე იმაშია, რომ, მისი აზრით, დროებითვალდებულ და სახელმწიფო გლეხთა სანადელო მიწების მესაკუთრედ აღიარება მათ ამ მიწების გაყიდვის ნებას მისცემდა და დააჩქარებდა პროლეტარიატის გაჩენის პროცესს, პროლეტარიატისა, რომლის არსებობა „на окраинах империи, а на Кавказе по преимуществу, представляется несомненно более опасным, нежели во внутренних губерниях России. Поэтому, в видах устранения этой опасности... на Кавказе, более чем где-ни-

³ გაზ. „ივერია“, 1892 წ., № 237.

⁴ იქვე.

⁵ ილია ჭავჭავაძე, „ცხოვრება და კანონი“, თხზულებანი ათ ტომად, ტ. 6, 1956, გვ. 31; ს. ავალიანი, „Крестьянский вопрос“, ტ. IV, გვ. 10.

⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 31—32.



будь, не следует надельные земли отводить... крестьянам в
 полную собственность.⁷

აქედან გამომდინარე, ხელისუფლება თავს იკავებდა დასაწყის
 ნურებდა დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის კანონმდებ-
 ლობრივ გაუქმებას.

წყაროები ჩვენთვის საინტერესო მოვლენის გამსაზღვრელ
 ფაქტორებს შორის საგლეხო საკრებულოთა ზედმეტ სიმკაცრესაც
 ასახელებენ. ისინი თავდახსნის აქტის გაფორმებისას ისეთ მოთ-
 ხოვნებს აყენებდნენ თურმე, რომ მათი დაკმაყოფილება, ალ. ფრო-
 ნელის სიტყვით, თითქმის სრულიად შეუძლებელი იყო. „ნადელის
 დახსნისათვის, — წერდა იგი 1892 წელს, — საჭიროა ხელშეკრუ-
 ლების დადება მებატონეთა და გლეხთა შორის. ამ ხელშეკრულე-
 ბაში კანონის ძალით, შესყიდული მამულის საზღვრები დაწვრი-
 ლებით უნდა იყოს ნაჩვენები და იმგვარად აღნიშნული, რომ აღ-
 ვილად შეიძლებოდეს მისი პოვნა. საგუბერნიო საკრებულო ამას
 არ სჯერდება და თხოულობს — გეგმა წარმოიმდგინეთ გასასყი-
 დის მამულისა, უამისოდ ხელშეკრულებას ვერ დავაშტკიცებო.
 ვერ-ერთი რომ კანონი სრულიად არა თხოულობს გეგმის წარ-
 მოდგენას და მეორეც ისა, რომ ტრიალს მინდორზე სად იპოვნო
 იმისთანა საზღვარს ერთისა ან ორი დღითურისას, რომ ყველაათვის
 თვალსაჩინო იყოს. ამას გარდა, ვის შეუძლიან დახსნილ მამულის
 გეგმის აღება. ამას იმდენი ხარჯი და წვალება უნდა, იმდენი ვი-
 ვაგლახი და თავში ცემა... რომ ათასში ერთი თუ იკისრებს ვინმე“.

საქმეს აფერხებდა ქართველ თავადაზნაურების მიერ თავიან-
 თი მიწა-წყლის მასიურად დაგირავეების ფაქტიც. ეს გარემოება იმ
 მხრივ იყო თავდახსნის პროცესის შემფერხებელი, რომ საგლეხო
 საკრებულო არ ამტკიცებდა საკრედიტო დაწესებულებებში (თუ
 კერძო პირებისათვის) დაგირავებული მამულების ყიდვა-გაყიდვის
 აქტებს⁸. დასასრულ, იმავე მიმართულებით მოქმედებდა სათანადო
 პირთა და დაწესებულებათა უზომო ბიუროკრატიზმი⁹. გლეხს
 აუცილებელი დრო და ფული უნდა დაეხარჯა, რომ მის მიერ ნადე-
 ლის საკუთრებად შექენის ოპერაციას კანონით გათვალისწინებული
 ფორმა და ხასიათი მიეღო.

როგორც ვხედავთ, დროებითვალდებულ გლეხთა საბოლოო
 განთავისუფლებას და მათ მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლას

⁷ „Всеподданнейший доклад министра государственных имуществ по
 поездке на Кавказ в 1889 г.“, Петербург, 1890, стр. 10—11.
⁸ გაზ. „ივერია“, 1892 წ., № 33.
⁹ გაზ. „ივერია“, 1892 წ., № 43.
¹⁰ ი. კეკელიძე, თბილისი, ტ. 6, გვ.

მრავალი ფაქტორი აფერხებდა. მაგრამ ყველაზე მთავარი მათ შორის მიიჩნეოდა სოფლის მშრომელი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა იყო და ჩვენც ამიტომ ამ საკითხზე სპეციალურად შევჩერდებით.

თავი II

დროებითვალდებულ (ცოფილ საბატონო) გლეხთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა

საგლეხო რეფორმამ, რომელიც საერთოდ, და განსაკუთრებით კი საქართველოში, მემამულეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვით გატარდა, სოფლის მშრომელი მოსახლეობა მძიმე ეკონომიური მდგომარეობაში ჩააგდო. აღნიშნული მოვლენის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა მისი მიწის მფლობელობა. თუ კი, მაგალითად, რეფორმამდე თბილისის გუბერნიის საბატონო გლეხების განკარგულებაში 84.665 დესეტინა მიწა იყო, რეფორმის შემდეგ მათ მხოლოდ 55.679 დესეტინა დარჩათ¹¹. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხსენებული აქტის განხორციელების პროცესში მწარმოებელ კლასს ჩამოაქრეს 28.986 დესეტინა მიწა, რაც მის სარგებლობაში მყოფი მიწის საერთო ფართობის 34,2% უდრიდა. რეალური მნიშვნელობა დაკარგეს ადგილობრივი დებულებებით გათვალისწინებულმა ნორმებმა, სინამდვილემ მათ უცერემონოდ აუარა გვერდი. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა კანონით გათვალისწინებულ 10 და 4,5 დესეტინის ნაცვლად კომლზე, მიიღეს საშუალოდ 3,7 და 2,5 დესეტინა¹². ყოველივე ამან საფუძველი მისცა ს. ავალიანს ეთქვა, რომ რეფორმამ ქართული გლეხი სრული ეკონომიური ვალაქების საფრთხის წინაშე დააყენა¹³. ზერცალოვიც ბატონყმობის გადავარდნის 50 წლის-თავისადმი მიძღვნილ ერთ თავის სტატიაში პირდაპირ წერდა, რომ „განთავისუფლებული“ გლეხი დარჩა „в полной земельной зависимости от своих помещиков, с увеличенными почти вдвое

¹¹ С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, Одесса, 1912, стр. 421.

¹² С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, Тифлис, 1920, стр. 4; СХАО, т. IV, стр. 121; გ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, თბილისი, 1928, გვ. 17, ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX—XX სს., ტ. II, გვ. 24.

¹³ С. Авалиани, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 510—511.



ПОВИННОСТЯМИ¹⁴. ამის სისწორე, როგორც ცნობილია, არც ოფიციალური ხელისუფლების ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელს უარუყვია, როგორც იყო ვორონცოვ-დაშკოვი¹⁵. მაგრამ მათთვის მაინც არა იმის აღნიშვნა, რომ რეფორმამ გლეხი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩააგდო, არამედ იმისა, რომ ეს მისი მდგომარეობა დროთა განმავლობაში სისტემატურად უარესდებოდა. მართალია, მწარმოებელი კლასის მცირე ნაწილი ეკონომიურად ძლიერდებოდა და სოფლის ბურჟუაზიის რიგებში გადიოდა, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა უძლურდებოდა და უკიდურესი სიღატაკისაკენ მიექანებოდა. ამას მკაფიოდ ადასტურებს გლეხის საშუალო საკომლო ნადელის შეუწელებელი შემცირების ფაქტს რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში. თუ კი ის, მაგალითად, 1865 წელს თბილისის გუბერნიის 3,7 დესეტინას უდრიდა¹⁶, 1886 წელს 2,4 დესეტინამდე დაეცა¹⁷, ხოლო 1903 წელს — 1,7 დესეტინამდე¹⁸. მეტ-ნაკლებად იგივე ითქმის ქუთაისის გუბერნიის შესახებაც.

თუმცა ზემოთმოტანილი საშუალო ციფრები თავისთავად ბევრი რამის მოქმელია, მაგრამ ისინი მხოლოდ მიახლოებით გამოხატავენ იმ დიდ ეკონომიურ გაჭირვებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს სოფელში. ამ მხრივ ვაცილებით უფრო საინტერესოა და საყურადღებო მაშინდელი პერიოდული პრესის მასალები და სხვა წერილობითი ხასიათის წყაროები, რომლებიც მწარმოებელი კლასის შრომისა და ცხოვრების პირობების მეტად მკაფიო და დამაჯერებელ აღწერილობას შეიცავენ. ისინი ნათლად ადასტურებენ არა მარტო უკიდურესი მცირემიწიანობის, არამედ მიწის უსამართლოდ განაწილების ფაქტს რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში.

მოვიტანოთ ზოგი მათგანი.

ეხებოდა რა აღმოსავლეთ საქართველოს გლეხის მიწით უზრუნველყოფის საკითხს, გაზეთი „გუთნის დედა“ 1875 წელს წერ-

¹⁴ КСХ, 1914 г., № 24.

¹⁵ Воронцов-Дашков, Всеподданнейшая записка по управлению Кавказским Краем. Тифлис, 1907, стр. 34.

¹⁶ С. Аваляни, Крестьянский вопрос, т. IV, стр. 4.

¹⁷ ЦГИАГ, ф. 17, л. 8747, лл. 1—86; ზოგი წყაროს ცნობით კი, დროებით-ვალდებულო გლეხის საშუალო საკომლო ნადელი 80-იან წლების ბოლოსთვის 3,2 დესეტინას უდრიდა (С.Д.ЗТКГ. 1893 г. стр.).

¹⁸ Ф. Гогичайшвили, Малоземелье среди крестьян Закавказья. Тифлис, 1903, стр. 16—17.



და¹⁹: „ჩვენში ბევრ მუშაკთ არა აქვთ მამული და იბულებული არიან სხვის მამულზედ მოიყვანონ იმოდენა საზრდო, ეკონომიკური რის ვაი-ვაგლახით ჰყოფნით დასაკმაყოფილებლად უმბრველესად თვისთა საჭიროებათა... რა მოელის მოუსავლიანობის დროს უმამულო გლეხს? შიმშილი და სიკვდილი... რა არის უმამულო გლეხაკი? ის არის უბედური ქმნილება; იმის მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ფრთა შეკვეცილი ჩიტისა და წყალმოკლებული თევზისა... სხვასთან მოჯამაგირეთ დგომით გლეხი იშოვის ნახევარ საზრდოს, თუ ნაკლებსაც არა; მეორე ნახევარი საზრდოსი საიდგანდა იშოვოს, თუ რომ იმას არ ექნება მამული? სიღარიბე და სიღატაკე მალე ეწვევა უმამულო გლეხს და ეს დღითი დღე უფრო და უფრო გაძლიერდება. სიღარიბეს მოაქვს თავისი ჩვეულებრივი შწარე ნაყოფი: გადაგვარება ხალხისა ზნეობით, გონებით და ფიზიკურად“.

ერთი წლით უფრო გვიან სერგეი მესხი გულისტყვივლით ლაპარაკობდა ქართველი გლეხის მცირემიწიანობის შესახებ, იმის შესახებ, რომ „ბატონისაგან განთავისუფლებული“ მშრომელი ისევ დამოკიდებულ მდგომარეობაშია და რომ მას უბატონოდ „სოფლის მობრუნება არ შეუძლია“²⁰. ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ჩვენებური გლეხის, ვითარცა სოფლის მეურნის, ეკონომიური მდგომარეობის უზრუნველყოფა მხოლოდ მისი მიწით მომარაგების გზით იყო შესაძლებელი. ამ მთავარ საარსებო საშუალებას კი, ის, მისი დასტურით, როგორც წესი, მოკლებული იყო რეფორმის შემდგდროინდელი ხანის საქართველოს სინამდვილეში. „აბა მითხარით, — წერდა სერგეი მესხი²¹, — ბევრს ნაბავთ საქართველოში ისეთ გლეხს, რომელსაც იმდენი საკუთარი მიწა ჰქონდეს, რომ მებატონისაგან იჯარით, ღალით აღება აღარ ეჭირვებოდეს? ასში ერთს თუ შეხვდებით, ისიც ბევრია. დიდმა უმრავლესობამ კი ძალაუწებურად უნდა მიმართოს, უნდა სთხოვოს ან თავის ადრინდელ ნაბატონევს, ან სხვა რომელსამე შემამულეს, რომ მიწა მიაქირავოს, ტყეში შეუშვას და სხვ.“

1892 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში ლაპარაკია თბილისის მაზრის სოფელ მარიაში — ჯვარის დროებითვალდებულ გლეხთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე, რაც, როგორც სხვა შემთხვევაში, მათი უკიდუ-

¹⁹ გაზ. „გუთნის დედა“, 1875 წ., № 21.

²⁰ სერგეი მესხი, თხზულებანი (იოსებ ბოცაძის შენიშვნებითა და კომენტარებით), ტ. II, თბილისი, 1163, გვ. 233.

²¹ იქვე.

რესი მცირემიწიანობით იყო გამოწვეული; კორესპონდენციას რომელიც თვით გლეხების სახელითაა შედგენილი, ნათქვამია შემდეგი²²: „დუხობორებსა და გერმანელებს აუარებელი (ტექსტში წერია „მამულები“ — ი. ა.) დაუთმო მთავრობამ დასასახლებლად, ჩვენ მარიამ-ჯვარელებს კი ლამის სული ამოგხვდეს უმამულოდ. ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა რომ შეიტყოთ, სწორედ შეგეცოდებით. ამ პატარა სოფელში სულ ცამეტი კომლია, ნადელად მიეცა კომლს ათი დღიური (5 დესეტინა, — ი. ა.); სულ, მაშასადამე, 130 დღიური. შარშან წყალმა მოგვტაცა 30 დღიური სახნავი მიწა, დაგვრჩა ცამეტი კომლს ასი დღიური, სულ ეგ არის სახნავადაც და სამოვრადაც. მამულის პატრონთ ტყე შეგვიკრეს და ლამის ჩვენი პირუტყვით სულ მთლად ამოვიხრჩოთ. ეს ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა, უმამულობა, ბატონ ტფილისის გუბერნატორს მოვახსენეთ და ვემუდარებით დაგვიხსენ გაჭირვებისაგანა, თორემ ცოლშვილით ამოვწყდებით. თუ ბატონმა გუბერნატორმაც არ გვიშველა, არ ვიცით მერე რა ვქნათ. თითო სულზე დღე-ნახევრის მიწა არ მოდის და აბა როგორ ვიცხოვროთ, ან ხელმწიფეს რითი გავცეთ პასუხი“.

ალექსანდრე ფრონელი, რომელიც გამოეხმაურა ზემოთ ციტირებულ კორესპონდენციას და დაადასტურა მასში დასახელებული ფაქტები, აღნიშნავდა: „ჩვენი ქვეყანა სტატისტიკური თვალსაზრისით უკეთ რომ იყოს შესწავლილი, სხვაგან ამაზე უარესი მდგომარეობა აღმოჩნდებოდაო. ჩვენ ხელთა გვაქვს, — წერდა იგი, — ორიოდ-სამიოდ საქმე, საიდანაც სჩანს, რომ ქართველს მხვენელ-მთესველს იმდენი მამულიც არა აქვს, რაც შერჩენიათ მარიამ-ჯვარელებს. მაგალითებრ, სოფელ ხეითში ორ კომლს გლეხს ნადელში მისცემია სულ ათი დღიური (5 დესეტინა, — ი. ა.), ეხლა ორი კომლი შვიდად გადაქცეულა (და) თითო სულს დღიურის ერთ მესამედზე ნაკლები მოსდის. ხეითელები, რასაკვირველია, სრულიად უმამულოდ უნდა ჩაითვალოს და თუ არაეინ იზრუნა იმათთვის, ოჯახი დაელუბებათ და მოჯამავირეობით თუ დაირჩენენ თავს, თორემ სხვა სახსარი და ღონისძიება აღარ მოეპოვებათ ლუკმა პურის საშოვნელად“²³.

ფრონელის მოწოდებით, „ასეთი მწარე ბედი“ წილად ხდომია არა მარტო მარიამ-ჯვარისა და ხეითის მოსახლეობას, არამედ მთელ საქართველოს გლეხობას. ამის მიზეზი, ავტორის აზრით, ის იყო, რომ რეფორმის გატარებისას მიწა დებულებით გათვალის-

²² გაზ. „ივერია“, 1892 წ., № 247.

²³ იქვე, № 256.

წინებული ნორმით მწარმოებელი კლასის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მიეცა. შემდეგში კი ეს ფართობი, დასახელებული თხა-მედროვის ცნობით, ისე საგრძნობლად შემცირებულა, რამდენადაც გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის ქართველი გლეხთა მულობა უკვე „თითით საჩვენებელი“ გამხდარა²⁴. „დროებითად-დებულნი, — წერდა ალ. ფრონელი²⁵, — უფრო დიდ გაკირვებაში ჩაცვივდნენ ეხლა, ვიდრე 1864 წლის 13 ოქტომბრამდე იყვნენ“.

რ. ჯანაშვილის მოწმობითაც²⁶, ბატონყმობის გაუქმებას გლეხები ეკონომიურად წინ კი არ წაუწევია, არამედ უკან, ისინი, მისი სიტყვით, მხოლოდ „ზნეობით“ (ე. ი. პირადად) განათვისუფლდნენ, მაგრამ ნიეთიერად ისევ „მემაჟღერების ყმებად“ დარჩნენ, რადგანაც მათ მიწა არ მიეცათ და არც საშუალება ჰქონდათ ის საკურო რაოდენობით შეეძინათ. რეფორმის შემდეგ შექმნილი ვითარება, ავტორის აზრით, უფრო მძიმე აღმოჩნდა „სიღარიბით გაქულებილ“ გლეხებისათვის, ვიდრე მანამ არსებული. ამიტომ მათ რ. ჯანაშვილმა „თავისუფალი მონები“ უწოდა.

ჩვენთვის საინტერესო ხანის გლეხის მიწით მომარაგებისა და საერთოდ მისი ეკონომიური მდგომარეობის ნათელ სურათს იძლევა სიღნაღის მაზრის სოფელ ვეჯინის 1898 წლის კომლობრივი აღწერის მასალა. ამ მასალის მიხედვით, იქ, ხსენებულ წელს, 2392 სული ორივე სქესისა და ყველა კატეგორიის გლეხი ყოფილა. აქედან 252 სული (ან საერთო რაოდენობის 10,5%) სახელმწიფო გლეხი იყო, 970 (40,8%) — მესაკუთრე და 1170 (48,6%) — დროებითადდებული²⁷. ესენი შეადგენდნენ სულ 389 კომლს. აქედან მიწის უქონლობის გამო ხენა-თესვას არ ეწეოდა საერთოდ ან ეწეოდა ამზანაგობაში გავრთიანებით²⁸ 171 კომლი (ან 43,9%), ერთ დესეტინაზე ნაკლებ ფართობს ამუშავებდა 71 კომლი (ან 18,1%) და ერთზე მეტს — 147 კომლი (ან 38%).

²⁴ გაზ. „ივერია“, 1892 წ., № 258.

²⁵ იქვე, № 265.

²⁶ გაზ. „დროება“, 1881 წ., № 114, „ტფილისი 4 ივნისი“.

²⁷ ვერ. „Кавказское сельское хозяйство (КСХ)“, 1889 г., № 270.

²⁸ ამზანაგობის ხასიათისა და მასში გავრთიანებულ პირთა შესახებ ზემოთ დანახელებულ ფურნალში ნათქვამია: „Товарищества составляют главным образом при посеве кукурузы, так как здесь требуется много ручного труда, предлагаемого бедняками. Зажиточный крестьянин арендует землю нашен и засеивает ее, уход же за кукурузой во время роста, заключающийся в двухкратном мотыжении, предоставляется вошедшему в товарищество; убирают вместе и делают урожай пополам, отделив предварительно газу“ (КСХ, 1899 г., № [270]).

მიწით ესოდენ ცუდად მომარაგებულ კახელ გლეხს ცხადია არც შინაური პირუტყვის მოშენება შეეძლო. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ დისახელებულ 389 კომლიდან 287-ს ან საერთო რაოდენობის 74%-ს, არ ჰყოლია არც ერთი სული მსხვილფეხა საქონელი²⁹. ყოველივე ეს მეტად კრიტიკულ მდგომარეობას უქმნიდა ვეჯინელ გლეხებს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, თანამედროვის მოწმობით, თვით უხეშოსავლიან წლებშიც კი იძულებული იყო თურმე პურის გარკვეული რაოდენობა ეყიდა საკუთარ თავისა და ოჯახის წევრების გამოსაკვებად³⁰.

უშუალო მწარმოებელს, რომელსაც მამულის საკუთრებად შეძენის სახსარი არ ჰქონდა, ისღა რჩებოდა, რომ მიწა იჯარით აეღო, რაშიაც იგი ზოგ შემთხვევაში შემოსავლის 2/3 იხდიდა³¹. არამც თუ დროებითვალდებული, არამედ თვით სახელმწიფო გლეხებიც კი იძულებული იყვნენ იჯარისათვის მიემართათ. ასე, მაგალითად, ვახსული საუკუნის 80-იან წლებში თბილისის გუბერნიის 941 საბაზინო სოფლიდან 389 (ან 41,6%) მიწის იჯარით ირჩენდა თავს³². განსაკუთრებით დიდი იყო მოიჯარე სოფლების ხვედრითი წონა თელავის (68%), გორის (80,5%) ახალციხისა (48%) და ახალქალაქის (88,6%) მაზრებში.

იჯარით იღებდნენ გლეხები როგორც კერძო მემამულეთა, ისე საბაზინო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწებს. ყველგან უშუალო მწარმოებელს მეტად მძიმე პირობებს უქმნიდნენ და მის უცერემონიო ექსპლუატაციას ეწეოდნენ. აი რას სწერდნენ, მაგალითად, 1902 წელს ქართლის (მუხრანის) საუფლისწულო მამულის მოიჯარადრე გლეხები უმაღლეს ხელისუფლებას: „За прогон скота по дороге и за водопой удельные чиновники взыскивали с нас по 50 копеек с головы, а за пастьбу сотни овец—по 16 рублей в год. При таких драконовских условиях не выгодно держать баранту и мы почти совсем уничтожили эту важную отрасль хозяйства. Еще более тягостными условиями обставлено пользование пахотными землями. Правление уделным именем

²⁹ КСХ. 1899 г., № 270.

³⁰ იქვე.

³¹ „...გლეხს ნადელი არა ჰყოფნის,—წერდა „ივერია“ 1890 წელს,—მიდის მემამულესთან და ეღრიჯება: რამდენიმე დღიური მომეცი მოსაზნავადო. ამ დროს ბატონის ცინი და ეკონომიური მოსაზრება სრულს თავისს სასტყეს ძალას იტყმს. მე ვარ და არ გაძლევ მამულსაო და თუ მისცემს ისეთს ღილას მოსთხოვს, რომ იმისი გადახდა ყოვლად შეუძლებელია... ზოგიერთ ალაგას მემამულე თითქმის ორ მესამედს (2/3) მოსავლისას სთხოვს მიწის მომუშავეს“ (გაზ. „ივერია“. 1890 წ., № 186).

³² СМІЭВГКЗК, т. V, ч. II, стр. 70

Мухрани галу перевело на деньги и с каждой десятины ^{взя-}скивает в год по 3 рубля, тогда как десятина ^{распахивается} здесь только в два года раз. Такие условия безусловно ^{раз-}рительны для нас, тем более потому, что деньги требуют ^{впе-}ред при распахке, т. е. в такое время, когда у нас за душой копейки не бывает³³.

ადარებდნენ რა რეფორმის შემდეგდროინდელ ეკონომიურ მდგომარეობას რეფორმამდელი ხანის ცხოვრების პირობებს, ხსენებული გლეხები წერდნენ³⁴: „ბატონყმური ურთიერთობის საშინელება, ჯერ კიდევ რომ ცოცხლობს ხალხის მეხსიერებაში, არააობა იმ ექსპლოატაციასა და შევიწროებასთან შედარებით, რომელსაც განვიცდით ჩვენ დღეს საუფლისწულო მიწებზე დასახლებული გლეხები. მართალია, უწყების მოხელეებს უფლება არა აქვთ თვითნებურად მოექცნენ ჩვენს პიროვნებას, მაგრამ რა ფასი აქვს პირად თავისუფლებას კაცისთვის, რომელსაც ეუბნებიან: „ან შენი შრომის მთელი ნაყოფი დაგვითმე, ან არადა სამუდამოდ აიბარგე ჩვენი ადგილ-მამულიდანა“.

ზემოთ მოტანილი მასალა, რომელიც მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს ეხება, მკაფიოდ ადასტურებს აღნიშნული მხარის დროებითვალდებულ გლეხთა მკვეთრად გამოხატულ მცირემიწიანობას.

გადავდივართ რა დასავლეთ საქართველოზე, უნდა ითქვას, რომ იქ ამ მხრივ ვაცილებით უფრო უარესი მდგომარეობა იყო, ვიდრე ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. მის ყველა მაზრაში, განსაკუთრებით კი რაჭის, ლეჩხუმისა და ოზურგეთის მაზრებში, მწარმოებელი კლასის მიწით მოუმარაგებლობას პირდაპირ კატასტროფიული და საგანგაშო ხასიათი ჰქონდა. ოფიციალურ პირთა მოხსენებები, გლეხთა საჩივრები, მოწინავე საზოგადოებრივ მოღვაწეთა წერილები და სხვა მასალები ერთხმად ლაპარაკობენ ყოფილ საბატონო ყმათა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე, რაც მათი უმიწობა-მცირემიწიანობით იყო გამოწვეული.

ახასიათებდა რა ლეჩხუმის სოფლის მშრომელი მოსახლეობის პირობებს, გაზეთი „შრომა“ წერდა³⁵: „მთელს იმერეთში ვერსად ვერ ნახავთ ამათთანა უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ გლეხკაცობას. უმთავრესი მიზეზი ამგვარის მდგომარეობისა არის უმიწა-წყლობა... საკუთარი მიწები რომ არა აქვთ, იღებენ დასამუშა-

³³ ЦГИАЛ, ф. 515, оп. 44, л. 437, л. 2.

³⁴ იქვე, ფურც. 1.

³⁵ გაზ. „შრომა“, 1881 წ., № 10.

ვეבלად საბატონო და საეკლესიო (ეხლა საბაზინო) მიწებს სამი-
მე პირობებით. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ აქაური მი-
წები ისე ადვილი დასამუშავებელი არ არის, როგორც სხვა მიწე-
ყანაში... მათი დამუშავება ოთხეც შრომას მოითხოვს. ამგვარ მი-
წებზედ გლეხი უზომო ღალას იხდის და უამისოდაც იმდენი ვერ
მოყავს, რომ წლიურ სარჩოდ ეყოს და გასასყიდადაც გადაირჩი-
ნოს. მაშ რით გადაიხადოს მან ის ათასნაირი სახელმწიფო ან საზო-
გადო გადასახადები, რომელიც მას კისერზედ აწევს? რა საშუა-
ლებით დააკმაყოფილოს მან ოჯახის უსაჭიროესი მოთხოვნილება?"

გაზ. „შრომის“ ერთი კორესპონდენტის სიტყვით, გურიაში
იმის გამო, რომ მიწის მთელი ფონდი, „მცირე ნაწილს გარდა“, მე-
ბატონეთა და ხაზინის საკუთრებას წარმოადგენდა, გლეხებს უმი-
წოდ სული ძვრებოდათ, ბევრი მათგანის საკუთარი მამულის რაო-
დენობა თურმე 900 კვადრატულ საყენს (ან ერთ ქცევას) არ აღე-
ნატებოდა. „იშვიათია ისეთი გლეხი, — წერდა კორესპონდენტი³⁶, —
რომელსაც საკუთარად მიწა ჰყოფნიდეს წლის სამუშაოდ და ოჯახის
სარჩოდ. გლეხობის უდიდესი უმეტესობა სხვის მიწაზედ მუშაობს
საზიაროდ, ე. ი. იმ პირობით, რომ მოწეული ნამუშევრის ნახევარი
მზა-მზარეულად თავის ხელით მიწის პატრონს მიუტანოს“.

თანამედროვის მოწმობით, ჩოხატაურის რაიონში გასული საუ-
კუნის ბოლოს შეუძლებელი იყო ორთხი ისეთი ოჯახის მოძებნა, რო-
მელიც სიმინდსა და ღომს გირვანქობით არ ყიდულობდა³⁷, იქაუ-
რი გლეხის მცირემიწიანობა თურმე იქამდე იყო მისული, რომ ის
ძალიან ხშირად იძულებული ხდებოდა ღორი ბაწრით დაემა ეზო-
ში³⁸. აქ, სოფ. ფარცხმაში, წერდა 1898 წელს გაზ. „კვალის“ გუ-
რული კორესპონდენტი, ხუთ გლეხში ძლივს ერთი იქნება იმისთა-
ნა, მართო საკუთარ მიწაზე შეეძლოს საყოფი სარჩოს მოყვანა, უმ-
რავლესობა კი იძულებულია სანახევროდ აიღოს სხვისი მიწა სა-
მუშაოდ სადმე შორს, ხშირად რიონის პირასაც კი... ძლიერ ცოტაა
ისეთი, რომელსაც 10—15 მანეთის სიმინდის გაყიდვა ეხერხე-
ბოდეს“³⁹.

1887 წელს სამას კომლ იმერელ გლეხს ქობულეთში გადასახ-
ლება გადაუწყვეტია. კითხვაზე რატომ — მათ განუცხადებიათ:
„სახლში აღარც სახნავ-სათესი შეგვრჩა, აღარც საბალახე, არც შე-
შა და არც სხვა რამე. წელს ზამთარში აუარებელი პირუტყვი და-

³⁶ იქვე, 1882 წ., № 45.

³⁷ გაზ. „კვალი“, 1896 წ., № 34.

³⁸ გაზ. „კვალი“, 1896 წ., № 34.

³⁹ იქვე.

გვეხოცა საკვების უქონლობის გამო. ბევრს იმისთანა... გლუხს ნა-
ხავთ ჩვენკენ, რომ მკადიც არა აქვს საკმელად“⁴⁰.

ჩვენ მოგვეპოვება ერთი თანამედროვე ოფიციალური პერიოდიკი
მოწმობა, რომელშიაც მოცემულია მიმდინარე საუკუნის დასაწყის-
ისის დასავლეთ საქართველოს მწარმოებელი კლასის მიწით მომარა-
გების შემდეგი სურათი: „გლუხთა მოსახლეობის კომლთა უმრავ-
ლესობა, — ნათქვამია დასახელებულ დოკუმენტში“⁴¹, — ფლობს
საშუალოდ 3,5 დესეტინა სანადელო (ყველა სახის — ი. ა.) მიწას,
მაშინ როცა მიწათმფლობელობის მინიმალურ
რიოდენობა, რომელსაც შეუძლია ღარიბი გლე-
ხის ოჯახის გამოკვება ქუთაისის გუბერნი-
ში, 4 დესეტინაა მეღვინეობის რაიონში და 5
დესეტინა მის დანარჩენ ნაწილში. თავის სა-
მეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნების
სათვის მიწის ასე მცირე ნაკვეთის მფლო-
ბელმა უნდა მიმართოს დამატებით საშოვარს
და სავსებით მოკლებულია მეურნეობის გაუმ-
ჯობესებაზე, იარაღებსა და მიწის გაპოხიე-
რებაზე ხარჯების გაწვევის საშუალებას, რის გა-
რეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის
პროგრესი. ჩვეულებრივ გლეხები მიმართავენ
მემამულეთა მიწების იჯარით აღებას“ (ხაზი
ჩვენია. — ი. ა.).

40 ვაზ. „ივერია“, 1887 წ., № 61.

რომ ასეთი გადასახლება იშვიათი არ ყოფილა და რომ მისი მიზეზი მძიმე
ეკონომიური მდგომარეობა იყო, ამას ბევრი სხვა მასალა ადასტურებს. „ჩვენ
მოგვივიდა ზემო იმერეთიდან კორესპონდენცია, — წერდა „დროება“, — რო-
მელშიაც გვაცნობებენ, რომ უკანასკნელ დროს... გლეხები ტოვებენ თავიანთ
შამულს და ესახლებიან ქვემო იმერეთში ნასილ მიწაზე... რა მდგომარეობაში
უნდა იყოს ჩვენგური გლეხი, რომელიც ამას სჩადის? ცხადი საქმეა, რომ ამი-
სი მიზეზი უნდა იყოს ძალიან მძიმე და საფუძვლიანი. ის გლეხი, რომელსაც არ
აწუხებს არც შიმშილი და არც წყურვილი, რომელსაც არ ემუქრება სიკვდილი
ან სხვა უბედურება, არასოდეს არ დატოვებს თავის სისოებას, მამა-პაპის საფ-
ლავს და სილოცავებს ოხრად სხვის ხელში... ჩვენში, კარგა ხანია ბატონულობა
მოისპო, მაგრამ მიწის დახსნა და საკუთრებად მოპოვება ჯერ-ჯერობით ვერ მო-
უხერხებიათ გლეხებს... ღარიბი და მცირე მიწის პატრონი მემამულე მუდამ
კარზე უზის საწვალს გლეხს და ითვლის თითოეულ რამდენი აკერცხი და ქათ-
მი აქვს ოჯახში, ანუ რამდენ გოჭს გამოზრდის წელიწადში. რასაკვირველია, ასე-
თი ზედამხედველობა... კაცს თავს მოაქულებს და მოუკლავს სულის ძალას“.
(ვაზ. დროება“, 1875 წ., № 140; შეადარე „დროება“, 1875 წ., № 139).

41 ЦГИАГ. Ф. 39², л. 561¹, л. 21.

მწარმოებელი კლასის ეკონომიური მდგომარეობის ეს თავისი სიათება თუმცა თავისთავად ძალიან საინტერესოა, მაგრამ ის მინც ნაკლებია და მხოლოდ მიახლოებით გამოხატავს სინამდვილეს. ციტირებული სიტყვების ავტორი ცოდავს, როდესაც ქუთაისის გუბერნიის გლეხთა დიდ უმრავლესობას თვლის 3,5 დესეტინა მიწისმფლობელებად. ქუთაისის გუბერნიის სოფლის მშრომელ მოსახლეობაში მართლაც იყვნენ ასეთი და მეტი ფართობის მქონენიც, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას მიწა ამაზე გაცილებით ნაკლებ რაოდენობით ჰქონდა. 3,5 დესეტინა სახნავ-სათესი და სავენახე მიწა არამცთუ დროებითვალდებულ, არამედ თვით ეკონომიურად უფრო უზრუნველყოფილ სახელმწიფო გლეხებსაც კი არ ჰქონიათ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი კატეგორიის თითო კომლ გლეხზე მოდიოდა საშუალოდ: 1884 წელს 2,27 დესეტინა⁴², ხოლო 1902 წელს — 1,92 დესეტინა⁴³. ზოგს კი, როგორც ცნობილია, ამდენიც არ გააჩნდა და ასეთები თავიანთ თავს სავესებით სამართლიანად ყველაზე ღარიბ ადამიანებად თვლიდნენ მთელს მსოფლიოში⁴⁴.

მიწით ესოდენ ცუდად მომარაგებული გლეხი იძულებული იყო იჯარისთვის მიემართა. ასეთ გზას დასდგომია, მაგალითად, შორაპნის მაზრის დროებითვალდებულ გლეხთა 64%, მესაქუთრე გლეხთა 60% და სახელმწიფო გლეხთა 63%⁴⁵. პირველი და მეორე ჯგუფის თითო ოჯახი საშუალოდ იღებდა თურმე 1,5 დესეტინა ფართობს, ხოლო მესამის — 1,3 დესეტინას⁴⁶. მეტ-ნაკლებად იგივე მდგომარეობა იყო ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებშიც. რაც შეეხება თბილისის გუბერნიას, იქ თურმე გასული საუკუნის 80-იან წლებში დროებითვალდებულ გლეხთა 42% იჯარის გარეშე ვერ ახერხებდა ცხოვრებას⁴⁷.

ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა, ნათლად გვიჩვენებს დროებითვალდებულ გლეხთა უკიდურეს მცირემიწიანობას. ეს უკანასკნელი

⁴² Ф. Марков. Земельное довольствие государственных крестьян Закавказского края, СМИБГКЗК, т. II, стр. 261—262. Ср. И. Г. Антелава. Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, 1962, стр. 95.

⁴³ Ф. Гогичайшвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, стр. 16; И. Г. Антелава. Государственные крестьяне, т. II, стр. 95.

⁴⁴ „Мы, люди беднейшие на свете“—წერდნენ 1883 წელს ქუთაისის მაზრის გლეხები კაკალიაშვილ და სულიაშვილი (ЦГИАЛ, ф. 3981, оп. 27, л. 2).

⁴⁵ ЦГИАМ, ф. 1233, оп. 1, л. 15. 1903 წ.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

იჯარის მასშტაბისა და ფორმების შესახებ იხ. ი. მიტტელაქას აგრაარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წწ., თბილისი. 1964 წ., გვ. 79.

იყო ძირითადი, მაგრამ არა ერთად-ერთი მიზეზი მათი მცდელობის სახარბიელო ეკონომიური მდგომარეობისა. მწარმოებელი კლასის შრომისა და ცხოვრების პირობებზე დიდ გავლენას ახდენდა მკაცრი თვე საგადასახადო სისტემაც. ყოფილი საბატონო ყმები უხდიდნენ გადასახადებს არა მარტო მემამულეებს (ამ უკანასკნელთ თბილისის გუბერნიის გლეხთა თითო კომლი უხდიდა საშუალოდ 28 მან. 42 კაპიკს) სანადელო მიწებით სარგებლობისათვის, არამედ ხაზინასაც. ხაზინას აძლევენ ისინი საკომლო და საერობო გადასახადებს, ასრულებდნენ, მისი მოთხოვნით, შრომით და სატრანსპორტო ბეგარას. ამას გარდა, გლეხები ინახავდნენ სასულიერო წოდების (დრამის ფული) და მონაწილეობას ღებულობდნენ სოფლისთვის საჭირო მრავალ ღონისძიებათა გატარებაში. ყველაფერი ეს ბევრი დროისა და მატერიალური რესურსების ხარჯვასთან იყო დაკავშირებული. ვაზეთ „კვალს“ კორესპონდენტის დასტურით, გასული საუკუნის 90 წლებში, ბორჩალოს მაზრის სოფ. დიდი გომარეთის თითო გლეხის ოჯახზე მოდიოდა საშუალოდ 70—80 მანეთი სახელმწიფო და სასოფლო გადასახადი⁴⁸. ეს თანხა, ჩვენი აზრით, რამდენადმე გადაჭარბებულია. მაგრამ იმის ნახევარიც რომ მივიღოთ რეალური სინამდვილის გამომხატველად, ისიც საკმარისი იქნება ხაზინის ექსპლოატატორული როლის მკაფიოდ წარმოსადგენად⁴⁹.

განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო გლეხებისათვის ნატურალური გადასახადები არა მარტო მათი მოცულობა-მასშტაბის გამო. არამედ იმიტომაც, რომ მათ შესასრულებლად ხალხი, როგორც წესი, გაჰყავდათ სწორედ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მთელი სისრულით მიმდინარეობის დროს. „Тяжесть дорожной повинности,—наотъѣзѣмъ 1895 წლის ერთ ოფიციალურ მოხსენებაში,—усугубляется еще значением в хозяйстве того времени; в которое население призывается к производству... работ, обыкновенно эти работы производятся; весной—в апреле и мае и осенью—в сентябре, октябре и отчасти в ноябре; между тем, весна является временем вспашки и посева яровых, осень—уборки и малотьбы хлеба. Отвлекать крестьянина в такую страдную пору от своего хозяйства—значит наносить

⁴⁸ ვაზ. „კვალს“, 1898 წ., № 31, გვ. 516—517.

დაწერილებით დროებითადღებულ გლეხთა გადასახადების შესახებ იხ. ი. მირცხულავას აგარულ გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წწ. თბილისი, 1964 წ., გვ. 49—51.

⁴⁹ რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ამ თანხის სიდიდეზე საკმარისია ეთქვას, რომ ფული სიმინდის საბაზრო ფასი მაშინ 90 კაპიკს არ აღემატებოდა.



ему существенный вред⁵⁰. და მართლაც, 1895 წელს, დასაბუღებელი წყაროს მოწმობით, თიანეთის მაზრის გლეხთა ერთი ჯგუფი რომელიც გზის სამუშაოდ გაზაფხულზე გაუყვანიათ, ყანის ვერ მოუსწრია, ხოლო მეორეს — მოსავლის აღება.

მდგომარეობას ართულებდა ის არაჩვეულებრივი თვითნებობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოფლისა და მაზრის ადმინისტრაციის მხრივ ნატურალური გადასახადების შესრულების დროს. მუშახელისა და სატრანსპორტო საშუალებათა შესაძლებელზე მეტი მასშტაბით მოთხოვნა, ხშირ შემთხვევაში მათი მოხელეთა პირად საჭიროებისთვის გამოყენება, ქრთამის გამღებ გლეხების გადასახადისაგან განთავისუფლება და სხვა ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. ლაპარაკობდა რა, კერძოდ, ურმის ბეგარასთან დაკავშირებულ ბოროტმოქმედების შესახებ, გაზეთი „ივერია“ წერდა:⁵¹ „ჩვენში მარტო გლეხ-კაცის კისერია მრავალგვარი ბეგრის პასუხის გამცემი სახელმწიფოს წინაშე. ერთი ამ სამსახურთაგანი, რომელიც სულსა ზღის გლეხსა და ათახსირებს, ურმის ბეგარაა. ჩვენ აქ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ურმის ბეგარა არ უნდა იქმნას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ სახელმწიფო უმაგისოდ ვერ გასძლებს და ამიტომ ეგ სამსახური... ყოველს ქვეყანაშია მიღებული როგორც აუცილებელი საჭიროება, (მაგრამ) განსხვავება ჩვენსა, რუსეთისა და ევროპის ქვეყნებთა შორის უმთავრესად იმაშია, რომ იქ... მმართველთა... ფიქრი და ზრუნვა იმაზეა მიქცეული, რომ მძიმე ტვირთი ემაგ სამსახურისა თანასწორად და სამართლიანად განაწილებულ იყოს მცხოვრებთა შორის და არ ედოს კისრად მარტო ერთს რომელსამე წოდებას ხალხისას... ჩვენში არ არის შემოღებული ეგეთი ღებულება და ამიტომაც ურმის ბეგარა მარტო გლეხ-კაცის კისერზეა... რასაკვირველია, ეს ძვირად უჯდება გლეხს და მძიმე ტვირთად აწევს, მაგრამ (ის) ამ ტვირთის სიმძიმეს წვალებით და ვაი-ვაგლაზით აუვიდოდა, რომ სხვაფრივაც... არ უმძიმდებოდეს ეს ისეც მძიმე უღელი სამსახურისა... ვერ წარმოიდგენთ, მკითხველო, ამ ბეგრის გამო რა ტანჯვას, ძარცვას, ცემა-ტყეპასა მიყენებენ ხოლმე უბედურს გლეხსა. ვერ წარმოიდგენთ რამოდენს უსამართლობას იტანს, რომ სხვა გზა არა აქვს. გლეხ-კაცს ერთი ურემი რომ შეხედდეს ბეგარად, მის „სულშემატკივართ“ მეოხებით ის... ორად და სამად უჯდება. აი, მაგალითებრ, მოუვა ბრძანება მაზრის მმართველს ამა და ამ სოფლის საზოგადოებამ ათი ურემი გამოიყვანოსო. ეს ბრძანება... გადადის პრისტავზედ, პრისტავიდამ

⁵⁰ „Русская мысль“, июль 1902, стр. 123.
⁵¹ გაზ. „ივერია“, 1877 წ., № 43.



მამასახლისზედ და ამ გადასვლაში პირვეანდელი რიცხვი ურმისა, როგორც თოვლის გუნდი, დიდდება და დიდდება, ვინაჲს ვინაჲს წევს სოფლის საზოგადოებამდე. ასე რომ ღმერთს მაღლობა უნდა შეეწიროს, თუ სოფლამდე ეს რიცხვი ორ ურემზედ შედგა. რა ჯადოთი ხდება ხოლმე ამგვარი გარდაცვლა? ამას პასუხი არ უნდა, ეგ ყველამ იცის. რისთვის გარდაიცვლება ხოლმე ათი ოცად? იმიტომ, რომ ჩემო მკითხველო, რომ ათი ურემი მართლა ბეგარაზედ გავა და მასზედ მეტი კი თავს დაიხსნის ფულით.

ეკვაულებელი საბუთით ვიცით ერთი მაგალითი ამგვარის ბოროტ მოქმედებისა ერთს მაზრაში... ამ მაზრის სოფლებში ამ მოკლე ხანში მოსულა ბრძანება, ბეგარაზედ ურმით გამოსვლისა. დაღონებულან საწყალი გლეხები, ცალკე საქონლის ჭირი, ცალკე ეს უამიდობა, რა უნდა ექნათ? აელოთ, დაელოთ, ამოერჩიათ რამდენიმე კაცი და გამოესტუმრებინათ მაზრის სამმართველოში... (იქ) ერთი ვილაც... „ჩინოვნიკი“ მოჰგებებოდა წინ, ეკითხა ვინაობა, შეეყვანა ცალკე ოთახში, გამოეკითხა და როცა შეეტყო ამათი დარდი, ეთქვა: თქვენი თხოვნა მეტად მძიმე აღსასრულებელია, ბეგარიდამ ამოშვება არ შეიძლება, სახელმწიფო (სამხედრო) საქმეა. აქეთ ისინი, იქით ის „ჩინოვნიკი“, როგორც იყო გარიგებულოყვნენ: გლეხ-კაცებს 150—200 მანეთი უნდა მიერთმიათ ურმის ბეგარის მაგიერ და ამით თავი დაეხსნათ. წასულოყვნენ საცოდავები, აკრიფათ ეს ფული..., ჩამოეტანათ, ჩაებარებინათ გამრიგებლისათვის, მიელოთ „კვიტანციები“ და დაბრუნებულოყვნენ შინ“.

სახელმწიფო გადასახადის აკრეფა ხდებოდა ხშირად სამხედრო ძალის გამოყენებით. გაზეთ „ივერიაში“ აღწერილია ერთი ასეთი შემთხვევა, რომელსაც კახეთში, სოფელ ხაშში, ჰქონია ადგილი. „შარშან შეჰმული ფულის მცირე ნაწილი (260 მანეთი). — წერდა გაზეთი 1885 წლის 1 იანვარს, — დარჩა წელს „ნედოიშკად“. წრევეანდელ სახელმწიფო ხარჯის (ე. ი. საკომლო გადასახადის. — ი. ა.) განაწილების დროს „ნედოიშკა“ არ გაეწერა სოფულს, რადგან დიდად სამძიმოდ სჩვენებოდათ... ერთად მოშორება როგორც ხარჯისა, ისე დარჩენილი ფულისა. ამისთვის მცხოვრებლებმა წრევეანდელი ხარჯი შეიტანეს ხაზინაში სრულიად და „ნედოიშკისათვის“ ერთი თვის ვადა ითხოვეს მაზრის უფროსისაგან; უფროსმაც ნება დართო სოფლელებს, რომელთაც მოუტანეს ბრძანება ამ საგნის თაობაზე ხარჯის მკრეფელს. განკარგულების ბილგების დღეს ხსენებულმა მოხელემ გაიყვანა „ნედოიშკისთვის“ ჩაყენებული კაცები... და დაუწყო ცდა, ვიდრე სრულიად შეაგროვებდნენ...“

დაიწყეს ფულის კრეფა, მაგრამ ხალხის სიღატაკის გამო დღე მდინ სრულად ვერ შეიკრიფა, თუმცა იმედი კი იყო, რომ მოკლე ხანში შეგროვდებოდა. მოხელე მეტი დაკდიით გაბრაზდებოდა აქედან დაიწყო სოფლის გაჭირვება. ხმაამოუღებლივ დასწერა მან ბრძანება და მოითხოვა ათი ცხენიანი თათარი. ხალხმა შეიტყო ბრძანების შინაარსი... და შექნა გოდება. მოხელესა სთხოვეს, ნუ ინებებდა მათ დაღუპვას, რადგან ფული ნახევარზედ მეტი მოკრეფილია და დანარჩენიც ოთხ დღეში მოიკრიფებაო; ნახევარ საათის შემდეგ ათი თათარი სამმართველოს წინ დაასვირნებდა ცხენებს... მოხელემ გაიყოლა მამასახლისი, გაუძღვა წინ თათრებს და მიიყვანა... შეძლებული გლეხის თავლასთან, სადაც შარშან განისვენებდა ამგვარ ცხენოსანთა რაზმი. თავლის პატრონმა მოახსენა მოხელეს რომ მე ყველა ხარჯი მოშორებული მაქვს და ჩემთან საქმე აღარა-ვის აქვსო. შარშანაც ყინვაში საქონელი თავლიდან გარეთ გამო-რეკეთ და წელსაც ამასვე მიპირებთო. მაგრამ გლეხის ჩივილმა უნაყოფოდ ჩაიარა. თათრები ხოცავდნენ ქათმებს, ცხვრებს და ქეიფობდნენ... ამას იქით რა მოხდა, მნელი მოსათხრობელია. ქვის გული უნდა ჰქონოდა მნახველს, რომ ტირილი არ მოსვლოდა იმ უბედურებით, რომელიც გარშემო დატრიალდა⁵².

ძალადატანებულ გლეხებს, გაზეთის სიტყვით, დიდი გაჭირ-ვებით უშოვიათ ფული და ხაზინასთან ანგარიში გაუსწორებიათ.

მძიმე, მეტად არასახარბიელო იყო მცირემიწიან და სრულიად უმიწო, გადასახადებით დატვირთულ და მოხელეთა თვითნებობით აწიოკებულ გლეხთა ცხოვრება. მათ ლუკმაპურის შოვნა უჭირდათ. ისინი, როგორც წესი, შიმშილობდნენ — ამ სიტყვის სრული მნი-შვნელობით. მიწით უაღრესად ცუდად მომარაგებული ერთი ქარ-თლელი გლეხის მატერიალურ მდგომარეობაზე, გაზეთი „ივერია“ წერდა (1877 წ.)⁵³: „ამას არაფრისაგან არაფერი არ აბადია; ბა-ტონისაგან ჰრგებია მხოლოდ... სახლის ადგილი და ერთი კვალი ვენახი. ამას ნუ უკითხავთ ნურც საბძელს და ნურც ბოსელს. რაც შეეხება სახლს, ეს ხომ საკვირველი რამ არის. აი მიწის სახლი, რომელიც ძალზეა ჩამქდარი დედა-მიწაში, კარები დასავლეთის მხრისაკენ აქვს და დიდი წვიმის დროს ნიაღვარი თავისუფლად შეუვარდება ხოლმე წინ, ერთი ბანი აქვს, ფანჯარაც ეს არის და ბუხარიც. ამ სახლის პატრონს ოთხი ბავშვი ყავს, ორი ვაჟი და ორი ქალი. სულ ექვსი სულნი სცხოვრობენ... აღწერილ მიწის

⁵² გაზ. „ივერია“, 1885 წ., № 1.

⁵³ გაზ. „ივერია“, 1877 წ., № 34; შეადარე ს. ბაერელის წერილი „ზამთა-რი“ („ივერია“, 1878 წ., № 8).



სახლში. აქვე პყავთ პატრონებს ქათმებიც და ინდაურებიც. მათი ცხოვრება... რაღაც საცოდაობაა. ცარიელი მჭადიც კი არ უნდა ჰქონდეს. ლობიოსაც ათასში ერთხელ ეღირსებიან... რაც უნდა უნდა მადანტურვას, ეს ხომ სათქმელი არ არის — ერთი დაგლეჯილი ჩოხა თავისის შესაფერისის პერანგით და მისი ამხანაგით — აი ეს არის ტანსაცმელი სახლის უფროსისა. ბავშვები ხომ სრულიად თავშიშველები და ფეხშიშველები არიან, მხოლოდ დაძონძილი პერანგები აცვიათ. არც ბავშვების დედაა უკეთეს მდგომარეობაში. ამასაც დაკონკილებში და დაძონძილებში ამოსდის სული. ამათთვის არც ძილია ზეირიანი. კერის ახლოს უვიათ ძველი ფარდავი და ბავშვები ამ ფარდავზე ვოკებოვით მისწოლიან დედას ერთ ტურტლიან და დაგლეჯილის საბნის ქვეშ. ამათ მამას კიდევ კუნჭულში წაუგია რაღაც ჩული და ზედ თავისი ჩოხა წაუხურავს. ეს არის ამ საწყლების ცხოვრება“.

კიდევ უფრო მძიმე იყო სრულიად უმიწო გლეხის ხვედრი. აი როგორ აღწერა მისი ყოფა ამავე გაზეთმა: „ეს ხომ საცოდავია და საცოდავი. ამას სახლის ადგილიც კი არსად აქვს. ერთ წელიწადს ერთის... ბოსელში დგას, მეორე წელიწადს — მეორის... ხან ერთი გამოაგდებს ბოსლიდამ, ხან მეორე და არის ერთ ცეცხლში. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამისი ჩაცმა-დახურვა, სმა-ჭამა უფრო უკანასკნელია (ე. ი. უარესია. — ი. ა.), მინამ ზემოდ მოყვანილი გლეხისა, თუმცა კი ესეც არავის ჩამორჩება მუშაობაში“⁵⁴.

მწერალ ი. ბაქრაძეს ერთ სტატიაში, რომელიც 1875 წელს გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა, აღწერილი აქვს საშუალო შეძლების⁵⁵ დროებითვალდებული გლეხის მეურნეობა, რომელიც სანახევროდ ამუშავებდა მემამულის ხუთ დესეტინა მიწას. როგორც დასახელებული ავტორის ვაანგარიშებიდან ჩანს, ეს მეურნეობა დეფიციტური ყოფილა, მისი წლიური გასავალი, მხოლოდ საწარმოო ხარჯების სახით, 46 მანეთით სჭარბობდა თურმე შემოსავალს⁵⁶.

მართალია, ყოფილ საბატონო ყმათა აბსოლუტურ უმრავლესობას ცხოვრება უჭირდა და მატერიალურად დაბეჩავებული

⁵⁴ გაზ. „ივერია“, 1877 წ., № 34; შეიღარე ს. ბაგელის წერილი „ზამთარი“ („ივერია“, 1878 წ., № 8).

⁵⁵ საშუალო შეძლებისად თელის ავტორი აღწერილი მეურნეობის პატრონს, მაგრამ ის სტატიის მიხედვით, უფრო ღარიბ გლეხად ჩითვლება, ვიდრე საშუალო.

⁵⁶ გაზ. „დროება“, 1875 წ., №№ 113, 114, 117 (განსაკუთრებით უკანასკნელი).



იყო⁵⁷, მაგრამ მათ შორის საცმაო და დიდი შეძლების კომპლექტში მოიპოვებოდნენ. რიცხობრივად ისინი ბეგარნი არ იყვნენ, მხოლოდ ეკონომიურად ეს ჯგუფი წამყვან ძალას წარმოადგენდა. ამ ჯგუფს ეკუთვნოდნენ, მაგალითად, გორის მაზრის გლეხები თეიმურაზი მედოშვილი, პეტრე სამუქაშვილი, სოლომონ გოგიჩაიშვილი, იოსებ-ბი თანდილაშვილი, დათო წრიალაშვილი, გედევან ვაგლოშვილი, ალექსი ზაზიკაშვილი, ზაქარია გუგიაშვილი, აბრამ ბეგიაშვილი და სხვ. ამთგან ყველაზე „მცირემიწიანი“ 50 დესეტინის მფლობელი დათო წრიალაშვილი იყო, ხოლო ყველაზე მდიდარი — 200 დესეტინიანი მარტო სახნავ-სათესი ფართობის პატრონი აბრამ ბეგიაშვილი⁵⁸.

სტატიაში „დროებითვალდებულ გლეხთა მდგომარეობა კახეთში“, რომელიც 1888 წელს გაზეთ „მეურნეში“ დაიბეჭდა, აღწერილია შეძლებული გლეხის მეურნეობა. იგი რენტაბელურია და წმინდა მოგების მომცემი. მისი წლიური შემოსავალი ქარბობს გასავალს 224 მანეთითა და 90 კაპიკით⁵⁹.

57 „რამდენჯერ მჭონია გლეხებთან ლაპარაკი, — იგონებს იაკობ მანსვეტაშვილი, — და როდესაც კი ვეითხავდი — როგორ სცხოვრობთ მის შემდეგ რაც თავისუფლება მიიღეთ შეთქა, სულ ერთგვარ პასუხს ვიღებდი: „განა გლეხის განაწნაში ღმერთი რეულა? როგორც ძალღურად ვცხოვრობდით წინაა, ისე ეხლა ვართ, ვმუშაობთ, ნაწლავებზე ფეხს ვიდგამთ, წელში ოთხად ვიხრებით და სიმშლის მიინც თავი ვერ ავაშორეთ, ის რალად „ნადლეები“ დავეთრევეს, წაიღონ უარევე. შიგ არაფერი ყრია და ხარყების და სარგებლის გაღახდით კი სული ამოგეხეთეს. წელში გაეწყდით, თავი მალლა ვერ აგვიღია“.

58 ა. უ თ რ ა შ ვ ი ლ ი, გლეხობის კლასობრივი დიდერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი, 1958., გვ 179.

59 „სოფლის პირველ კაცთა რიცხვში, — ნათქვამია დასახელებულ წერილში, — მოვათავსედ, ვისაც უთუოდ ერთი ან ორი იმიდენა ვენახი აქვს, რომ წელიწადში საშუალო მოსავლის დროს მისცემს ექვს საპალნე ღვინოზედ არანაკლებს: ამას გარდა ოცდახუთი-ოცდაათი დღიური მიწა აქვს, ერთი გუთნეული მუშა საქონელი ჰყავს და აგრეთვე მოშენი საქონელიცა... (ღვინის მოსავალი) ფულად რომ ეაქციოთ (საპალნე 70 მანეთი) — 420 მანეთს შეადგენს. ესევე კაცი ყოველწლივ ოც დღიურზედ ნაკლებს არა ჰხნავს. თორმეტი დღის პურს, ოთხი დღისას ქერსა და ოთხი დღისას სიმინდს. პერი საშუალო მოსავლის დროს დღიურზე 8 კოდი მოსდის, სულ 96 კოდი, ფულად 192 მანეთის; ქერი — 40 კოდი, ფულად 40 მანეთი; სიმინდი — 24 კოდი, ფულად 24 მანეთი. ამასევე ჰყავს 8 სული მოშვები საქონელი... გუთნეული... მთელ წელიწადში მუშაობაში ჰყავს და... შემოაქვს წელიწადში 120 მანეთამდე. ამას გარდა შინაური ფრინველი ჰყავს, რომელიც საოჯახო ხარჯს ყოველწლივ არანაკლებ 50 მანეთისას დაფარავს. ასე რომ მთელი წლიური შემოსავალი პირველ კაცსა აქვს 878 მანეთი. წლიური გასავალი... (კი) — 653 მანეთი და 10 კაპეიკი. ხარჯს შემოსავალი რომ დაუბირისპირით — თავკაცს ყოველწლივ რჩება ოჯახის ხარჯის გასაძლოად 224 მანეთი და 90 კაპეიკი“ (გაზეთი „მეურნე“, 1888 წ., № 21).



სწორედ ეს რიცხობრივად მცირე შექმნილი გლეხების ჯგუფი იძენდა პირველ რიგში დებულებით გათვალისწინებულ (თუ სხვა) მიწებს, გამოდიოდა დროებითვალდებულ შემდგომში ბიდან და ეწერებოდა მესაჯუთრე გლეხთა კატეგორიაში. უმრავლესობა კი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ამის საშუალებას მოკლებული იყო, თავის დახსნას ვერ ახერხებდა და თუ ახერხებდა — დიდი გაჭირვებით; მას უხდებოდა სესხის აღება, რომლის მძიმე პირობები მეტად არასახარბიელო პერსპექტივებთან იყო დაკავშირებული⁶⁰.

თავი III

მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი
დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის
შესახებ

მწარმოებელი კლასი, სოფლის მშრომელი მოსახლეობა ენერგიულად იბრძოდა მიწისა და საერთოდ აგრარული საკითხის სწორი, სამართლიანი გადაჭრისათვის. ამ ბრძოლაში, რომელზედაც ჩვენ ცალკე გვექნება ლაპარაკი, მზურვალედ უჭერდა მას მხარს მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. მისი ისეთი შესანიშნავი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, რაფიელ ერისთავი, ანტონ ფურცელაძე, სერგეი მესხი და სხვ. შეუწელებლად თავს დასტრიალებდნენ გლეხთა საკითხს, ისინი იმდროინდელ ქურნალ-ვაზეთებში გაბედულად გამოდიოდნენ მთავრობის აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ და ცდილობდნენ საქმე ისე წარემართათ, რომ მშრომელ კაცს ნამდვილი თავისუფლება და მატერიალური უზრუნველყოფა მიეღო. დასახელებულ საზოგადო მოღვაწეთა მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა მიწის შეერთება მის შემუშავებულთან. გლეხის უმამულოდ დატოვება, მათი აზრით, არა მარტო საზიანო, არამედ ქვეყნისთვის პირდაპირ დამღუპველი იყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართველმა სამოციანელებმა თავიდანვე აიმაღლეს ხმა ბატონყმური ურთიერთობის ყოველგვარი გადმონაშთის, კერძოდ, დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტიურად უშუალო მწარმოებლის დამოკიდებული ეკონომიური მდგომარეობის ხელუხლებლად დატოვებას გულისხმობდა.

⁶⁰ გლეხების მასიურ დავალიანების შესახებ იხ. „სასოფლო ვაზეთი“, 1870 წ., № 4, 1872 წ., № 17; KСX 1899 წ., № 273, №№ 273, 276; ЦГИАГ,



ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ის ენერ-
გიული საქმიანობა, თერგდალეულებმა რომ გაშალეს საგლეხნი პროექტი
ფორმის მომზადება-გატარების პერიოდში. როგორც ცნობილია,
მათი იდეური ბელადი ილია ჭავჭავაძე დიდი ყურადღებით მოეკი-
და ხსენებულ აქტს და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მას
მშრომელი ხალხის სასარგებლო მიმართულება მიეღო. მან სხვისი,
კერძოდ ნიკო ჭავჭავაძის სახელით, 1864 წლის მაისში წარადგინა
კრიტიკული შენიშვნები¹ რეფორმის იმ პროექტზე, რომელიც
ამიერკავკასიის ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა შეიმუშავა.
მიუხედავად იმისა, რომ პროექტი, წინააღმდეგ თავადაზნაურობის
აბსოლუტური უმრავლესობისა, გლეხის მიწით გათავისუფლებას
უჭერდა მხარს, მაინც არ სობდა ბატონყმობას და ტოვებდა მას
დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის სახელწოდებით. სწო-
რედ ხსენებული დოკუმენტის ამ ბატონყმური ხასიათის წინააღმ-
დეგ გაილაშქრა ილიამ და მან ძველი დახავსებული წყობილების
ძირფესვიანად მოსპობა მოითხოვა.

კრიტიკული შენიშვნების ყოველი წინადადება გამსჭვალულია
სოფლის მშრომელი მოსახლეობის ინტერესების თანმიმდევრული
და პრინციპული დაცვის იდეით. მის თითოეულ სიტყვაში ისმის
ხალხის ჭეშმარიტი მეგობრის ხმა, გაბედული ძახილი — მისცენ
ყმებს სრული და მატერიალურად უზრუნველყოფილი თავისუფ-
ლება.

გასარჩევი დოკუმენტის ავტორმა კატეგორიულად მოითხოვა
დროებით (სინამდვილეში კი მუდმივ) ვალდებულ გლეხთა ინსტი-
ტუტის არ დაშვება, შესაფერისი მუხლების დებულების პროექტ-
ტიდან ამოკვეთა და უშუალო მწარმოებლისათვის მიწის ნაკვეთის
სრულ საკუთრებად დამტკიცება. ამის გარეშე, ილიას აზრით, შეუძ-
ლებელი იყო გლეხის ეკონომიური ცხოვრების რამდენადმე მაინც
საიმედო ნიადაგზე დაყენება და მისი მეურნეობის წარმატება—
განვითარების უზრუნველყოფა. აკრიტიკებდა რა დებულების
პროექტის იმ პარაგრაფს, სადაც ფიქსირებული იყო მიწის პატრო-

¹ ეს დოკუმენტი, რომლის სრული სათაურია „Критические замечания по
параграфам предварительного проекта местного положения о поземельном
устройстве крестьян, водворенных на помещичьих землях в Тифли-
ской губернии“ — გამოაქვეყნეს სხვადასხვა დროს ა. ოვიძემ (იხ. „საისტო-
რიო მოამბე“, № 3, 1947 წ., გვ. 284—313), პ. გუგუშვილმა СХАО, ტ. II, გვ.
173—203), შ. ჩხეტიამ „Документы по истории Грузии“, ტ. II, ნაწ. 1,
თბილისი, 1960, გვ. 717—743) და პ. რატიანმა (იხ. მისი „ილია ჭავჭავაძე და
გლეხთა გათავისუფლების პრობლემა“, თბილისი, 1963 წ. ქართული თარგმანი).
ჩვენ ვსარგებლობთ პ. რატიანის თარგმანით.



ნის უფლება აეყარა გლეხი დასახლების ადგილიდან, ილია წერდა:
 „ეს ყველაზე საშინელი და ყოველად გაუმართლებელი უფლებებელი
 მიეცით გლეხს იმედი, რომ იცხოვრებს უშფოთველად და უფლებებელს
 ლად, ძალმომრეობის გარეშე. ასეთი იმედი თუ არა აქვს, გლეხი
 არ იქნება ბედნიერი, მას არ ექნება თავისი ყოფა-ცხოვრების, თავი-
 სი მეურნეობის გაუმჯობესების ხალისი, ცხოვრების ილაჯი გაუწყდე-
 ბა; მთელი მისი სიცოცხლე იმათ თავნებობაზე
 და ახირებაზე იქნება დამოკიდებული, ვისთანაც
 იგი სამუდამოდ გადააბით თქვენს სავალდებუ-
 ლო პირობათა ძალით; ეს პირობები საბოლოოდ
 არაფერს კარგს არ გვიქადის, გარდა იმისა, რომ
 შეარყევს და სრულიად არაბუნებრივ პირო-
 ბებში ჩააყენებს ღარიბ გლეხს, რომლის ბე-
 დი მონობისაგან განთავისუფლების შემდეგაც
 იმათ ხელში რჩება, ვისაც საუკუნეთა მანძილ-
 ზე ჰყავდა იგი მიჯაჭული გლეხური ცხოვრების
 ვაი-ვაგლახთან. მე არა და არ მესმის, როგორ შეიძლება
 ასეთი წესების შემოღება მაშინ, როცა ყველა და ყველაფერი იმის-
 კენ მიისწრაფვის, რომ მისცეს ყმაგლეხს ცხოვრების საღისარი და
 შეუქმნას უშფოთველი ცხოვრება იმ ბედშავი სავალდე-
 ბულო პირობების მთელ მანძილზე, რომელიც
 მხოლოდ მემამულეებისთვისაა კარგი (და ისიც
 ღმერთმა უწყის) და რომელიც, ყოველ შემთხვევაში,
 გლეხისთვის საშინელებია. თუ პატივსაცემთ ადა-
 მიანის თავისუფლებას, თუ არ ვსურთ საშინელი არეულობა გა-
 მოვიწვიოთ ყმა გლეხების ბედის ასეთი გადაწყვეტის წყალობით
 და ამასთან იმის გულისათვის, რათა დააიმედოთ ეს ადამიანები,
 რომ მათი ბედი უზრუნველყოფილია და არ არის დამოკიდებული
 სხვათა თვითნებობაზე, მოსპეთ ყველა ეს სავალდებულო და იძუ-
 ლებითი გადასახლება, აგრეთვე ადგილ-მამულების იძულებითი გა-
 ცვლა. ამით თქვენ, ყოველს შემთხვევაში, ერთი ნაბიჯით მიუახ-
 ლოვდებით ჭეშმარიტებას, თუმცა გლეხთა საკითხის
 აგრერიგად გადაწყვეტით სრულ სამართლიან-
 ნობას მაინც ვერ მიაღწევთ“⁶². (ხაზი ჩვენია. — ი. ა.).

აქ, როგორც ვხედავთ, არა მარტო უარყოფილია მემამულის
 უფლება გლეხის ერთი ადგილიდან მეორეში გადასახლებაზე, არა-
 წედ გაკრიტიკებულია დროებითვალდებულ გლეხთა მთელი ინსტი-

⁶² იხ. „კრიტიკული შენიშვნები“, პარაგრაფები 80—82 (პ. რატინის დასახ.
 წიგნი, გვ. 118—119).



ტუტი. მას, ავტორის სიტყვით, მხოლოდ არევ-დარევის შედეგად შეეძლო მოპირისპირე მხარეთა ურთიერთ დამოკიდებულებაში. უფრო მეტიც. ის პირდაპირ „საშინელებას“ წარმოადგენს მოებელი კლასისთვის და ამიტომ მისი დატოვება, თუნდაც მცირე ხნით, მოსათმენი და მხარდასაჭერი არ იყო.

კიდევ უფრო მკაფიოდაა ილიას აზრი გამოთქმული იქ, სადაც დებულების პროექტის 178—193 პარაგრაფებია გარჩეული. იქ ნათქვამია⁶³: „სავესებით უარსყვოფ რა სავალდებულო ურთიერთობას, რომლისაგანაც ყველა უსიამოვნება იბადება, მე უნდა დავსძინო, რომ გლახთა საკითხის გადაწყვეტა სულ სხვა საწყისს უნდა დაეფუძნოს—სახელდობრ... გლახისა და მემამულის ინტერესთა საბოლოო გათიშვის საწყისს; მათ შორის უნდა გაწყდეს ყველა ძაფი, რომელიც ნაბატონარსა და ნაყმევს იძულებით ერთმანეთთან აკავშირებს. სხვა გამოსავალი არ არის და გლახთა საკითხის ყოველგვარი გადაწყვეტა, სხვა საწყისებზე დაფუძნებული, არ იქნება საბოლოო... ეს იქნება მხოლოდ გაგრძელება, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით, იმავე ბატონყმური მდგომარეობისა, რომლის მოსპობა დროთა ვითარებაში ისევე აუცილებელი გახდება, როგორც აუცილებელი იყო ძველი ბატონყმობის მოსპობა. თავიდან რომ ავიცილოთ გლახთა საკითხის ხელახალი გადაწყვეტა და ხელახალი დაყენება, მე აუცილებლად მიმაჩნია ეხლავე გადაწყდეს იგი საბოლოოდ და, მოისპობა რა ყოველგვარი შეხლაშემოხლა განსათავისუფლებელ და განმათავისუფლებელ წოდებათა შორის, დადგინდეს მემამულის სავალდებულო ურთიერთობისაგან გლახისა და მისთვის ბოძებული ნადელის საბოლოოდ ჩამოშორების პირობები“ (ხაზი ჩვენია. — ი. ა.).

ამ ადგილიდან ნათლად ჩანს ჩვენი სასიქადულო პოეტის დიდი აღფრთოვება დროებითვალდებულ გლახთა ინსტიტუტით, რომლის დაარსებასაც ესოდენ მხურვალედ დაუჭირა მხარი ამიერკავკასიის ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა. ეს ინსტიტუტი, ილიას სიტყვით, ძველი ბატონყმობის ნაირსახეობას წარმოადგენ-

⁶³ იქვე, პარაგრაფები 178—193 (პ. რატაიანის წიგნის გვ. 137).

და და ამიტომ მისი მოსპობა ახლო მომავალში ისევე უზრუნველ-
ლი იქნებოდა, როგორც მანამდე არსებულისა. სოფლის მშრომელ
მოსახლეობას, ავტორის ღრმა რწმენით, მხოლოდ მაშინ ემეცნებო-
ბოდა, თუ კი მოპირისპირე კლასების ინტერესები საბოლოოდ გა-
ითიშებოდა, თუ კი ძაფი, რომელიც შემამულეებს და გლეხებს
ერთმანეთთან აკავშირებდა, გაუმართლებლად გაწყდებოდა, თუკი
მიწა უშუალო მწარმოებლის სრულ საკუთრებაში გადავიდოდა.

ილია ამ საკითხს, როგორც ცნობილია, შერეც არაერთხელ მი-
ბრუნებია. კერძოდ, 1877—1881 წლებში გაზეთ ივერიის ფურც-
ლებზე დაიბეჭდა მისი პუბლიცისტური წერილების სერია, „ცხოვ-
რება და კანონის“ საერთო სათაურით. ავტორმა აქ ხელმეორედ
დასვა აგრარულ-გლეხური საკითხი და განავითარა იგივე თვალსაზ-
რისი, როგორც 60-იან წლებში შედგენილ „კრიტიკულ შენიშვნებ-
ში“⁶⁴. „ცხოვრება და კანონში“ გულის ტკივილითაა აღნიშნული,
რომ მთავრობამ რეფორმის მომზადების პერიოდში ანგარიში არ
გაუწია ჩვენი საზოგადოების მცირე, მაგრამ საუკეთესო ნაწილს და
არ სცნო“ გლეხი მისის ნაჭერის-მეპატრონედ“, რითაც პრინციპუ-
ლად გამოირიცხა მამულეების უსასყიდლოდ მიღების ყოველგვარი
შესაძლებლობა⁶⁵. ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, გლეხის „ადრინ-
დელი ბინა და მიწა“ საბატონოდ აღიარა და ამით მწარმოებელი
კლასი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ასეთ ვითარებაში ბა-
ტონისა და ყმის გასაყრელად ისლა რჩებოდა, რომ ფეოდალურ
არისტოკრატის „მაშინვე მიეყიდნა გლეხისთვის მამული“
მთავრობის მატერიალური დახმარებით, ან არა და „გადასახადი
მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ“⁶⁶. ამ ორი გზიდან, პირვე-
ლი, რა თქმა უნდა, უკეთესი იყო, მაგრამ კანონმდებელმა ერთიც
უარყო და მეორეც. მან, შემამულეთა უმრავლესობის მოთხოვნით,
აირჩია საქმის გათავება ისე, რომ გლეხსა და ნაბატონს შორის
ცოტა კლანჭგამოსადები რამ დარჩენილიყო. ჩამოვარდა მეოთხე-
ლობა — ეს განუსაზღვრელი მოვალეობა ერთისა და მეორისა⁶⁷.

64 სწორედ ამან მისი საფუძველი პ. ჩატანს კამათი „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორის შესახებ ილია ჭავჭავაძის სასარგებლოდ გადაწყვიტა (იხ. მი-
სი „ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა“, თბილისი, 1963, გვ. 43—58).

ყველაზე ადრე კი, როგორც ცნობილია, დებულება იმის შესახებ, რომ „კრი-
ტიკული შენიშვნების“ ავტორი ილია ჭავჭავაძეა, პროფ. პ. გუგუშვილმა წამოაყ-
ნა და სათანადოდ დასაბუთა (CXA.O, ტ. 11, გვ. 695—699).

65 პ. ჩ ა ტ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

66 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ცხოვრება და კანონი“, თხზულებანი ათ ტომად, ტ. 6, თბილისი, 1956, გვ. 10.

67 იქვე.

ლის ხარჯისა და შრომისმონაგები“ მთლიანად გლეხისა რუკა⁷⁰ შა-
 რამ, როგორც უკვე ვთქვით, გადაკვეთილი გადასახადის შემოღება.
 ავტორის შეხედულებით, მხოლოდ ერთი წინ გადადგმულია მონაგები
 იყო და არა დასასრული ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთებისა.
 მისი ცხოვრებაში გატარება მხოლოდ შუა გზამდე მისვლას ნიშ-
 ნავდა და არა სანატრელი მიზნის განხორციელებას. ამიტომ ილიას
 ხასზე შეჩერება ყოველად შეუძლებლად მიიჩნდა და დაწყებული
 საქმის ბოლომდე მიყვანას მოითხოვდა. საქმის ბოლომდე მიყვანა
 კი, მისი აზრით, მხოლოდ მაშინ მოხერხდებოდა, თუ კი გლეხი მი-
 წის შესაკუთრე ვახდებოდა⁷¹. ამას მოითხოვდა ისტორიული სა-
 მართლიანობა და ქვეყნის ეკონომიური განვითარების ინტერესე-
 ბი. ამას მოითხოვდა სოფლის მშრომელი მოსახლეობა, ეს იყო
 მისი სანუქვარი ოცნება საუკუნეების განმავლობაში. „ყველასაგან
 და ყველგან ცნობილია, — ვკითხულობთ გასარჩევ ნაწარმოებ-
 ში⁷², — რომ მუშაკაცი ყოველთვის იმის ნატვრაშია, სადმე ბინა მო-
 იკიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქონიოს... მიწათმომქმედი ისე
 არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ე. ი. მიწასა, ადგილ-
 მამულსა. ამგვარებში ნამეტნავად ჩვენი გლეხია ღირსშესანიშნავი.
 თუ კი თავის ახლომახლო მამულს როგორმე შეიგულებს, თავს
 დაიგირავენს, ცოლ-შვილს დაატყვევებს ხოლმე, ვალში, ვახშში
 ჩავარდება და მამულის სყიდვის შემთხვევას კი არ დაჰკარგავს.
 ჩვენებური გლეხი წელს გაიმაგრებს თუ არა, მართო იმის ნატვრა-
 შია, რომ მამული იყიდოს“.

მაშ რა აფერხებდა ამ საქმის წარმატებას რეფორმის შემდ-
 გომი ხანის საქართველოში? რა უშლიდა ხელს გლეხების მიერ მი-
 წის საკუთრებად შესყიდვის ოპერაციას? — კითხულობდა ილია

70 „გადაკვეთილს ღალას კი, — წერდა ილია, — ის სიყვეთ მინც მოსდევს,
 რომ ბევრია თუ ცოტაა, გლეხსა ხელს არ უშლის მამულის გაკეთებისათვის ხარ-
 ჟი გასწიოს, უფრო მედგრად იმუშაოს, უფრო დიდი მხნეობა და მეცადინეობა
 იხმაროს, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში მომეტებულის ხარჯისა და შრომის მონა-
 გები სრულიად მისია. აქ ღალას მიწის ქირის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და
 არა შრომის ნაყოფის განაწილებისა. აქ შრომა, ცოტა თუ ბევრად, თავისუფალია,
 და რამდენადაც თავისუფალია, იმდენად ყოველად შემძლებელიც არის“ (თხზ.,
 ტ. 6, გვ. 19).

71 იქვე, გვ. 25.

იმეორებდა რა ამ აზრს, ილია უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1893 წელს,
 წერდა: „ბოლო სრულიად განთავისუფლებისა არის ის დრო და გარემოება, რო-
 ცა გლეხი ვახდება საკუთარ პატრონად თავისის საკომლოსი“, ე. ი. ნადელის
 (გზ. „ივერია“, 1893 წ. № 14, მოწინავე. რომ ეს წერილი ილიას ეკუთვნის, და-
 აღგინა მწერალმა პლატონ კუშელავამ).

72 იქვე, გვ. 26.

კავკავაძე და იქვე ამის რამდენსამე მიზეზს ასახელებდა. მთავარი მისი აზრით (ცხადია, მწარმოებელი კლასის უსახსრობის ქემდე) დებულების ის მუხლი იყო, რომელიც შემამულის თანხმობის შემთხვევაში გამორიცხავდა სანადელო მიწების საკუთრებად შექმნის შესაძლებლობას⁷³. შემამულე კი ასეთ თანხმობას არ იძლეოდა, ის მისთვის ხელსაყრელი არ იყო. „ბატონყმობაში დაბადებულს, ბატონყმობაში გამოზრდილს მებატონეს, — ნათქვამია „ცხოვრება და კანონში“⁷⁴, — რასაკვირველია, ეძნელება, გული ეთანადრება, რომ მის გარშემო ბატონობას ავალა აღარა აქვს და ფიქრობს, რაკი წყალს მივეყვარო, ხავს მაინც მოვეჭიდოო. ხავსად კიდევ მიზეზიანი შეოთხედობა გაუხდია და ამას მაგრაად ექიდება... ზოგი მებატონეა, რომ, თუმცა დებულების ოქმში შეოთხედობა მოუხსენებია, მაგრამ ამ მიზეზიანის მოვალეობის შემწეობით გლეხი იქამდე მიუყვანია, რომ იგი ძალაუნებურად მორიგებია მას შინაურულად, სიტყვით და უწიდებულად დაუბეგრავს თავი, ე. ი. გარდა... ღლისა და კულუხისა... მებატონისათვის მუშაობაც უკისრია. რასაკვირველია, ამგვარის მებატონისათვის მამულის ვასყიდვა, რომელიც გლეხის სრულს განათეისუფლებას მოასწავებს, სანატრელი არ იქნება, რადგანც ამით მოისპობა ის მიზეზი, რა მიზეზითაც დღეს გლეხი ძალაუნებურად ბეგარასა უწევს“.

დროებითავადებულ გლეხების მიერ თავის დახსნისა და მიწების საკუთრებად შექმნის საქმეს, როგორც ზევითაც ვთქვით, მათი უსახსრობაც აფერხებდა. შემამულეს თანხმობაც რომ მიეცა, უშუალო მწარმოებელი ბეგრ შემთხვევაში მიზანს მაინც ვერ აღწევდა გამოსასყიდი თანხის უქონლობის გამო. ბანკიდან სესხის აღებას კი ის, როგორც წესი, გაუბრბოდა, დაშინებული ურთიერთ თავდებობის უკუღმართი და საქართველოს სინამდვილისათვის შეუფერებელი კანონით. „საკვირველია, — წერდა ილია⁷⁵, — რომ მთავრობის შემწეობით (მიწის) სყიდვას გლეხი უფრო ერიდება, თუმცა, ადგილობრივის მიხედვისა კვალად, მთავრობა ბეგრათ (უფრო) იაფად აძლევს გლეხს სესხსა. ამის მიზეზი ის არის, რომ სესხის გადასახდელად ურთიერთის თავდებობაა კანონად დადგენილი. ეგ ჩვენებურის გლეხის ჩვეულების პირდაპირ წინააღმდეგია. წინააღმდეგია მისის მეურნეობის გამართულობისა, მისის ეკონომიურის მდგომარეობისა და მოწყობილებისა. რუსეთში მაგას თავისი

⁷³ „ყველაზე უმთავრესი მიზეზი, — წერს ილია, — რომელიც ნაყმევთა მამულების დახსნას ხელს უშლის და დიდად აბრკოლებს, ის არის, რომ ნაყმევი მამულს ვერ იყიდის, თუ მებატონე ამას არ მოიწადინებს“ (იქვე, გვ. 31).

⁷⁴ იქვე, გვ. 31—32.

⁷⁵ იქვე, გვ. 29—30.



ადგილი აქვს და თავისი ჯეროვანი საბუთიცა. იქ მამულების საერთოდ — სასოფლოდ მფლობელობა არის და... (მას) საერთოდ მამულებზე ვალუობაც მისდევს... ჩვენში (კი) მფლობელობა... განსაკუთრებით საოჯახო და არა საერთო-სასოფლო. ამის გამო ჩვენში ურთიერთის თავდებობას მარტო მოვალეობის თვისება აქვს გლუხისათვის... რადგანაც ჩვენს დებულებაში (ბატონყმობის გაუქმების შესახებ)... კომლუელი მიწისმფლობელობაა გლუხის მდგომარეობის დედაბოძად მიღებული, ამის გამო არავითარი საბუთი არ იყო, რომ ურთიერთი თავდებობა შემოქლოთ და ვალის ზღა კომლუელობით არ მოესაზრათ. ჩვენებურს გლუხს არ ესმის და, სწორედ გითხრათ, ვერც გაიგებს, რისთვის უნდა იხადოს სხვის მაგიერ ვალი, მაშინ როდესაც იმ სხვას თავისი ბინა აქვს, თავისი მიწა და ქონება... ეგ ურთიერთის თავდებობა დიდად აწინებს გლუხსა და მთავრობის... შემწეობაზედ ხელს აღებინებს“.

დასასრულ, გლუხთა თავდახსნის პროცესს, ილიას დაკვირვებით, ამ საქმესთან დაკავშირებულ დაწესებულებათა და პირთა უზომო ბიუროკრატიზმი უშლიდა ხელს. მიწის შემქმნის აუარებელი დრო, ფული და ენერჯია უნდა დაეხარჯა იმისათვის, რომ ოპერაცია გაფორმებულყო და კანონით დადგენილი ხასიათი მიეღო. „გლუხი, — ამბობს ილია⁷⁶, — ვრიდება თავისის მამულის, დახსნას საკუთარის ფულით, იმიტომ რომ ბევრს მაგალითებს ხედავს, რომ ამრიგადაც მამულის შექმნისათვის კანონიერის სიგელის გამოტანა უძნელდებათ და უგვიანდებათ, რადგანაც ამგვარად სყიდვაშიაც მომრიგებელი შუამდგომელი და ერთობ საგლუხო გამგეობა, არ ვიცით რისთვის, ერევა და უამისოდაც რთულ საქმეს სიგელის დამტკიცებისას... უფრო აძნელებს“.

ყოველივე ზემოთქმულიდან ილია შემდეგ დასკვნას აკეთებს: სასწრაფოდ მოისპოს დროებითვალდებულ გლუხთა ინსტიტუტი, როგორც გადმონაშთი ბატონყმური ურთიერთობისა. ამისთვის კი: ა) გაუქმდეს დებულების ის მუხლი, რომელიც სანადელო მიწების საკუთრებად შექმნას მემამულის ნება-სურვილს უკავშირებს, მიეცეს მას სავალდებულო ხასიათი. ბ) მწარმოებელი კლასის აბსოლუტური უმრავლესობის უსასწრობის გამო მთავრობა მას სესხით დაეხმაროს, მაგრამ იმისათვის, რომ გლუხი იმ სესხით სარგებლობას არ მოერიდოს, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს სინამდვილისთვის შეუფერებელი ურთიერთ თავდებობის უკუღმართი წესი, და ვ) გამარტივდეს შესყიდულ მიწებზე

სათანადო დოკუმენტაციის შედგენისა და გადაცემის დღემდე არ
სებული პროცედურა.

მაგრამ რაკი სოფლის მშრომელი მოსახლეობა, მიუხედავად
დიდი სურვილისა, სწრაფად მაინც ვერ გამოვა ვალდებულ-
მარეობიდან, საჭიროა გარდამავალ პერიოდში გატარდეს ერთი სა-
სარგებლო, თუმც კი საქმის არაბოლომდე მიმყვანი ღონისძიება—
დაწესდეს გადაკვეთილი გადასახადი გლეხისთვის მეტად საზიანო
მეოთხედობის მაკვივრად.

ამ წინადადებათა ცხოვრებაში განხორციე-
ლება, რათქმაუნდა, დიდ შედეგათს მისცემ-
და მწარმოებელ კლასს და ხელს შეუწყობდა
ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიურ გან-
ვითარებას.

საგლეხო რეფორმის ანტიხალხური ბუნება დაუნდობლად ამ-
ხილა აგრეთვე ცნობილმა საზოგადოებრივმა მოღვაწემ ნიკო ნი-
კოლაძემ. მან გერცენის ვაზით „კოლოკოლიში“ დაბეჭდა ამ მოვ-
ლენისადმი მიძღვნილი სპეციალური სტატია⁷⁷, რომელშიაც კრი-
ტიკულად განიხილა 1864 წლის 13 ოქტომბრის დებულება ბატონ-
ყმობის გაუქმების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში. ავტორის
სიტყვით, აგრარულ-სოციალური საკითხის გადაჭრა ჩვენს ქვეყა-
ნაში იმით დამთავრდა, რომ გლეხებს მთავრობამ მხოლოდ „სახე-
ლი შეუცვალა“ და „მემამულეთა მიწებზე დასახლებული“ უწო-
და. სოფლის მშრომელი მოსახლეობას ხელისუფლებამ მხოლოდ
პაერი დაუტოვა სახმარებლად, ყველა დანარჩენი საწყისი კი (მი-
წა, წყალი, ხე-ტყე და სხვა) მემამულეთა საკუთრებად გამოაცხა-
და. დებულებით დაკანონებული დროებითვალდებულ გლეხთა ინს-
ტიტუტი, მისი აზრით, ძველი, გაუქმებული „ბატონყმურის ურ-
თიერთობის“ ნაირსახეობას წარმოადგენდა. „კაცმა რომ იკი-
თხოს, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — სადღაა აქ ბატონყმობის მოს-
პობა? ცარიელი სიტყვით ბევრი რამე შეგიძლიათ ილაქლაქოთ,
მაგრამ თქვენს სიტყვას ვინ რას დაუჯერებს, როცა საქმე არ აგვირ-
გვინებს მას. აბა, სადღაა გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესება? საკმა-
რისია ოდნავ ჩაუფიქრდეს კაცი თქვენს „კანონდებულებებს“, რომ
ცამდე აიყვანოს ძველი ბატონყმობა... ერთი გვითხარით, თუ ღმერ-
თი გწამთ, მოეპოვება თუ არა რაიმე აზრი (საღს აზრს ვინდა დაე-
ძებს) თქვენს, ეგრეთ წოდებულ, რეფორმას, როდესაც მემამულე

⁷⁷ „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“. გაზ. „კოლოკოლი“, 1965 წ.,
№ 198—199. ჩვენ ვსარგებლობთ ამ წერილის ქართული თარგმანით, რომელიც
შესულია ნ. ნიკოლაძის თხზულებათა პირველ ტომში (თბილისი, 1962 წ. რედაქ-
ტორი — პროფ. დ. გამეზარდაშვილი).

გლებობის მთელი მიწების მფლობელობაში შეგყავთ, როდესაც გლებებს წინანდელზე უარესად აბამთ მიწაზე, როდესაც, ბოლოს, მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამოაჭრას გლებს მთელი მიწა ნახევარი, როდესაც... (მას) ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, საწვავი მასალა და თითქმის ჰაერიც კი? რაღა შეადგენს თქვენი რეფორმის შინაარსს? 78

რეფორმა, ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, „კომედიის გათამაშება“ და მწარმოებელი კლასის „ცრუ განთავისუფლება“ იყო⁷⁹. იგი საქმის ბოლომდე მიყვანას, ე. ი. დროებითვალდებულ გლებთა ინსტიტუტისა და ბატონყმურ ურთიერთობათა სხვა გადმონაშთების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას მოითხოვდა. ეს კი, მისი აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მომხდარიყო, თუკი სოფლის მშრომელი მოსახლეობა მიწით უზრუნველყოფილი იქნებოდა⁸⁰.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს მეტნაკლებად თითქმის ყველა თერგდალეული შეეხო. დიდი ყურადღებით მოეკიდა მას, კერძოდ, ცნობილი მოღვაწე, გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და ეურნალისტი სერგეი მესხი. იგი ერთ თავის წერილში პირდაპირ მიუთითებდა, რომ დროებითვალდებულ გლებთა ინსტიტუტი იმ მოვლენათა რიცხვს ეკუთვნის, რომელზედაც „უნდა იფიქროს ყველამ, ვისაც კი გული შესტივია ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედისთვის“⁸¹. სწორედ ამ ფიქრმა საკუთარ ხალხზე ათქმევინა მას შემდეგი სიტყვები: „ქართველ გლებს მიწა უნდა; უმიწოდ მისი ცხოვრება შეუძლებელია: იმ დღეს, როდესაც ჩვენებურ გლებს მიწა ჩამოერთმევა... ქვეყნის ბედს სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ“⁸².

ამ სიტყვებში ისმის რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის საქართველოს მშრომელი მოსახლეობის ძირითადი საწარმოო საშუალებით — მიწით უზრუნველყოფისა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების გაბედული მოთხოვნა, რაც, თავისთავად ცხადია, ბატონყმური ურთიერთობის ყოველგვარი გადმონაშთის (პირველ რიგში კი დროებითვალდებულ გლებთა ინსტიტუტის) სრულ მოსპობა-ლიკვიდაციას გულისხმობდა.

78 ნ. ნიკოლაძე, გლებთა განთავისუფლება საქართველოში, თბილენი, ტ. I, თბილისი, 1963, გვ. 273—274.

79 იქვე, გვ. 275.

80 ეს აზრი წითელ ზოლად გასდევს მთელ წერილს. იხ. აგრეთვე მისი „ამხანაგობის ძალა. რა გზით შეიძინება მიწა-წყალი?“ (თბილენი, ტ. II, თბილისი, 1960, გვ. 453—468).

81 ს. მესხი, თბილენი, ტ. II, თბილისი, 1963, გვ. 182.

82 იქვე.



ასეთ თვალსაზრის ავითარებდა არა მარტო პირადად სერგეი მესხი, არამედ ერთ დროს მისი რედაქტორობით გამოშვებული ზეთი „დროება“. ამ საკითხზე გაზეთი წერდა: „ხსენებულნი (წილის) რეფორმის წყალობით დღეს რუსეთში დიდძალი რიცხვი გლეხ-კაცობისა, როგორც სახელმწიფონი, ისე დროებითვალდებულნი, მესაკუთრენი შეიქმნენ მიწისა და ამგვარად ბევრად თუ ცოტად სამუდამოდ დაემყარენ ამ თავიანთ თითქმის ერთადერთ ღონეს და საღსარს ცხოვრებისას... ჩვენში კი ისე ადვილი არ აღმოჩნდა გლეხ-კაცის რიგიანი სამიწაწყულო მოწყობილობის დამყარება. ჩვენში არა თუ ძალიან მცირე რიცხვი გლეხ-კაცობისა გამოვიდა დროებით ვალდებულ მდგომარეობიდან და არა თუ სახელმწიფო გლეხნი ჯერ ისევ მესაკუთრენი არ შექმნილან, არამედ ისინიც კი, ვის მდგომარეობასაც ერთს საუკეთესო და სახარბიელოდ სთვლიდნენ, — ისინიც რეფორმის შემდეგ უფრო და უფრო უხეირო მდგომარეობაში ჩავარდნენ. ჩვენ ვამბობთ ხიზნებზე“⁸³ (ხაზი ჩვენია — ი. ა.).

დიდი ადვილი ჰქონდა დათმობილი აგრარულ პრობლემას ქართველ ხალხსნების სამოქმედო პროგრამაშიც. და ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ისინი გლეხური დემოკრატიის იდეოლოგები იყვნენ, გლეხურ რევოლუციაზე ოცნებობდნენ და გლეხთა წრეში ეწეოდნენ პრობაგანდისტულ საქმიანობას. აბა რაზე უნდა ელაპარაკა კაცს, რომელიც გლეხების წრეში ტრიალებდა და მათ არსებულის წინააღმდეგ ასამხედრებლად ამზადებდა, თუ არა მიწისა და თავისუფლებაზე? კერძოდ, 70-იანი წლების ნაროდნიკები მოითხოვდნენ არა მარტო დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის გაუქმებას და ამასთან დაკავშირებულ გადასახადების მოსპობას, არამედ რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის მთელი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების ძირფესვიან გარდაქმნას. ისინი ოცნებობდნენ ისეთი წყობილების დამყარებაზე, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფდა ყველას, გამორიცხავდა ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციას, ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრას⁸⁴. ამის განხორციელება კი მათ მხოლოდ წარმოების სა-

⁸³ ვიხ. „დროება“, 1884, № 273.

⁸⁴ ნაროდნიკები, ნოთქამია შტამს-კაპიტან ზრისთფოროვის მოხსენებაში. „ხალხში ავრცელებენ შემდეგ იდეას: ხელმწიფის კანონით ხალხს ახდევინებენ დიდძალ არაპირდაპირ გადასახადს მოწმობისათვის, პატენტისათვის და სხვ. ეს გადასახადი ყოველ წლობით იზრდება. მთავრობა იკონებს ახალ-ახალ გამოსაღებებს, რომლის მთელი სიმძიმე მუშა ხალხს აწევბა კისერზე... მშრომელი ხალხის ოფლით მონაგარს, რასაც კი მოიყვანს იგი

შეაღებათა, მათ შორის მიწის, ხალხის საკუთრებად გამოცხადების გზით მიაჩნდათ შესაძლებლად. ისინი ავრცელებდნენ ^{პროცესს} მიწა, რომელზედაც გლეხები შრომობენ, მათი სრულყოფილებაა და რომ შემამულეებს არა აქვთ არავითარი უფლება გადასახადები მოსთხოვონ მათ⁸⁵.

ასეთივე რადიკალური ხასიათი ჰქონდა 80-იანი წლების ქართველი ნაროდნიკების იმ ნაწილის პროგრამასაც, რომელიც ვაზ. „შრომის“ ირგვლივ იყო გაერთიანებული. ის ხალხის მძიმე ნივთიერი მდგომარეობის უმთავრეს მიზეზად ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა გადმონაშთების საგრძნობ მასშტაბით შემონახვას თვლიდა. იგი უკმაყოფილო იყო 1864—1871 წლების აგრარული რეფორმით და სამართლიანად ფიქრობდა, რომ მან ვერ გაამართლა გლეხებისა და მოწინავე ინტელიგენციის იწუდები. რეფორმამ, გაზეთის აზრით, ყოფილ საბატონო ყმას მიანიჭა პირადი თავისუფლება, მაგრამ არსებითად ხელუხლებლად დატოვა ფეოდალური ხანის საადგილმამულო ურთიერთობა. ამან კი წარმოშვა დროებით გაუქმებულ გლეხთა ინსტიტუტი — წყარო ყოველგვარი უბედურებისა ჯანახილველი ხანის საქართველოში. „1861 წელს მომხდარის ცვლილებებისაგან, — ვკითხულობთ გაზეთის ერთ-ერთ წერილში⁸⁶, — რუსეთის და მასთან ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობასა და წარმატებას მოელოდნენ. ეგონათ, რომ მხოლოდ კანონების გამოცვლა საკმარის იქნებოდა ხალხის ბედნიერებისათვის. მაგრამ, როგორც გვიჩვენა გარემოებამ, ახალს მდგომარეობას

თესვით, მკით, გაღწევით, ან ისეთი მძიმე საქმიანობით, როგორც არის ტყის მასალის დამზადება და სხვა... ითვისებენ ხაზინა და შემამულეები, ხალხი კი (ჩვენა) მშვიტ-მწყურვალე და სიღატაკე სულს უხუთავს მას. რატომ უნდა არჩინოს ამ მშვიტმა ხალხმა მეფე... და თითონ კი ვაებასა და წვალბაში დაღიოს სული? როდესაც არ იქნება ხელმწიფე, არ იქნება მთავრობა და კანონები, მაშინ ვველა უფლებრივად გათანაბრდება, გადასახადს ძალით არაფერს გადაახდებინებს, ხალხის საქირიებისათვის შეიქმნება საერთო თანხა, საიდანაც ის დაეკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას. ამიტომ... ხალხის საბედნიეროდ აუცილებელია მონღომება და იმისთანა წყობილების განხორციელება, რომლის დროსაც მშრომელი თვითონ იქნება ბატონ-პატრონი თავის ნაოფლარებისა. მღვდლები სკრუპულენ, როცა გვეუბნებიან, თითქოს მეფე ღმრისგან იყოს დაყენებული, თითქოს ხალხის ბედ-იბლალი მისთვის განგებას ჩაებარებინოს, რათა იგი უსიტყვოდ მოჩილებასა და მედმევე ტანჯვა-წამებაში იყოლოს“ (ЦГИАГ, ფ. 153, საქმე 35, ფურც. 40, ვერ. „რევოლუციის მატინე“, 1925 წ., № 1 (11), გვ. 74—75. ხაზი ჩვენია. — ი. ა.)

⁸⁵ ЦГИАГ ფ. 153, პ. 35, პ. 34.

⁸⁶ ვაზ. „შრომა“, 1881, წ. № 3.

ბევრი ნაკლოვანება ჰქონია და ხელახლა გადაკეთება სდომებია. ერთ მშვენიერ დილას გლეხები გააყვინეს შეიდანზედ და გამოუცხადეს მათ თავისუფლება კი მრავალმხრივ მუდ შემდეგი ბრძანება: „ამ დღიდან თქვენ თავისუფალ ხართ და თქვენს ნაბატონევისაგან ღალით მიწა აიღეთ და ის დაამუშავეთ თქვენდა საკვებად; საკუთარი მიწაც გინდათ იშოვოთ? გაძლევთ უფლებას იმავე ნაბატონევისგან შეისყიდოთ“. ამგვარის თავისუფლებისგან წარმოსდგა ის დროებითვალდებულება, რომელიც ეხლა გლეხსა და მის ნაბატონევს შორის სუფევს“.

გაზეთი „შრომა“ ხშირად უბრუნდებოდა ამ საკითხს და არ ანელებდა რეფორმის გაბედულ კრიტიკას. ერთ-ერთ მოწინავეში ის წერდა⁸⁷: „ავიღოთ ბატონყმობის მოსპობა. უპირველესი მიზანი თავისუფლებისა ის არის, რომ კაცი ნამდვილად გრძნობდეს თავისუფლებას და მისი ცხოვრება სხვისგან დამოკიდებული არ იყოს. მარტო სიტყვა თავისუფლება კაცს ვერ გამოადვიძებს, თავისუფლებასთან ერთად ნივთიერის კეთილდღეობითაც უნდა სარგებლობდეს ის. ამისათვის, როგორც არა ერთხელ გვითქვამს... საჭირო იყო გლეხისათვის მიწა და რადგან კანონმა მარტო მებატონე იცნო მიწის პატრონად, მართებლობა ვალდებული იყო მებატონეებისაგან მიწა შეესყიდა და გადაეცა გლეხებისათვის. ამით სამუდამოდ დაიდებოდა საზღვარი მათ საკუთრებათა შორის და საძირკველი (ჩაიყრებოდა) მომავალი კეთილდღეობისა. ეს სუთმეტი წელიწადია, რაც ბატონყმობის მოსპობა ითქვა ჩვენში და დაბოლოვებას კი ვერ ვხედავთ. ეს ისევ იმის მიზეზია, რომ ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულს მდგომარეობაშია და თავისუფლების კანონები არ შემოიღეს ჩვენში სრულად და ვრცლად. ვალდებულებით მიწის შესყიდვა მართველობისგან (მიღებული) ფულების შემწეობით, როგორც ეს რუსეთში დააწესეს, ჩვენშიც გაადვილებდა საქმეს და... ბოლო მოეღებოდა ამ არეულს ცხოვრებას“ (ხაზი ჩვენია. — ი. ა.).

რომ „შრომა“ ნამდვილად არ იყო კმაყოფილი 60—70 წლების რეფორმებით და რომ ის შესანიშნავად ხედავდა ამ რეფორმების არათანმიმდევრულ, ნახევრულ ხასიათს, ამას მისი შემდეგი სიტყვებიც ადასტურებს: „ახლად შემოდებულმა წესებმა ცოტა მაინც სული მოათქმევინეს მთელს ხალხს, მაგრამ იმდენი ცვლი-

87 გაზ. „შრომა“, 1882 წ., № 33. მოწინავე წერილი.

ლება მაინც ვერ მოახდინა, იმდენად ვერ
აუმაჯობესა მათი ცხოვრება, რამდენად
საჭირო იყო... ცხოვრების (ამ ახალმა) წეს-
ბამ ვერც შეუძრნობას, ვერც ხელოვნებას და
ვერც ვაჭრობას საჭირო წარმატება ვერ მისცა.
ხალხი განთავისუფლდა მრავალნაირის შევიწროვებისაგან: ბატონ-
ყმური დამოკიდებულებისაგან, დაკეტილს ოთახში საიდუმლოდ
მისი ბედის და უბედობის გადაწყვეტისაგან და როზგებისაგან,
ნაგრამ მისი თავისუფლება მაინც ვერ იყო სრულ-
ი და უნაკლო. საზოგადო წყობილება დაემსგავსა რალაც
უხეირო მაშინას, რომელშიაც ძველი და გაფუჭებული ჩარხები
არა თუ ვერას შევლიდნენ, არამედ ზოგიერთ მოძრაობაში კიდევ
აბრკოლებდნენ ამ ახალს ჩარხებს; და ის საზოგადო ეკონო-
მიური საუმაჯობესო ცვლილება, რომელსაც
ელოდნენ, ვერ შეასრულა ამ მაშინამ, რომლის
უხეირობას გრძნობდა მთელი საზოგადოება⁸⁸
(ხაზი ჩვენია. — ი. ა.).

ამაზე მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკა 60—70 წლების რე-
ფორმებისა და ამ რეფორმების შედეგად შექმნილი ვითარებისა
ძნელია კაცმა წარმოიდგინოს.

გაზეთის განმაზოგადებელი დასკვნით, განსახილველი ხანის
ქართველი გლეხის მდგომარეობა საერთოდ „ძლიერ სამწუხა-
რო“⁸⁹ იყო და ის საგანგებო ყურადღებას იმსახურებდა. უფრო
რადიკალურ ღონისძიებათა გატარების ლეგალურად მოთხოვნის
შეუძლებლობის ვითარებაში, „შრომა“ აყენებდა დროებითვალდე-
ბულ გლეხთა ინსტიტუტის ლიკვიდაციისა და იმათთვის მათ სარ-
გებლობაში მყოფი მიწების უსასყიდლოდ და საკუთრებად გადა-
ცემის საკითხს. „დროებით ვალდებულება, — წერდა გაზეთში⁹⁰, —
ისე დაუბოლოვებელი შეიქმნა, რომ მცხოვრებთა მშვი-
დობიანობისათვის საჭიროა ეს მდგომარეობა
მოისპოს და ბატონყმური დამოკიდებულება
გათავდეს“ (ხაზი ჩვენია. — ი. ა.).

ასევე აყენებდა ის საკითხს ხიზნების შესახებაც. ქვეყნის წარ-
მატებისათვის, ვკითხულობთ „შრომის“ ერთ-ერთ მოწინავეში,
აუცილებელია, რომ „ხიზნებიც სრული მესაკუთრე შე-
იქმნენ იმ ადგილ-მამულეებისა, რომელთაც ისინი

⁸⁸ გაზ. „შრომა“, 1882 წ., № 40, მოწინავე წერილი.

⁸⁹ იქვე, 1881 წ., № 3, მოწინავე წერილი.

⁹⁰ იქვე.



ფლობენ და... მეპატრონეს მისცეს (მთავრობამ) საყანე იმ მო-
 ნაწილეობის დაგვიარად, რომელიც მას ადგილ-მამულში აქვს⁹¹
 როგორც ვხედავთ, გაზეთი „შრომის“ ატყუებულ⁹²
 ლი პროგრამა, რომელიც ჩვენ მხოლოდ მის
 ფურცლებზე დაბეჭდილ და, მაშასადამე, ცენ-
 ზურის მიერ სანქციონირებულ წერილების მი-
 ხედვით წარმოვადგინეთ, გასული საუკუნის
 80-იანი წლების კონკრეტულ ვითარებაში უსა-
 თუოდ პროგრესული და რადიკალური იყო. მი-
 სი ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობდა
 ფეოდალურ ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშ-
 თების ლიკვიდაციას და სწორედ იმსახოგადო-
 ებრივე ეკონომიური ფორმაციის საბოლოოდ
 დამკვიდრებას, რომელსაც კაპიტალიზმიკვეია
 სახელად და რომლის მიმართ არცთუ ისე დიდ
 სიმპატიებს ამჟღავნებდა ქართველ ხალხოსნე-
 ბის ეს ორგანო.

80-იანი წლების ქართველი ხალხოსნების მეორე ორგანოც —
 ჟურნალი „იმედიც“ — ხალხის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას
 საგლუხო რეფორმის უკუღმართი შედეგებით ხსნიდა. დროებით-
 ვალდებულ გლუხთა ინსტიტუტი და უმიწობა — აი რა იყო, მისი
 აზრით, მწარმოებელი კლასის წუხილისა და გაჭირვების მთავარი
 მიზეზი. „ბატონყმობა გადავიარდა, — წერდა 1881 წელს დასაბე-
 ლებელი ორგანოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ნიკო
 ხუდადოვი⁹², — „მოიშალა“ კანონის ძალით ძველის.. საძირკველი,
 „მოიშალა“ — ასე ეგონა ერსაც და ბერსაც, ყმასაცა და ბატონ-
 საც. ერთმა არ იცოდა სიხარულით რა ექნა, მეორეს (კი) ნაღვლით
 გული უსკდებოდა. ერთს ეგონა, რომ ამ დროიდან დადგება მის-
 თვის კეთილდღეობა, ბედნიერება; მეორე (კი) შიშობდა, ოჯახი,
 ქონება პირქვე არ დამემხოსო. მაგრამ ეს სიხარული ერთისა და
 მწუხარება მეორესი თითქმის უსაფუძვლო და უღროო გამოდგა:
 რეფორმამ სრულებით ვერ მოახდინა ხალხის
 ცხოვრებაში ის ცვლილება, რომელსაც მისგან
 მოელოდნენ. ის აზრი, რომელიც იყო ჩადგმუ-
 ლი ამ რეფორმის დედა-ბოძად, საქმით ვერ ას-
 რულდა და უწინდელი ჩივილი, ძახილი ცხოვრე-

⁹¹ იქვე, 1882 წ., № 29. შეიღარე „შრომა“, 1882 წ., № 43 (ა. წერეთლის
 წერილი „ზოგიერთს საპასუხოდ“).

⁹² ჟურ. „ივერია“, 1881 წ., № 6, გვ. 115—116.

ბის უსამართლობაზე ეხლაც ისევ ისე ისწიხ, სოფელი ეხლაც უჩივის უბინაობას, უმკაცრულ ბას, დიდს გადასახადს“ (ხაზი ჩვენია. — ფურცლები 193)

ასევე წერდა უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1882 წელს, „იმედის“ მეორე თანამშრომელი ნიკო ხიზანიშვილიც. იგი ხაზგასმით მიუთითებდა დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტზე, როგორც ხალხის დუხჭირი ცხოვრებისა და უსამართლობა-უთანასწორობის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორზე. მიწის საკითხის მოუვგარებლობისა და ხსენებული ინსტიტუტის არსებობის პირობებში კანონის წინაშე გათანაბრებას, მისი სიტყვით, უფრო თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული. „იქ, სადაც გლეხი „დროებითვალდებულია“ თავის ბატონისა, — წერდა ნ. ხიზანიშვილი⁹³, — კანონის წინაშე თანასწორობას უფრო თეორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული, იქ თანასწორობა კარგი და მშვენიერი სიტყვა არის და არა განხორციელებული პრინციპი... გლეხკაცს კარგად ესმის (რომ) ბატონსა და მონას შორის თანასწორობა არ შეიძლება; ბატონს ძალა აქვს მონაზე და სადაც ძალა არის, იქ რაღა თანასწორობა იქნება. ნამდვილად ასე უცქერის გლეხ-კაცობა თავადაზნაურობას და ამისათვის (1864 წლის სასამართლო რეფორმით დადგენილი) თანასწორობის პრინციპი დარჩა მშვენიერ სიტყვად და ნაყოფი (კი) არა მოიტანა რა“.

შველა, ავტორის აზრით, მხოლოდ დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის გაუქმებასა და საერთოდ აგრარული საკითხის სამართლიან გადაჭრას შეეძლო. „ერთად ერთი ნამდვილი და უტყუარი გზა გლეხ-კაცობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, — წერდა იგი⁹⁴, — უნდა იყოს ეკონომიური რეფორმა — შეძლებისამებრ მამულების სამართლიანი განაწილება“. ეს კი პირველ რიგში სანადელო მიწების მწარმოებელი კლასის სრული საკუთრებად გამოცხადებასა და გლეხისა და მემამულის საბოლოო გაყრას ნიშნავდა.

ამრიგად, ნ. ხიზანიშვილისა და „იმედის“ ჯგუფის აგრარული პროგრამა, რომელიც მიწების ხელახლა განაწილებას მოითხოვდა, რადიკალური იყო და ის, ს. ხუნდაძის სიტყვით, სავსე-

⁹³ ნ. ხიზანიშვილი, „ჩვენი გლეხ-კაცობა და ახალი სამართალი“, ეურ. „იმედი“, 1882 წ., № 3, გვ. 15—16.

⁹⁴ ნ. ხიზანიშვილი, „აგრონომია თუ ეკონომია“, გაზ. „დროება“, 1883 წ., № 248.



ბით „შეესაბამებოდა გლეხთა მოთხოვნის ბუნებას“⁹⁵.

უტრადლებით მოეციდა ჩვენთვის საინტერესო საკითხს კრავთიული მიმართულების ყოველდღიური რუსული გაზეთი „Новое обозрение“-ც. რედაქციამ ნ. ნიკოლაძის, კ. ბებუთოვის, პ. იზმაილოვის, გლ. უსპენსკის, ნ. შავროვისა და სხვათა შემადგენლობით, 1884 წლის იანვრის თვის ერთ-ერთ მოწინავე წერილში სპეციალურად განიხილა საკითხი დროებითვალდებულ გლეხთა შესახებ საქართველოში. მან დაწვრილებით გაარჩია ყველა ის არგუმენტი, რომელსაც აყენებდა ამ ინსტიტუტის მომხრე ქართველი თავადაზნაურობა.

ასეხებელი ვითარების უცვლელად დატოვების მომხრენი მთავარ მოტივად ასახელებდნენ პრივილეგიური წოდების გალატაკებას, რაც, მათი აზრით, სრულად გარდაუვალი იქნებოდა მწარმოებელი კლასისთვის სანადგრო მიწების საკუთრებად მიცემის შემთხვევაში⁹⁶. აკრიტიკებდა რა ამ არგუმენტს, გაზეთი წერდა: „Раз... реформа осуществилась, дворянство должно перестать видеть в крестьянских наделах главный источник своих доходов. Предоставление же дворянству право вечного пользования доходами от таких земель равносильно восстановлению крепостного права. Следовательно, нельзя отрицать пользу выкупа на том только основании, что дворяне могут жить лишь на чужой счет“⁹⁷.

ყოფილ საბატონო ყმებისთვის მიწების საკუთრებად მიცემა იმიტომაც არ მიაჩნდათ სასურველად, რომ ეს ნაბიჯი, ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელთა არც თუ ისე უსაფუძვლო თვალსაზრისით, პროლეტარიატის გაჩენის საშიშროებას ბადებდა. გლეხი, ამბობდნენ ისინი, ვერ შეძლებს შეძენილი მამულის ბოლომდე შენარჩუნებას, გააყიდის მას და არაფრის მქონე ვაზღვე-

⁹⁵ ს. ზუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, გვ. 69, შეადარე გ. მეგრელიშვილი. Грузинская общественно-экономическая мысль, т. II, გვ. 29.

⁹⁶ „Говорят,—წერდა გაზეთი,—что наши дворяне, по выкупе крестьянами их наделов, потеряют главный источник обеспечения жизни и впадут в нищенское состояние; выкупные же деньги израсходуют—непроизводительно, тем более, что они будут поступать маленькими частями, по мере того, как отдельные крестьянские долги будут выкупаться“ („Новое обозрение“, 1884 г., № 15. Передовая).

⁹⁷ „Новое обозрение“, 1884 г., № 15. Передовая,



ბაო.⁹⁸ ასეთი რამ, პასუხობდა გაზეთი, მართლაც არაა გამართო-
ცხული, მაგრამ ის არგუმენტად მაინც ვერ გამოდგება, ~~არაა~~ პროლეტარიატის შექმნა-გაზრდის შესაძლებლობას არც ~~არაა~~ დღევანდელი დღის სინამდვილე გამორიცხავსო. დღესაც კანონი უფლებას აძლევს გლეხს სხვას გადასცეს თავისი ნაღელი (მასზე დაკისრებული გადასახადებით) და თვითონ კი ცარიელ-ტარიელი დარჩეს⁹⁹.

დროებითვალდებულ გლეხების მიერ მიწების საკუთრებად შესყიდვის წინააღმდეგ შემამულებები სახალხო-სამეურნეო თვალსაზრისსაც აყენებდნენ. ეს ღონისძიება, მათი აზრით, საგრძნობლად შეაფერხებდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, რადგანაც პროგრესის უზრუნველყოფა მხოლოდ „შეძლებულ და განათლებულ“ თავადაზნაურობას შეეძლო და არა „მატერიალურად და ინტელექტუალურად“ უძლურ გლეხობას¹⁰⁰. უარყოფდა რა ამ შეხედულებას გაზეთი წერდა: „Еще менее вреда можно ожидать от выкупа для сельского хозяйства... Скорее можно предположить, что крестьянин именно в настоящее время несколько не заинтересован в улучшении своего надела, так как это улучшение увеличит ценность земли и тем сделает затруднительным ее выкуп... Сделавшись (же) собственником своего надела, (он) избавится от тех обязательных отношений к помещику, которые ставят обе стороны в зависящие от случая и произвола положение“¹⁰¹.

ამრიგად, არც ერთი არგუმენტი, წამოყენებული ფეოდალურა არისტოკრატის წარმომადგენელთა მიერ, გაზეთმა ანგარიშგასაწევად არ ჩათვალა და დაბეჭდვით მოითხოვა დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის დაუყოვნებელი გაუქმება. „Лучшим и единственным выходом из... (создавшегося положения), — батყვამია დასახელებული წერილის დასკვნით ნაწილში, — может

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ „Выкуп, по мнению его противников, — крითხლობთ დასახელებულ მოწინავე წერილში, — нанесет значительный ущерб не только землевладельцам, но и вообще благосостоянию края. Усовершенствование в обработке земли, улучшение оросительных средств и всякие другие прогрессивные явления, по мнению этих господ, могут иметь место лишь в имениных наших состоятельных и образованных помещиков, но не в мелких участках беспомощного в материальном и интеллектуальном отношении крестьянина“ („Новое обозрение“, 1884 г., № 15).

¹⁰¹ „Новое обозрение“, 1884 г. № 15.

სლუჟიტ ლიშ ოკონჩატელნოე პრეკრაშენიე ნი
не существующих обязательных отношений.
Ликвидировать же это наследство крепостной эпохи
лишь выкуп наделов, конечно, с помощью правительственных
ссуд¹⁰² (ხაზი ჩვენია—ი. ა.).

როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი აღმფრთვებული იყო დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის არსებობით, თვლიდა მას ქვეყნის ეკონომიური განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორად და გაბედულად ასაბუთებდა მისი სასწრაფოდ მოსპობის აუცილებლობას.

თ ა ვ ი V

დროებით ვალდებულ გლეხების კლასობრივი ბრძოლა

ბატონყმობის გაუქმებას ქართველი გლეხი, როგორც მოსალოდნელიც იყო, წარმოუდგენელი აღტაცებით შეხვდა. მთავრობის მანიფესტის საზეიმო ვითარებაში წაკითხვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და იგი, საუკუნებრივი მონობის „მოსპობით“ გაბედნიერებული, ცას სიხარულით წვდებოდა, „მზრუნველ“ მეფეს მადლობას სწირავდა. „ქარგად ჩამეჭრა მესხიერებაში ის სიხარული, — იგონებს ი. მანსვეტაშვილი,¹⁰³ — რომელსაც ხალხი განიცდიდა განთავისუფლების ამბის გამო. ეს მოხდა ჩვენში 1864 წელს. მე მაშინ 9 წლისა ვიყავი... ხმა გავარდა, რომ ამა და ამ დღეს საჯაროდ გამოცხადდება ბატონყმობის გადავარდნა... დანიშნულ დღეს (გუნების) მოედანზე მართლაც ხალხის ტევა არ იყო. ყველა ღელავდა დიდი ამბის მოლოდინში... ზემოთ წაკითხულ იქმნა მანიფესტი. გათავდა, ხალხი გრგვინავდა, სიხარულის ცრემლებით ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. საზღვარი არ ჰქონდა სიხარულს, ბედნიერებას, მეტადრე მათ შორის, ვინც მართლაც თავს აცლიდა იმ მძიმე და ადამიანის დამამცირებელ უღელს, რომელსაც სახელად ბატონყმობა ეწოდებოდა“.

მაგრამ გლეხის ეს საზეიმო განწყობილება მალე გაქრა. მომდევნო ხანის სინამდვილემ ის მტკიცედ დაარწმუნა იმაში, რომ

¹⁰² იქვე.

¹⁰³ ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, თბილისი, 1936, გვ. 2.

მთავრობა მხოლოდ მოვლენის ზედაპირულ მხარეს შეეხო და არა მის საფუძვლებს, რომ მან უშუალო მწარმოებელს მხოლოდ პირადი თავისუფლება მისცა და არა ეკონომიური დამოუკიდებლობა. ამან, ბუნებრივია, სოფლის მშრომელი მოსახლეობის უკმაყოფირო კლასობრივი ბრძოლის გზაზე დააყენა, რომლის მიზანი საოცნებო მიწისა და სრული თავისუფლების მოპოვება იყო. გლეხების წრეში გაჩნდნენ აგიტატორები, რომლებიც, ამხელდნენ რა რეფორმის ბატონყმურ ხასიათს, მოუწოდებდნენ ჩაეშალათ საწესდებო სიგელების დადება-გაფორმების კამპანია და ეწარმოებინათ ენერგიული ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ასეთ აგიტატორების რიცხვს ეკუთვნოდა, მაგალითად, ვინმე არსენ ასლამაზიშვილი, რომლის საქმიანობა ერთ ოფიციალურ დოკუმენტში შემდეგნაირადაა დახასიათებული¹⁰⁴: „ასლამაზიშვილი ყალბ ხმებს ავრცელებს ხალხში საგლეხო რეფორმის შესახებ, ამახინჯებს დებულების აზრს, ურჩევს გლეხებს არ შეუთანხმდნენ მემამულეებს, უარი უთხრან გადასახადის გადახდაზე, ხელი არ მოაწერონ არავითარ ქაღალდს, რადგანაც ეს სამუდამოდ ყმურ მდგომარეობაში დატოვებს მათ; ეგი არწმუნებს მოსახლეობას, რომ მეოთხედი ნაწილი და სხვა ძისი მსგავსი გადასახადები მემამულეების მიერაა გამოგონილი და რომ იმ წიგნში, რომელიც მას სახლში აქვს, სულ სხვა წერია, ვიდრე (გლეხებს) ეუბნებიან. ეს განაცხადა მან 1866 წლის 16 იანვარს სოფელ კერანში¹⁰⁵ სწორედ მაშინ, როდესაც მომრიგებელი უშუამავალი უხსნიდა გლეხებს საწესდებო სიგელების არსსა და მნიშვნელობას. ამასთანავე ყოველივე ეს ისე თამამად და თავზედურად გააკეთა, რომ მომრიგებელი მოსამართლე იძულებული შეიქნან დაეპატიმრებია იგი. როდესაც ასლამაზიშვილი მიჰყავდათ, ის გლეხებისკენ იხედებოდა და აჭერებდა, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში დათმობაზე არ წასულიყვნენ და საერთოდ უარი ეთქვათ ყოველგვარი გადასახადის გადახდაზე“.

ჩანს, ასლამაზიშვილის აგიტაციას უშედეგოდ არ ჩაუვლია. „მეორე დღესვე, — ნათქვამია დოკუმენტში¹⁰⁶, — სოფელ კერანის გლეხები, რომლებიც აქამდე გულმოდგინედ ეხმარებოდნენ მიწის მშრომელს, გაიქცნენ. ამით ისინი ფაქტობრივად შეეჩერებინათ მისი სამუშაოები და ჩაეშალათ საწესდებო სიგელების შედგენა“.

¹⁰⁴ ЦГИАГ, ф. 5, д. 227, л. 1—შეადარე—„Документы по истории Грузии“ შედგენილი და რედაქტირებული პროფ. შ. ჩხეტიას მიერ, ტ. 1, ნაწ. 1, გვ. 54. თბილისი, 1954 წ.

¹⁰⁵ გორის მაზრაშია (ი. ა.).

¹⁰⁶ ЦГИАГ, ф. 5, д. 227, л. 1; „Документы по истории Грузии“, ტ. 1, ნაწ. 1, გვ. 54.

ხელისუფლებამ ასლამაზიშვილი, როგორც საშინო პირი, კერძო
ტამბოვში გადაასახლა, ხოლო მერე, უფრო მოგვიანებით, სმო-
ლენსკის გუბერნიაში.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კლასობრივ ბრძოლას უფრო
მძაფრი, სისტემატური და მიზანდასახული ხასიათი მიეცა. მართა-
ლია, განსახილველ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში არ მომხდარა არც
ერთი ისეთი მღელვარება, რომელიც მონაწილეთა სიმრავლისა და
გავრცელების ტერიტორიის მხრივ შეიძლება კაცმა შეადაროს, მა-
გალითად, 1856—1857 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას,
მაგრამ ეს მაინც არ არღვევს ჩვენს მოსაზრებას კლასობრივი ბრძო-
ლის გაღრმავების შესახებ რეფორმის შემდეგდროინდელ საქართ-
ველოს სოფელში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო ზუს-
ტად 1864—1905 წლებში, ისე გახშირდა გლეხთა გამოსვლები,
რომ მან მოიცვა არა მარტო ყველა სოფელი, არამედ თითქმის
ყველა მამული.

უკეთესი სოციალურ-ეკონომიური პირობების
მოპოვებისათვის ბრძოლაში სოფლის მშრომელ-
ი მოსახლეობის მასიური მონაწილეობა წარ-
მოადგენს სწორედ შესასწავლი ხანის კლასობ-
რივი ბრძოლის ერთ-ერთ თავისებურებას.

იმ მიზეზებს შორის, რომლებმაც განსაზღვრეს ზემოაღნიშ-
ნული მოვლენა, მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც ზევითაც აღვ-
ნიშნეთ, 1864—1871 წლების საგლეხო რეფორმის ფეოდალურ-
ბატონყმურ ხასიათს უჭირავს. რეფორმის შედეგად, ვიმეორებთ
ისევ, მიწის ფონდი, რომელიც უშუალო მწარმოებლის განკარგუ-
ლებაში იმყოფებოდა, საგრძნობლად შემცირდა და მემამულეთა
ხელში გადავიდა, ხოლო მშრომელი მოსახლეობის გარკვეულმა ნა-
წილმა კი (ხიზნები, შინაყმები) მიწა საერთოდ ვერ მიიღო.

მცირემიწიან და სრულიად უმიწო, მრავალგვარ გადასახადე-
ბით შევიწროებულ ადამიანთა (დროებითვალდებული გლეხები,
ხიზნები, შინაყმები) ვეებერთელა არმიის არსებობა წარმოადგენდა
სოციალური ანტაგონიზმის გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან
ფაქტორს. ყოფილ საბატონო ყმათა ენერგიულ პროტესტს მხარს
უჭერდნენ სახაზინო გლეხებიც, რომლებიც ძველებურად თვით-
მპყრობელ სახელმწიფოსგან დამოკიდებულ მდგომარეობაში იმ-
ყოფებოდნენ. მართალია, რეფორმა უშუალოდ მათ არ შეხებია,
მაგრამ აღნიშნულ მოვლენას უკვალოდ არც ამ კატეგორიის გლე-
ხებისათვის ჩაუვლია, კერძო მემამულეთა გლეხებისათვის პირადი
თავისუფლებისა და სანადგლო მიწის საკუთრებად შესყიდვის
უფლების დამტკიცებას არ შეეძლო არ გაემწევავენინა სახაზინო

გლეხების ბრძოლა არსებულ სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ.

მეორე მომენტი, რომელიც იმავე მიმართულებით და, იყო კულაკობის როგორც კლასის წარმოშობა. იტყვიან და ლარიბ და საშუალო გლეხების კუთვნილ მიწასა და წარმოების სხვა საშუალებებს, კულაკები აყენებდნენ მათ მიმე ეკონომიურ მდგო-
პარეობაში. სოფლის ბურჟუაზიის სახიფათო იერიში მშრომელი ხალხის მოძრავი და უძრავი ქონების წინააღმდეგ აძლიერებდა ამ ხალხის საპროტესტო მოძრაობას, ამწვავებდა მის კლასობრივ ბრძოლას.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასის ფორმირებას. საქართველოს პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა უაღრესად დიდ და დადებით გავლენას ახდენდა სოფლად მიმდინარე კლასობრივ ბრძოლაზე¹⁰⁷. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ქალაქებში დასაქმებულ მუშებს შორის ბევრი იყო ისეთი გლეხი, რომელმაც მხოლოდ დროებით, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, დასტოვა თავისი საცხოვრებელი და სავაჭრო-სამრეწველო პუნქტებს მიაშურა. ასეთების ნახვა ბლომად შეიძლებოდა, მაგალითად, თბილისში, ბათუმში, ფოთში, ქიათურაში, ნოვოროსიისკში, ოდესაში და საქართველოსა და რუსეთის სხვა ქალაქებში¹⁰⁸. გარკვეული დროის შემდეგ ეს სეზონური, უკვე უფრო გონებაგახსნილი მუშები უკან ბრუნდებოდნენ და ქალაქებში საბოლოოდ დამკვიდრებულ, მაგრამ სოფელთან ჯერ კიდევ კავშირგაუწყვეტელ მუშებთან ერთად ეწეოდნენ ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთების სრული ლიკვიდაციისა და არსებული უსამართლო წყობილების დამხობის იდეის პროპაგანდას.

დასასრულ, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ქართველ ნაროდნიკების დადებით გავლენას რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის გლეხთა მოძრაობაზე. ისინი, როგორც ზევითაც ვთქვით, არწმუნებდნენ გლეხებს, რომ მიწა, რომელსაც ისინი ამუშავებენ, მათი სრული საკუთრებაა და არავის არა აქვს უფლება მათ ამისთვის გადასახადები მოსთხოვოს. ერთბელო, წერს სოფრომ მგალობლიშვილი¹⁰⁹, სოფელ დირბში, რომლის მოსახლეობას საკუთარი ხუთი

107 ს. ხუნდაძე, მასალები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბილისი, 1949, გვ. 242.

108 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1952, შეადარე შИИАГ. ფ. 12, ოპ. 11, დ. 311, ლ. 5 ობ. -6. И. Г. Анталава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века. Сухуми, 1954 г., стр. 165-167.

109 ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბილისი, 1938, გვ. 83.

თითვით ვიცნობდი, კრება მოვაწყვე და ხალხს მისთვის საქარბო-
როტო საკითხებზე ველაპარაკე. უთხარი, რომ მიწა მშრომელი კა-
ციისაა, რომ მეფემ უმიწოდ გაათავისუფლა გლეხი და ამით იმტყნა
რო უარეს დღეში ჩაავდო, ვიდრე ბატონყმობის დროს იყო, რომ
ამის მოშქმედი მთავრობა დამხობა-განადგურების ღირსია და სხვა.

ს. მაგალობლიშვილის ამ მოწმობას ქუთაისის გენერალ-გუბერ-
ნატორიც ადასტურებს. „Нельзя не обратить внимания на то,—
წერდა ის 1876 წლის ანგარიშში,—что в течение последних 10-ти
лет неоднократно возникали в Зугдидском уезде уклонения
крестьян от исполнения обязательств к помещикам... Из раз-
говоров с крестьянами я пришел к полному убеждению, что
они действовали под влиянием теории о праве поземельной
собственности, проникший к ним из чужой среды. Многие
крестьяне высказывались по этому предмету не только в одина-
ковом смысле, но и в тождественных выражениях с рас-
пространителями социально-революционной пропаганды, об-
наруженными в кутанской и тифлисской губерниях... Я ос-
меллся столь долго останавливать внимание Вашего импе-
раторского величества на этом деле не столько ввиду свя-
зи, обнаружившейся между волнениями
крестьян и попыткой распространения в на-
селении губернии социалистических теорий,
сколько ввиду связи того и другого с вопросом народного об-
разования... Крестьянское население увлекается теми вывода-
ми этого учения, которые совпадают с его настоящими инте-
ресами. Они сейчас усваивают мысль об ис-
ключительном праве собственности на зем-
лю того, кто ее обрабатывает. Единственным
последствием этого положения является
отказ в платеже помещику или казнеза ис-
пользование их землями»¹¹⁶ (ხაზი ჩვენია.—ბ. ა).

მართალია, გლეხები საბოლოოდ მაინც არ გაპყენენ ნაროდ-
ნიკების რეკომენდირებულ გზას, მაგრამ მათ პროპაგანდას უკვა-
ლოდ მაინც არ ჩაუვლია: მან, როგორც ვნახეთ, ხელი შეუწყო
რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის საქართველოს სოფელში მი-
მდინარე კლასობრივი ბრძოლის შემდგომ გამწვავებას.

სოფლის მშრომელი მოსახლეობა (მათ შორის დროებითეალ-
დებული გლეხები) იბრძოდა უსასყიდლო მიწისა და ტყისათვის,
საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებისათვის, სასოფლო, სამაზრო
და საგუბერნიო ადმინისტრაციის უმსგავსო საქციელის გარკვე-
ულ ჩარჩოებში ჩაყენებისათვის.

¹¹⁶ ЦГИАГ, ф. 5(12), л. 3974, лл.—1—8.

მიწისათვის ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად ძლიერ ფორმებში მიმდინარეობდა. მწარმოებელი წინააღმდეგობის გარეშე არ თმობდა არც ერთ მტკიცე ფართობს. 1865 წელს, მაგალითად, კარდანახელმა გლეხებმა ენერგიულად შეუტეეს მემამულეებს, რომლებმაც მათ მიწით სარგებლობა აუკრძალეს. „ტყეც ჩენია და მინდორიცო“ — ყვიროდნენ თურმე ისინი და კატეგორიულად უარყოფდნენ თავადიშვილების პრეტენზიებს¹¹¹. თბილისის გუბერნიის საგლეხო „პრისუსტციეს“ წარმომადგენელმა რამაზ ანდრონიკაშვილმა, შეშინებულმა იმით, რომ უბრალო პროტესტი მასიურ მღელვარებაში არ გადაზრდილიყო, დათმობა არჩია და, დოკუმენტის სიტყვით, ხალხს გამოუცხადა, რომ მას სრული უფლება აქვს ტყითა და მინდვრით სარგებლობისა¹¹². კარდანახელსაც არ დაუყოვნებიათ და, თანამედროვეთა მოწმობით, გადაუწყვეტიათ 1965 წლის 14 მარტის მომდევნო პირველ კვირას გასულიყვენ ალაზნის ვალმა და მემამულეების დაუკითხავად დაემუშავებინათ იქაური მიწები¹¹³.

ასევე ენერგიულად წარუმართავთ ბრძოლა სოფ. სვირის სასელმწიფო და დროებითავალდებულ გლეხებს ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ 1882 წელს. ამ უკანასკნელთ, როგორც გაზ. „შრომის“ კორესპონდენციიდან ჩანს, მიუტაცებიათ გლეხების კუთვნილი, მათ საერთო სარგებლობაში მყოფი 24 დესეტინა (60 ჰექტარი) მიწა. საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით დაზარალებულებს მოძალადეებთან მოლაპარაკების გამართვა გადაუწყვეტიათ, კერძოდ, მემამულე ა-ძესთან შეხვედრა მოუნდომებიათ. მაგრამ დაცვას, რომელიც თავადიშვილს თან ზღებია, ისინი არამცთუ ახლოს არ მიუშვია, არამედ თოფის სროლაც კი აუტეხია. გლეხები იძულებული გამხდარან დაშლილიყვენ და ხელწერილი დაედვათ, რომ ისინი მომავალში არავითარ პრეტენზიას არ განაცხადებდნენ ა-ძეს მიერ მიტაცებულ მიწებზე¹¹⁴.

რამდენიმე დღის შემდეგ, სახელდობრ, 1882 წლის 29 ნოემბერს, 500 სვირელ გლეხს თავი მოუყრია მეორე ფეოდალის, ვინმე

¹¹¹ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის ფონდი, საქმე 228, ფურც. 2.

¹¹² იქვე.

¹¹³ „ამ მომავალს კვირაში, — წერს დასახელებული საბუთის (წერილის) ავტორი რევაზ ვაჩნაძე, — ალაზნის ვალმა მთელი კარდანახის გლეხნი გუთნებით მიდიან ჩვენს დაუკითხავად, თუმცა ჩვენ (მემამულეებს) გვეჩინდა ეს ადგილები სათიბად და საქონლის საძოვებლად“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის ფონდი, საქმე 228, ფურც. 4).

¹¹⁴ გაზ. „შრომა“, 1883 წ., № 1.

ნ-ძეს მიერ მიტაცებულ მიწის ნაკვეთზე. მათ მოძალადის მხერ გა-
ყვანილი სასაზღვრო ორმო ამოუვსიათ და სადაოდ ქცეულს მოქმედ
თობს დაუფლებიან. ნ-ძეს მოურავს სროლა გაუმართავს, დაზარალებულებს,
დაზარალებულებს, მიუხედავად აშკარა საშიშროებისა, დაშლაზე
უარი უთქვიათ. სვირის სტაროსტას ცნობა მაზრის უფროსისათვის
გაუგზავნია და მისთვის დახმარების აღმოჩენა უთხოვია. მეორე
დღეს სოფელს სათანადო პირი ჰხლებია, რომელსაც გლეხების-
თვის უსიტყვო კაპიტულაციის წინადადება მიუცია, მაგრამ უშედე-
გოდ. მაშინ ადმინისტრაციას „უწესრიგოების“ ექვსი ხელმძღვანე-
ლი დაუჭერია და ქუთაისში გაუსტუმრებია. იქ მათთვის „მტკიცე“
სიტყვა ჩამოურთმევიათ, რომ ისინი ამიერიდან სადაო მიწებზე
საერთოდ არ გამოჩნდებოდნენ¹¹⁵.

1884 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ
ერთ კორესპონდენციაში ლაპარაკია კლასობრივი ბრძოლის არა-
ჩვეულებრივ გამწვავებაზე თელავის მაზრაში. მთელს მაზრაშიო,
ნათქვამია იქ, არ არის თითქმის არც ერთი სოფელი, შემამულეებსა
და გლეხებს შორის ადგილი რომ არ ჰქონდეს გაუთავებელ დავასა
და შეხლა-შემოხლას. მიზეზი ყველგან და ყველა შემთხვევაში ერ-
თი და იგივეა — მიწა¹¹⁶. ამის საილუსტრაციოდ ავტორი ასახე-
ლებს კახეთის სოფლების კალაურისა და ვაჩნაძიანის სახელმწიფო
და დროებითულდებულ გლეხების შერკინებას შემამულე ჯ-შვილ-
თან. ეს ოც წელზე მეტ ხანს გაგრძელებული ბრძოლა მიმდინარე-
ობდა თურმე საძოვარ ადგილებისთვის. ხსენებული გვარის ფეო-
დალებს მიწა თავის საკუთრებად გამოუცხადებიათ და გლეხების-
თვის საძოვრებით სარგებლობა აუკრძალა. იმათ კი მოძალადე-
ებისათვის ანგარიში არ გაუწევიათ და საბალახოები თავისთვის და-
უჩემებიათ. საქმე, ბოლოს და ბოლოს, შეიარაღებულ შეტაკებამ-
დე მისულა, რომლის დროს შემამულეებს ერთი გლეხი დაუჭ-
რიათ¹¹⁷.

ქართველი გლეხის ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნე-
ლობა ჰქონდა ტყეს¹¹⁸. ის მას სჭიროდა როგორც ბინის გასათბო-
ბად, ისე სახლის ასაშენებლად, ვენახის გასამართავად და სხვ.
მწარმოებელ კლასს ერთი დღეც არ შეეძლო უიმისოდ არსებობა.
რეფორმამ კი სოფლის მშრომელი მოსახლეობა ფაქტიურად ტყით
სარგებლობას ჩამოაცილა და ამით იგი მეტად მძიმე მდგომარეობა-

115 გაზ. „შრომა“, 1883 წ., № 1.

116 გაზ. „დროება“, 1884 წ., № 178.

117 იქვე.

118 ტყის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ქართველი გლეხის ეკო-
ნომიურ ცხოვრებაში იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, თბილისი, 1957 წ.



ში ჩააგდო. სწორედ ამან განაპირობა ის თავდადებული ბრძოლა, საზოგადოების დაბალი ფენები რომ ეწეოდნენ ხე-ტყის მოსაპოვებლად. ისინი გაუთავებელი საჩივრებით მშენებლის სელისუფლების ორგანოებს და ამ საქმეში რადიკალური ცვლილებების შეტანას მოითხოვდნენ. საეპაროსია აღვნიშნოთ, რომ მარტო 1873 წელს სიღნაღის მაზრის დროებითავალდებულ გლეხებს მსგავსი შინაარსის 224 საჩივარი აღუძრავთ, რომლიდანაც 197 — მემამულეთა მიერ საწვევ მასალით სარგებლობაზე უარის თქმის გამო, ხოლო 27 — ზედმეტი საფასურის მოთხოვნის გამო¹¹⁹. მომდევნო 1874 წელს კი ასეთი საჩივრების საერთო რაოდენობას¹²⁰ იმავე მაზრაში 559-მდე მიულწევია; აქედან 342 შეშით სარგებლობის აკრძალვასთან ყოფილა დაკავშირებული, ხოლო 207 — ხე-ტყის მასალაზე მაღალი ფასის დაწესებასთან¹²¹.

დაახლოებით იგივე სურათი იყო საქართველოს სხვა რაიონებშიც. იქაც მეტად სერიოზულად მიმდინარეობდა სოფლის მშრომელი მოსახლეობის ბრძოლა ტყით სარგებლობის საქმის რამდენადმე მაინც სამართლიან საწყისებზე დაყენებისათვის. საეპაროსია დავა-ჩახელოთ, მაგალითად, იმერეთის სახელმწიფო დ დროებითავალდებულ გლეხთა 1881 წლის მღელვარება, რომ დავრწმუნდეთ ნათქვამის ქეშმარიტებაში. როგორც ვახ. „შრომაში“ დაბეჭდილ კორესპონდენციიდან ჩანს, ხსენებულ გლეხებს, 700 კაცის რაოდენობით, თავად მირსკის ტყეში ხეების მოჭრის უფლება შეუსყიდიათ, რაშიც მათ 16 ათასი მანეთი გადაუხდიათ. მაგრამ ხელისუფლებას, მიუხედავად ასეთი დიდი თანხის გაღებისა, გლეხებისთვის ტყეში

¹¹⁹ ЦГИАГ, ф. 31, л. 788, лл. 10—12.

¹²⁰ ამ საერთო რაოდენობაში შეტანილია მხოლოდ დროებითავალდებულ გლეხთა საჩივრები.

¹²¹ იქვე, საქმე 888, ფურც. 8—9.

ტყით სარგებლობასთან დაკავშირებით მემამულეებსა და გლეხებს შორის ხშირად შეიარაღებული შეტაკებაც ხდებოდა. ერთ ასეთ შეტაკებას აღვილი ჰქონია 1889 წელს ქუთაისის მაზრის სოფ. სვირში. ეხებოდა რა ამ ეპიზოდს, ვახუთი „ივერია“ წერდა: „ამ დღისა და მდიდარს სოფელში 900 კომლი გლეხობა ითვლება. ამათ გარდა ორი კომლი თავადია: აღ. ნიქარაძე და დავ. აბაშიძე. ამ თავადთა და გლეხობას შორის დიდი ხნის ქიშპობა და უსიამოვნება მსუფვეს. ამ ქიშპობამ და უსიამოვნებამ ამ ხანებში თავისი ნაყოფიც მოიტანა. ამ თვის (ვ. ი. მარტის — ი. ა.). 9-ს გლეხები ჟღელვები შესცვივნენ საღაო ტყეში და ჭრა დაუწყეს. თავ. აბაშიძემ, რომელსაც ამ ტყეს ედავებოდა, წინააღმდეგობა გაუწია... გლეხებმა თოფ-იარაღი იხმარეს, ერთს აბაშიძის მოურავს ტყვია ჰკრეს გულში და იქვე უსულოდ დასკეს და მეორეს კიდევ ხანწლით თავი ორად გაუბეს“ (ვახ. „ივერია“, 1889 წ., № 55).

წესგლა და მასალის დამზადება აუკრძალია, რასაც მათი ერთ-ერთი პროტესტი გამოუწვევია¹²².

წინააღმდეგობის ერთ-ერთ ფორმას, რომელსაც მეფისა და მთავრების მხრიდან ტყის მასივისათვის ბრძოლაში რეფორმის შემდეგდროინდელი გლეხები მიმართავდნენ, წარმოადგენდა ბოიკოტი. ისინი ხშირად კოლექტიური პროტესტით ზედებოდნენ ხაზინისა და მემამულეთა მიერ ნაკარნახევ საიჯარო პირობებს და აიძულებდნენ მათ უკან დაეხიათ. ამას ადასტურებს რამდენიმე სტატია, გამოქვეყნებული გაზ. „დროების“ ფურცლებზე, ერთ მათგანში, მაგალითად, ნათქვამია შემდეგი¹²³: „ჩვენ შევიტყუეთ ორი შესანიშნავი ამბავი, რომელიც ყურადღების მიქცევის ღირსია. ერთ ადგილს მამულის პატრონს ძალიან სიბრაზე მორეგია და მამულის გაცემაც მხოლოდ იმ პირობით მოუნდომებია, რომ მოსაგლის ნახევარი გლეხებმა იმას მისცენ. გლეხები რასაკვირველია, ისე ბრძოლები არ გამოსულან, როგორც მამულის პატრონსა ჰგონებია და ერთბიერად უარი უთქვამთ: შენ შენთვის ბრძანდებოდე შენის მამულით, ჩვენ ჩვენთვისაო. დარჩენილა ჩვენი მამულის პატრონი თავის მამულით ერთი წელიწადი. წელიწადსაც გაუვლია, თქვენმა მზემ, გლეხებს ყურიც არ გაუფართუნებიათ. მამულის პატრონი უყურებს, დრო მიდის, მეორე წელიწადიც დადგა. თქვენ არ მომიკვდეთ, გლეხები ჩვენს არ იღებენ. გაუჭირდა ჩვენს მამულის პატრონს, კაცები შეუწყენა გლეხებს და ძლივ-ძლივობით მოირიგა. მეტი ღონე აღარ ჰქონდა, იმათს (გლეხების) სიტყვას უნდა დაჰყოლოდა.“

მეორე შემთხვევა უფრო უკეთესია ამაზე. ერთმა ტყის პატრონმა ღიდი ბაყი დაადგა და გლეხებს არ მოურიგდა. გლეხები ერთბიერად გამოემშვიდობენ და სხვა სოფლის ტყის პატრონს მოუბრძდნენ. გადის ერთი წელიწადი, ტყის პატრონს ტყიდან შემოსავალი არა აქვს, უნდა დაუკლოს ბაყი. ბაყი დაუკლო და ის დასი დასეა, რასაც გლეხები ეუბნებოდნენ ორი წლის წინათ. მაგრამ, დახე ტყის პატრონის უბედურებას? ყური არავინ გაიბერტყა: გლეხები ეუბნებიან: „შენ შენთვის ბრძანდებოდე შენი ტყით, ჩვენ ჩვენთვისაო“.

როგორც იმავე გაზეთის მასალებიდან ჩანს, ასეთ ფაქტებს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჰქონია ადგილი. რაჭველი კორესპონდენტის ცნობით, მაგალითად, ამ რაიონის გლეხებს არა ერთხელ მიუმართავთ თურმე ბოიკოტის მეთოდისთვის და წარმატებითა¹²⁴.

122 გაზ. „შრომა“, 1881 წ., № 14.

123 გაზ. „დროება“, 1870 წ., № 20.

124 იქვე, № 30.

სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის ერთ-ერთ გამსაზღვრელ ფაქტორს გადასახადები წარმოუდგენენ. ამიტომ ის, ბუნებრივია, იბრძოდა არა მარტო, არამედ საგადასახადო ტვირთის სრული ან ნაწილობრივი შემსუბუქებისათვის. უშუალო მწარმოებელი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაესაბუთებინა ამა თუ იმ გადასახადის უსამართლობა და უარი ეთქვა მის გადახდაზე.

1866 წლის მაისის თვეში თბილისის გუბერნატორის კანცელარიამ გორელი თავადის ნიკოლოზ ივანეს ძე ერისთავის საჩივარი მიიღო, რომელშიაც ნათქვამი იყო შემდეგი:¹²⁵ „1864 წლის 8 ნოემბერს გამოცხადებული უმაღლესი მანიფესტით თბილისის გუბერნიის გლეხები ყმობიდან განთავისუფლდნენ, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი ორი წლის განმავლობაში დარჩენილიყვნენ წინანდელ მდგომარეობაში და ეხადათ მემამულეებისათვის ყველა ის გადასახადი, რასაც აქამდე უხდიდნენ. ამის საფუძველზე ჩემს დროებით ვალდებულ გლეხებს არაერთხელ მოვთხოვე, რომ მათ შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, მაგრამ უარი გამომიცხადეს. ამის გამო მე არაერთგზის მივმართე თხოვნით ქსნიასა და ოსეთის განყოფილებათა მომრიგებელ შუამავლებს, რათა მათ აეძღლებინათ გლეხები გადაეხადათ ჩემთვის როგორც მიმდინარე, ისე წინა წლის გადასახადები, მაგრამ თხოვნა დაკმაყოფილებულ არ იქნა და (ამით გათამამებული) გლეხები კატეგორიულად უარს ამბობენ მათზე გაწერილ გადასახადის გადაღებაზე“ (ხაზი ჩვენია. — ი. ა.).

იმვე წლის 8 აგვისტოს მსგავსი საჩივრით შეუტანია მთავრობაში გენერალ-ლეიტენანტ თავად გიორგი ერისთავს და გლეხების მორჩილებაში მოყვანა უთხოვია¹²⁶. იგივე გაუკეთებიათ თბილისის მაზრის დუშეთის უბნის მემამულეებს ანდრია, დავით და ელიზბარ რატიშვილებს (1866 წ.). „ჩვენ, — სწერდნენ ისინი ხელისუფლებას¹²⁷, — პურის ალების დროს სოფ. ყანჩავეტში გავგზავნეთ ჩვენი მოგვარე დავით რატიშვილი... მეოთხედი ნაწილის ასაღებად, მაგრამ ის ხელცარიელი გამობრუნდა და მოგვახსენა, რომ გლეხებმა გადაჭრით უარი განაცხადესო“. ჩანს, არც კატეგორიულად ერისთავის ყოფილ ყმას, ქსნის უბნის სოფ. ზადეხის მცხოვრებ გაბრიელ ოდიშვილს გამოუჩენია დიდი სიბეჯითე მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაში. ოდიშვილს, რომელიც მემამ-

¹²⁵ ЦГИАГ, ф. 31, л. 28, л. 29.

¹²⁶ იქვე, ფურც. 45—46.

¹²⁷ იქვე, ფურც. 70.

მელის მოწმობით, დიდი ქონების პატრონი ყოფილა, მტკიცე
რი უთქვამს გადახადა 1862—1865 წლების გადასახადი მასთა 180
მანეთის რაოდენობით. „ქსნის უბნის სოფელ ზადეხში მტკიცე
ჩემი ყოფილი გლეხი გაბრიელ ოდიშვილი, — ნათქვამია მან 1862
წლის 8 იანვრით დათარიღებულ თხოვნაში¹²⁸, — ბატონყმობის
გადავარდნის რამდენიმე წლით ადრე, ყველა სახის ნატურალური
გადასახადის მაგივრად დაიბეგრა მასთვის სახელწოდებით ცნობილ
ფულადი გადასახადით, 45 მანეთის რაოდენობით წელიწადში. 1862
წლიდან მან შესწყვიტა ამ გადასახადის გადახდა, რის გამოც მე
არაერთხელ მივმართე მაზრის უფროსს, თბილისის სამოქალაქო გუ-
ბერნატორს... და, დასასრულ, მომრიგებელ შუამავალს სიტყვიერი
და წერილობითი თხოვნით, მაგრამ დღემდე არავითარი პასუხი არ
მიმიღია. ამჟამად 1862, 1863, 1864 და 1865 წლების ნარჩენი გადა-
სახადის რაოდენობა უკვე 180 მანეთს უდრის, რომლის გადახდა დი-
დი შესაძლებლობის მქონე ოდიშვილისათვის არ წარმოადგენს
არავითარ სიძნელეს. იგი მომავალშიც წესიერად გაიღებს ამ, მის-
თვის მეტად მსუბუქ, ღალას... თუკი მართველობა მოისურვებს და
ძალას დაატანს მას“.

ასეთივე ურჩობა გამოუჩენიათ ქართლელი მემამულეების
ძლია ციციშვილისა და რევაზ ერისთავის გლეხებს. დასახელებუ-
ლი თავადები 1864—1867 წლებში დაბეჭითებით მოითხოვდნენ
რეფორმით გათამამებული გლეხების მორჩილებაში მოყვანასა და
დაწესებული გადასახადების ძალით გადახდევინებას.

მწარმოებელ კლასს აწუხებდნენ არა მარტო საერო, არამედ
სასულიერო ფეოდალებიც. ამიტომ, ცხადია, ის ბრძოლას ხსენე-
ბული კორპორაციის წინააღმდეგაც აწარმოებდა. ამ ბრძოლის ერთი
ეპიზოდი, რომელსაც, როგორც ჩანს, XIX საუკუნის 90-წლების
ბოლოს ჰქონია ადგილი, აღწერილია გოლიცინის „უქვეშევრდომ-
ლეს მოხსენებაში“ კავკასიის მმართველობის შესახებ 1897—
1902 წლებში. იქ ლაპარაკია დრამის ფულის შეგროვებასთან და-
კავშირებით გორისა და ოზურგეთის მაზრებში მომხდარ სახალხო
მღელვარებაზე. „Вынужденные нередко, — ნათქვამია დასახელებულ
მოხსენებაში¹²⁹, — лично собирать драму, притом не всегда
деньгами, а зачастую произведениями сельского хозяйства,
когда у крестьянина не оказывается в наличности денег, они
(священники — И. А.) входят в униженные для них пре-
рекания и торг с прихожанами при расценке получаемых вза-
мен драмы. Это приводит к взаимным неудовольствиям и раз-

¹²⁸ იქვე, ფურც. 30.

¹²⁹ ЦГИАГ, ф. ОВД, д. 18 (на 12 листах).

дорам, обостряя отношения между духовенством и прихожанами, которые за последнее время начали выражаться местами в довольно резкой форме. Так, некоторые сельские общества Горийского и Озургетского уездов решительно отказались от уплаты драмы своим священникам и потребовалось вмешательство администрации для восстановления этого сбора, а в Озургетском уезде — и вызов войска (ხაზი ჩეენია—ი. ა.).

ჩვენ გაგვანჩია ზოგი შემაჯამებელი ხასიათის მასალაც, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულით ახასიათებს რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოს სოფელში მიმდინარე კლასობრივ ბრძოლას. ამ მასალიდან ჩანს¹³⁰, მაგალითად, რომ 1873 წელს მარტო გორის მაზრის პირველსა და მეორე განყოფილებაში შესულა სულ 2316 წერილობითი თუ ზეპირი საჩივარი. აქედან 1262 საჩივარი გლეხებსა და მემამულეებს შეუტანიათ მათ შორის მიწის თაობაზე წარმოშობილ დავის შესახებ, 480 — მემამულეებს გლეხების მიერ გადასახადის თავის დროზე გადაუხდელობის თაობაზე და 572 — გლეხებს — მემამულეების თავგასულობისა და მათი შემავიწროებელ მოქმედებათა შესახებ.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა ჩანს საქართველოს სხვა მაზრებშიც¹³¹.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში პატიმართა დიდი რაოდენობაც აღსატურებს. 1886 წლის მონაცემით, მაგალითად, თბილისის გუბერნიაში 13948 კაცი ყოფილა პასუხისგებაში მიცემული, რომლიდანაც 8 ათასი მსხვილ დამნაშავედ უცნაოთ და სანიმუშოდ დაუსჯიათ¹³². დანაშაულის უდიდესი ნაწილი პიროვნების და ქონების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული¹³³.

კიდევ უფრო საინტერესოა ცნობები ცეცხლის წაქიდებისა და შინაური საქონლის დამახინჯება-დასახიჩრების შესახებ. იმ 143 ხანძრიდან, რომელსაც 1886 წელს თბილისისავე გუბერნიაში ქონია ადგილი, 64 (ან საერთო რაოდენობის 43,3%) ცეცხლის საგანგებო წაქიდებით გაუჩენიათ. „Этот страшный процент,—წერდა გუბერნატორი—яснее всего иллюстрирует дурные склонности

¹³⁰ ЦГИАГ, ф. 31, д. 788, лл. 6—7, 15—16.

¹³¹ ივე, ფურც. 10—12. აქაა 1874 წ. ცნობები სიღნაღის მაზრის შესახებ.

¹³² ЦГИАГ, ф. 17, д. 8747, лл. 1—25. И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, стр. 162.

¹³³ ივე.

населения, так как такого рода преступления совершают, очевидно, не ради личной выгоды..., как это бывает при грабеже и разбое, а лишь ради мести врагу. Мать-тогда мечь эта направляется и на домашних животных, с целью причинить врагу имущественный вред. Нередки случаи, когда враги подрезывают рабочим волам и буйволам своего противника жилы, лошадям гривы и хвосты, чтобы обезобразить и лишить их ценности¹³⁴.

დანამაშულს, რა თქმა უნდა, ყველა წოდების კაცი ჩადიოდა, მაგრამ ყველაზე მეტ აქტიურობას ამ საქმეში მაინც გლეხობა იჩენდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1888 წელს თბილისის გუბერნიის მსჯავრდადებულ პირთა 67,9% სოციალურად სწორედ გლეხობის სხვადასხვა კატეგორიაზე მოდიოდა¹³⁵.

მაგრამ ქართველი გლეხი, როგორც ცნობილია, მარტო ბრძოლის ზემოთ აღნიშნული ფორმებით არ კმაყოფილდებოდა. იგი ზოგჯერ ისეთ რადიკალურ ღონისძიებასაც მიმართავდა, როგორიც მასიური შეიარაღებული გამოსვლა იყო. ასეთი გამოსვლა მოხდა, მაგალითად, 1876 წელს სამეგრელოში. მღელვარება დაიწყო სსენებელი წლის ივნისის თვეში გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ დიდიანის კუთვნილ სოფლებში — ლიასა და ფახულანში. მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდა სახალხო აზვირთებას, ერთ ოფიციალურ დოკუმენტში შემდეგნაირადაა აღწერილი. „Для того, чтоб не расстраиывать окончательно взаимных отношений,—наоткупаиа оქ¹³⁶,—владельцы, по собственному усмотрению, признали нужным делать... уступки против того размера требований, на которых, в силу положения, имели право. Так, между прочим, поступил и генерал-лейтенант князь Дадиани в отношении временнообязанных крестьян своих в селениях Лиан и Пахулан, которым предоставил, по особому условию, взамен отбывания установленных повинностей натурою, производить ему известный, уменьшенный, платеж деньгами. Весною нынешнего (1876) года окончился срок действия означенного условия и это окончание срока совпало с окончанием же девятилетнего периода со времени введения в Мингрелии крестьянского положения. Подобно тому, как это было и во внутренних губерниях империи, временно-обязанные крестьяне упомянутых имений князя Дадиани, поняв превратно значение этого девятилетнего периода, составили себе убеждение, что с окон-

¹³⁴ იქვე.

¹³⁵ И. Г. Антелава, Государственные крестьяне, т. II, стр. 162.

¹³⁶ ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 21, д. 141, лл. 13—14 об.

чанием его должны прекратиться и все обязательные отношения их к владельцам¹³⁷. В силу этого крестьяне, отвечая положительным отказом на требование уплаты владельцу части следующих ему, на основании положения, повинностей».

საქმეში ჩაერჩენ ამ ამბებით შესწოთებული მომრიგებელი მოსამართლე, ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა „პრისუსტივის“ წევრები და თვით გუბერნატორი, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ გლეხებს გადასახადის გადასახდელად ორი დღის ვადა მისცეს და გააფრთხილეს, რომ ურჩობის გაგრძელების შემთხვევაში მათ წინააღმდეგ რადიკალური ზომები იქნებოდა მიღებული. ხალხმა ულტიმატუმი არ შეასრულა. ხელისუფლებამ ძალის გამოყენება გადასწყვიტა და მღელვარების ადგილას ფეხოსანთა ასეული და 15 მხედარი გაგზავნა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამას დიდი ეფექტი არ გამოუწვევია და ადმინისტრაცია იძულებული გამხდარა აჯანყების ჩასაქრობად ფეხოსანთა ნაწილების კიდევ ერთი როტა გამოეყო. „но жители, —наотъѣзѣмъиа намесѣтницъи танаშემѣწис მოხსენებაში¹³⁸. — вместо принесения повинования, удалились вовсе из селения и отправились толпами, из коих главная, со значком, в окрестные деревни подговаривать их к совместному сопротивлению неправильным, по их понятиям, требованиям начальства“.

მოკლე დროში აჯანყებამ ზუგდიდის მაზრის სამი მეოთხედი ნაწილი მოიკცა და, დოკუმენტის ცოტა გადაქარბებული ცნობით, იარალის ქვეშ 20 ათასამდე კაცი დააყენა¹³⁹. გლეხებმა სენაკის მაზრის სოფლის მშრომელი მოსახლეობის ამხედრებაც სცადეს და ამ მიზნით ხსენებულ ადგილისკენ აჯანყებულთა „ერთი დიდი პარტია“ გაიგზავნა. მოვლენები სწრაფად და საბიფათოდ ვითარდებოდნენ. საგონებელში ჩავარდნილმა კავკასიის ადმინისტრაციამ ისევ გამოყო დამატებითი ძალები და ისინი თავად ჯორჯაძის მეთაურობით სამეგრელოსკენ გაისტუმრა. ჯორჯაძეს, ინსტრუქციის თანახმად, წესრიგი მშვიდობიანი გზით უნდა აღედგინა, მაგრამ თუკი

¹³⁷ სინამდვილეში დებულება გლეხს მხოლოდ იმის უფლებას აძლევდა, რომ მას 9 წლის შემდეგ, დღიდან კანონის გამოცხადებისა, უარი ეთქვა ნაღვლზე (თუ კი ეს მისთვის ხელსაყრელი იქნებოდა) და შეეწყვიტა გადასახადების გაღება მიწის პატრონის სასარგებლოდ (იხ. ი, ახალაია, საგლეხო რეფორმა სამეგრელოში. სოხუმი, 1958 წ., გვ. 85, 151). დადიანის გლეხებმა კი, პირიქით, გადასახადებისგან თავის დახსნა სანადელო ნაკვეთების შენარჩუნებით მოინდომეს.

¹³⁸ იქვე, ფურც. 14.

¹³⁹ იქვე, ფურც. 16.

ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, მას ნება ჰქონდა გამოეყენებინა¹⁴⁰.

ქართველმა თავადმა თავისი რაზმის ერთი ნაწილი კონცი პრინცი ხელმძღვანელობით აჯანყებულთა იმ პარტიას გამოადევნა; რომელიც სენაკის მაზრის მიმართულებით მიდიოდა. ის მას სოფ. ლეწურწუმეში წამოეწია. გლეხებმა თავი მოარიდეს არათანაბარ შერკინებას და დროებით მიმალვა არჩიეს, მაგრამ დასჯელმა ექსპედიციამ მაინც შეძლო 100 მათგანის ხელში ჩაგდება. დღის მეორე ნახევარში, გაფანტული ხალხი ისევ შეგროვდა, სამხედრო ნაწილების მიერ დაკავებულ სოფლის კანცელარიაში მივიდა და დაპატიმრებული ამხანაგების გაათვისუფლება მოითხოვა. რაზმის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა პრინცმა ამაზე კატეგორიული უარი თქვა და აჯანყებულებს მორჩილებისაკენ მოუწოდა, მაგრამ უშედეგოდ. საქმე სისხლისმღვრელი შეტაკებით დასრულდა, რომლის დროსაც თავისუფლებისთვის მებრძოლთა რიცხვს 48 კაცი გამოაკლდა — 18 მოკლულის და 30 დაჭრილის სახით¹⁴¹. ეს ტრადედია 1876 წლის 17 ივნისს დატრიალდა.

ამის შემდეგ აჯანყება დაღმავალი გზით წავიდა. გლეხებს ძალი არ ეყოთ ბრძოლის გასაგრძელებლად, მთავრობის ჭარბთან შემდგომი შებმა უბერსპექტივოდ გამოიყურებოდა. ამხედრებულმა სოფლებმა ფარხმალი დაჰყარეს, გრიგოლ დადიანის გლეხებმაც გადასახადი გადაიხადეს და მომავალში სრულ მორჩილების პირობა დასდევს¹⁴². „წესრიგი“ მთელს ზუგდიდის მაზრაში აღსდგა.

კიდევ უფრო გაძლიერდა აგრარულ-გლეხური მოძრაობა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით კი 1905—1907 წლებში. ამჟამად გლეხი, ქალაქის მუშის მხარდაჭერითა და ხელმძღვანელობით შემაგრებული, უფრო საშიშ ძალად იქცა. იგი ეხლა მეტი გაბედულობით იმადლებდა ხმას სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ და სამართლიანი ურთიერთობის დამყარებას მოითხოვდა.

ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის დასახელებულ წლებში ადგილი ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხეში, მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით ის მაინც გურიაში გაიშალა. იქ იგი გასცილდა წმინდა ეკონომიურ მოთხოვნებიდან ფარგლებს და შეგნებული პოლიტიკური მოძრაობის ხასიათი მიიღო¹⁴³. არ ვჩერ-

¹⁴⁰ იქვე, ფურც. 18.

¹⁴¹ იქვე, ფურც. 20—21.

¹⁴² იქვე, ფურც. 21—22.

¹⁴³ იხ. გაზ. „Вперед“, 1905 г., № 14; „Революционная борьба крестьянства Грузии в 1905 году“ (შემდეგში შემოკლებით „Революц. борьба“), Москва, 1935 г., стр. 42.

დებით რა ამ მოძრაობის ცალკეულ, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ¹⁴⁴, ეპიზოდებზე, ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება ამ მოძრაობის მხოლოდ ერთ მხარეზე, სახელდებით აგრარულ მხარეზე გავამახვილოთ. სოფლის მშრომელი მოსახლეობის საბრძოლო პროგრამაში ცენტრალური ადგილი, როგორც მოსალოდნელიც იყო, მიწისა და ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა გადმონაშთების ლიკვიდაციის პრობლემას ეკავა. ქართველ გლეხთა აბსოლუტურ უმრავლესობას უმიწობა-მცირემიწიანობით ეზუთებოდა სული და ამიტომ ის, ბუნებრივია, პირველ რიგში ამ მეტად მტკივნეული საკითხის მოგვარებას ითხოვდა. გლეხების დუხჭირი მდგომარეობა, — ნათქვამია შემომქმედის სოფლის საზოგადოების განჩინებაში (1905 წ.)¹⁴⁵, — არავისთვის არაა საიდუმლოება; თუმცა ჩვენ არა გვაქვს მიწა და არც არავითარ შემოსავალს ვღებულობთ, მაინც სხვადასხვა გადასახადები და აუტანელი შრომა მთელი სიმძიმით მხოლოდ ჩვენ გვაწვება კისერზე. ჩვენ ძველებურად ყმა-მონები ვართ. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ბევრი გლეხი დარჩა დამოკიდებულ მდგომარეობაში“, რადგანაც მათ ან სრულებით არ მიეცათ მიწა, ან მიეცათ მეტად მცირე რაოდენობით. ამის შესაბამისად ისინი მოითხოვდნენ¹⁴⁶: 1) დროებით ვალდებულ ურთიერთობათა დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას, ამ მდგომარეობაში მყოფ გლეხთა მიწით და სახელმწიფოს ხარჯზე განთავისუფლებით, 2) ჩამონაკრების სასწრაფოდ და მთლიანად დაბრუნებას, 3) საიჯარო ჭირის შემცირებას, 4) მხოლოდ გლეხებისათვის დაწესებული გადასახადების (გზის ბეგარა, ეკლესიის დაცვა-ყარაულობა და სხვ.) გაუქმებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — მათი ყველა წოდებისათვის სავალდებულოდ გამოცხადებას და 5) დღემდე არსებული პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების მოსპობას და ერთიანი პროგრესული საშემოსავლო გადასახადის შემოღებას¹⁴⁷.

მეტ-ნაკლებად ასეთივე იყო საქართველოს სხვა რაიონების გლეხთა აგრარულ-ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი¹⁴⁸.

¹⁴⁴ იხ. ი. ხუციშვილი, 1505—1507 წლების რევოლუცია საქართველოში. თბილისი, 1955, გვ. 145—160, 233—269, 300—312, 342—150, 364—379, 446—466; გ. ხაქაპუროძე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბილისი, 1955. ვ. საბანტარიშვილი, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1505—1507 წწ., თბილისი, 1959. ი. შირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წწ., თბილისი, 1964, გვ. 145—193.

¹⁴⁵ გაზ. „Вперед“, 1905 გ., № 14 „Революционная борьба“, стр. 43.

¹⁴⁶ იქვე. „Революционная борьба“, стр. 43—46.

¹⁴⁷ ამ დაბეგვრიდან თავისუფლდებოდა 500 მანეთზე ნაკლები შემოსავლი.

¹⁴⁸ იხ. Прокламации большевистских организаций Закавказья, 1904—1906 Тб. 1940 г., стр. 103—107.

ბრძოლა ამ მოთხოვნებთან განხორციელებისათვის რბილ-ტურად პროგრესის საქმეს ემსახურებოდა. ის ხელს უწყობდა ფელ-დალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთების ლიკვიდაციის თებისა, რომლებიც ესოდენ აფერხებდნენ კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთსა და საქართველოში¹⁴⁹.

სოფელში მიმდინარე ამ კლასობრივმა ბრძოლამ აიძულა მთავრობა მეტი ყურადღებით მოჰკიდებოდა გლეხთა საკითხს და იგი სპეციალური განხილვის საგნად ექცია.

თავი V

წინადადებები და პროდუქტები ვალდებულ ურთიერთობათა მოსაპოვებლად. 1912 წლის 20 დეკემბრის კანონი

1. კ. შარვაშიძის აზრი

ქვეყნის ეკონომიური განვითარების უზრუნველყოფის ამოცანები და ძლიერი აგრარული მოძრაობა აყენებდა დროებით-ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის ლიკვიდაციის საკითხს. ხსენებული ინსტიტუტის გაუქმებას მხარს უჭერდნენ არა მარტო საზოგადოების მოწინავე ელემენტები, არამედ თვით ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებიც. რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის სოფლის მშრომელი მოსახლეობის დაშოშმინება მათ მხოლოდ ამ გზით მიაჩნიათ შესაძლებლად. ამიტომ მთავრობა, მიდიოდა რა ბატონყმური ურთიერთობის აღნიშნული გადმონაშთის მოსაპოვებლად ეს დინჯად, აუჩქარებლად და მემამულეთა მხრით რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის გაღებით გაეკეთებინა. იგი ყურადღებით ისმენდა თავადაზნაურებისა და მალალი რანგის მოხელეთა წინადადებებს, განსაკუთრებით კი ისეთებს, რომლებიც მაქსიმალურად იცავდნენ პრივილეგიური წოდებისა და ხაზინის ინტერესებს.

ასეთი წინადადებით გამოვიდა, კერძოდ, თავადი კ. შარვაშიძე. მან 1885 წლის 2 იანვარს სპეციალური მოხსენება წარუდგინა ხელისუფლებას დროებით-ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის ლიკვიდაციის გზებისა და საშუალებების შესახებ. მისი აზრით, ამ საქმის ნოვგარება ნამდვილად საჭირო იყო, მაგრამ არა სანადგურო მიწის მისი მფლობელის საკუთრებად გამოცხადებით. ეს გზა მას სახიფა-

¹⁴⁹ В. И. Ленин, Сочинения, т. 18, стр. 59—60.

თოდ მიიჩნდა, რადგანაც, მისი სიტყვით, მწარმოებელი კლასის უდიდესი ნაწილი საბოლოოდ მაინც იძულებული გახდება ბოდა გაეყიდა საკუთრებად შეძენილი მამული და პრაქტიკულად ხეთა რიგებში გადასულიყო. ამ არასასიამოვნო შედეგის თავიდან ასაცილებლად კ. შარვაშიძე საჭიროდ თვლიდა დროებითად დებულ გლეხების მიერ ჯერ კიდევ შეუსყიდველი მიწების სახელმწიფოს ხელში გადასვლას, ხოლო მათი მფლობელი მშრომლების — სახაზინოდ აღიარებას. „Для полного ограждения здешних крестьян от обезземеления вследствие принудительных продаж или личных каких-либо неблагоприятных для их быта условий,—წერდა ის, лучшим средством, по мнению моему, представляется покупка правительством в свою собственность всех еще не выкупленных наделов временно-обязанных крестьян... с причислением их к разряду казенных крестьян“¹⁵⁰.

ამ წინადადების ცხოვრებაში განხორციელებას შედეგად მოყვებოდა არა ძველ ურთიერთობათა გამონაშთების ლიკვიდაცია, არამედ მათი კონსერვაცია, არა ბატონყმური ექსპლოატაციის მოსპობა, არამედ მისი შენარჩუნება (სახელმწიფო ფეოდალიზმის სახით), არა მწარმოებელი კლასის დამოკიდებული მდგომარეობის შესუსტება, არამედ, პირიქით, მისი გაძლიერება. კ. შარვაშიძის წინადადების მიღებით შეიცვლებოდა მხოლოდ მოვლენის გარეგანი მხარე (მიწის პატრონად გლეხს კერძო მფლობელის მაგივრად სახინა მოველინებოდა) და არა მისი სოციალ-ეკონომიური საფუძველი. კ. მარქსი, როგორც ცნობილია, ყმების კატეგორიაში აქცევდა არა მარტო საბატონო, არამედ სახელმწიფო გლეხებსაც და მკაცრად აკრიტიკებდა ყველა იმათ, ვინც მათ შორის პრინციპულ განსხვავებას ხედავდა¹⁵¹.

2. ვორონცოვ-დაშკოვის პირველი მოხსენება-პროექტი (1905 წ.) და მისი ბედი

მეოცე საუკუნის დასაწყისში მიმდინარე აგრარულ-რევოლუციურმა მოძრაობამ ყველასათვის ნათელი გახადა გლეხთა საკითხის გადაუღებლად მოგვარების აუცილებლობა. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ხალხის აზვირთებას ღრმა სოციალურ-ეკონომიური მიზეზები გააჩნდა, რომ ის მწარმოებელი კლასის უმიწობით, მძიმე ეკონო-

¹⁵⁰ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. ვეიდენბაუმის ფონდი, საქმე 512, ფურც. 6—7.

¹⁵¹ Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. XII, стр. 91.

მიური მდგომარეობითა და სილატაკით იყო გამოწვეული¹⁵². თბილისის მახრის უფროსის გენერალ-ადიუტანტ ზ. ქავკასიის მოწინააღმდეგეობით, საზოგადოებრივი „უწესრიგობის“ პირველი ინიციატივები სწორედ დროებითვალდებული გლეხები ყოფილან. დასახლებულ მოხელეს მათი ხვედრი ყველაზე სავალალოდ, ყველაზე სავანგანგანოდ მიაჩნდა და ამიტომ ის მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ურჩევდა ხელისუფლებას განსაკუთრებული ყურადღება სოფლის მშრომელი მოსახლეობის სწორედ ამ ნაწილისთვის მიექცია¹⁵³.

სხვანაირად, ეტყობა, არც კავკასიის ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი ფიქრობდა. მან 1905 წლის 22 ნოემბერს მთავრობას ვრცელი მოხსენება-პროექტი წარუდგინა, რომელშიაც მოცემულია არა მარტო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოფლის არასახარბიელო მდგომარეობის აღწერა, არამედ გამოთქმულია მოსაზრება ამ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ავტორი არ მალავს, რომ ბატონყმობის გაუქმება ჩვენს ქვეყანაში მოხდა შემამულეებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში და რომ რეფორმის შემდეგ ქართველი გლეხი უფრო შავ დღეში აღმოჩნდა, ვიდრე მანამდე. ყოველივე ეს, მისი სამართლიანი დასკვნით, დროებით-ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტისა და მალალი გადასახადების არსებობით იყო გამოწვეული¹⁵⁴. ყურადღება კი ამ ინსტიტუტისადმი, მისი აზრით, სათანადოდ არ იყო გამაზვილებული. მართალია, ადგილობრივი ხელისუფლება მუდამ ინტერესით ეკიდებოდა აგრარულ საკითხს, მაგრამ მთელ მის საქმიანობას ამ მიმართულებით, მოხსენების ავტორის სიტყვით, კანცელარული მუშაობის ჩასიათი ჰქონდა და არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. „Хотя кавказская высшая администрация,—წერდა იგი, начиная с 1873 года, работала по выработке разных оснований для прекращения временно-обязательных отношений крестьян к помещикам и обязательного выкупа наделных земель, но все эти канцелярские работы не имели для крестьян никакого реального значения, и за 40 лет (т. е. за период 1865—1905 гг. — И. А.) не было издано ни одного законоположения (кроме законов о хизанах), которое изменило бы их положение к лучшему“.

¹⁵² СХАО, т. IV, стр. 770.

¹⁵³ „Временно-обязанные крестьяне, мало обеспеченные землей, являются источниками всех недоразумений последнего времени в деревне: Поэтому их судьба заслуживает особого внимания властей“ (СХАО, т. IV, стр. 770).

¹⁵⁴ СХАО, т. IV, стр. 1.

¹⁵⁵ იქვე, გვ. 23.

სწორედ ამით იყო შეპირობებული, ვორონცოვ-დაშკოვის თა-
რით, კლასობრივი ბრძოლის ის აღმავლობა, რომელსაც ადგილი
ჰქონდა მიმდინარე საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოფელში
„წესრიგის“ დასამყარებლად მეფის ნაცვალს საქიროდ შიანდა
სახალხო მღვლევარების ძირითადი მიზეზის — დროებითვალდე-
ბულ გლეხთა ინსტიტუტის დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია და სანა-
დელი მიწების უშუალო მწარმოებლის საკუთრებად გამოცხა-
დება¹⁵⁶. თანაც ყოველივე ეს ისე უნდა გატარებულიყო, რომ სოფ-
ლის მშრომელ მოსახლეობას ახალი მსხვერპლი არ გაეღო. თითქ-
ოს უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ნამესტნიკი წინააღმდეგი იყო
გლეხებს ნადელები შესყიდვით შეეძინათ. «Обращаясь затем к во-
просу, — წერდა იგი¹⁵⁷, — на каких основаниях может быть произ-
ведена отмена обязательных отношений крестьян к помещи-
кам. нельзя не придти к заключению, что выкуп наделов, с
возложением на крестьян уплаты выданной ссуды за наделы
в форме выкупных платежей, не может быть осуществлен уже
потому, что за воследованием высочайшего манифеста
3-го ноября сего (1905) года, отменены выкупные платежи
для всех крестьян, земли которых издавна состояли в их поль-
зовании, а на Кавказе — в Грузии, Имеретии, Мингрелии и
(Восточной) Грузии крестьяне по отношению к земле имеют
теже права, что и коренное население русских губерний... Кро-
ме того, с точки зрения крестьян Закавказья переход их с по-
винностей в пользу помещиков на выкуп был бы принят ими
как мера по отношению к ним в высшей степени несправедли-
вая, так как для крестьян совершенно безразлично, кому
уплачивали они повинности, а за время существования обяза-
тельных отношений они деньгами и долями урожая внесли,
переводя все на деньги, суммы, прев-шающие выкупные пла-
тежи внутренних губерний».

აქედან გამომდინარე ვორონცოვ-დაშკოვი ასკვნიდა, რომ ვალ-
დებულ ურთიერთობათა მოსპობა და სანადელი მიწების გლეხე-
ბის ხელში გადასვლა უნდა მომხდარიყო არა გაოსყიდვით მწარმო-
ებელი კლასის ხარჯზე, არამედ სრულიად უფასოდ, უსასყიდ-
ლოდ¹⁵⁸.

მაგრამ რაკი ის ფართობი, რომელიც ამ ღონისძიების გატარე-
ბით სოფლის მშრომელ მოსახლეობას საკუთრებად დაუმტკიცდე-
ბოდა, მაინც საკმარისი არ იქნებოდა მისთვის და ის ძველებურად
თავს ვერ დააღწევდა მძიმე საიჯარო პირობებს, ვორონცოვ-დაშ-

¹⁵⁶ იქვე, გვ. 23.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 24.

¹⁵⁸ იქვე, გვ. 25.

კოვი გლეხებისათვის დამატებითი მიწების გამოყოფას მოლოდინ
და „სანადგლო მიწის ფონდს, — ნათქვამია მის მოხსენებაში¹⁵⁹,
გლეხებს სრული საკუთრების უფლებით რომ მიეცემათ, ამის შესახებ
ლია დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება და ამიტომ მისი მიზანშეწონილი
ნანდებურად იძულებული იქნებიან მიმართონ კერძო მფლობელ-
თა მიწების იჯარას, რომლის პირობები ყოველწლიურად უფრო და
უფრო სამძიმო გახდება. ამიტომ საჭიროა თვითეული სოფლის მი-
წით უზრუნველყოფის მდგომარეობის დეტალურად შესწავლა და
იმ პირობების დადგენა, რომელიც საფუძვლად დაედება გლეხე-
ბის განკარგულებაში მყოფ ფართობის გადიდებას. ამასთანავე ეს
გადიდება უნდა მოხდეს ან თავისუფალი სახაზინო მამულების, ან
საგლეხო ბანკის მიერ კერძომფლობელთაგან შესყიდულ მიწების
ხარჯზე“.

მაგრამ ვორონცოვ-დაშკოვი, ესოდენ „ზრუნვას“ რომ იჩენდა
მწარმოებელთა კლასისადმი, ერთი წუთითაც არ ივიწყებდა მემ-
ამულეთა ინტერესებს. ის თავის მოხსენებაში დაბეჭდილებით აყუ-
ნებდა საკითხს მათი „ზარალის“ მაქსიმალურად ანაზღაურების
შესახებ სახელმწიფოს ხარჯზე. „ვთელი რა, ამრიგად, ვალდებულ
და დამოკიდებულ ურთიერთობათა დაუყოვნებლივ გაუქმებას აუ-
ცილებლად გლეხების გამოსასყიდ ოპერაციაზე გადაყვანის გარე-
შე, — წერდა მეფისნაცვალი, — მე არ მიმანია შესაძლებლად ამ
ლონისძიების ისე გატარება, რომ მემამულეებმა და მფლობელებმა
არ მიიღონ შესაფერისი გასამრჯელო იმ გადასახადებში, რომლებ-
საც იხდიდნენ გლეხები წინა მათთვის გამოყოფილ მიწებში. თუ-
მცა, როგორც ზევითაც ითქვა, ამ გადასახადების ხანგრძლივობა
და მაღალი ნორმა, საფუძველს აძლევს გლეხებს ამტკიცონ, რომ
მათ უკვე მთლიანად გადაიხადეს სანადგლო მიწის ღირებულება,
მაგრამ მემამულეებსა და მფლობელებსაც სრული უფლება აქვთ
მოითხოვონ ხაზინიდან გასამრჯელო იმ მიწების საფასურად, რომ-
ლებიც გლეხთა საკუთრებაში გადადის და რომლებშიაც ისინი ღე-
ბულობდნენ წინადაც გარკვეულ შემოსავალს ფულადი და ნატურა-
ლური გადასახადების სახით. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშ-
ნოს, რომ ზოგ მფლობელისათვის სანადგლო მიწიდან გადასახადის
სახით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს არსებობის ერთად-
ერთ წყაროს, რადგანაც სათავისოდ დატოვებული მიწები მათ უკვე
კარგა ხანია გაპყიდეს“¹⁶⁰.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 31.

¹⁶⁰ იქვე, გვ. 25—26.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვორონცოვ-დაშკოვი წინადადებას იძლეოდა¹⁶¹:

1) გაუქმებულიყო 1906 წლის 1-ლ იანვრიდან დასრულებულ და დამოკიდებულ გლეხთა ინსტიტუტი და ეცხობთ ამ კატეგორიის მშრომელები¹⁶² სანადელო მიწების სრულ შესაკუთრედ. აღნიშნული დროიდან იხინი უნდა დაბეგრლიოყვნენ ჩვეულებრივი წესით მხოლოდ სახაზინო და საერობო გადასახადებით. 2) განახევრებულიყო (იმავე დროიდან), ხოლო 1907 წლის 1-ლ იანვრიდან საერთოდ შეწყვეტილიყო ეგრეთ წოდებული „выкупные платежи“ იმ გლეხებისა, რომლებმაც ადრე, ამ, წინადადებათა დამტკიცებამდე, მიაღწიეს შეთანხმებას სანადელო მიწების გამოსყიდვისა და ვალდებულ მდგომარეობიდან გამოსვლის თაობაზე. 3) გახსნილიყო, საქმის წარმატების მიზნით, საგლეხო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილება. 4) გამოეყენებინათ თავისუფალი სახაზინო მიწები და არადაცვითი მნიშვნელობის ტყეები უმამულო და მცირე მამულიან სახელმწიფო და დროებით ვალდებულ გლეხთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. 5) ეძლიათ პრივილეგიური წოდებისთვის ყოველწლიურად, დაწყებული 1906 წლის 1-ლ იანვრიდან, მისთვის განკუთვნილი სავასამრჩელო თანხის ნაწილი ხუთპროცენტიანი აენსის რაოდენობით¹⁶³.

ვორონცოვ-დაშკოვის მოხსენება, როგორც ვებდავთ, საკმაოდ „რადიკალური“ და გაბედული წინადადების შემცველი იყო. იგი დაეინებით მოითხოვდა დამოკიდებული გლეხების სასწრაფოდ გათავისუფლებასა და მათი ეკონომიური მდგომარეობის რამდენიმედ მაინც გაუმჯობესებას. ნაშესტნიკის ასეთი „თავდადება“ გამოწვეული იყო, ცხადია, არა მისი სიმპატიებით სოფლის მშრომელი მოსახლეობისადმი, არამედ მაშინდელი უაღრესად რთული და საგანგაშო სოციალ-პოლიტიკური ვითარებით, ძლიერი აგრარული მოძრაობით. აზვირთებული ხალხის დამშვიდება მას მხოლოდ მის მოხსენებაში წამოყენებულ წინადადებათა განხორციელების გზით ჰქონდა წარმოდგენილი¹⁶⁴.

¹⁶¹ იქვე, გვ. 32—35.

¹⁶² აგრეთვე სახელმწიფო გლეხები და ხიხნები.

¹⁶³ აენსის გაცემა უნდა გაგრძელებულიყო სავასამრჩელო თანხის სრულად გაცემამდე სახელმწიფო ხაზინის მიერ.

¹⁶⁴ Вслед за решительными мерами по подавлению беспорядков на Кавказе,—სწერდა იგი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს 1906 წ. 23 მარტს, крайне желательно безотлагательное принятие представленных мною мер упорядочения крестьянского дела для достижения действительного успокоения края. Убедительно прошу ускорить рассмотрение моей записи.

ეორონცოვ-დაშკოვის მოხსენება წინასწარ დასკვნისთვის, მისი სახელმწიფო საბჭოში განხილვამდე, გადაეგზავნა ფინანსთა მინისტრს პ. შიპოვსა და საადგილმამულო და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების უფროსს პ. კუტლერს. მათ ძირითადად მოიწონეს განსახილველი დოკუმენტი, მაგრამ არაერთი პრინციპული შენიშვნა გააკეთეს. რეცენზენტებმა მხარი არ დაუჭირეს, მაგალითად, ნამესტნიკის წინადადებას თავისუფალი სახაზინო მიწების სახელმწიფო და დროებითვალდებულ გლეხების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოყენების შესახებ. პ. შიპოვისა და კუტლერის აზრით, აღნიშნული მიწები უნდა გამოეყენებინათ, როგორც წესი, არა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებისათვის, არამედ კოლონიტების მოსაწყობად, მათი ეკონომიური რესურსების გასაძლიერებლად¹⁶⁵.

მეორე შენიშვნა მეშამუღეთა გასამრჯელოს საკითხს შეეხო. დასახელებულმა პირებმა, დოკუმენტის სიტყვით, გამოსთქვეს მოსაზრება. Чтобы: „окончательные нормы вознаграждения были назначены... в законодательном порядке при участии Государственной думы... и чтобы выдачи помещикам и владельцам 5% на причитающиеся им вознаграждение имели значение не авансов, а уплаты процентов на капитальную сумму вознаграждения“¹⁶⁶. ამას გარდა, 1906 წელს პრივილეგიური წოდებისათვის რამე გასამრჯელოს მიცემა ავანსის თუ პროცენტების სახით, ფინანსთა სამინისტრომ შეუძლებლად მიიჩნია, სახელმწიფო ბიუჯეტში სათანადო თანხის უქონლობისა და გაუთვალისწინებლობის გამო¹⁶⁷.

ნამესტნიკი, ცხადია, ერთბაშად არ დაეთანხმა ამ კრიტიკულ შენიშვნებს. არ დაეთანხმა იგი, კერძოდ, იმას, რომ მას თითქოს თავისუფალი სახაზინო მიწები მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად უნდოდა გამოეყენებინა. მან, როგორც შეფის ერთგულმა მოხელემ და დაჯერებულმა კოლონიზატორმა, აგრძნობინა კრიტიკოსებს, რომ იგი არასოდეს არ დაუშ-

представленной еще осенью“ 1905 года (СХАО, т. IV, стр. 54). და კიდევ: საჭის ვაკეაზრება „გააძლიერებს მღელვარებას მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც შემამუღებთან დამოკიდებულ მდგომარეობაშია, დააყოვნებს მხარის დაშოშმინებასა და აგრარულ ნადავზე წარმოშობილ უწყნარობათა ლიკვიდაციას“ (ეორონცოვის 1906 წლის 5 აგვისტოს წერილიდან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი. СХАО, т. IV, стр. 59).

¹⁶⁵ СХАО, т. IV, стр. 45.

¹⁶⁶ იქვე, გვ. 57.

¹⁶⁷ იქვე.

ვებდა ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა კავკასიულ გლეხის მიწით მომარაგებას რუსული კოლონიზაციის საზღვრებში¹⁶⁸ ამასთან ერთად, ვორონცოვ-დაშკოვი წინანდებურად ეცდებოდა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სავარგულებს გარკვეული ნაწილი მკვიდრი მეურნის საჭიროებას მოახმარებდა. იგი მოითხოვდა ეს თავისი, 1905 წლის 22 ნოემბრის მოხსენებით ბარათში უფრო განზოგადებულად და გაბედულად ჩამოყალიბებული წინადადება-წყვეტილი მასების „დაშოშმინების მიზნით“, მომავალ კანონში შემდეგი შეცვლილ-შერბილებული და შეკუმშული სახით შეეტანათ:¹⁶⁹ „Предоставить наместнику е. и. величества на Кавказе разрешать в уважительных случаях при землеустройстве государственных поселян, водворенных на казенных землях, увеличение земельных наделов малоземельных сельских обществ, селений и поселков, а равно отвод наделов безземельным поселянам из сводных земель“.

ამ კონტექსტში, როგორც ვხედავთ, ლაპარაკია მხოლოდ სახელმწიფო გლეხებზე, მაშინ, როდესაც ვორონცოვ-დაშკოვის გაკრიტიკებულ მოხსენება-პროექტში იმათ რიცხვში, ვისაც სახაზინო მიწები უნდა მისცემოდა, ხიზნებიც იყვნენ და დროებითვალდებული გლეხებიც.

არ გაიზიარა მეფის ნაცვალმა მილიანად მეორე შენიშვნაც. „В заключение, — ნათქვამია მის საპასუხო წერილში¹⁷⁰, — я не могу не коснуться денежного вопроса, затронутого в отзыве министра финансов, а именно срока проектируемого процентного вознаграждения. Министр финансов, повидимому, предполагает возможным не производить причитающихся владельцам процентных платежей в текущем году, ввиду затруднительного в настоящее время положения государственного казначейства. Я же с своей стороны считаю себя обязанным удостоверить, что всякая отсрочка сказанных платежей поставит владельцев в бедственное положение и, несомненно, вызовет среди них недовольство. Нельзя не иметь в виду, что многие из владельцев имеют в платежах временнообязанных крестьян единственный источник своего существования. Затяжки в платежах, а иногда и решительный отказ со стороны крестьян, имевшие место за последние годы под влиянием революционной пропаганды, совершенно подрезали материальное благосостояние многих помещиков... Под впечатлением особенно этих обстоятельств местные помещики будут привет-

¹⁶⁸ СХАО, 80-45.

¹⁶⁹ იქვე, 83-54.

¹⁷⁰ იქვე, 83-51—52.


სტოვათ პროექტირებას უპირატესად ინტერესებში კრესტიან რეფორმა, ნო, კონკრეტულად, მხოლოდ მაშინ, თუ იგი არ დაზარალებს საკუთარ საკუთარ ინტერესებს. თუ იგი დაზარალებს საკუთარ ინტერესებს, მაშინ იგი უნდა იქნას შეწყვეტილი, თუ იგი დაზარალებს საკუთარ ინტერესებს, მაშინ იგი უნდა იქნას შეწყვეტილი, თუ იგი დაზარალებს საკუთარ ინტერესებს, მაშინ იგი უნდა იქნას შეწყვეტილი.

ეს წინადადება მომავალ კანონში, მისი აზრით, ასეთი სახით უნდა შესულიყო: ნება მიეცეთ მემამულეებსა და მფლობელებს, რომ მათ, დანაკლისის ანაზღაურების შესახებ სპეციალური წესდების შემუშავება-დამტკიცებამდე, მიიღონ სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად საგასამრჯელო თანხის პროცენტები¹⁷¹.

გაუგზავნა რა ცენტრალურ ხელისუფლებას ეს წინადადებები, ვორონკოვ-დაშკოვმა განმეორებით მოითხოვა აღძრული საკითხის მაქსიმალური სისწრაფით გადაჭრა, რაც, მისი სიტყვით, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმპერატორის ერთპიროვნული ბრძანებულებით და არა საკანონმდებლო ორგანოებში გაკვიანურებული კამათით.

ნამესტნიკის მოხსენება-პროექტი ამ სახით 1906 წლის 15 აგვისტოს მინისტრთა საბჭომ განიხილა. გაიზიარა რა ხსენებულ დოკუმენტის დედააზრი ვალდებულ ურთიერთობათა ლიკვიდაციის თაობაზე, მან კატეგორიულად უარყო ვორონკოვ-დაშკოვის წინადადება რეფორმის პრინციპულად მეფის განკარგულებით გატარებისა, ხოლო მისი დეტალების საკანონმდებლო ორგანოებში შემუშავების შესახებ. მინისტრთა საბჭოს აზრით, აღძრული საქმე, ვითარცა მეტად რთული და მნიშვნელოვანი, ყოველმხრივ შესწავლა-დაკვირვებას მოითხოვდა, აჩქარებას ვამორიციხავდა. შესასწავლ-გამოსარკვევად მიაჩნდა მას, კერძოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანი იქნებოდა კავკასიელი დამოკიდებული გლეხის მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე განთავისუფლება და შესძლებდა თუ არა ხაზინა იმ ვეებერთელა თანხის, 30 მილიონი მანეთის ვალებას, რომელიც ნამესტნიკის წინასწარი გაანგარიშებით საჭირო იყო „დაზარალებული“ პრივილეგიური წოდების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, მთავრობამ მიზანშეწონილად ჩასთვალა საკითხის დინჯად და აუჩქარებლად განხილვა ჯერ საკა-

¹⁷¹ აქ, როგორც ვხედავთ, პროცენტებს, განსხვავებით 1905 წლის 22 ნოემბრის მოხსენებისაგან, ჰქონდა არა ავანსის, არამედ კამიტალური თანხიდან მიღებულ შემოსავლის ხასიათი.



ნონმდებლო ორგანოებში, ხოლო მერე, ამ პროცედურის შემდეგ, მისი უმაღლესად დამტკიცება. „Вдумываясь в существующих наместником его величества на Кавказе предложениях, в которых предлагается прекратить зависимость и укрепление наделных земель в собственность крестьян, не может не вызывать всеобщего сочувствия, и едва ли какое-либо законодательное учреждение решилось бы впоследствии восстанавливать подобную зависимость. Но ограничиться только указанной стороной дела и вовсе не определить ныне, вознаграждаются ли помещики и владельцы Закавказского края за утрачиваемые ими права на землю, а также, в каком размере и из какого источника будут производиться им вознаграждение, по мнению Совета, недопустимо. Практически это равносильно было бы обязательной отдаче крестьянам владельческой земли, находящейся в их пользовании, в собственность даром, без выкупа, что составило бы само по себе крайне опасный прецедент и вконец разорило бы земледельческое сословие в Закавказье, так как по истечении известного времени восстановить права землевладельцев на вознаграждение было бы крайне затруднительно. Таким образом, разрешить настоящее дело возможно было бы лишь в полном его объеме, то есть прекратив зависимые отношения крестьян к помещикам и одновременно же установив обязательное вознаграждение последних, как это предполагается и наместником... Однако при таких условиях настоящее дело утрачивает уже характер простоты, справедливости и бесспорности: полное изъятие закавказских крестьян от действия выкупной операции, обременение государственного казначейства уплатой 30.000.000 рублей грузинскому дворянству и мусульманским бекам, самые нормы обязательного вознаграждения последних — все это может быть впоследствии оспорено и даже вовсе отвергнуто Государственной думой и Государственным советом, а потому едва ли ныне эти основные черты рассматриваемого преобразования могут получить утверждение верховной власти и приобрести, хотя бы временно, силу закона» (ზაზი ჩვენის... — ს. ა.).



ამასთან ერთად, მინისტრთა საბჭომ ურჩია ვორონცოვ-დაშკოვს, რომ მის რეფორმამდე ერთი ღონისძიება გაეტარებინათ: ნადელო ნატურალური გადასახადები ფულადი გადასახადებად ეცვალა. ეს ღონისძიება, რომელიც, მისი აზრით, „საგრძნობლად შეამსუბუქებდა გლეხების მდგომარეობას“ ხაზინის მხრივ ყოველგვარი ხარჯების გაღების გარეშე, შეიძლებოდა სწრაფად, უმაღლესი ხელისუფალის (ე. ი. იმპერატორის) ერთპიროვნული ბრძანებულებით, გატარებულიყო¹⁷³.

ამ შენიშვნებით პროექტი მის ავტორს უკან დაუბრუნეს და მასში სათანადო შესწორების შეტანა სთხოვეს¹⁷⁴.

3. სახელმწიფო სათათბიროს 34 წევრის პროექტი (1908 წ.)

აღძრულ საკითხზე მოსაზრება გამოთქვეს აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს მემარცხენე ფრაქციის წარმომადგენლებმაც, მათ 1908 წლის 15 დეკემბერს 34 წევრის ხელმოწერით წარადგინეს საკმაოდ ვრცელი მოხსენებითი ბარათი მომავალი რეფორმის შესახებ. მოხსენებაში მოცემულია 1864 წლის 13 ოქტომბრის დებულების მკაცრი კრიტიკა და ნაჩვენებია რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის ქართველი გლეხის მიმომე ეკონომიური მდგომარეობა. ავტორთა აზრით, მწარმოებელი კლასი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ უფრო უარეს დღეში აღმოჩნდა, ვიდრე მანამდე იყო. რეფორმამ, მათი სიტყვით, შექმნა „მშრომელი მასების პოლიტიკური და სოციალური დაკაბალების რთული სისტემა“, რომელიც ამჟამად გაცილებით მეტი სიმძიმით აწევბა გლეხს, ვიდრე „ძველი ბატონყმობის დროს გაბატონებული“ ურთიერთობა¹⁷⁵. დამოკიდებული წოდების განთავისუფლების დროს, წერდნენ ისინი, „был произведен величайший в социальной истории Кавказа акт экспроприации народного земельного фонда в пользу владеющего сословия. Экспроприация эта сопровождалась возмутительными по своей жестокости и пренебрежению к действительности в крае нормам обычного и даже формального правообезземелием тысяч крестьянских семей и созданием сословно-административной организации владельцев, имеющей целью обеспечить... всестороннее социальное господство помещиков

173 იქვე, გვ. 63.
 174 იქვე, გვ. 64.
 175 СХАО, ტ. IV, გვ. 105.

над повинными им... временнообязанными крестьянами и зависимиыми поселянами.¹⁷⁶

მოსხენებით ბარათში დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი დახასიათებულია როგორც საზოგადოებრივი წინსვლა-განვითარების შემფერხებელი და სახალხო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მავნე მოვლენა. „В сильнейшей степени препятствуя экономическому прогрессу: натѣвѣма иѣ¹⁷⁷,—эти отношения, эти пережитки крепостного права не допускают развития в крае гражданственности и культуры, содействуя сохранению и усилению самых варварских форм эксплуатации крестьянства и держит в нищете, в темноте и бесправии весь народ“.

აქედან გამომდინარე, ავტორები მოითხოვდნენ დროებით-ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის სასწრაფო ლიკვიდაციას. მაგრამ იმის გამო, რომ ამიერკავკასიისა და საქართველოში ძალიან გაკვიანურდა ამ ინსტიტუტის არსებობა, იმიტომ რომ ორჯერ-სამჯერ ნაკლები ნაღელის ქონე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი გლეხი ოთხჯერ უფრო მძიმედ დაიბეგრა, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიების მშრომელი მოსახლეობა და იმიტომაც, რომ რამე ახალი ხარჯების დაკისრება საბოლოოდ გაანადგურებდა მწარმოებელი კლასის ისედაც განადგურებულ მეურნეობას, ისინი მხარს უჭერდნენ დამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფი გლეხის არა მარტო დაუყოვნებლივ, არამედ სრულიად უსასყიდლოდ განთავისუფლებას.

„Ликвидация временнообязанных отношений,—წერდნენ დასაბეჭდებული მოხსენების ავტორები¹⁷⁸, путем выкупа крестьянских наделов за их счет — так же противозаконна, как противозаконен самый институт обязанных крестьян и зависимых поселян... Возлагать расходы по ликвидации (этих) отношений на крестьян.. было бы вопиющей несправедливостью, актом, явно идущим в разрез с общенародными и общегосударственными интересами“.

ამას მოსდევდა სახელმწიფო სათათბიროს 34 წევრის შემდეგი ოთხი კონკრეტული წინადადება:¹⁷⁹ 1) დაუყოვნებლივ, სამუდამოდ და გლეხების მხრივ ყოველგვარი მსხვერპლის გაღების გარეშე (ე. ი. უსასყიდლოდ) გაუქმდეს მთელს კავკასიაში დამოკიდებული და დროებითვალდებული ურთიერთობა. 2) შეწყდეს დროებით-ვალდებულ და დამოკიდებულ გლეხთა, რაიატებისა და კეშკელნი-

176 იქვე, გვ. 109.

177 იქვე, გვ. 135.

178 იქვე, გვ. 135.

179 იქვე, გვ. 137—138.



კების მიწისმფლობელთა სასარგებლოდ დაბეგვრა იმათ ხელში მყოფი მიწების მათ სრულ საკუთრებად გამოცხადებით 3) ნებს (დაკრთოთ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიის გლეხებს საკითხის მდებლობრივ მოგვარებამდე ისარგებლონ ტყით, წყლით, საძოვრებითა და სხვა სერვიტუტებით იმ წესების საფუძველზე, რომლებიც რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედებენ. 4) წიაღისეული სიმდიდრით სარგებლობის წესები დარჩეს უცვლელად ახალი საკანონმდებლო პრინციპების შემუშავებამდე.

სახელმწიფო სათათბიროს 1909 წლის 26 მაისის დადგენილებით, ეს წინადადებები გადაეცა დასკვნისათვის იმავე სათათბიროს საადგილმამულო კომისიას, რომელმაც ამ საკითხის განხილვას ორი სპეციალური სხდომა¹⁸⁰ მიუძღვნა. მხარი დაუჭირა რა დროებითვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობათა ლიკვიდაციას, კომისიამ უარყო წინადადება გლეხებისათვის სანადგლო მიწების უსასყიდლოდ მიცემის შესახებ. „Комиссия полагала, — ვკითხულობთ დოკუმენტებში¹⁸¹, — что помещики и владельцы являются юридическими собственниками земель, находящихся ныне во владении временнообязанных крестьян и поселян мусульманских губерний и отчуждение в их пользу этих земель должно быть произведено не иначе, как за вознаграждение».

კიდევ უფრო მკაფიოდაა გამოთქმული ეს აზრი მოხსენების დასკვნით ნაწილში „Земельная комиссия, — ნათქვამია იქ¹⁸² — нашла возможным согласиться с основной мыслью законодательного предположения — необходимости скорейшего уничтожения временнообязанных отношений крестьян Закавказского края к помещикам и признал выработку соответствующего законопроекта по сему желательным. Что же касается до оснований прекращения (этих) отношений..., то земельная комиссия, арссмотрев предложенные 34 членами Государственной думы основные положения, отвергла безвозмездное освобождение крестьян от обязательных для них повинностей в пользу помещиков, и признала, что общим руководящим началом для выработки законопроекта о прекращении зависимых и временнообязательных отношений крестьян к помещикам в Закавказье и вытекающего отсюда предоставления крестьянам собственности наделов, отведенных им по земельным актам, должно быть положено начало обязательного выкупа с отступлением от этого начала в тех случаях, где оно является неприменимым» (ბაზი ჩენია. — ი. ა.).

¹⁸⁰ სხდომები მიმდინარეობდა 1910 წლის 16 და 18 ნოემბერს.

¹⁸¹ СХАО, ტ. IV, გვ. 376.

¹⁸² იქვე, გვ. 376—377.



როგორც ვხედავთ, სახელმწიფო სათათბიროს საადგილმამულო კომისიის დასკვნა არსებითად უარყოფითი იყო. მშრომელთა ინსტიტუტის პრინციპში მომხრე იყო დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის ლიკვიდაციისა, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ შემამულეებს „ზარალი“ სათანადოდ აუნაზღაურდებოდათ¹⁸³.

4. ვორონცოვ-დაშკოვის მეორე პროექტი (1910 წ.) 1912 წლის 20 დეკემბრის კანონი

1910 წელს მეფისნაცვალმა მეორე, პირველისაგან მკვეთრად განსხვავებული, პროექტი წარადგინა. მასში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უკვე არ იგრძნობა აღრინდელი „ზრუნვა“ მწარმოებელ კლასზე და მომავალი რეფორმის უმნიშვნელოვანესი საკითხი ანტიხალხურ პოზიციებიდანაა გადაჭრილი. საკმარისია აღინიშნოს, რომ გასარჩევი დოკუმენტი მთელს ხარჯებს, დაკავშირებულს ვალდებულ ურთიერთობათა ლიკვიდაციასთან, მთლიანად გლეხობას აკისრებს. ვორონცოვ-დაშკოვის შეხედულებათა ასეთი ევოლუცია მარჯვნივ აისახება უმთავრესად იმ ცვლილებებით, რომელიც მოხდა ამ დროისათვის ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეორე პროექტის შედგენა, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა სწორედ რეაქციის წლებში, ე. ი., იმ პერიოდში, როდესაც აგრარულ-რევოლუციური მოძრაობა ძირითადად უკვე ჩაქრობილი იყო და მისი ხვეული დაღმავალი გზით მიდიოდა. ასეთ ვითარებაში ნამესტნიკს შეეძლო შედარებით ნაკლები ანგარიში გაეწია სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის და გაეზიარებინა მინისტრთა საბჭოს აზრი რეფორმის ხარჯების სახელმწიფო ხაზინაზე დაკისრების შეუძლებლობა — არასამართლიანობის შესახებ.

მოკლედ ამ ახალი პროექტის¹⁸⁴ შინაარსი შეიძლება ასე ჩამოვყავალიბოთ.

მისი პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს დროებითვალდებულ გლეხები და სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოკიდებუ-

¹⁸³ ასეთივე დასკვნა წარმოადგინა კავკასიის ნამესტნიკმაც. მზარი დაუჭირა რა წინადადებას დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის ლიკვიდაციისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის სანადგლო მიწების საკუთრებად გადაცემის შესახებ, იგი გამოვიდა წინააღმდეგ ამ ღონისძიებათა უსასუილოდ გატარებისა. „მაგრამ, რა თქმა უნდა, — წერდა ის, — ფიქრიც კი არ შეიძლება იმის შესახებ, რომ შემამულეებს მიწები უფასოდ ჩამოერთვათ მხოლოდ იმით, რომ ისინი (წლების მანძილზე) ლეზულობდნენ ქირას შემოსავლის 1/4 ნაწილის სახით“ (CXAO, ტ. IV, გვ. 161).

¹⁸⁴ იხ. მისი ტექსტი CXAO-ში, ტ. IV, გვ. 207—213.



ლი მოსახლეობა მომავალი 1911 წლის 1-ლ იანვრიდან სანადელა მიწების გამოსყიდვაზე გადიოდა და მესაკუთრეთა კატეგორიულ მიწების ირიცხებოდა; გამოსყიდვას ექვემდებარებოდა მიწა საწესდებო (1); გელესა და მათ დამატებაში ნაჩვენებ საზღვრებში, ხოლო ამ უკანასკნელის მოუხსენებლობის შემთხვევაში — ფაქტიურ მფლობელობის ფარგლებში (მუხ. 3); თუკი გლეხი ნადელში ან მის რომელიმე სავარგულში გადასახადებს ფულადი ღირებულებით, მაშინ მთელი ნადელის ან ცალკეული სავარგულის გამოსასყიდი თანხა გაიანგარიშებოდა საწესდებო სიგელებით განსაზღვრული წლიური შემოსავლის (დალის) ექვსპროცენტიანი კაპიტალიზაციის ან მისი 16 2/3 გამრავლების გზით (4); თუ კი, პირიქით, ეს გადასახადები ნატურით იყო ვანსაზღვრული, მაშინ (მათი მერე ფულადი ღირებულებით შეცვლის შემთხვევაშიც კი) გამოსასყიდი თანხა დგინდებოდა საწესდებო სიგელებში ნაჩვენები სავარგულების თითოეული დესეტინის აქ დართულ ფასებზე¹⁸⁵ გამრავლების გზით (5); ძალადაკარგულად ცხადდებოდა შემამულეთა ტყით სარგებლობის აქამდე არსებული წესები. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ დუშეთის, გორისა და რაჭის მაზრები (9); უცვლელად რჩებოდა შემამულეთა სამფლობელოს საზღვრებში მდებარე საძოვრებით სარგებლობის წესები ამ საძოვრების სავალდებულო დაყოფის შესახებ სათანადო კანონის გამოცემამდე (10); ასევე უცვლელად რჩებოდა სარწყავი წყლებით სარგებლობის საფუძვლები (13); არ იყო გამოსასყიდი შემამულეთა მიწების ის ნაწილი, რომელიც საქონლის გასატარებლად იყო გამოყენებული. გლეხს ამ ფართობით მომავალშიც შეეძლო უფასოდ ესარგებლა (15); მწარმოებელი კლასის საკუთრებაში გადასულ მიწებში შემამულეები, გამოსყიდვის აქტის დამტკიცების შემდეგ, ხაზინიდან ლეზულობდნენ თანხას, რომელიც სესხად ეძლეოდა ვალდებულ მდგომარეობიდან გამოსულ პირს მიწისა და თავის დასახსნელად (16); გლეხი, რომელმაც საკუთრებად შეიძინა მიწა ხაზინიდან აღებული ფულით, ვალდებული იყო მთელი ეს თანხა განვადებით გადაეხადა თითოეულ მანეთზე 4,5 ან 6 კაპეიკის ყოველწლიურად შეტანით იმისდამხედვეთ, თუ რა ვადით (56,41 თუ 28 წლით) იყო სესხი აღებული (20).

სანამ ეს პროექტი პეტერბურგს გაიგზავნებოდა, ის განსახილველად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას გადაეცა¹⁸⁶. მათ გულდასმით შეისწავლეს დასახელებული დოკუმენ-

¹⁸⁵ ეს ფასები კი 60-იანი წლების, ე. ი., საგლეხო რეფორმის გატარების დროინდელი იყო.

¹⁸⁶ იქვე, გვ. 216.

ტი, რომელშიაც არაერთი მუხლი ნახეს პრივილეგიებულ წოდებზე ვორონცოვ-დაშკოვის გულწრფელი მზრუნველობის, ცემენტაცი ტურებელი. ამიტომ ქართველმა მემამულეებმა მოიწინავეს მისი წინააღმდეგობის ძირითადი პრინციპები, მაგრამ რიგი არსებითი ხასიათის შენიშვნები გააკეთეს. თბილისის გუბერნიის ყოფილი მებატონეები, მაგალითად, კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდნენ პროექტის მესამე მუხლისა, რომელიც უშვებდა შესაძლებლობას გლეხის მიერ მიწის ფაქტიურ მფლობელობის ფარგლებში გამოსყიდვისა. „Во изменение ст. 3 проекта Совета, — წერდნენ ისინი — мы полагаем, что выкупу должно подлежать только та земля, которая заключена в границах, указанных в уставных грамотах и дополнениях к ним, но ни в коем случае не может быть одобрен принятый советом принцип выкупа надела «по действительному пользованию» в случае отсутствия означенных актов или неуказания в них границ. Если статья на (эту) точку зрения... и произвести выкуп наделов по действительному пользованию, то, несомненно, окончательно обезземелим помещиков и рядом с малоземельным крестьянством создадим дворянский пролетариат»¹⁸⁷.

განგაშით შეხვდა თავადაზნაურობა¹⁸⁸ მეფისნაცვლის იმ წინადადებასაც, რომელიც მოითხოვდა ნადელის გამოსასყიდი თანხის განსაზღვრისას მხედველობაში მიეღოთ 1864 წლის. ე. ი. ბატონყმობის გაუქმების დროინდელი და არა თანამედროვე ფასები და შემოსავალი. „Сам совет заместника константирует, — ნათქვამია მათ კრიტიკულ შენიშვნებში¹⁸⁹, — что... с прекращением отбывания крестьянами земельных повинностей землевладельцы лишены будут тех доходов, которые до этого времени составляли их единственные средства к существованию. Таким образом, совет совершенно правильно ставит вопрос, но почему-то не делает вытекающих из него логически выводов. Раз современные доходы составляют единственный источник их существования, то, по-видимому, нет оснований лишать дворян и землевладельцев (этого) единственного источника... и проектировать выкуп по доходности 1864 года. Ведь речь идет о выкупе, а не о конфискации. Совершить выкуп по доходности периода крестьянской реформы, это значило бы лишить помещиков половины доходов, извлекаемых ими ныне из наделных, т. е. лучших своих земель».

არ გაიზიარეს თბილისის გუბერნიის პრივილეგიური წოდების წარმომადგენლებმა არც ის აზრი, რომ ვალდებულ ურთიერთობა-

¹⁸⁷ იქვე, გვ. 236. შეადარე გვ. 277.

¹⁸⁸ ჯერჯერობით ლაპარაკია მხოლოდ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობაზე.

¹⁸⁹ СХАО, ტ. IV. გვ. 242.

თა ლიკვიდაციისა და ნადელების საკუთრებად შესყიდვის მოტივით ხარჯები ვლენებს აენაზღაურებიათ. ასეთ ღონისძიების დასახვა მათი სიტყვით, იქნებოდა უპერსპექტივო და გაუმართლებელი მწიფობრივი თვალსაზრისით, რადგანაც უღონო ქართველი მიწის მუშა ვერ შეძლებდა ამ ტვირთის აწევას და თუ ვინმე ამას მოინდომებდა — საბოლოოდ განადგურდებოდა. ერთადერთ გამოსავალს ისინი ხედავდნენ იმაში, რომ ეს ხარჯები მთლიანად ხაზინას მიეღო თავის თავზე¹⁹⁰. გამონაკლისს უშვებდნენ თბილისის გუბერნიის მუსულმანური მოსახლეობის მიმართ, რომელსაც ვითარცა ეკონომიურად უფრო ძლიერს, საკუთარი სახსრებით უნდა შესყიდა ნადელები¹⁹¹.

აუცილებელი იყო, მათი აზრით, საბალახე — საძოვარი ადგილებით სარგებლობის წესების შეცვლა, რასაც ხელუხლებლად ტოვებდა ნამესტნიკის პროექტი. ამ წესების უცვლელად დატოვება, შენიშვნების ავტორთა სიტყვით, იმას ნიშნავდა, რომ გლეხს მომავალშიც უფლება ჰქონოდა ეძოვებინა თავისი საქონელი „მემამულის ყველა მიწაზე“¹⁹². ისინი მოითხოვდნენ მთავრობისაგან ამ საქმის ისე მოგვარებას, რომ უზრუნველყო როგორც მემამულის. ისე სოფლის მშრომელი მოსახლეობის „საკუთრების ხელუხლებლობა“¹⁹³. ამას, აცხადებდნენ ისინი, დასჭირდება გარკვეული მსხვერპლის გაღება ისედაც დაბეჩავებულ და მცირემიწიან პრივილეგიური წოდების მხრივ, მაგრამ ის ამაზე უყოყმანოდ წავა, დარწმუნებული იმაში, რომ „лучше иметь 5 десятин необременной никакими сервитутами земли, чем 100 десятин сервитутной.... про которую невозможно сказать—своя или чужая

¹⁹⁰ «Переходя за сим к рассмотрению весьма важного и существенного положения — к вопросу о средствах осуществления принудительного выкупа наделов, считаем долгом заявить, что по этому вопросу совершенно расходимся с мнением Совета, законопроект которого покоится на принципе выкупа крестьянами земель своими средствами при содействии правительства. Мы же полагаем, что такое направление вопроса не может быть оправдано задачами государства и интересами края... Возлагать бремя выкупа за временнообязанных крестьян, малоземельных и экономически разоренных, мы не решаемся рекомендовать правительству. Равным образом, несяя рекомендовать дворянству ступить наделыные земли своим крестьянам бесплатно ввиду всем известного печального экономического состояния дворянства Тифлисской губернии. Мы поставлены в необходимость рекомендовать правительству отвести ликвидацию обязательных отпущенной за счет государственной казны» (СХАО, т. IV, стр. 262).

¹⁹¹ СХАО, т. IV, стр. 262.

¹⁹² იქვე, გვ. 245.

¹⁹³ იქვე, გვ. 246.



ონა¹⁹⁴. აქედან გამომდინარე, „გულუბვი“ ქართველი მემათავლები/თანახმანი იყვნენ მიეცათ გლეხებისათვის უფასოდ საძოვარი პედაგოგიური ლები 1,5-დან 3-დესეტინამდე¹⁹⁵.

დასასრულ, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა, განსხვავებით მეფისნაცვლის პროექტისაგან, აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ გორისა და დუშეთის მაზრის მთიან რაიონებში გლეხთა მუდმივ სარგებლობაში მყოფი საძოვრები და ტყის მასივები გამოსყიდვის წესებს დაქვემდებარებოდნენ, ე. ი. გადასულიყვნენ მწარმოებელი კლასის საკუთრებაში, ცხადია, ამ ღონისძიების ვატარებით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურებით¹⁹⁶.

როგორც ვხედავთ, ყველა ეს შენიშვნა ერთ მიზანს ემსახურებოდა — მაქსიმალურად დაეცვა შემამაჟულეთა ინტერესები. თვით ამ შენიშვნების საფუძველზე შედგენილი პროექტის¹⁹⁷ მეხუთმეტე მუხლიც კი, რომელიც რეფორმის ხარჯების დაფინანსებას ხაზინას ავალებდა, იმავე მიზანს ემსახურებოდა. მისი კანონში შეტანით პრივილეგიური წოდება ცდილობდა ვალდებულ ურთიერთობათა ლიკვიდაციით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება უფრო გარანტირებული ყოფილიყო და არ დაეკისრებოდა ეკონომიურად უძლურ სოფლის მშრომელ მოსახლეობას.

მეფისნაცვლის პროექტი, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, განსახილველად ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობასაც გადაეცა. მან გულდასმით შეისწავლა ეს დოკუმენტი და თავისი აზრი წერილობით მიართვა კავკასიის ადმინისტრაციას¹⁹⁸. მაგრამ ჩვენ მასზე სპეციალურად არ ვჩერდებით, რადგანაც ის ძირითად საკითხებში თითქმის მთლიანად ემთხვევა თბილისის გუბერნიის შემამაჟულეთა თვალსაზრის. განსხვავება მხოლოდ დეტალებში იგრძნობა¹⁹⁹.

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ ეს მათ შორე წარდგენილ პროექტში ასე იყო ჩამოყალიბებული: „Бесплатно, без всякого вознаграждения помещика производится прирезка крестьянам из специальных пастбищ, где крестьяне имеют пастбищный сервитут, по 3 десятины на каждый уставный двор. В тех же имениях, где нет специальных пастбищ и где крестьяне пасут домашний и рабочий скот на паровых полях и пашнях по снятии урожая, производится прирезка из собственных земель помещика по 1,5 дес. на каждый уставный двор, по возможности близ крестьянских наделов» (СХАО, т. IV, стр. 278).

¹⁹⁶ იხ. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის პროექტის მე-12 მუხლი (СХАО, т. IV, стр. 279).

¹⁹⁷ პროექტის სრული ტექსტი იხ. СХАО, ტ. IV, გვ. 277—283.

¹⁹⁸ СХАО, т. IV, стр. 284—304.

¹⁹⁹ საძოვრებით სარგებლობის საკითხში, მაგალითად, ორივე გუბერნიის თავადაზნაურობა ერთსა და იმავე თვალსაზრისზე იდგა, ორივეს შეუძლებლად

ეტყობა, ვორონცოვ-დაშკოვს დიდი ანგარიში არ გაუწევია ქართველ თავადების შენიშვნებისათვის და პროექტი თითქმის უცვლელად პეტერბურგს გაუგზავნია. იქ სახელმწიფო სათათბირის განილებით ხსენებული დოკუმენტი საადგილმამულო კომისიისთვის გადაუციათ და წერილობით დასკვნის წარმოდგენა უთხოვიათ. დასახელებულ კომისიას ის სპეციალურად მოწვეულ სამ სხდომაზე განუხილია²⁰⁰ და დადებითი დადგენილება გამოუტანია. დადებითი იყო, მაგალითად, მისი დადგენილება ვალდებულ ურთიერთობათა ლიკვიდაციის ხარჯების ვლებებზე დაკისრების შესახებ. „По изложенным соображениям. — ვკითხულობთ სხდომის ეტრანლში, — нельзя... не придти к заключению, что единственным правильным, отвечающим законам и установившейся практике и в то же время наиболее обеспечивающим успешное завершение предпринимаемой реформы способом разрешения поставленного на очередь вопроса, является предоставление закавказским крестьянам земли за определенный выкуп на тех же, в общем, основаниях, какие в свое время были применены во внутренних губерниях России».

ასევე დადებითი იყო კომისიის დამოკიდებულება პროექტის იმ მუხლისადმი, რომელიც გამოსასყიდი თანხის განსაზღვრისას მოითხოვდა მხედველობაში მიეღოთ არა თანამედროვე, არამედ სამოციანი წლების, ე. ი. ბატონყმობის ვაჟქმების დროინდელი ფასები. „Установление... выкупных цен, — ნათქვამია იმავე დოკუმენტში²⁰¹, — должно быть сделано соответственно ценам первого года крестьянской реформы и притом навсегда до времени выкупа, за исключением чрезвычайных случаев.

მაინდა არსებული წესების უცვლელად დატოვება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პირველი საჭიროდ სთვლიდა გლეხს დამატებით საძოვრებიც მისცემოდა, ხოლო მეორე კი — უარს ამბობდა რა ყოველგვარ მსხვერპლის ვალეზაზე, საბალახოებით თავისუფლად სარკებლობის უფლების უბრალოდ აკრძალვას მოითხოვდა. „В Кутаисской губернии, — წერდნენ ისინი, — не существует особых пастбищных мест, общих у помещиков с крестьянами или особо отведенных последним. Крестьянский скот повсюду пасется на крестьянских же наделных землях, а также на соседних помещичьих по снятию с них урожая или когда они лежат под паром. Узаконить право крестьян на дальнейшую пастьбу своего скота на помещичьих землях, с воспрещением помещикам распашки их, или устройства иного хозяйства, равносильно даровой экспроприации их в пользу крестьян» (СХАО, т. IV, стр. 302).

²⁰⁰ სხდომები მომდინარეობდა 1911 წლის 1-ლ დეკემბერსა და 1912 წლის 28 და 30 იანვარს (СХАО, т. IV, стр. 538).

²⁰¹ СХАО, т. IV, стр. 544.

²⁰² იქვე, 83- 549.

საადგილმამულო კომისიის დადებით დასკვნას მხარი დაუჭირა სახელმწიფო სათათბიროს საფინანსო კომისიამაც, რომელმაც პროექტის ტექსტში მხოლოდ რედაქციული ხასიათის ცვლილებები შეიტანა²⁰³.

ამის შემდეგ, კანონპროექტი სახელმწიფო საბჭომ მოიწონა, ხოლო 1912 წლის 20 დეკემბერს იგი უმაღლესად დამტკიცდა. მიღებულ იქნა კანონი „Об обязательном выкупе временнообязанными крестьянами и водворенными в населенных имениях частных лиц государственными поселенцами их наделов в собственность в губерниях Тифлисской, Кутаисской, Эриванской, Елисаветпольской и Бакинской“²⁰⁴, რომელიც 1911 წლის 1-ლ იანვრიდან, ვორონცოვ-დაშკოვის უკანასკნელი პროექტის ძირითად პრინციპების სრული გათვალისწინებით²⁰⁵, გაუქმებულად აცხადებდა დროებითვადებულ გლეხთა ინსტიტუტს, ამ რეფორმით გამოწვეული მთელი ხარჯების სოფლის მშრომელ მოსახლეობაზე დაკისრებით (მუხ. 1).

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ კანონის შემუშავება-მიღების პროცესში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა შეხედულებათა შეჯახებას, რომელშიაც საბოლოოდ ეგრეთ წოდებულმა სახელმწიფოებრივმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა. სწორედ ამ თვალსაზრისის გამარჯვებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო ორგანოებმა მთლიანად უარყვეს შემამულეთა მოთხოვნა რეფორმისთან დაკავშირებულ ხარჯების ხაზინაზე დაკისრების შესახებ. ამასვე ადასტურებს პრივილეგირებული წოდების მეორე, ასევე ფრიად მნიშვნელოვანი წინადადების უარყოფის ფაქტიც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს წინადადება გამოსასყიდი თანხის განსაზღვრის დროს ეხელმძღვანელათ მხოლოდ თანამედროვე, ე. ი. უკანასკნელი წლების ფასებით.

20 დეკემბრის კანონის მიღებისას დიდი როლი ითამაშა ამიერკავკასიის ქვეყნების კოლონიურმა მდგომარეობამ. სწორედ მათი ასეთი მდგომარეობით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ გლეხს მიწის გამოსყიდვა და ხაზინიდან

²⁰³ იქვე, გვ. 554—557.

²⁰⁴ „Закон о прекращении временно-обязательных и зависимых отношений крестьян и поселен к помещикам и землевладельцам в Тифлисской, Кутаисской, Эриванской, Елисаветпольской и Бакинской губерниях“. Тифлис, 1913 г.

²⁰⁵ ვორონცოვ-დაშკოვის ბოლო პროექტისა და 1912 წლის 20 დეკემბრის კანონის თითქმის სრული იგივეობის გამო ჩვენ ხელს ეიღებთ დასახელებული კანონის მუხლობრივ გარჩევაზე. ამ იგივეობის შესახებ იხ. С. Аваляни, Крестьянский вопрос, т. IV, стр. 134.

აღებული სესხის გადახდა დააკისრეს ეგრეთ წოდებული „ვოლანტი-
პლატეების“ სახით, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი რუსეთში
1907 წლის 1-ლ იანვრიდან უკვე საერთოდ გაუქმებული კანონით
ყოველივე ამას ქართული გლეხი პროტესტით შეხვდა, გამა-
ერდა სოფლად კლასობრივი ბრძოლა,²⁰⁶ რომელიც წინანდებურად
მიწისა და თავისუფლების მოპოვებას ისახავდა მიზნად.

²⁰⁶ ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX—XX სს. ტ. II, გვ.
316—319.

ბანაოფილება გეორგი

სახელმწიფო გლეხები

თავი VI

სახელმწიფო გლეხთა სოციალურ-ეკონომიური
მდგომარეობა და კლასობრივი ბრძოლა

1. სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობა

რეფორმის შემდეგი დროის საქართველოში მიწის ფონდის დიდი ნაწილი ხაზინის საკუთრებას შეადგენდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იმ 3.699.850 დესეტინა მიწიდან, თბილისის გუბერნიაში რომ ირიცხებოდა 1883 წელს¹, 1.787.500 დესეტინა ან 48,3%, ხაზინას ეკუთვნოდა². რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, იქ გასული საუკუნის 80-იან წლებში სულ 1.905.764 დესეტინა³ მიწა ყოფილა, საიდანაც 850.568 დესეტინა⁴ ან 43,2% სახელმწიფო ქონებათა უწყებებს ეკუთვნოდა⁵.

¹ საქართველოს ცენტრალური სისტორიო არქივი (შემდეგში შემოკლებით სცსა), ფ. 244, აღწერა 1, საქმე 55, ფურც. 2.

მიწის ეს ფართობი (3.699.850 დეს.) ამავე 1883 წლის მონაცემების მიხედვით შემდგენილი ნაწილდება: 1.170.000 დესეტინას ან მთელი ფონდის 31,6% ტყის მასივები შეადგენდნენ, 221.991 დესეტინას ან დაახლოებით 6% — გამოუსადეგარი მიწები (მუდმივი თოვლით დაფარული ადგილები, სალი კლდეები და ა. შ. (და, დასასრულ 2.307.865 დესეტინას ან 62,4% — ვარჯისი მიწები. მოკავს რა ეს ცნობები, თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველი ი. ხატისოვი შენიშნავს, რომ სინამდვილეში ვარჯისი მიწების რაოდენობა: გაიკლებით მეტი იყო (სცსა, ფ. 224, აღწერა 1, საქ. 55, ფურც. 2).

² სცსა, ფ. 244, აღწერა 1, საქ. 55, ფურც. 3.

1891 წლის ცნობით კი თბილისის გუბერნიაში ხაზინას 2.415.940 დესეტინა საერთო ფონდის 58,59% ეკუთვნოდა (სცსა, ფ. 17/34, საქ. 8769-ა, ფურც. 163—172).

³ „Кавказский календарь“ на 1885 г., отл. III, გვ. 237.

⁴ აქედან 500.002 დესეტინა ტყეებს სჭერია.

⁵ „Кавказский календарь“ на 1885 г., отл. III, გვ. 236.

ზემოთ მოტანილი სტატისტიკური ცნობები, რა თქმა უნდა მხოლოდ მიახლოებითაა და მაქსიმალურ სიზუსტე-სისრულეს ვერ დაიჩვენებენ. იძლევა რა ამის შესახებ სათანადო გაფრთხილებებს ვერ -კავკასიის კალენდარი⁶ წერს, რომ „предпологаемые... цифри считаются только отдалено приблизительными и помещаются в календаре лишь за наименеем более точных данных“⁶.

გამომდინარე ამ არც თუ ისე ზუსტი მონაცემებიდან, ორივე გუბერნიის მიწის ფონდი (აჭარისა და აფხაზეთის გამოკლებით) შე- იძლება 5.605.620 დესეტინით განისაზღვროს, საიდანაც 2638.068 დესეტინა ან საერთო ფართობის დაახლოებით 47% ხაზინის კუთ- ვნილება იყო. აი ეს ფონდი გააჩნდა სახელმწიფოს თავისი ხელქვე- ითი გლეხების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ, როგორც ირკვევა, მიწის აღნიშნული რაოდენობა მხოლოდ ნაწი- ლობრივ ყოფილა გამოყენებული სახაზინო გლეხთა ეკონომიური ცხოვრების უზრუნველსაყოფად, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხსენებუ- ლი მიწების თითქმის ერთ მეხამედს⁷ ტყის მასივებით დაკავებული და მეურნეობისათვის სრულიად უვარგისი ადგილები შეადგენდ- ნენ და მეორე, მათი საგრძნობი ნაწილი ხელშეუხებლად ითვლე- ბოდა, როგორც საკოლონიზაციო ფონდი. ამ გარემოებათა გამო- თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახელმწიფო გლეხთა მოსა- მარაგებლად (გერმანელი კოლონისტების ჩათვლით) სულ 946.237 დესეტინა მიწა⁸ ან სახაზინო მიწების საერთო რაოდენობა 35,9% იყო გამოყენებული. გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით ეს მიწე- ბი შემდეგნაირად ნაწილდებოდა (იხ. ცხრილი 1).

თუმცა ეს ცხრილი თავისთავად ძალიან საინტერესოა გუბერ- ნიებსა და მაზრებში სახაზინო მიწების საერთო რაოდენობის გამო- სარკვევად, მაგრამ ის არ იძლევა არავითარ წარმოდგენას სახელმ- წიფო გლეხების მიწით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ. ამ ხარვეზს აესებს ქვემოთ მოტანილი კონკრეტული მასალა. გასუ- ლი საუკუნის 80-იან წლებში, შეგროვილი ცნობების თანახმად, ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის გლეხის თითო კომლზე და

⁶ „Кавказский календарь“ на 1885 г., от 9-X, стр. 235.

⁷ საქართველოს ორივე გუბერნიაში მარტო ტყეებს 1883 წელს 1.063.438 დესეტინა ფართობი სჭირა („Кавказский кален. а. в.“ на 1885 г., отд. IV, стр. 2).

⁸ Свод материалов для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края (შემდეგში შემოკლებით—СМИЭБГКЗК). Т. II, стр. 240.


 ՀԱՅԿՏԵՐԴՈ
 ՀԱՅԿՈՒԹՅՈՒՆ

Զեպես հարցազնուած ճշտեցումներ

Ներկայացնող անվանում	Զեպես հարցազնուած ճշտեցումներ							
	Կարգաթիվ	Կանխ-կաշիվ	ՕՏ	Կանխաձեռնում		Խառն	Կանխիկ ըստ պայմանագրի	ԿԸԸ
				Կանխիկ	Չկանխիկ			
Վերջին								
Վերջին	956,97	1878,36	890,40	4632,07	38968,19	11805,83	33393,64	93436,68
Վերջին	814,80	403,80	—	383,00	44388,70	11197,70	33974,80	90934,20
Վերջին	184,30	433,10	—	3470,78	7458,38	793,70	10088,38	23206,43
Վերջին	701,68	436,19	—	951,00	39732,87	17337,13	32932,17	110478,33
Ընդամենը	408,80	754,36	18,48	8869,07	8443,31	310,99	4372,33	70434,51
Ընդամենը	380,88	321,39	5136,94	804,18	30008,99	4304,08	43321,34	84454,44
Կանխիկ	4185,07	3097,36	—	3344,34	80003,78	8060,31	93869,02	194314,97
Չկանխիկ	1193,28	3775,28	—	44,78	18472,28	—	3178,10	28662,64
Ընդամենը	984,83	91,63	12970,30	138,90	8848,31	2911,34	304911,87	330576,30
ԿԸԸ	9778,02	11340,74	19033,99	18988,83	287494,98	57130,17	484041,06	837518,31
Չկանխիկ								
Չկանխիկ	2821,76	2816,77	12133,27	—	34353,17	121,72	3370,87	45530,28
Կանխիկ	302,78	322,64	1933,24	—	3378,33	—	—	3076,16
Չկանխիկ	87,00	173,64	417,06	—	685,71	6,50	—	1338,96
Կանխիկ	706,70	1124,80	2325,58	—	4068,38	—	—	8433,36
Կանխիկ	314,30	639,84	1232,06	—	3253,75	498,86	167,13	5991,04
Կանխիկ	470,37	1066,30	183,88	—	4878,50	—	142,58	6921,40
Կանխիկ	984,30	3889,30	3848,13	—	7941,41	8,24	—	15481,33
ԿԸԸ	8686,39	9006,36	22081,30	—	43658,30	634,83	3460,58	88773,48
Վերջին ընդամենը	15427,24	20647,12	41114,93	18988,83	303151,89	57768,00	487703,64	946291,94



სულზე მოდიოდა საშუალოდ შემდეგი რაოდენობის სანადგლო მიწა⁹ (იხ. ცხრილი 2).

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში თითო კომლზე საშუალოდ მოდიოდა 17,67 დესეტინა ყველა სახის მიწა. ხოლო სახნავ-სათესი და საბაღე-სავენახე — 5,99 დესეტინა. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, მდგომარეობა გაცილებით უარესი იყო. სახაზინო გლეხის თითო ოჯახს იქ საშუალოდ 2-ჯერ და მეტ-ჯერ ნაკლები სახნავ-სათესი და 4-ჯერ ნაკლები ყველა სახის მიწა ვააჩნდა.

ცხრილი 2

გუბერნიების დასახელება	მოდიოდა მიწა (დესეტინობით) გერმანელი კოლონისტების გამოკლებით ¹⁰			
	საშუალოდ თითო კომლზე		საშუალოდ ორივე სქესის თითო სულზე	
	ყველა სახის (კარმილამო, ტყე, ბაღი, სახნავი, საძოვარი) უვარგისი მიწები	მათ შორის სახნავ-სათესი, საბაღე-სავენახე	ყველა სახის (კარმილამო სახნავი, საძოვარი, ბაღი, ტყე) უვარგისი მიწები	მათ შორის სახნავ-სათესი, საბაღე-სავენახე
თბილისის	17,67	5,89	2,76	0,92
ქუთაისის	4,23	2,70	0,64	0,41

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად აკმაყოფილებდა მიწის ეს რაოდენობა მშრომელი კაცის მოთხოვნილებას, უნდა ვიცოდეთ, რა

⁹ ცხრილი, შედგენილია დ. შარკოვის სტატიის „Земельное довольствие государственных крестьян Закавказского края“—მიხედვით, СМИБГКЗК, т. II, გვ. 261—262, 263—264.

¹⁰ თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხების მიწის ფართობში იფუნქციონებდა მხოლოდ სანადგლო მიწები, რომელიც ხაზინას ეკუთვნოდა. მათ საკუთარი მიწებიც ვააჩნდათ, მაგრამ შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით. სულ სხვანაირი გუბერნიის სახელმწიფო გლეხების განკარგულებაში (ეკრძო პირთაგან იქარით აღებული ნაკვეთების გარეშე) 867.276 დესეტინა მიწა უოფილა. აქედან 857.518 დესეტინა ან საერთო ფონდის 98,86%—ხაზინის და 9758 დესეტინა ან საერთო რაოდენობის 1,14% —საკუთრივე გლეხების (იხ. ი. შედევის „Справочная записка“, მისი მოხსენების დანართი).

რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიის გლეხების მიწის ფართობს, მასში შეტანილია ორივე კატეგორიის მიწა — როგორც საკუთარი, ისე ხაზინის. მათი საერთო რაოდენობა 88.719 დესეტინას უდრია. აქედან გლეხები თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ 43.912 დესეტინას ან მთელი ფონდის 48% (ი. შედევის „Справочная записка“; შედარე Ф. Т. Марков, Земельное довольствие государственных крестьян Закавказского края. СМИБГКЗК, т. II, გვ. 236).

სხვა ცნობით კი გლეხის სარგებლობაში მყოფი მიწების 47,8% სახაზინო უოფილა, 28,33% —საკუთარი და 23,87% —ხაზინასთან თუ ეკრძო პირებთან

ფართობი იყო საერთოდ საჭირო (ქვეყნის კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმპროვიზაციის დონის გათვალისწინებით) იმისათვის, რათა ქართველ გლეხებს ერჩინათ თავისი ოჯახი და მოეხადა მრავალგვარი ვალდებულება სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ამასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ამიერკავკასიის რწმუნებულის „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“ ი. მედვედევის ორი მოხსენება... „Записка по вопросу об основаниях поземельного устройства государственных крестьян губерний Закавказского края“¹¹ და „Пояснительные примечания к спискам селений казенных крестьян Закавказского края“¹², მედვენილი და წარდგენილი მის მიერ მთავრობისათვის გასული საუკუნის 90-იან წლებში. პირველ დოკუმენტში მოცემულია ავტორის შეხედულებანი სახაზინო გლეხების მიწათმოწყობის საერთო პრინციპების შესახებ, ხოლო მეორეში — თბილისის და ქუთაისის გუბერნიების სახელმწიფო გლეხებით დასახლებული სოფლების ჭგუფებად დაყოფა მათი მდებარეობის, კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებისა და მოსახლეობის საქმიანობის მიხედვით. თითოეული ამ ჭგუფისათვის მედვედევს დასახლებული აქვს ნორმა სახნავ-სათესი, საკარმიდამო, საბაღე-სავენახე და სათიბ-საძოვარი მიწებისა, რომელიც მისი აზრით, აუცილებელი იყო გლეხის ოჯახის მინიმალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. საშუალო სამაზრო და საგუბერნიო ნორმები ხსენებულ დოკუმენტებში მოცემული არ არის, მაგრამ მათი გაანგარიშება, ცხადია, სიძნელეს არ წარმოადგენს. ი. მედვედევის აზრით, როგორც ჩანს ამ გაანგარიშებიდან, თბილისის გუბერნიაში სახაზინო გლეხის თითო ოჯახს უხდა ჰქონოდა ნადელი არა ნაკლებ 18 (19) დესეტინისა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 11 (12) დესეტინისა¹³. ამაში იგულისხმებოდა ვარ-

სადავო (Свод статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях (С.Д.З.Т.К.Г.), под редакцией Е. Кондратенко Тифлис, 1893, стр. 11; პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. II, თბილისი, 1956, გვ. 6593).

¹¹ გამოქვეყნებულია ჩვენს მიერ წიგნში „Реформа поземельного устройства государственных крестьян Закавказья в конце XIX века“. Сухуми, 1952, გვ. 27—74.

¹² სცხა, ფ. 12, აღწ. 11, საქმე 311.

¹³ ამ ნორმების მიხედვით, ორივე სქესის თითო სულს (საშუალოდ) ვველასახის ვარგისი მიწა უნდა ჰქონოდა: თბილისის გუბერნიაში—2,7 დესეტინა, ქუთაისის—1,55 დესეტინა.

ნორმის შედარებით სიდიდე პირველ შემთხვევაში აიხსნება იმ განსაკუთრებული როლით, რომელსაც თამაშობდა მეცხოველეობა თბილისის გუბერნიის ეკონომიურ ცხოვრებაში. ი. მედვედევის გამოანგარიშებით, აღმოსავლეთ სა-



გისი მიწების ყველა სახე — საკარმიდამო, სახნავი, საბაღე, სავენახე, საბოსტნე, სათიბი და საძოვარი ადგილები, ე. ი. ყველა მიწის ტყის მასივის გამოკლებით. აქედან მარტო სახნავ-სათეს და საბაღე-სავენახე მიწებს მოხსენებითი ბარათის ავტორი უთმობდა: თბილისის გუბერნიაში — 8 დესეტინას, ქუთაისის გუბერნიაში — 10 დესეტინას¹⁴.

ამ ნორმების სახელმწიფო გლეხთა ფაქტიურ მიწათმფლობელობასთან შედარება გვიჩვენებს, რომ მწარმოებელი კლასის ჩვენთვის საინტერესო კატეგორიას მიწა საკმაო რაოდენობით არ ჰქონია არც აღმოსავლეთ, არც დასავლეთ საქართველოში. ეს ითქმის როგორც ვარგისი მიწების ყველა სახის, ისე, კერძოდ, სახნავ-სათესი და საბაღე-სავენახე ნაკვეთების შესახებაც. ქუთაისის გუბერნიაში, მაგალითად, ცხრილის თანახმად, სახაზინო გლეხის თითო კომლზე მოდიოდა საშუალოდ 4,23 დესეტინა ყველა სახის მიწა, მაშინ, როდესაც მას, ი. მედვედევის მოხსენების მიხედვით, მარტო ვარგისი მიწა უნდა ჰქონოდა ტყის მასივის გამოკლებით არა ნაკლებ 11—12 დესეტინისა. მეტ-ნაკლები ზომით იგივე ითქმის სახნავ-სათეს და საბაღე-სავენახე მიწების შესახებაც, რომლის ფაქტიური საშუალო საკომლო სიდიდე 2,7 დესეტინას ან საჭირო ნორმის მხოლოდ 27% უდრიდა. თბილისის გუბერნიაში გლეხი შედარებით უკეთ იყო მომარაგებული, მაგრამ სახარბიელო მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არც საქართველოს ამ ნაწილში ყოფილა. საჭიროისა აღენიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ამ მხარეში სახაზინო გლეხის თითო ოჯახზე მოდიოდა 17,67 დესეტინა ყველა სახის მიწა, ე. ი. უფრო ნაკლები, ვიდრე მარტო ვარგისი მიწების საშუალო საკომლო ნორმა, რომელსაც, როგორც აუცილებელ მინიმუმს, ითვალისწინებდა ი. მედვედევი. რაც შეეხება სახნავ-სათეს და საბაღე-სავენახე მიწებს, ის ქართლ-კახეთის სახაზინო გლე-

ქართველოს მაღალმთიან რაიონებში სახაზინო გლეხთა ნადელის 2/3 სათბაძოვრებს უნდა სჭეროდა, საშუალო ზონის რაიონებში — 50% და თბილი ზონის რაიონებში — 40% (И. Г. Антeлaвa, Реформа поземельного устрoйствa гoсуdарствeннaх крeстьян Закавказья в конце XIX вeкa* (მედიდგ შემოკლებით—„Реформа“), გვ. 45).

¹⁴ სულზე განაგარიშებით კი მივიღებთ — 1,25 დესეტინასა და 1,52 დესეტინას.

სახნავ-სათესი და საბაღე-სავენახე მიწის უფრო მაღალი ნორმა ქუთაისის გუბერნიაში აიხსნება იმით, რომ სომინდს, რომელიც დასავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობის წამყვან და მასიურად ვაჭრულდებულ კულტურას წარმოადგენდა, გაცილებით მეტი ფართობი სჭიროდა, ვიდრე ვენახს — კახელი გლეხი საქმიანობისა და შემოსავლის ძირითად წყაროს.



ჩის თითო ოჯახს გააჩნდა დაახლოებით საქირო რაოდენობის (მ დეს.) მხოლოდ 75%.

აქვე უნუგეშო სურათს იძლევა მეღვედევის ნორმების შედარება გლეხთა მიწის მომარაგების ფაქტიურ მდგომარეობასთან ცალკეულ მაზრებში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3*

მაზრების დასახელება	მეღვედევის ნორმით თითო კომლს მარტო ვარგისი მიწა (ტყის ზისივის გამოკლებით) საშუალოდ უნდა ჰქონოდა (დესეტ)	ფაქტურად ჰქონდა აქვეა სახის მიწა (დესეტებით)	ჯველა სახის მიწის ფაქტიური საშუალო საკომლო ნადელი ჯაკელები (-) ან მეტი (+) იყო, ეღვრე შოლოდ. ვარგისი მიწების მეღვედევის ნორმა (დესეტ)
იბილისის	12,90	13,44	+ 0,54
ანაქალაქის	27,20	20,90	- 6,30
ახალციხის	26,80	13,77	-14,07
ზორნალოს	20,60	19,93	- 0,67
გორის	15,87	4,85	-11,02
დუშეთის	25,40	13,76	-15,64
სიღნაღის	10,00	19,33	+ 9,38
თელავის	8,79	4,85	- 3,94
თიანეთის	20,00	43,93	+23,93**
ტყაისის	8,10	5,37	- 2,73
სენაკის	3,50	3,03	- 2,47
ზუგდიდის	5,00	6,16	+ 0,66
ოზურგეთის	7	3,93	- 3,07
რაჭის	16,94	2,81	-14,13
ლესთუმის	25,20	4,00	-21,20
შორაპნის	11,80	3,22	8,58

როგორც ამ ცხრილიდან ირკვევა, ყველა სახის მიწის ფაქტიური საშუალო საკომლო ნადელიც კი ვერ აღწევდა საქართველოს თითქმის ვერც ერთ მაზრაში იმ ნორმამდე, რომელიც, როგორც აუცილებელი მინიმუმი, ვათვალისწინებულ იყო თვით მეფის მოხელეთა მიერ მარტო ვარგისი მიწებისათვის. გამონაკლისს

* ციფრები მოთავსებული მეორე ვრცაში. განგარიშებელია ზენ მიერ მეღვედევის „Пояснительная записка“-ს მიხედვით (რესპ. ფ. 12, აღ. 11, ს. 31 1 ხოლო მესამე ვრცაში — იღებულაა ფ. მარკოვის სტატის დანართიდან იხ. СМНЭВКЗК, т. II, გვ. 366—368).

** რომ ეს მოსახლეობა მიწით უზრუნველყოფის ნამდვილი სურათის გამოხატველი არ არის, იმას მ. შაჩაბლის ცნობაც ადასტურებს, რომლის თანახმადაც თიანეთის მაზრის სახელმწიფო გლეხებით დასახლებულ 207 სოფლიდან სახნავ-სათიბი მიწები ზეთიდან რვა დესეტინამდე მხოლოდ ზეთ სოფელში ჰქონდათ, დანარჩენებში კი — ვაცილებით ნაკლები (СМНЭВКЗК, т. V, ч. I, გვ. 335).



წარმოდგენდნენ თიანეთის, სიღნაღისა და ნაწილობრივ თბილისისა და ზუგდიდის მაზრები, სადაც ამ შეფარდებას რამდენადმე სხვადასხვა გვარი ზასიათი ჰქონდა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ რემოვებას, რომ აღნიშნულ მაზრებში, განსაკუთრებით კი თიანეთის მაზრაში, მიწების საგრძნობი ნაწილი მეურნეობისათვის საერთოდ გამოუსადეგარი იყო¹⁵ და აგრეთვე იმასაც, რომ იქ მოსახლეობის ძირითად ან ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას სამოეარ-საბაღაზე ადგილების დიდი მასშტაბით მომთხოვნი მესაქონლეობა წარმოდგენდა, მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება სახაზინო ვლებთა მიწის სიმცირე თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების იმ რაიონებშიც კი, სადაც მიწა მწარმოებელი კლასის განკარგულებაში თითქოს არც თუ ისე მცირე რაოდენობით იყო თავმოყრილი.

ზემოთ მოტანილი მასალა, თუმცა თავისთავად ძალიან საინტერესოა, მაგრამ ის, ბუნებრივია, არ იძლევა წარმოდგენას მიწის ფონდის განაწილებაზე ცალკეულ სოფლებსა და კომლებს შორის, რაშიც, თანამედროვეთა მოწმობით, მკვეთრი უთანაბრობა შეიმჩნეოდა. „Распределение земли между казенными крестьянами, — ვკითხულობთ თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველის 1885—1886 წლების ანგარიშში¹⁶, — вообще крайне неравномерно; оно не только не согласуется с местными сельскохозяйственными условиями в различных районах губернии, но оно неравномерно даже в местностях с совершенно одинаковыми земельными условиями. Размеры подыменных наделов измеряются от 40 и даже более десяти до нескольких квадратных саженей, не говоря уже о 2000 почти душ мужского пола, совершенно безземельных“. ამასვე ადასტურებს თავის მოხსენებაში სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ა/კავკასიის რწმუნებული. „Между тем, — წერს ის, — размеры пользования казенною землею отличаются крайнею неравномерностью: подыменные наделы видоизменяются в несоразмерно больших пределах, начиная от нескольких сот квадратных саженей и кончая ко-

15 მ. შანაბლის მოწმობით, თიანეთის მაზრის სახელმწიფო ვლებების სარგებლობაში მყოფი მიწის ფონდის 88,87% სამოეარი ადგილები და სრულიად უფარვისი მიწები შეადგენდნენ (М. В. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Тiftonского уезда. Свод материалов для изучения Экономического быта государственных крестьян Закавказского края (შემდგენი შემოკლებით МИЭБГКЗК, т. V, ч. 1, გვ. 150). თუ რამდენი იყო თითოეული მოეარის ცალ-ცალკე, საწმუნაროდ, არაა ცნობილი.

16 სესა, ფ. 244, აღწ. 1, საქ. 44 ფურც. 8.

lichestvom desyatini, dochodiasim do 70^a (ЦГИАГ, ф. 243, от. 1, д. 14, л. 279 об.).



თანამედროვეთა ამ რამდენიმე ზოგად განცხადებას ვუთხრობტებენ ვასული საუჯუნის 80-იან წლებში შეგროვილი ცნობები. ამ ცნობების თანახმად თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხებით დასახლებული სოფლები საკომლო ნადელების სიდიდის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ (იხ. ცხრილი¹⁷).

ცხრილი 4

თბილისის გუბერნია	სახ. მღუბებით დასახლებული სოფლების საერთო რაოდენობა გერბანულ კოლ. გამოკლებით	არ ქონდა სანადელო მიწა	ქონდა ნადელი					50-დესეტიანი-ზე მეტი
			5-დესეტინა-მდე	5-დან 10 დესეტინამდე	10-დან 16 დესეტინამდე	16-დან 25 დესეტინამდე	25-დან 50 დესეტინამდე	
			სოფლების რაოდენობა და პროცენტები					
932	11	213	193	123	120	152	120	
100,0%	1,18%	22,85%	20,70%	13,19%	12,87%	16,30%	12,87%	

კინაიდან ამ ცხრილში მოქცეულია ყველა სახის მიწა, ამიტომ ძალიან ძნელია, და შეიძლება ითქვას შეუძლებელიც, ვიჭონოთ სრული და სწორი წარმოდგენა ცალკეული სოფლებისა და გლეხთა კომლების მიწით უზრუნველყოფაზე. თავისთავად დიდი საშუალო საკომლო ნადელი კიდევ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მისი მფლობელი უყოყმანოდ უზრუნველყოფილთა ჩგუფს მივაკუთვნოთ. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გამოჩვენებას, თუ რისგან შედგება ეს ნადელი, რამდენია მასში საერთოდ უვარგისი, მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწა, როგორია ვარგისი მიწის ხარისხი, რისთვის შეიძლება მისი გამოყენება და სხვ. ცხრილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთ ცნობებს არ შეიცავს და ამდენად ის უსათუოდ ნაკლებია, მაგრამ უკეთესის უჭონლობის გამო ისევ მას უნდა მივმართოთ.

¹⁷ СМИБГКЗК, т. II, стр. 267.

¹⁸ სახელმწიფო გლეხებით დასახლებული სოფლების რაოდენობა (გერბანული კოლონიზატების გარეშე) იყო 934 და არა 932, როგორც ცხრილშია ნაჩვენები. ეს განსხვავება აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ ცხრილში ფ. მარკოვს არა აქვს შერჩენილი სოფელი შოდიგია (ახალქალაქის მაზრა), მისი მკვიდრი მოსახლეობის უარსის ოლქში გადასახლების გამო და სოფელი კობი (ვორის მაზრა), რომლის გლეხები „слаот весь свой падел в аренду, а сами проживают в разных местах уезда, почему число их исследованием не приведено в известность.“ (იხ. ფ. მარკოვის დასახ. ნაშრომი, СМИБГКЗК, т. II, стр. 267)-



ცხრილიდან პირველ ყოვლისა ირკვევა, რომ თბილისის გუბერნიის 932 სოფლიდან, სადაც სახელმწიფო გლეხები მოსახლეობდნენ, თერთმეტში ან საერთო რაოდენობის 1,18% მწიკდის კლასის ჩვენთვის საინტერესო კატეგორიას ნადელი სრულებით არა ჰქონია. 213 სოფელში (22,85%) გლეხის თითო ოჯახზე მოდიოდა საშუალოდ 0,5—5 დესეტინამდე მიწა, 193 სოფელში (20,70%)—5—10 დესეტინამდე, 123 სოფელში (13,19%)—10—16 დესეტინამდე, 120 სოფელში (12,87%)—16—25 დესეტინამდე, 152 სოფელში (16,30%)—25—50 დესეტინამდე და უკანასკნელ 120 სოფელში (12,87%)—50 დესეტინაზე მეტი. სხვანაირად რომ ვთქვათ, თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხებით დასახლებულ 11 სოფელში ხაზინის მიერ ნადელის სახით არც ერთი საექენი მიწა არ ყოფილა გამოყოფილი. 529 სოფელში კი, ან საერთო რაოდენობის 56,65%, გლეხის საშუალო საკომლო ნადელი 1-დან 16 დესეტინამდე მერყეობდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ ფართობში შედის ყველა სახის მიწა, მათ შორის მეურნეობისათვის აშკარად გამოუსადეგარი და ტყის მასივი, და თანაც გავიხსენებთ იმას, რომ თვით მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებსაც კი ბარტო ვარვისი მიწების მინიმალურ საკომლო ნორმად მიაჩნდათ ნაკვეთი არა ნაკლებ 18 დესეტინისა, მაშინ ნათელი გახდება ის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიაც უხდებოდათ ცხოვრება ბუნებური 529 სოფლის სახელმწიფო გლეხებს. მათი ერთა ნაწილი ძალზე ცუდად იყო დაკმაყოფილებული, მეორე — შედარებით უკეთესად. მაგრამ არც ერთი მათგანი მიწის საჭირო ნორმით არ იყო უზრუნველყოფილი. დანარჩენი სოფლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ისეთები, სადაც საშუალო საკომლო ნორმა 50 დესეტინას აღემატებოდა. ასეთების რიცხვი სულ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 120 იყო და სახაზინო გლეხებით დასახლებული სოფლების საერთო რაოდენობის 12,87% შეადგენდა¹⁹.

თუ სად, თბილისის გუბერნიის რომელ მხარეში, მდებარეობდნენ ეს შედარებით მიწით მდიდარი სოფლები, ან საერთოდ რაწაირი მდგომარეობა იყო შექმნილი ცალკეულ მაზრებში სანადელო ნაკვეთების მხრივ. ამას მკაფიოდ გვიჩვენებს ცხრილი 5, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების სინამდვილეს ასახავს.

ყველაზე მძიმე მდგომარეობა, როგორც ჩანს, გორის მაზრაში ყოფილა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ მაზრის 9 სოფელში ან სახელმწიფო გლეხებით დასახლებული სოფლების საერთო რაოდენ-

¹⁹ СМІЭБГКЗК. т. II. 371.



თბილისის გუბერნიის მაზრების დასახელება	სახ. მკვლევებით დასახლებ. სოფლებში რიცხვი	ყველა სახის მიწის საკომლო ნადელის სიდიდე (დესეტინამდე) II																			
		0	1/2-1	1-2	2-3	3-4	4-5	5-6	6-7	7-8	8-9	9-10	10-12	12-14	14-16	16-18	18-20	20-25	25-30	30-40	
თბილისის	52	2	1	2	3	4	1	3	4	2	—	4	4	4	5	4	—	5	3	1	
აბაღვათის	70	—	—	1	—	—	—	1	—	—	—	1	2	8	7	10	4	6	9	6	4
აბაღვათის	69	—	—	1	—	—	—	1	3	3	4	3	2	12	2	2	6	3	5	10	6
ბორჩალოს	98	—	—	—	2	1	2	3	3	3	3	5	11	3	5	5	2	13	12	14	
გორის	123	9	5	12	17	14	8	10	2	5	6	9	1	4	1	—	—	—	—	—	
დუშეთის	219	—	1	2	8	31	32	29	11	13	14	9	9	8	6	2	10	2	7		
სიღნაღის	46	—	2	3	4	2	—	3	—	3	2	1	1	3	2	—	7	1	—	8	
თელავის	50	—	—	4	8	9	5	5	3	1	3	2	—	2	1	2	1	2	2	—	
თიანეთის	207	—	—	1	2	8	7	9	2	1	1	1	3	1	—	7	1	14	11	38	
სულ გუბერნიისა	934	11	9	26	44	72	62	64	36	29	32	32	57	31	35	31	24	65	46	79	147

ნობის 7,32%, სანადელო მიწა საერთოდ არ ყოფილა²¹, 65 სოფელში კი (მათი ზვედრითი წონა 52,84% უდრიდა), სადაც გლეხის თითო ოჯახზე მოდიოდა საშუალოდ 1—2-დან 5 დესეტინამდე ყველა სახის მიწა, მკვეთრი მცირემიწიანობა იგრძნობოდა და მშრომელი მასა უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. სახარბიელო მდგომარეობა არც თელავის მაზრაში ყოფილა. აქაც იმ სოფლების ზვედრითი წონა, სადაც საშუალო საკომლო ნადელი 5 დესეტინას არ აღემატებოდა, 52% უდრიდა. მძიმე ვითარება ჩანს აგრეთვე დუშეთის მაზრაშიც. მის 219 სოფლიდან 74-ში (ან საერთო რაოდენობის 33,7%) საგლეხო მიწის ფართობი ასევე მეტად მცირე იყო და ნახევარსა და ხუთ დესეტინას შუა მერყეობდა. ხსენებულ მაზრებს უმნიშვნელო ზომის (5 დესეტინამდე) საშუალო საკომლო ნადელის მქონე სოფლების ზვედრითი წონის მხრივ მისდევდნენ: თბილისის მაზრა (21,15%, უნადელო სოფლების ჩათვლით კი 25%),

* СМНЭБГКЗК. т. II, 371.

²⁰ ამ ცხრილის იმ გრაფაში, რომელშიაც სახაზინო გლეხებით დასახლებული სოფლების საერთო რაოდენობაა ნაჩვენები, ფ. მარკოვს შეტანილი აქვს სოფლები მოდიგია და კობი, გამორიცხულია მესამე ცხრილის შესაფერისი გრაფიდან.

²¹ გორის მაზრის აღნიშნულ 9 სოფელში ცხოვრობდა 1024 მამრობითი სქესის უნადელო სახელმწიფო გლეხი ან თბილისის გუბერნიის უმიწაწელო სახაზინო გლეხების საერთო რაოდენობის (2034 მამრობითი სქესის სული) 50,3% (С.С.ДЗТКГ, под редакцией Е. Кондратенко. Тифлис, 1893, стр. 10).

თიანეთის (8,69%), სიღნაღის (2,30%), ბორჩალოს (2,04%), ახალციხის (1,44%) და, დასასრულ, ახალქალაქის (1,43).

ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ უნადელო და უკიდურესად რბილი სოფლები გამოვყავით და არაფერი გვითქვამს ისეთებზე, რომელთაც შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ, მეტი ფართობიც გააჩნდათ, მაგრამ უზრუნველყოფილად მაინც არ ითვლებოდნენ. თუ ახლა გავაერთიანებთ ყველა ამათ და მოვაქცევთ ერთ ჯგუფში, მივიღებთ უმიწო, უკიდურესად მცირემიწიან და მიწების არა საკმარაო რაოდენობის მქონე სოფლების საერთო რიცხვს, ასეთი სოფლების ხვედრითი წონა უდრიდა:²² გორის მაზრაში — 97,5%, დუშეთის მაზრაში — 87,1%, თელავის მაზრაში — 76,0%, ახალქალაქის მაზრაში — 70,0%, ახალციხის მაზრაში — 68,9%, თბილისის მაზრაში — 57,7%, ბორჩალოს მაზრაში — 48,9%, სიღნაღის მაზრაში — 43,5% და თიანეთის მაზრაში — 21,2%.

საჭიროა ამასთანავე აღინიშნოს ისიც, რომ იმავე მაზრებში სულ უნადელო, მეტად მცირე (5 დესეტინამდე), მცირე და საშუალო ნადელების მქონე სოფლების გვერდით იყვნენ ისეთებიც, რომელთა განკარგულებაში შედარებით დიდი ყველა სახის მიწის ფონდი იმყოფებოდა. ამ უკანასკნელთა ჯგუფს განეკუთვნებიან ის სოფლები, სადაც თითო კომლზე მოდიოდა საშუალოდ 40 დესეტინაზე მეტი ყველა სახის მიწა ასეთების რაოდენობა თბილისის გუბერნიაში სულ 147 ყოფილა, მათ შორის თიანეთის მაზრაში — 100 ან საერთო რიცხვის თითქმის 70%. როდესაც ვლაპარაკობთ მიწით შედარებით უხვად უზრუნველყოფილ სოფლებზე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მიწების უდიდესი ნაწილი საერთოდ, და კერძოდ თიანეთის მაზრაში, სრულიად გამოუსადეგარი იყო მეურნეობისათვის და რომ იქ მოსახლეობის ძირითად საქმიანობას საძოვარსაბალახე ადგილების დიდი რაოდენობით მომთხოვნი შესაქონლეობა წარმოადგენდა. სინამდვილეში, მიწის სიუხვეს, როგორც ჩანს, არც იმ 147 სოფელში ქონია ადგილი, რასაც მკაფიოდ ადასტურებს

²² უმიწო, უკიდურესად მცირემიწიანი და მიწების არასაკმარაო რაოდენობის მქონე სოფლების ხვედრითი წონის გამოანგარიშების დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით ა. მედევედის მიერ პროექტირებული ნორმებით. ამ ნორმების მიხედვით მარტო ვარჯის მიწების (ტყის მასივის გამოკლებით) საშუალო საკომლო ნადელი უნდა ყოფილიყო: გორის მაზრაში — 15,87 დესეტინა, დუშეთის — 29,40 დესეტინა, თელავის — 8,79 დესეტინა, ახალქალაქის — 27,20 დესეტინა, ახალციხის — 26,80%, თბილისის — 12,90 დესეტინა, ბორჩალოს — 20,60 დესეტინა, სიღნაღის — 10 დესეტინა და თიანეთის მაზრაში — 20 დესეტინა (იხ. „Пояснительная Записка к списку селений...“, სესა, ფ. 12, აღწ. 11, სპ. 311).



	Գրքերի քանակը հազար	Գրքերի քանակը	Տարիներ											ԸՆԴՀԱՆՈՒՄ ԻՐԱՆԻ ԿՐԹԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՄԻՆԻՍՏԵՐԱՆ		
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
			1-2 թթ.	2-3 թթ.	3-4 թթ.	4-5 թթ.	5-6 թթ.	6-7 թթ.	7-8 թթ.	8-9 թթ.	9-10 թթ.	10-11 թթ.	11-12 թթ.	12-13 թթ.	13-14 թթ.	
Այս և՛ նաև նախորդ տարիների քանակը հազար	398	2142	4427	4016	3066	1935	1441	665	602	445	263	824	221			
Ընդամենը	1,90	22,20	3009	19,12	16,04	9,31	6,96	4,12	2,67	2,12	1,28	3,97	1,08			
														Տես ընդմիջում 7		
Ներքին փոխադրված	Գրքերի քանակը հազար	0	Տարիներ											ԸՆԴՀԱՆՈՒՄ ԻՐԱՆԻ ԿՐԹԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՄԻՆԻՍՏԵՐԱՆ		
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
			1 թվա-հազար	2-3 թվա-հազար	3-4 թվա-հազար	4-5 թվա-հազար	5-6 թվա-հազար	6-7 թվա-հազար	7-8 թվա-հազար	8-9 թվա-հազար	9-10 թվա-հազար	10-20 թվա-հազար	20-100 թվա-հազար			
Գրքեր	8420	110	477	1343	1493	2368	883	751	454	322	201	113	516	216		
Պարբերականներ	924	20	36	164	228	146	308	60	42	43	23	9	24	3		
Գրքերի քանակը	335	1	13	42	59	77	98	20	21	20	7	3	3	1		
Գրքերի քանակը հազար	2144	76	218	683	419	320	122	61	38	26	7	13	45	7		
Հազար	2126	69	266	819	411	279	382	126	76	41	22	11	23	1		
Կիլոգրամ	2286	6	263	614	492	427	578	104	22	24	12	14	65	3		
Տոննայով	4822	110	669	1087	2024	722	424	250	120	69	20	40	86	22		
ԸՆԴՀԱՆՈՒՄ ԻՐԱՆԻ ԿՐԹԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՄԻՆԻՍՏԵՐԱՆ	20997	368	2142	4427	4016	3066	1935	1441	665	602	445	263	824	221		

თიანეთის მაზრის მაგალითი. ამ მაზრის სახელმწიფო გლეხების დასახლებული სოფლების უდიდესი ნაწილი, თითქოს (ცხრილი თანახმად), მიწით უხვად მომარაგებული ჩანს, მაგრამ ნამდვილად არც ერთი მათგანი ვარჯისი მიწის საჭირო ფართობით ყოფილა უზრუნველყოფილი. მ. მაჩაბლის მოწმობით²³, თიანეთის მაზრის იმ 207 სოფლიდან, სადაც სახაზინო გლეხები ბინადრობდნენ, ერთში სახნავ-სათიბი მიწები სულ არ ჰქონიათ, ასორმოცდაცხრამეტში აღნიშნული მიწების ფაქტიური საშუალო საკომლო ნორმა რამდენიმე კვადრატულ საყენსა და სამ დესეტინას შუა მერყეობდა, თურმე, ორმოცდაორში — სამსა და ხუთს შუა და ხუთში — ხუთსა და რვა დესეტინას შუა. უნდა ისიც ითქვას, რომ აქ დასახლებული საშუალო ციფრები ვერ ასახავენ იმ მკვეთრ უთანაბრობას, რომელიც შეიმჩნეოდა მიწის განაწილების საქმეში. ეგრეთ წოდებულ უხვად მომარაგებულ სოფლებშიც კი ყველა როდი იყო საჭირო, მითუმეტეს ჭარბი, ნორმით უზრუნველყოფილი. ასეთების ჩვეულებრივ მხოლოდ კულაკები ეკუთვნოდნენ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა, როგორც დასაწყისშივე მოვიხსენიეთ, ქუთაისის გუბერნიაში იგრძნობოდა. სახელმწიფო გლეხების განკარგულებაში მყოფი სახაზინო, საკუთარი და ხაზინასთან თუ კერძო პირებთან სადავო მიწის ფონდი საკომლო ნაძლეების სიდიდის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა²⁴.

ამრიგად, 398 კომლს ან გლეხთა საერთო რაოდენობის (20997 კომლი) 1,90% არ ჰქონდა არც ერთი საყენი არც საკუთარი და არც სახელმწიფო მიწა. დანარჩენი კომლები კი, ი. მედევევის ნორმების მიხედვით, ასე ჩვეულებრივად²⁵ უკიდურესად მცირე მიწები (1-დან 5 დესეტინამდე), მიწის არასაკმარის (5-დან 10 დესეტინამდე), საკმარის (10-დან 20 დესეტინამდე) და, დასასრულ, ჭარბ რაოდენობით მქონენი. მათი ხვედრი წონა შესაფერისად უდრიდა 75,76% (15908 კომლი), 17,32% (3636 კომლი), 3,97% (834) და 1,05% (221 კომლი).

²³ МИЭБГКЗК, т. V, ч. I, გვ. 355.

²⁴ СМІЭБГКЗК, т. II, 270. ეს ცნობები ნაწილობრივ მოყვას ვ. ი. ლენინსთვის სტატიაში „Переселенческий вопрос“. (Соч., т. 18, გვ. 77).

²⁵ აქაც, როგორც სხვა შემთხვევის მსგავსად, იძულებული ვართ გლეხთა მიწით უზრუნველყოფის დონის გასაჩვენებლად ეისარგებლოთ მართო ვარჯისი მიწებისთვის განკარგებული მედევევის ნორმებით და მიუხედავად იმ ცხრილის, რომელიც შეიცავს სტატისტიკურ მასალას მწარმოებელი კლასის ჩვეულების საინტერესო კატეგორიის განკარგულებაში მყოფი უკლებლივ ყველა სახის მიწის შესახებ. ასეთი გზით, რა თქმა უნდა, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის მხოლოდ მიახლოებითი სურათის წარმოდგენა შესაძლებელია.

თუ რა ვითარება იყო ქუთაისის გუბერნიის ცალკეულ მაზრებში, ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი²⁶ (იხ. ცხრილი 7).

ამ ცნობებიდან მკაფიოდ ჩანს უშიწაწყალო და ამსრუტე მშენებლის მქონე გლეხების საერთო რაოდენობა ქუთაისის, ზუგდიდის, ლეჩხუმის, ოზურგეთის, რაჭის, სენაკისა და შორაპნის მაზრებში. მაგრამ ჩვენ გვინტერესებს არა მარტო ეს, არამედ ისიც, თუ რამდენი იყო ნაღელის მქონე კომლებში მიწით არასაკმაო, საკმაო და ქარბი პროპორციით უზრუნველყოფილი. ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 8, შედგენილი წინამორბედი ცხრილის სა-

ცხრილი 8

მაზრის დასახელება	საბ. მკლესების კომლთა რაოდენობა	ვაჯის მიწების საჭირო ნორმა, მედედების მიხედვით (დეკეტინა)	უშიწაწყალონი		ქონდათ მიწები					
			კომლთა რაოდენობა	%	საკუთრო ნორმაზე ნაკლები		საკუთრო ნორმის ფარგლებში		ნორმაზე ზევით ქარბათ	
					კომლთა რაოდენობა	%	კომლთა რაოდენობა	%	კომლთა რაოდენობა	%
ქუთაისის . . .	8470	8	110	1,29	7102	83,84	1062	12,53	196	2,34
ზუგდიდის . . .	824	5	27	3,27	580	70,34	214	25,98	3	0,36
ლეჩხუმის . . .	335	25	—	—	335	100,00	—	—	—	—
ოზურგეთის . . .	2144	7	76	3,54	1560	91,40	101	4,72	7	0,34
რაჭის	2136	17	69	3,23	2067	96,73	—	—	—	—
სენაკის	2286	5	6	0,26	1574	85,93	304	13,72	2	0,09
შორაპნის	4802	11,8	110	2,29	4593	95,64	86	1,79	13	0,27
სულ	20997	11,3	398	1,90	18611	88,631*	1767	8,42	221	1,05

* СМИБГАЗК, II. გვ. 381. Ведомость о распределении дымов по размерам подворных участков в Кутаисской губернии.

27 ქუთაისის, ლეჩხუმისა და სენაკის მაზრებისათვის ი. მედედებს ვაჯის მიწების საშუალო საკომლო ნორმად ნაგულისხმევი აქვს (შესაფერისად) 8,1 დესეტინა, 25,2 დესეტინა და 5,5 დესეტინა, მაგრამ ჩვენ გამარტივების მიზნით წილადები მხედველობაში არ მივიღია.

* ზოგი ავტორის განგარიშებით, ქუთაისის გუბერნიაში მცირე მიწიანი და მიწის არასაკმაო რაოდენობით უზრუნველყოფილი სახელმწიფო გლეხთა ხვედრითი წონა 65,45% უდრიდა („Свод“, т. V, ч. 2-ая, გვ. 109). ასეთი განსხვავება ჩვენს განგარიშებსა და იხსნება იმით, რომ ი. პარტიკი, ავტორი სტატიის „Отношения общества государственных крестьян к землям частного владения в Закавказье“, წინამდებ მედედების, მცირე მიწიანად თელის გლეხს, რომელსაც 2 დესეტინა ყველა სახის მიწა გააძნდა. ზოლო არასაკმაო რაოდენობით უზრუნველყოფილად 4 დესეტინა ყველა სახის მიწის მქონეს. მაზრების მიხედვით მდგომარეობა ასეთი ჩანს:

ფუძველზე. საგანგებოდ გამოყოფილ მესამე გრაფაში ნაჩვენებია ვარგისი მიწების ის ნორმა, რომელიც, ი. მედვედევის აზრით, აუცილებელი იყო შესაფერისი მაზრის გლეხის ოჯახისათვის, რათა მას გაემართა მეურნეობა, ეცხოვრა და მოეხადა მრავალგვარი ვადებულება სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.

მერვე ცხრილის მეექვსესთან შედარებამ შეიძლება მკითხველის არცთუ ისე უსაფუძვლო ვაკვირება გამოიწვიოს. ისინი საჭიროზე ნაკლები ნორმით და საჭირო ნორმით უზრუნველყოფილი გლეხების ხვედრითი წონის შესახებ სხვადასხვაგვარ ცნობებს შეიცავენ. მერვე ცხრილის მიხედვით, აღნიშნული ჯგუფის ხვედრითი წონა 88,63% და 8,42% უდრიდა (შესაფერისად), ხოლო მეექვსე ცხრილის თანახმად კი 93,08% და 3,97%. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ მეორე შემთხვევაში გლეხების მიწით უზრუნველყოფის დონის გამოსარკვევად ყველა მაზრის მიმართ, მათი სპეციფიკური პირობების მიუხედავად, გამოყენებულია ერთი საშუალო საგუბერნიო ნორმა (11 დესეტინა). პირველ შემთხვევაში კი, პირიქით, ნორმები დიფერენცირებულია ცალკეული მაზრების მიხედვით. ამ საერთო ნორმის გამოყენებას ქუთაისის, ზუგდიდის, სენაკისა და ოზურგეთის მაზრების მიმართ, სადაც, მედვედევის შეხედულებით, ვარგისი მიწების საჭირო ნაღვლად 5,5¹/₂ და 7 დესეტინა ითვლებოდა. შედეგად მოსდევს მიწის არასაკმარის რაოდენობით მომარაგებულ კომლთა რიცხვის გადიდება, ლეჩხუმის, რაჭისა და ნაწილობრივ შორაპნის მაზრების მიმართ კი, სადაც ნორმალურ ნაღვლად მეფის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები 25, 17 და 12 (11,8) დესეტინას მიიჩნევდნენ, პირიქით — ხსენებულ ჯგუფში მოქცეული ოჯახების საერთო რიცხვის შემცირება. მაგრამ პროცენტის

მაზრების და- სახელება	კომლთა სა- ჭირო რაოდენობა	მცირე მიწიან კომლთა რაოდენობა	მიწის არასაკმარის რაოდენობით მოქონე კომლთა რიცხვი	მც. მიწ. და მიწის არასაკმარის მოქონე კომლ. რიცხვი (3+4)	მცირე მიწიან და არასაკმარის რაოდენობით უზრუნველყოფილ კომლთა %
ქუთაისის . . .	8470	1820	2861	4681	55,27
ზუგდიდის . . .	824	200	274	447	57,52
ლეჩხუმის . . .	335	54	136	190	56,76
ოზურგეთის . . .	2144	997	739	1716	50,04
რაჭის	2136	885	690	1575	73,73
სენაკის	2286	877	919	1796	78,55
შორაპნის	4802	1756	1765	3521	73,32
სულ	20997	6509	7384	13953	66,45

(СМНЭБГКЗК, V, ч. 2-ая, стр. 10).

განმსახლერელად მაინც ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრები რჩებოდნენ, რომელთა ტერიტორიაზეც კარგად შენობა 13724 კომლი სახელმწიფო გლეხი ან გლეხების ამ კატეგორიისაა ერთო საგუბერნიო რაოდენობის 65,36%.

ამრიგად, მერვე ცხრილი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვანსხვაგვებით შექმნეს ცხრილისაგან, მაზრებისადმი დიდფერენცირებული ნორმების მიყენებითაა შედგენილი და, მასასადამე, უფრო სწორია და სინამდვილის მეტი სიზუსტით გამომხატველი, ქუთაისის გუბერნიის სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიმე ეკონომიური მდგომარეობის მკაფიო სურათს გვინახავს. თითქმის ყველა მაზრაში, ლეჩხუმის გამოკლებით, ფიქსირებულია უმიწაწყოლო გლეხების არსებობა. ისინი მაზრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ: ქუთაისის მაზრაში 110 კომლი ყოფილა, შორაპნის — იმდენივე, ოზურგეთის — 76, რაჭის — 69, ზუგდიდის — 27 და სენაკის მაზრაში — 5 კომლი. ხვედრითი წონის მიხედვით კი პირველ ადგილზე ოზურგეთის მაზრა იყო (3,54%), მეორეზე — ზუგდიდის (3,27%), მესამეზე — რაჭის (3,23%), მეოთხეზე — შორაპნის (2,29%), მეხუთეზე — ქუთაისის (1,29%) და მეექვსეზე — სენაკის (0,26%). ყველგან, გუბერნიის ყველა ნაწილში, უკიდურესად მცირემიწიანი და მიწის არასაკმარო რაოდენობით უზრუნველყოფილი გლეხები სჭარბობდნენ²⁸. ამ მხრივ, სხვაზე წინ ლეჩხუმის მაზრა ყოფილა, რომლის 385 კომლი სახაზინო გლეხიდან არც ერთს არ ჰქონია მიწა საჭირო ნორმის ფარგლებში. მეტად სავალალო მდგომარეობა ჩანს რაჭის, შორაპნისა და ოზურგეთის მაზრებშიც, სადაც ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის გლეხების საერთო (სამაზრო) რაოდენობის 96,77%, 95,65% და 91,40% (შესაფერისად) მიწის საჭირო და აუცილებელი ნორმით უზრუნველყოფილი არ ყოფილა. დანარჩენებში კი ამგვარი გლეხების ხვედრითი წონა უდრიდა: სენაკის მაზრაში — 85,93%, ქუთაისის — 83,84% და ზუგდიდის — 70,34%.

უკიდურესად მცირემიწიანი და მიწის არასაკმარო რაოდენობით უზრუნველყოფილი მშრომელების გვერდით განსახილველ გუბერნიის ხუთ მაზრაში — ქუთაისის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სენაკისა და შორაპნის მაზრებში — არსებობდა რიცხვობრივად შედარებით უმნიშვნელო, მაგრამ თავისი ეკონომიური მდგომარეობით არსებითი. მნიშვნელობის მქონე კიდევ ორი ჯგუფი, რომლიდანაც

²⁸ ეს ორი ჯგუფი ჩვენ გვაერთიანეთ და საკომენტარო ცხრილის იმ გრაფაში მოვაქციეთ, რომელიც შეიცავს ცნობებს ნორმაზე ნაკლები მიწების მქონე გლეხების შესახებ.

ერთი ნორმალურად, ხოლო მეორე ქარბად იყო მიწით უზრუნველყოფილი. პირველი მათგანის საერთო რაოდენობა 1767 კომლს ან 8,42% უდრიდა²⁹ და მაზრების მიხედვით ასე ნაწილდებოდა: ქუთაისის მაზრაში — 1062 კომლი, სენაკის — 304, ზუგდიდის — 214, ოზურგეთის — 101 და შორაპნის მაზრაში — 86 კომლი. პროცენტული შეფარდებით კი³⁰, უზრუნველყოფილი გლეხები ყველაზე მეტად ზუგდიდის მაზრაში ყოფილან (25,98). მას მისდევდნენ სენაკის, ქუთაისის, ოზურგეთისა და შორაპნის მაზრები, სადაც ხსენებული ჩვეუთის ხვედრითი წონა შესაფერისად 13,72%, 12,53%, 4,72% და 1,79% უდრიდა. არათანაბრად იყო განაწილებული მაზრებს შორის ის 221 მიწით უხვად უზრუნველყოფილი გლეხიც, რომელიც შესასწავლ გუბერნიაში ირიცხებოდა. ამ რაოდენობის 88,69% (196 კომლი) მარტო ქუთაისის მაზრაზე მოდიოდა,³¹ 5,88% (13 კომლი) — შორაპნის,³² 3,17% (7 კომლი) — ოზურგეთის,³³ 1,35% (3 კომლი) — ზუგდიდის³⁴ და 0,90% (2 კომლი) — სენაკის მაზრაზე³⁵.

²⁹ მიწის ნორმალური ნაღვლით უზრუნველყოფილ გლეხთა საერთო რაოდენობის შეშედვ და მეხუთე ცხრილებში არ დამთხვევის შესახებ იხ. ჩვენი განმარტება ამავე სტატიის მეთორმეტე გვერდზე (შენიშვნა 3).

³⁰ პროცენტი შესატყვისი მაზრის სახაზინო გლეხების კომლთა საერთო რიცხვიდანაა განგარიშებული.

³¹ აქედან 162 კომლი ცხოვრობდა ქუთაისის მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და ნაღვლების სიდიდის მხრივ ასე ჩვეუდებოდა: 69 კომლს გააჩნდა მიწა 20-დან 25 დესეტინამდე, 26 კომლს — 25—30, 16 კომლს—30—35, 15 კომლს—35—40, 6 კომლს—40—45, 7 კომლს—45—50, 10 კომლს—50—60, 4 კომლს—60—70, 3 კომლს—70—80, 4 კომლს—80—90, 1 კომლს—120,12 და კიდევ 1 კომლს—154,50 დესეტინა (МИЭБГКЗК, т. I, გვ. 221).

³² ი. ბაბტაძის ცნობით, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში შორაპნის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ცხოვრებას სწავლობდა, ამ 13 კომლიდან ექვსს მიწის ფართობი 20—25 დესეტინამდე ჰქონია. სამს—25—30, ერთს—30—35, ორს—40—45 და ერთსაც—50—60 დესეტინამდე (МИЭБГКЗК, т. V, в. 2-ая, გვ. 265—281. Веломость № 3).

იმავე ავტორის მოწმობით, შორაპნის მაზრის სოფელ საკაროში მცხოვრებ სახაზინო გლეხის ეფრემ ქვებულაძის განკარგულებაში ყოფილა 74,81 დესეტინა მიწა (იქვე, გვ. 177). მაგრამ ამ საერთო უწყისში, ბაბტაძის სტატიას რომ აქვს დართული, ეს ბოძოლა გლეხი, რატომღაც, შეტანილი არ არის.

³³ ოზურგეთის მაზრის სახაზინო გლეხების გკონომიური მდგომარეობის შეკლეუარს დ. ნოსოვიის აღნიშნული არა აქვს, თუ როგორ ჩვეუდებოდა ეს 7 კომლი მათ განკარგულებაში მყოფი ნაღვლების სიდიდის მიხედვით (იხ. მისი „Экономический быт государственных крестьян в Озургетском уезде“, МИЭБГКЗК, т. I, გვ. 736—740. შეადარე ამავე ავტორის მიერ შედგენილი „Веломость о распределении дымоз по размеру надела“ იქვე, გვ. 776—776).

ამრიგად, ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტიური მასალა, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი (ნაწილობრივ კი 70-იანი) წლებში სწავლად მიღწეულ ასახავს, სახელმწიფო გლეხთა მიწით უზრუნველყოფის მეტად უნუგეშო სურათს იძლევა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა, მკვეთრად განიცდიდა მიწის სიმცირე-ნაკლებობას, მეურნეობის გაშლა-გამართვას ვერ ახერხებდა და მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ამ დასკვნას მხარს უჭერს ჩვენს განკარგულებაში მყოფი მრავალი საარქივო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გლეხთა საჩივრებსა და ოფიციალურ პირთა მიმოწერას მათ უმიწობა-მცირემიწიანობის შესახებ. მწარმოებელი კლასის შესასწავლი კატეგორიის დიდ ნაწილს, როგორც ირკვევა, სულ არ ჰქონია არც სახაზინო და არც საკუთარი მამული, რაც მას იძულებულს ხდიდა იჯარით აეღო ფეოდალის მიწა და ეხადა მძიმე ნატურალური თუ ფულადი გადასახადი. ასეთ დღეში ყოფილან, მაგალითად, თბილისის მაზრის სოფელ ვეძისის სახელმწიფო გლეხები. „Мы нижеподписавшиеся... казенные крестьяне,— ვკითხულობთ მათ 1874 წლის 4 ოქტომბრის განაცხადში,— даем настоящее показание в том, что в пользовании нашем находятся земли, принадлежащие князю Ивану Мухранскому, Григорию и Петру Шюевым. Казенных же и собственных земель не имеем“³⁴. იმავე წლის 15 დეკემბერს მოსამართლეებმა შიხიევმა და ინაშვილმა დაადასტურეს, რომ თბილისის მაზრის სოფ. დიდი ენაგეთის, ვარდისუბნის, ჩხიკეთას, ბოგვისა და პატარა ენაგეთის სახელმწიფო გლეხებს ნამდვილად არ ჰქონდათ თავიანთ სარგებლობაში სახაზინო მიწები³⁵. საკუთარი და სახაზინო მიწების სრული უქონლობის გამო მემამულე იოსებ გაბაშვილის მიწებს ამუშავებდნენ სოფელ თბინვალის სახელმწიფო გლეხები ივანე და დავით პერკატიშვილები³⁶. სოფელ ლისის გლეხების შესახებ კი დოკუმენტში ნათქვამია, რომ ისინი (იმავე მიზეზით) იჯარით იღებენ თავად ევგენი ბებუთოვის მიწებს და გადასახადის სახით შემოსავლის 1/4 ნაწილს იხდიან³⁷.

³⁴ არ ჩანს ამ სამი კომლიდან, რომელს რამდენი მიწა გააჩნდა (იხ. „Ведомость о распределении дымов по размеру надела в Сенакском и Зугдидском уездах“. МИЭБГК²К. т. II, ч. 2, гл. 314—317).

³⁵ ელით, რომ სენაიის მაზრის ამ ორ სახელმწიფო გლეხს 20-ზე მეტი დეკტინა მიწა ჰქონდა თითოეულს, მაგრამ რომელს რამდენი — ეს არაფრიდან არ ჩანს.

³⁶ სცსა, ფ. 26, აღწ. 3, . 1927, ფ. 10.

³⁷ იქვე, ფურც. 11.

³⁸ იქვე, ფურც. 12.

³⁹ იქვე, ფურც. 13.

დიდი ვაჭირვება ჩანს სოფელ ყურასცხოველის (თბილისის მაზრა) სახელმწიფო გლეხების 1872 წლის 6 მაისის თხოვნა-საჩივრიდან, რომელსაც ხელს აწერენ მათი რწმუნებულები. „В 1836 году, — крѣпостствомъ и съ разрѣшенія начальства въ числѣ прочихъ мы и доверители наши переселились изъ Турціи и поселились въ этомъ селеніи; тогда насъ (было) только 18 дымовъ; теперь образовалось около 31 дыма... и дошли до той степени, что мы и доверители наши не можемъ пропитать самихъ себя, также и скотину по случаю неименія удобной земли въ настоящее время“⁴⁰. ისინი თხოვდნენ ხელისუფლებას აღნიშნული 31 კომლიდან თოთხმეტი დაესახლებინათ მათი სოფლის მახლობლად მდებარე თავისუფალ სახაზინო მიწაზე⁴¹. რამდენიმე წლით უფრო გვიან უმიწობით გამოწვეულ მეტად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე ჩიოდნენ სოფ. უჯარმის სახელმწიფო გლეხებიც. თუ მიწა არ მოგვეცაო, წერდნენ ისინი მეფის ნაცვალს (1876 წლის 6 ნოემბერს), ვერც გადასახადებს გადავიხდით და ცოლშვილიც შიმშილით დაგვეხოცებაო⁴². უკეთეს მდგომარეობაში არც სოფელ შავთესს მცხოვრებნი ყოფილან. ისინი 1882 წელს დაეინებით მოითხოვდნენ სახაზინო მიწის საჭირო რაოდენობით გამოყოფას⁴³.

ასეთივე არასახარბიელო სურათი იშლება ჩვენს თვალწინ გორის მაზრის სახელმწიფო გლეხების თხოვნა-საჩივრების მიხედვითაც. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი — ხსენებული მაზრის ორი სოფლის აბალსოფლისა და ზეგდულეთის — მცხოვრებთ არ კქონიათ, როგორც ირკვევა, თავის განკარგულებაში არც ერთი საყენი არც საკუთარი და არც სახაზინო მიწა. მათ 1869 წლის 1-ლი იანვრიდან 12 წლის ვადით აუღიათ „в откупное содержание“ 600 დესტინა სახელმწიფო მიწა, რაშიც ყოველწლიურად იხდიდნენ თურმე 360 მანეთს. „Нынѣ же — წერს 1875 წელს თბილისის გენერალ-გუბერნატორი⁴⁴, ахалсопельское и зегдулетское общества чрезъ поверенныхъ своихъ обратилис къ Горійскому уездному начальству съ прошеніемъ о предоставленіи онымъ⁴⁵ въ наделъ этой откупной земли, такъ какъ они⁴⁶ болѣе нижакой дру-

⁴⁰ სსსა, ფ. 244, აღწ. 3, ს. 200, ფურც. 5.

⁴¹ იქვე.

⁴² სსსა, ფ. 241, აღწ. 1, საქ. 529, ფურც. 19.

⁴³ იქვე, ფონდი 244, აღწ. 3, საქმე 436.

⁴⁴ სსსა, ფ. 241, აღწ. 1, ს. 528, ფურც. 1.

⁴⁵ ტექტში წერია „оному“ — о. ა.

⁴⁶ ტექტში წერია „они“ — о. ა.

გოი земли в пользовании своем не имеют⁴⁷ и плата за нее по 360 рублей не только обременительна, но и положительно не в состоянии они платить даже оброчные деньги⁴⁸. გუბერნიის, ზაერეთისა და იმერხევის 123 კომლი სახელმწიფო გლეხი უმიწობას იქამდე მიუყვანია, რომ მათ 1887 წელს სიღნაღის მაზრაში გადასახლება და იქ თავისუფალი სახაზინო მიწების გამოყოფა უთხოვიათ⁴⁹. ასევე მოქცეულან სოფ. გორგარისა და ტყემლიანის მშრომელებიც. ესენიც, მსგავსად თავიანთი მეზობლებისა, იძულებულნი გამხდარან იმავე 1887 წელს დაესვათ საკითხი სხვა მაზრაში გადასახლების შესახებ⁵⁰.

მეტ-ნაკლები სახით ასეთივე მძიმე მდგომარეობა ჩანს თბილისის გუბერნიის დანარჩენ რაიონებშიც: თელავის, სიღნაღის, თიანეთის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოსა და დუშეთის მაზრების სახელმწიფო გლეხების თხოვნა-საჩივრები, ადგილობრივი თუ საგუბერნიო ხელისუფლების წარმომადგენელთა წერილობითი დასკვნები და სხვა მკაფიოდ ლაპარაკობს ხსენებული მაზრების სოფლის მშრომელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის უმიწობამცირემიწიანობაზე გასული საუკუნის 70—80 წლებში⁵⁰.

ქუთაისის გუბერნიის სოფლის მშრომელი მოსახლეობის ის უკიდურესი მცირემიწიანობა, რომელიც ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ 1884—1885 წლებში ოფიციალურ პირთა მიერ შეგროვილი სტატისტიკური ცნობების მიხედვით, სხვაგვარი მასალებითაც დასტურდება. ეს მასალები აქაც, ისე როგორც თბილისის გუბერნიაში, შეიცავენ მწარმოებელი კლასის მასიურ საჩივრებს უმიწობასა და მცირემიწიანობაზე. ისინი დაბეჯითებით ითხოვენ მთავრობისაგან მიწის გამოყოფასა და არსებობისათვის მინიმალური პირობების შექმნას.

1875 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ გეგუთის სახელმწიფო გლეხს იაკობ კვიციანიძეს განცხადება წარუდგენია საგუბერნიო ხელისუფლების სათანადო ორგანოში და შესაძლებელი დახმარების აღმოჩენა უთხოვია. სამწუხაროდ, განცხადების ტექსტს ჩვენ ვერ მივაგენით, მაგრამ ქუთაისის გუბერნატორის იმ მიმართვიდან, რომელიც მას ამასთან დაკავშირებით გაუგზავნია (1875 წელს) მეფის ნაცვლის კანცელარიის შესაფერისი განყოფილების მმართვე-

⁴⁷ ტექსტში წერია „имеет“—ი. ა.

⁴⁸ სესა, ფ. 244, აღწ. 3, საქ. 56.

⁴⁹ იქვე, საქმე, 57.

⁵⁰ სესა, ფ. 244, აღწ. 1, ს. 57; აღწ. 3, საქმე 193, 303, 311, 346, 441, 490, 561, 664 1185 და სხვ.

ლისათვის, ნათლად ჩანს მთხოვნელის უკიდურესი სიღარიბე, მოწვეული სრული უმიწობით. „Проживающий в селении Гегути Кутаисского уезда казенный Крестьянин Яков Георгиев-Квициридзе, — ვკითხულობთ დასახელებულ დოკუმენტში⁵¹, — в феврале месяце сего (1875) года обратился в управление государственными имуществами Кутаисской губернии с просьбою о наделении его казенною землею лежащею при селении Вардшихе под названием Рике, мерою, примерно, 4 кцевы, объясняя, что он не имеет в своем пользовании решительно никакой земли, ни для усадьбы, ни для хлебопашества, ходит с семейством своим по деревням и бывает то у одного, то у другого родственников своих, не имея нигде никакого приюта“. ზუსტად ასეთივე დღეში ყოფილა სოფელ ძეგრის მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ვინმე ივანე ხეცაძე. ის 1876 წელს მთავრობისათვის მირთმეულ განცხადებაში, დაწერილებით აღწერდა რა თავის გაჭირვებულ მდგომარეობას, თხოულობდა თავისუფალი სახაზინო მიწის გამოყოფას⁵². მეტად მძიმე პირობები ჰქონიათ დაბაძველში მოსახლე სახელმწიფო გლეხებს გეწაძეებსაც. „Имея постоянную оседлость и местожительство в селении Дабадзвели, — წერდნენ ისინი 1879 წლის 8 დეკემბრის განცხადებაში, — не имеем в своё пользование достаточного количества земли, которой обрабатывая, продовольствовались бы наше бедное семейство и отбывали через то казенные (подати) и другие общественные обязательства... (один) из нас Петр Гецадзе имеет менее восьми кцев, а Габриел — около трех совершенно негодных для урожая земель“⁵³. ასევე უჩივის თავის გაჭირვებას იობა კიკვაძეც. მას 1833 წელს, მთელი ქონების გაყიდვის ფასად, თავი დაუხსნია ბატონისაგან და სახაზინო უწყებაში შეწერილა, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან მიწა არ მიუღია, საცხოვრებლად და დასამუშაველად 900 კვ საყენი საეკლესიო მიწა ჰქონია, რაშიც ყოველდღიურად 3 მანეთს იხდიდა. ახლა კი, 1860 წელს, უკვე ხანდაზმული გლეხი, სარგებლობს რა სა-

⁵¹ სცსა, ფ. 241, აღწ. 1, საქ. 605, ფურც. 1—2.

⁵² „Житель селения Давери, Кутаисского уезда, казенный крестьянин Иван Симонов сын Хецадзе, — წერდა ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი, — в октябре месяце прошлого 1876 года, обратился ко мне с прошением, в котором объясняя бедственное положение, свое во не именно вовсе в своем пользовании ни казенной, ни собственной земли, просил распоряжения об отводе ему двух участков свободной казенной земли, состоящей при означенном селении Давери» (სცსა, ფ. 241, ს. 816 ფურც. 1)

⁵³ სცსა, ფ. 241, აღწ. 1, საქ. 1035, ფურც. 7.

ეკლესიო-მამულების ხაზინის ხელში გადასვლით, თხოვეს ზეღისეფ-
ლებას ხსენებული 900 კვ საყენი მიწა მისცეს მას როგორც ნადელი
უოველგვარი გადასახადის გარეშე⁵⁴.

მიწის სიმცირე-ნაკლებობით განსაკუთრებით რაჭის მაზრა გამოი-
ირჩეოდა. იქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 80-იან
წლებში მიწის არასაკმარაოდნობით უზრუნველყოფილ გლეხთა
ხვედრითი წონა 96,77% უდრიდა. ი. მედვედევის სამართლიანი
შენიშვნით, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მაზრის მოსახლეობის
დიდი ნაწილი საშოვარზე მიდიოდა საქართველოს სხვადასხვა
კუთხეში⁵⁵. ამას მკაფიოდ ადასტურებს ჩვენს განკარგულებაში მყო-
ვი, უფრო კონკრეტული ხასიათის მატარებელი, საარქივო მასალა.

ავიღოთ თუნდაც ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის 1875 წლის
26 აპრილის წერილი მეფის ნაცელის კანცელარიის სახელმწიფო
ქონებათა სამმართველოს უფროსისადმი, სადაც ოფიციალურად
აღიარებულია რაჭის მაზრის სახაზინო გლეხების არველადის, ბო-
ჭორიშვილისა და დვალის უკიდურესი სიღარიბე, გამოწვეული მი-
წის უქონლობით. „Рачинский уездный начальник, — წერს დასახე-
ლებული მოხელე⁵⁶: — донес бывшему кутаисскому военному гу-
бернатору, что жители вверенного ему уезда селений Уце-
ра — казенный крестьянин Тазия Бочоришвили, Шазра Боль-
шая — Дмитрий Двали и Бегеули — Иосиф и Микель Арвела-
дзевы, по не имению в своем пользовании земли, крайне бед-
ствуют, а потому ходатайствовал о наделении их казенной
землей, состоящей при селении Тхмори, Рачинского уезда, ме-
рой 12 квев. Из дел управления государственными имуще-
ствами Кутаисской губернии и из сообщенных самым уезд-
ным начальником сведений видно, что из сказанных выше кре-
стьян Ивѣн (!) Бочоришвили записан по зновь составленному
камеральному описанию по селению Кедисубани, под № 3,

⁵⁴ ან თვით თხოვნის ტექსტი:

«В 1833 году освободившись от зависимости бывших помещиков Мес-
лиевых в казенное ведомство, я остался в бедственном положении, так как
(распродал) собственное имущество на уплату денег за выкуп себя с се-
мейством, а от казны я не был наделен землею и до настоящего времени
(т. е. до 1880 года—И. А.). Ныне достиг до старости лет, лишен возмож-
ности собственными трудами доставить себе пропитание, а землю под до-
ном и двором размером 900 кв. саженей имею от духовного начальства, от-
бывая в год поземельных 3 рубля в казначейству. А как церковная земля
перешла в казну то по сему покорнейшее прошу во внимание изложенного
обстоятельства благоволить предложить кому следует оставить за мною
объясненное дворовое место для приюта себя с семейством без платы об-
рочных денег, дабы обеспечить положение мое» (სქსა, ფ. 246, ს. 615, ფ. 1).

⁵⁵ სქსა, ფ. 12, აღწ. 11, ს. 311, ფურც. 5.

⁵⁶ იქვე, ფ. 241, აღწ. 1, ს. 598, ფურც. 1.

в семействе его 1 муж. и 1 женского пола душ, платить в казну в год подати по 4 рубля и земского сбора по 3 рубля и у него в пользовании нет положительно никаких земель. Иосиф и Мекель Арвеладзеы записаны по вновь составленному камеральному описанию по селению Бугеули под № 1, в семействе их заключается 3 муж. и 1 женского пола душ, они платят в казну в год подати по 5-ти рублей и земского сбора по 3 рубля и у них нет в пользовании положительно никаких земель. Дмитрий же Двали имеет в своем пользовании по отводу от казны три кцевы пахотной земли, в семействе его 13 душ обо его пола, по камеральному описанию записан по селению Шавра — Большая под № 1, и он платит в казну ежегодно подати и земский сбор с другими казенными крестьянами» (ხაზი ჩვენია. — ი ა.)

თავის წერილის დასასრულს⁵⁷ ვიცე-გუბერნატორი წინადადებას იძლეოდა დაეკმაყოფილებინათ გლეხების თხოვნა, რომელსაც ის სავესებით სამართლიანად მიიჩნევდა და მიეცათ მათთვის ზემოთ აღნიშნული 12 ქცევა მიწა შემდეგნაირი განაწილებით: არველაძეებისათვის — 3 ქცევა, ბოჭორიშვილებისათვის — 2 და დვალისათვის — 7.

1875—1877 წლებში მიმდინარე მიწერ-მოწერიდან ირკვევა, რომ რაჭის მაზრის სოფ. ლაღიშის სახელმწიფო გლეხს ლევან სამარჯულიანს არ ჰქონია თავის განკარგულებაში არც ერთი საყენი არც საკუთარი და არც სახაზინო მიწა⁵⁸. ასევე უმიწოდ დარჩენილა სოფელ დოკვარისის მცხოვრები გლეხი მასია წერეთელი⁵⁹. შორს არც მეთოდე და დავით სამარჯულიანები (სოფ. ლაღიში) წასულან. პირველ მათგანს, რომლის ოჯახი 4 სულისაგან შედგებოდა, მხოლოდ სამი ქცევა და 483 კვ, საყენი მიწა ჰქონია,⁶⁰ ხოლო მეორეს, რომელსაც 17 სული სარჩენი ყოლია, 4 ქცევა და 440 კვ. საყენი⁶¹. დასასრულ, განსახილველი კუთხის სახელმწიფო გლეხების მკვეთრ უმიწობა-მცირემიწიანობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ მათი დიდი ნაწილი თანახმა იყო დაეტოვებინა მშობლიური სოფელი და გადასახლებულიყო სხვაგან. ხშირად შორეულ მაზრებშიც კი⁶².

⁵⁷ სკა, ფ. 12, აღწ. 11, ს. 311, ფურც. 2.

⁵⁸ იქვე, საქ. 599, ფურც. 2.

⁵⁹ იქვე, საქ. 820, ფურც. 1.

⁶⁰ იქვე, საქ. 599, ფურც. 2.

⁶¹ იქვე.

⁶² იქვე, ფონდი 244, აღწერა 3, საქ. 385. „О дозволении жителям селения Божя Рачинского уезда, переселиться в Горийский уезд на казенную землю при селении Бекашары“, 1886.

ასევე მძიმე, არასახარბიელო სურათი იშლება ჩვენს თვალწინ გურიის (ოზურგეთის მაზრა) სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობისა და მათი საჩივრების, ოფიციალურ პირთა მიწის მოწერისა და ქართულ პერიოდულ პრესაში მოთავსებული მასალების მიხედვითაც.

ამრიგად, თავისი ხასიათით სხვადასხვაგვარი ფაქტური მასალა (მთავრობის მოხელეთა მიერ საგანგებოდ შეგროვილი და დამუშავებული სტატისტიკური ცნობები, გლეხთა საჩივრები, ოფიციალურ პირთა მიმოწერა-მოხსენებები, მოწინავე ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული კორესპონდენციები და სხვ.), რომელიც ჩვენ ზევით მოვიტანეთ, ერთხმად ლაპარაკობს საქ. სახელმწიფო გლეხების მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე გასული საუკუნის 70—80-იან წლებში.

მომდევნო ხანაში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულა. 90-იანი წლების მიწურულისა და 900-იანი წლების დასაწყისისათვის სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობა საგრძნობლად შემცირებულა, რაც მკაფიოდ ჩანს ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან.

ცხრილი 9

გუბერნიების დასახელება	საშუალოდ ერთი კომლზე მოდი- ოდა სახნავი მიწა (დესეტინობით)		საშუალო საკომლო ნადლის შემცირე- ბის პროცენტი (%)
	1884 წ.*	1902 წ.**	
თბილისის	5,66	4,92	13,0.
ქუთაისის	2,27	1,92	15,42
სულ საქართველოში	3,97	3,42	13,84

ამ ცხრილიდან ირკვევა, რომ 1902 წლისათვის 1884 წელთან შედარებით სახნავი მიწების საშუალო საკომლო ნადელი შემცირებულა: თბილისის გუბერნიაში — 13%, ქუთაისის — 15,42%, ხოლო მთლიანად საქართველოში 13,84%.

ცნობები, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია ცალკეული მაზრების შესახებ ასევე მეტად არასახარბიელო სურათს წარმოგვიდგენენ. ისი-

* Ф. Марков, Земельное довольствие государственных крестьян Закавказского края. СМИБГКЗК, т. II, 261—262.

** Ф. Гогичайшвили. Малоземелье среди крестьян Закавказья. Тифлис, 1903, გვ. 16.

ნი ერთხმად ლაპარაკობენ მწარმოებელი კლასის მიწის სიმცირე ნაკლებობის შემდგომ გაღრმავებაზე XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე. ასე, მაგალითად, ფ. გოგიჩაიშვილის მიერ შედგენილი და შექმნილი სტატისტიკური მასალებიდან ჩანს⁶³, რომ 1902 წელს გორის მაზრის სახელმწიფო გლეხის თითო ოჯახზე მოდიოდა საშუალოდ 2,14 დესეტინა ყველა სახის მიწა ან 56% ნაკლები, ვიდრე 1884 წელს⁶⁴. გურიაში სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიწათმფლობელობა განსახილველ პერიოდში ისეთი სისწრაფით მცირდებოდა თურმე, რომ საგუბერნიო და სამხარეო ხელისუფლება სერიოზულად ჩაუფიქრებია⁶⁵. იქ მიწის კრიზისის გამო გლეხს ხშირად არა მარტო შინაური საქონლის შენახვის, არამედ ერთი ქათმის გამოზრდის საშუალებაც კი არ ჰქონია⁶⁶.

მწარმოებელი კლასის მიწით ასე ცუდად მომარაგების უმთავრესი მიზეზი იყო ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საგრძნობი მასშტაბით შემონახვა განსახილველი პერიოდის საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში. ეს პირველ ყოვლისა გამოიხატა იმაში, რომ მიწის ფონდის უდიდესი ნაწილი, როგორც ზვევითაც მოვიხსენიეთ, ისევ მემამულეებისა და სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა უკანასკნელი კი მის განკარგულებაში მყოფ მიწებს იყენებდა არა ადგილობრივი მოსახლეობის (თუნდაც მარტო სახაზინო გლე-

63 «Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях», под редакцией Ф. Гогичайшвили. Тифлис, 1910, გვ. 452, 453. Ср. Ф. Гогичайшвили „Малоземелье“... 83-18.

64 ამ წელს, მარკოვის მოწმობით, თითო ოჯახზე მოდიოდა საშუალოდ 4,85 დესეტინა ყველა სახის მიწა (МИЭБГК:К, т. II, გვ. 366).

65 სესა, ფონდი 39-ც, ს. 561, ფურც. 21.

66 „სოფელ ხიდისთავში, — გვაუწყებს „ივერიის“ კორესპონდენტი, — მე აეწერე სამი კომლი გლეხი. არც ერთ მათგანს არ გააჩნია ოთხთუხა საქონელი. ერთ კომლს შეადგენს შვიდი სული, სახაზინო გლეხია. აქვს მხოლოდ ერთი ქცევა ეზო. ეზოში მიეხედ-მოეხედ და ვერსად ერთ ქათამსაც კი თვალი ვერ მოვკარი. უნებლეთ ვკითხვ: რაა ერთი ქათამი მაინც არ უნდა გვაედეს შეტქი? — განა ქათამს რჩენა არ უნდაო? კითხვითვე მიპასუხა მან, პასუხი იმდენად ნათელი და გულსაკლავი იყო, რომ ენა ვეღარ მიეუბრუნე... განა არსებობაა იმ ოჯახის არსებობა, რომელსაც ქათამიც ვერ გამოუზრდია“ („ივერია“, 1905, № 63. მომყავს კ. ბაბილოძის წიგნიდან — „აგრარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში XIX—XX სს. მიჯნაზე“. ბათუმი, 1952, გვ. 113—114).

გასული საუკუნის 90-იან წლებში მიწის კრიზისის გამწვავებაზე მიუთითებს აგრეთვე გლეხთა თხოვნა-საჩივრების შემცველი მრავალი საარქივო მასალა, რომელიც ჩვენ აქ არ მოგვყავს (იხ. სესა, ფ. 244, აღწ. 3, საქმე 664, 694, 695, 705, 715, 716, 838, 1185 და სხვ.).

ხების) მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ რუსი და სხვა კოლონისტების დასასახლებლად. მთავრობის წრეებში მტკიცედ იყო გაბატონებული ის აზრი, რომ თავისუფალი მიწების მოყენება მხოლოდ და მარტო ამ მიზნითაა დასაშვები. მთავარ-მმართველის კანცელარიამ, რომელიც 1896 წელს იბილაგდა სახელმწიფო გლეხთა მიწათმოქმედების შესახებ მეღველევის კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს, მკვეთრად გამოხატა ეს შეხედულება. „Министерство земледелия и государственных имуществ, — ვკითხულობთ მის ოქმში⁶⁷, — независимо от мероприятий в здешнем крае по предметам своего ведомства, несомненно, не может относиться безучастно к будущей исторической судьбе этой окраины. Израсходовав же весь запас своих земель только в целях отдачи их в надел поселянам, министерство лишено было бы всех способов образовательного воздействия на население в смысле распространения среди его приемов интенсивной системы хозяйства, осуществлению чего могли бы служить учреждение образцовых ферм, питомников и т. п., разных отраслей сельского хозяйства. Независимо сего, государственные интересы могут потребовать также обширных пространств земли, отсутствие которых будет создавать для министерства, и вообще для правительства, непреодолимые затруднения. Поэтому канцелярия не признает возможным разделять предположения комиссии об израсходовании всего запаса казенных земель для удовлетворения потребности в наделах» (ხაზი ჩემია. — ი ა.).

სახელმწიფო გლეხთა მცირემიწიანობა-უმიწიობას აღრმავებდა მათ სარგებლობა-მფლობელობაში მყოფი მიწების მასიური დატაცება თავადაზნაურთა მიერ. ამ მოვლენამ, რომელიც, როგორც ვიცით⁶⁸, საგრძნობი იყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გახსაკუთრებით მასიური ხასიათი რეფორმის შემდეგ ხანაში მიიღო. 1859—1869 წლებში მიმდინარეობდა, მაგალითად, კვლევა-ძიება ახალციხის მაზრის სოფ. დილისკისა და დერინველის საბაზინო გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწების შესახებ, რომელზედაც პროტენზიები განუცხადებიათ მემამულე ალექსანდრე და დიმიტრი მუსხელიშვილებს⁶⁹. 1866 წელს სოფ. გორისციხისა და პხელშეს (გორის მაზრა) მშრომელები დაბეჭითებით მოითხოვდნენ უკანონოდ წართმეულ და აზნაურ კარანგოზოვებისათვის გადაცემულ სა-

⁶⁷ И. Г. Антелава, «Реформа», гл. 111—112.

⁶⁸ И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, 1954.

⁶⁹ სცსა, ტ. 324, აღწ. 3, ს. 18.

ბოვარი ადგილების დაბრუნებას⁷⁰. ცოტა უფრო გვიან, სახელმწიფო 1867—1869 წლებში, სახელმწიფო გლეხები ევაგრია და შაქრის კაქურები (სოფელი ჭაში) უჩიოდნენ თავად გიორგი ერქუთაძის მიწების მიწების ძალით დატაცება-მოთვისებას⁷¹. 1883—1893 წლებში კი ასეთივე საჩივრებით მიუმართავთ ხელისუფლებისათვის ზედა მაჩხაანის, ნასომხარის (სიღნაღის მაზრა), ტურისციხის, კანანაისა (თელავის მაზრა) და კოდის (თბილისის მაზრა) სახაზინო გლეხებს და მიტაცებული მიწების უკან დაბრუნება მოუთხოვიათ⁷².

მიწის სიმცირე-ნაკლებობას აძლიერებდა აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც, როგორცაა უსასრობის გამო ვალში ჩავარდნილი გლეხების მიერ მამულების მასიური გაყიდვა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა გორის მაზრის სოფელ ხიდისთავის სახელმწიფო გლეხთა რწმუნებული სოლომონ ტლაშაძის თხოვნა, მირთმეული ხელისუფლებისათვის 1869 წელს. „Имение, принадлежащее казенному селению Хидистави, — ნათქვამია იქ, — находясь около военно-имеретинской дороги, близ города Гори, имеет и имело всегда большую цену, тем еще более, что оно отличается плодородием и годно для разведения на нем виноградных и фруктовых садов по изобилию там воды для орошения их. Некоторые из казенных крестьян селения Хидистави, нуждаясь в деньгах или прельщаясь хорошею ценою, продавали и продают разным лицам не из податного звания как сады свои, так и земли, находящихся у них в пользовании, без всякого препятствия со стороны полиции и местного уездного суда. Подобная продажа довела прежних владельцев их до того, что они стали несостоятельными платить в казну подати и повинности чрез то общество наше отбывало и отбывает за них (эти) подати и повинности. А потому я, как поверенный этого общества

⁷⁰ გლეხების თხოვნა-საჩივარში ნათქვამია: „Управляющий Хевским участком объявил обществу решение окружного управления об оставлении дворян Карапгозовых пастбищного места на горе Горисцихе, а нам если мы желаем,.... обратиться с жалобою куда следует... Отсуженное ныне окружным управлением пастбище... никогда не принадлежало Карапгозовым... оно есть казенное и состояло постоянно в пользовании наших обществ... мы убеждены в провате своей и в том, что Карапгозовы не имеют никаких документов на вышеозначенное место, но разве мы можем доказать это судом, формы и права которого нам, как горцам, до сего времени неизвестны» (სცსა, ფ. 244, აღწ. 3, ს. 41, ფფ. 12—13).

⁷¹ სცსა, ფ. 324, აღწ. 3, ს. 57.

⁷² სცსა, ფ. 244, აღწ. 3, საქმე 443, 458, 464, 647, 706, 718.



по общественным делам просил... воспретить хидиставцам продажу и залог садов и государственных земель... Вследствие моих просьб управление государственных имуществ... сделало распоряжение о воспрещении хидиставцам продавать казенное имение в частные руки..., но распоряжение это не имело для нашего общества до сих пор никакого последствия. Между тем жители Хидистави не перестают продавать и закладывать свои сады и земли; а покупщики, люди богатые и сильные, пользуясь бедностью жителей и беззащитностью их, завладевают... частью казенного имения... Так что, если управление государственными имуществами не окажет нам законной защиты, то мы потеряем все свое казенное имение или же станем несостоятельными отбывать ту подать в казну, какую обязаны давать⁷³ ей (ბაზი ჩემია.—ი. ა.).

გაზეთი „ივერია“, რომელმაც ხმა აიმაღლა ამ მოვლენის წინააღმდეგ, 1879 წელს გულისტყვივლით აღნიშნავდა, რომ კახეთში (კერძოდ კი ყვარელში), „ბევრი სახელმწიფო მამული“ ვაჭრებმა ჩაიგდეს ხელში. უფრო გვიან კი, ნიშანდობლივ 1887 წლის 6 ივლისს ი. ქავჭავაძე წერდა⁷⁴: „ჩვენ არა ერთხელ... გამოგვითქვმს ჩვენი გულითადი მწუხარება იმის გამო, რომ სახასო გლეხთა ვენახები მომრიგებელ-მოსამართლეებმა ვაჭრობის საგნად გახადეს და გლეხებს ვალში უყიდინენ. ზოგადი კანონები, რომელნიც საქართველოსათვის სავალდებულონი არიან, დიდად ეწინააღმდეგებიან ამნაირ მოქმედებას, თუ გლეხის ვენახები საკუთარს მიწაზედ არ არიან გაშენებულნი. სახასო, ე. ი. სახელმწიფო მიწებზე გაშენებული ვენახები, კანონის სიტყვით, შესაძლოა გაიყიდოს თვითონ გლეხის ნებითა, თუ უნებურობითა, მხოლოდ მაშინ, როცა მსყიდველი თვითონ სახელმწიფო გლეხია და იმავე საზოგადოებისა თუ სოფლისა, რომელსაც თვითონ ვენახის პატრონი ეკუთვნის. ამ სახით კანონით აკრძალულია სხვა წოდების კაცმა მსყიდვით დაინარჩუნოს სახელმწიფო მიწაზედ გაშენებული ვენახი. ზედმოსევამ და, როგორც ეტყობა, ძლიერ ზედმოსევამაც ვაჭრებისამ და ფულის პატრონებისამ ამ ცხადს კანონს შეუშალა აზრი და სახე. კანონი პირდაპირ აცხადებდა თავის სურვილს და განზრახვას. აქ როს ვერას შეუვიდნენ, ერთი ასააცილო გზა იპოვეს კანონის გასამრუდებლად, ანუ უკეთ ვთქვათ, კანონის გზის ასაქცევად. მოიგონებს, რომ შე-

⁷³ სესია, ფ. 244, აღწ. 3, ს. 44, ფურც. 2—4.
⁷⁴ იხ. მისი „სახასო გლეხთა მამულების გაყიდვა“, თბზულებანი, ტ. VIII, 1957, გვ. 228—229.

საძლოა ვენახი გლეხისა გაიყიდოს, მხოლოდ იმ პირობით რომ მიწა არ დაეკუთვნოს მყიდველსა და მარტო ვაზი და ყოველივე, რაც მიწაზე ზეზე სდგას, გასასყიდ საგნად გახდეს⁷⁵ ერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ ეს მოხერხებული ხრიკი ხელზე დაიხვია და დაუწყო სახასო გლეხების სახასო მიწაზედ გაშენებულ ვენახებს ვალში გაყიდვა. ის კი აღარ წარმოიდგინა, რომ ვენახი მაშინ არის ვენახი, როცა მიწა და ვაზი ერთად არიან განუყოფლად: როცა ერთს განაშორებ მეორისაგან, მაშინ ვენახი აღარ არის.... ასეთი ხერხიანობა გლეხთა ვენახების გასყიდვაში 1870 — 1880 წლებში ისეთი ხშირი იყო. რომ გლეხკაცობას მტვერი აედინა. ნამეტნავად თელავისა და სიღნაღის მაზრაში ბევრი შეიწირა ამ ხერხიანობამ და ბევრი ვენახი აესხლიტა გლეხკაცობასა. თელავისა და სიღნაღის მოქალაქეებს აუარებელი ვენახი გამოუცლიათ ამ გზით გლეხკაცობისაგან“.

ამის შემდეგ ავტორს მოყავს ამ მოვლენის მასიურობის მაჩვენებელი ციფრული მასალა, საიდანაც ჩანს, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილ სახელმწიფო გლეხებს მარტო სიღნაღისა და თელავის მაზრაში 605 ვენახი გაუყიდიათ⁷⁶.

თუ ყოველივე ზემოთ თქმულს მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასაც დავემატებთ, მაშინ რეფორმის შემდეგდროინდელი საქართველოს სახელმწიფო გლეხების მიწის სიმცირე-ნაკლებობის ყველა ძირითადი მიზეზი იქნება დასახელებული.



მოწინავე ქართველ ინტელიგენციას, როგორც ვნახეთ, კარგად ესმოდა რომ გლეხების მცირემიწიანობა-უმიწობა მათი მამულების მასიური გაყიდვა-დაგირავებითაც იყო გამოწვეული. ამიტომ, ბუნებრივია, ყველამ, ვინც კი ქვეყნისა და ხალხის ბედით იყო დაინტერესებული, ხმა აღიმალა ამ მოვლენის წინააღმდეგ. „ივერია“ მავალითად, არა მარტო აღნიშნავდა მშრომელი კაცის მთელი ქონებისა, და კერძოდ მიწის, ვაჭარ-მევახშეთა ხელში გადასვლის ფაქტს, არამედ მოითხოვდა ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომელიც საერთოდ შეაჩერებდა ამ პროცესს. უფრო მეტიც, მკაცრად

⁷⁵ თავის მეორე სტატიაში „გლეხთა მამულების ვალში გაყიდვა“ ი. ჭავჭავაძე ამ გამოვლენასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „ეს იმასა ჰგავს, რომ იყიდება ცოცხალი ცხენი უშუქლოდამ“ (თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 203).

⁷⁶ აქედან 381—სიღნაღის მაზრაში (МИЭБГК:К, т. IV, 225—244) და 224—თელავის (МИЭБГКЗК, т. V, გვ. 37—62).

აკრიტიკებდა რა სახელმწიფო ქონებთა უწყების საქმიანობას ამ მიმართულებით, „ივერია“ აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რამდენად ფუძვლიანად შეესწავლათ მამულების გაყიდვის საქმე და რამდენად მართლმართლად შეძლების შემთხვევაში ვენახები, სახნავ-სათესი მიწები და სხვა მათი პატრონებისათვის დაებრუნებინათ. ასეთ მოთხოვნისადაც შეიცავს, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის წერილი „გლეხთა მამულების ვალში გაყიდვა“, რომელიც გამოაქვეყნა ხსენებულმა ორგანომ 1877 წელს. „რად უნდა დაიღუპოს ეგრე გლეხი და რად მივიდა საქმე იქამდე, — წერს ილია, — რომ გლეხნი ესე გააქვლევენეს უკანონობას? რატომ ამასზედ ხმა არ ამოიღო სახელმწიფო ქონებათა გამგეობამო, იკითხავს მკითხველი?... რატომ არ ათხოვეს ყური იმას მაინც, რომ ამ უკანონო გასყიდვისა გამო სახელმწიფოს მამული ეკარგება და გლეხი, მისი პირდაპირი მხმარებელი, ბოგანო კაცად ხდება? ნუთუ სახელმწიფო ქონებათა გამგებელმა ესე ყოველი არ იცოდა და არც დღეს იცის! თუ სადმე საწყალი სახელმწიფო გლეხი ოდეს რასმე გამოსთიბავს ანუ მოხნავს, ამაზედ ერთს დიდს მიწერ-მოწერას გამართავენ მეტყუევები და სხვა აგენტები გამგეობისა, გლეხს სამართალში მისცემენ და ერთს ყოფას და ამბავს ასტეხენ ხოლმე, — რატომ მაშინ ხმას არ იღებენ, როცა ამოდენა მამულები გაეყიდა სახელმწიფოს და გლეხის ტვინის მწოველთა წურბელების კერძო საკუთრებად გახდა.

ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ იცის ეს ყველაფერი, ვიცით, რომ ბევრ გლეხს, ამ უკანონობითა ხელცარიელად დარჩომილს, მიუმართავს გამგეობისათვის, გამგეობას ამ საგანზე ოქმიც შეუდგენია, ბოლოს სტოლს ქვეშ ამოუღვია, დღემდე გამგეობა ყურსაც არ იბერტყავს, რომ გლეხებს ისევ დაუბრუნდეს უკანონოდ ჩამორთმეული მამულები. მიდიან და მოდიან თურმე თბილისში ილაჯ-გაწყვეტილნი, გლეხნი ემუდარებიან გამგეობას გვიშველეთ რამეო; გამგეობას იმის მეტი არა უნდა რა, რომ ოქმის სასამართლოში სამართალი შეიტანოს და გააუქმებინოს უკანონოდ გაყიდული მამულების სიგელები, მაგრამ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა სულ ხვალეს იძახის, და საწყალი გლეხობა კი პირდაღებული ცას შეჭყურებს და ვისაც შეეფერება ხოლმე, ჰკითხავს: ესე ხვალე არ იცით რა დღეა და როდის მოვაო?“⁷⁷.

⁷⁷ „ივერია“, 1877, № 33, ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 204—205.

საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ხელისუფლებამ შარო-
ლაც დანიშნა გამოძიება, რომელსაც „ივერია“ აღფრთოვანებით
და იმედით შეხვდა. „როგორც ვაგივეთ, — წერდა ჟურნალის მფარველი
თავადი იასე ჭავჭავაძე დაუნიშნავთ გამოსაძიებლად (იმისა)“
რომელს გლახს გაპყიდვია ან ჩამორთმევია სახელმწიფო მამული.
თუ კარგად გამოიკვლია თ. იასე ჭავჭავაძემ ეს საქმე, ცხადია, ბევრს
დამალულს უკანონო საქციელს ვაჭრებისას გამოააშკარავენს და და-
უბრუნებს გლახებს არამცთუ მარტო მამუ-
ლებსა, არამედ ზარალსაც აზღვევინებს ვა-
ჭრებს გლახების სასარგებლოდ. იმედიცა, რომ
თ. იასე ჭავჭავაძე, როგორც საქართველოს
შვილი და ყვარელში დაბადებული, მიუდგომ-
ლად გააჩვენებს საქმეებს და მიანიჭებს ყვე-
ლას თავის კუთვნილებას. ვისურვოთ, რომ ეს
საქმე როგორც საწადელია ჩვენთვის ისე და-
ბოლავდეს“⁷⁸ (ხაზი ჩემია, — ი. ა.).

მოწინავე ქართული პერიოდიკისა და მის გარშემო დარაზმულ
მოღვაწეთა ასეთი გაბედული გამოსვლა, რა თქმა უნდა, რამდენად-
მე აფერხებდა გლახთა მამულების ვაჭარ-მევახშეთა ხელში უკანონ-
ოდ გადასვლის საქმეს, მაგრამ ის, თავისთავად ცხადია, უძლური
იყო შეეჩერებინა პროცესი, რომელსაც, როგორც ვიცით, ღრმა
ეკონომიური საფუძვლები ჰქონდა. ამას თუნდაც ისიც ამტკიცებს,
რომ ილია ჭავჭავაძეს და მის ორგანოს შემდეგშიც არა ერთჯერ
დასჭირებიათ იმავე საკითხზე გამოსვლა⁷⁹.

სახელმწიფო გლახების მიძიმე ეკონომიური მდგომარეობის
სტაბილიზაცია-გალრმავებას ხელს უწყობდა ის უსამართლობაც,
რომელსაც ადგილი ჰქონდა სახაზინო მიწების იჯარით გაცემის
დარგში. ეს საქმე იმნაირად იყო დაყენებული, რომ მასში მშრომე-
ლი ხალხის მონაწილეობა ფაქტიურად გამორიცხული იყო. საიჯა-
როდ გასაცემი მთელი ფართობი, როგორც წესი, ვაჭარ-მევახშეებ-
სა და კულაკებს რჩებოდათ, ხოლო ამათგან მას მეტად მაღალ ფა-
სებში უშუალო მწარმოებელი ღებულობდა.

ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა ერთსულოვნად დაგმო სა-
ხაზინო მიწების იჯარით გაცემის მაშინ არსებული პრაქტიკა და სა-
აშკარაოზე გამოიტანა ყველა მისი უარყოფითი მხარე. „სახელმწიფო
ქონებათა გამგეობას, — წერდა 1877 წელს „ივერია“, — მრავალი

⁷⁸ „ივერია“, 1879, № 3.

⁷⁹ იხ. მისი წერილი „სახასო გლახთა მამულების გაყიდვა“, დაბეჭდილი
„ივერიაში“, 1887 წ. (№ 137). თბზულებანი, ტ. VIII, გვ. 228—230.

თავისუფალი სახელმწიფო მამული აქვს ხელში და ამ მამულს იჯარით აძლევს ხოლმე გრინგლის თუ მოკლეს ვადით. მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ ძნელად თუ სადმე შეხვდება ექსპლუატაციის იჯარა გლეხკაცს, რომელიც უმამულობით ვაჭირვებულა და მელსაც უფრო კარგად შეუძლიან თვითონაც ისარგებლოს და სახელმწიფოსაც უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ორში ერთი: ან გლეხკაცის დაუდევნელობა, ან თვით იჯარის ურიგოდ მოწყობა. ცოდვია კაცმა ამგვარ საქმეში დაუდევნელობა შესწამოს ჩვენს გლეხკაცსა. იგი ბევრშია დაუდევნელი, მაგრამ მამულის ხელში ჩაგდებაში კი არამცთუ დაუდევნელია, არამედ თავგანწირულიც არის. ეს ჩვენს გლეხკაცს არა ერთხელ დაუმტკიცებია. ჩვენა გვგონია, რომ აქ მიზეზი იჯარის ურიგოდ მოწყობა უნდა იყოს.

ამ ურიგობის ბრალია, რომ საცა კი კაი სარგოიანი სახელმწიფო მამულია, საცა რამ გამოსაყენებელია, იქ ყოველგან მოიჯარადრედ ან ვაჭარია, ან მოქალაქე ვინმე და არასოდეს კაცი, მხენელი და მთესველი, ერთი სიტყვით, პირდაპირი მიწის მომქმედი. ნუთუ ამათ ხელს არ აძლევთ იჯარით მამულის აღება? როგორ არ აძლევთ, მაგრამ საწყლებს ვინ აღირსებს. რატომო, იკითხავს მკითხველი. ამაზე ერთი ღირს-სარწმუნო კაცი აი რასა გვეწერს ჩვენ: ჩვენთან მოვიდნენ... გლეხნი და მითხრეს: ბატონო, აი სახელმწიფო მიწები მიუციათ სომეხ ვაჭრებისათვის იჯარითა, ჩვენ კი ვიღუპებით უმამულოდ... მოგვიხერხე, შენი ჭირიმე, რომ ის მიწები, ჩვენ დაგვრჩეს და რაც იჯარაა ჩვენ მიეცემთ. ბიჭო და რატომ „ტორგში“ არ შეხვდით? არ ვიცოდით, შენი ჭირიმე, როდის იყო „ტორგი“ და მარტო ეხლა გავიგეთ, რომ ქალაქის ვაჭრებისათვის მიუციათ... დიახ, ბატონებო, ხალხს არ ატყობინებენ, რაცა იჯარით გაცემის დღე მოდის. ამის გამორკირი ზარალია. ერთი ის, რომ შეუცოდებლობის გამო მამული ჩალის ფასად არ გადის, ტყუილუბრალო ფასად უცევივდება ხელში ყოველთვის მოხერხებულ ვაჭრებს და სახელმწიფოსაც საცა მანეთი უნდა შემოუვიდეს, შაური მოსდის; მეორე ის, რომ გლეხის დალოცვილს მარჯვენას გზა არ ეხსნება სამუშაოდ, რომ თვითონაც ირგოს და სხვასაც არგოს?—80.

გაზეთი მოითხოვს ამ საქმის ისეთნაირად მოწყობას, რომ მამულის იჯარით გაცემის ამბავმა თავის დროზედ მიაღწიოს მშრომელის ყურამდე, რათა „ამით თვით ხაზინამაც ირგოს და გაჭირებულს გლეხ-კაცსაც არგუნოს რამე“⁸¹. წერილის ავტორის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა გაეკეთებინა საგანგებო განცხადება ქართულ ენაზე იჯარით გასაცემი მამულის ადგილმდებარეობისა და საიჯარო პირობების შესახებ⁸². უფრო მეტიც. შესაფერისი სოფლის მამასახლისის უნდა მისცემოდა „სასტიკი ბრძანება“, რომ მას დაეტარებინა გზირი „მეკომურთა შორის“ და ეცნობებინა მათთვის საჭარო ვაჭრობის დრო და ადგილი⁸³.

გაზეთი „დროებაც“ დიდი ყურადღებით მოეკიდა ამ საქმეს. მხარს უჭერდა რა „მთლიანად ივერიის“ ფურცლებზე გამოთქმულ მოსაზრებას. ის, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგ კონკრეტულ წინადადებას იძლეოდა⁸⁴. 1. გამოცემულიყო სპეციალური კანონი, რომელიც საერთოდ აუკრძალავდა ვაჭარ-მეცხეებს სახაზინო მიწების იჯარით აღებას, ხოლო გლეხებს კი — პირიქით — გაუადვილებდა ამ საქმეს. 2. სახელმწიფო მამულის იჯარით ამღებთ არ უნდა ჰქონებოდათ უფლება მისი სხვა პირზე იჯარით გაცემისა⁸⁵. 3. დიდი სახაზინო მამულები დაყოფილიყო პა-

⁸¹ იქვე.

⁸² იქვე.

⁸³ იქვე.

⁸⁴ „დროება“, 1882, № 43.

⁸⁵ „ეს პირები, — წერდა ნ. ნიკოლაძე 1871 წელს ვაჭარ-მეცხეების შესახებ, — მიწაწილს მისთვის კი არ უიღებოდნენ, რომ მისი შემუშავება სურდეთ, — არა. მათ შემუშავების თავი არა აქვთ, არც ამისთანა მცირე საქმისთვის სცალიან. ისინი მიწას იყიდვიან იმ განზრახვით, რომ შემდგომში იჯარით, დალით გასცენ ეს მიწა, მიაჭირაონ ის იმ პირებს, რომელთაც უმიწოდ გაძლება არ შეუძლიათ, ე. ი. გლეხაკობას, და სამაგიეროდ შემოსავლის წილი მიიღონ“ (ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 107).

ჩანს მდგომარეობა არც ამის შემდეგ გამოკეთებულა, რაც დასტურდება ვორონოვ-დაშკოვის შემდეგი სიტყვებით (1907 წ.):

«Все более или менее крупные оборочные статьи сдаются в аренду с торгов целиком, без разбивки на мелкие участки, т. е. в таком виде, в каком лично снять их не могут действительные будущие арендаторы их, поэтому они снимаются обычно наиболее зажиточными людьми, которые оставляя иногда часть статьи в своем пользовании, передают остальную часть, нередко при посредстве еще промежуточных посредников, соседним крестьянам по такой цене, что арендная плата в казну иногда составляет всего 10% ея» (Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова. 10 февраля 1907 г.: П. В. Гугушвили. Сельское хозяйство и аграрные отношения, т. IV, гл. 88—89).

ტარ-პატარა ნაწილებად, რათა გლეხს გაადვილებოდა მათი იჭრით აღება. 4. გლეხები და სოფლის საზოგადოებანი ვაკეთებენ უმეტესწილად „ბეის“ შეტანის ვალდებულებისაგან, თუ კერძოდ იჭრებენ იჭნებოდა მთელი სოფლის ან მისი „მომეტებული ნაწილის“ განჩინება ამ საგანზე. 5. განცხადება სახაზინო მამულის იჭრით გაცემის დროის, ადგილისა და პირობების შესახებ უნდა გაკეთებულიყო თავის დროზე და ისიც უსათუოდ ქართულ ენაზე.

საერთო წესების შემოღებაო. — წერდა გაზეთი⁸⁶. — ცოტა არ იყოს, შეაჩერებს ჩვენს ზურაბიანეებს⁸⁷ და დაიხსნის სოფლის გლეხებს „მწურბელებისაგან, რომლისგანაც მას გატანჯული სულის მეტი არა შერჩენია-რა. მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა, რომ ერის უმრავლესობის კეთილდღეობაზედ იზრუნოს... რომ რამდენსამე გაიძვერა კაცს არ დააჩაგვრინოს, ტყავი არ გააძრობინოს იმ გლეხისათვის, რომელიც მრჩენელი და საფუძველია მთელის სახელმწიფოსა“.

2. სახელმწიფო გლეხთა გადასახადები

როგორც დროებით-ვალდებულ გლეხების, ისე სახაზინო გლეხთა მიმე ეკონომიური მდგომარეობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს საგადასახადო სისტემა წარმოადგენდა. რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ გადასახადების სიმძიმეზე, ჩვენ აქ მოვიტანთ სათანადო ცხრილს, შედგენილს ვასული საუკუნის 80-წლებში სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის მედვედევის მიერ.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს (იხ. ცხრილი 9), თბილისის გუბერნიის სახაზინო გლეხები უფრო მეტად იყვნენ დატვირთულნი გადასახადებით, ვიდრე ქუთაისის გუბერნიისა. პირველ მათგანში საშუალოდ თითო კომლზე მოდიოდა 13 მანეთი და 75 კაპეიკი ყველა სახის გადასახადი, ხოლო მეორეში — 10 მანეთი და 36 კაპეიკი. გადასახადების სიდიდის მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სიღნაღის (17 მან. და 17 კაპ. კომლზე), თბილისის (16 მან. და 20 კაპ.), თელავის (15 მან. და 17 კაპ.), გორის (15 მან. და 0,3 კაპ.), ახალქალაქის (14 მან. და 28 კაპ.), ახალციხის (14 მან. და 27 კაპ.) და ბორჩალოს (13 მან. 83 კაპ.) მაზრები. ყველაზე დაბალი ნორმები კი ყოფილა დუშეთისა (6 მან. და 27 კაპ.) და თიანეთის (6 მან. და 34 კაპ.) მაზრებში. მაგრამ მარტო ამ მონაცემების მიხედვით ძნელია

⁸⁶ „დროება“, 1882, №43.

⁸⁷ ზურაბიანეების ქვეშ გაზეთი ეკარ-მევახეებს გულისხმობს — ა. ა.



Ք.Ներքևի ք. գեղերից գետերը	Կարմիր գետեր (Ջրաբեր)				Կարմիր գետեր (Ջրաբեր)				Կարմիր գետեր (Ջրաբեր)				Կարմիր գետեր (Ջրաբեր)			
	արևի	արևոց կողմ կողմ	արևմտյան կողմ մասն	արևելյան մասն	արևի	արևոց կողմ կողմ	արևմտյան կողմ մասն	արևելյան մասն	արևի	արևոց կողմ կողմ	արևմտյան կողմ մասն	արևելյան մասն	արևի	արևոց կողմ կողմ	արևմտյան կողմ մասն	արևելյան մասն
Երևան	1.10	0.75	0.50	0.20	4.47	0.83	0.50	0.20	7.00	1.30	0.80	0.50	0.20	10.00	1.60	1.00
Երևանի մարզ	4.37	0.75	0.50	0.20	7.47	0.83	0.50	0.20	9.00	1.30	0.80	0.50	0.20	11.00	1.60	1.00
Երևանի մարզի գեղեր	4.1	0.75	0.50	0.20	7.47	0.83	0.50	0.20	9.00	1.30	0.80	0.50	0.20	11.00	1.60	1.00
Երևանի մարզի գեղեր	2.70	0.44	0.30	0.10	5.30	0.44	0.30	0.10	6.00	0.44	0.30	0.10	6.00	0.44	0.30	0.10
Երևանի մարզի գեղեր	4.73	0.33	0.20	0.10	8.00	0.33	0.20	0.10	9.00	0.33	0.20	0.10	9.00	0.33	0.20	0.10
Երևանի մարզի գեղեր	1.03	0.15	0.10	0.05	2.00	0.15	0.10	0.05	3.00	0.15	0.10	0.05	3.00	0.15	0.10	0.05
Երևանի մարզի գեղեր	4.91	0.15	0.10	0.05	8.11	0.15	0.10	0.05	9.00	0.15	0.10	0.05	9.00	0.15	0.10	0.05
Երևանի մարզի գեղեր	3.31	0.15	0.10	0.05	5.41	0.15	0.10	0.05	6.00	0.15	0.10	0.05	6.00	0.15	0.10	0.05
Երևանի մարզի գեղեր	2.88	0.15	0.10	0.05	5.07	0.21	0.14	0.07	6.00	0.21	0.14	0.07	6.00	0.21	0.14	0.07
ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ԿՐԹԱԿՈՒՆԵՐԻ Գ. Կ.	3.83	0.40	0.44	0.23	6.10	0.74	0.51	0.27	8.00	0.79	0.55	0.28	10.75	1.14	0.74	0.27
Երևան	3.41	0.50	1.14	0.48	3.48	0.88	1.34	0.63	3.40	0.40	0.80	0.40	9.00	1.00	3.10	1.84
Երևանի մարզ	3.18	0.50	1.47	0.84	3.47	0.49	0.76	0.63	3.40	0.40	0.84	0.56	11.34	2.10	3.20	1.84
Երևանի մարզի գեղեր	3.58	0.50	1.50	0.59	3.44	0.31	0.50	0.40	3.40	0.40	1.34	0.84	9.00	1.04	3.61	3.44
Երևանի մարզի գեղեր	3.73	0.33	1.84	0.90	3.7	0.11	1.18	0.71	3.67	0.34	3.30	1.04	10.1	1.50	4.21	3.60
Երևանի մարզի գեղեր	4.03	0.4	2.21	1.44	3.47	0.49	1.50	1.03	4.13	0.44	1.87	1.07	11.00	1.60	6.54	4.24
Երևանի մարզի գեղեր	5.00	0.26	1.93	1.63	3.67	0.33	1.10	0.90	3.66	0.40	1.18	1.04	10.04	1.44	4.21	3.61
Երևանի մարզի գեղեր	3.50	0.47	1.40	1.03	3.99	0.57	1.13	0.74	3.93	0.30	0.76	0.58	10.10	1.30	4.49	3.33
ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ԿՐԹԱԿՈՒՆԵՐԻ ԳՆԸ	4.87	0.50	1.47	0.91	3.46	0.53	1.20	0.83	3.90	0.40	1.10	0.73	10.34	1.57	3.64	3.40



მსჯელობა საგადასახადო ტვირთის სიმძიმის შესახებ საერთოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამაზე შედარებით დგენას გვაძლევს ცხრილის ბოლო გრაფები, რომელთა ტავენ გადასახადების შეფარდებას მწარმოებელი კლასის მიწის ფართობთან. ამ რიგის ცნობებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის გუბერნიაში კულტურული მიწის თითო დესეტინაზე მოდიოდა 66% მეტი გადასახადი, ვიდრე თბილისის გუბერნიაში. რაც შეეხება გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც ყველა სახის მიწის თითო დესეტინაზე მოდიოდა, ის დასავლეთ საქართველოში თითქმის სამახევარჯერ მეტი იყო, ვიდრე აღმოსავლეთში.

აქვე შევნიშნავთ, რომ იმ თანხიდან, რომელიც თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხის თითო ოჯახს ეხარჯებოდა საშუალოდ გადასახადების გასატუმრებლად (13 მან. 75 კაპ.), 28,58% (3მან. და 83 კაპ.) საკომლო გამოსაღებზე მოდიოდა, 35,42% (4 მან. და 82 კაპ.) — საერობოზე და 36% (5 მან. და 09 კაპ.) — ნატურალურ და სასოფლო ფულად გადასახადებზე. ქუთაისის გუბერნიაში კი მათი ხედრი წონა შესაბამისად უდრიდა: 36,00%, 33,54% და 30,41%.

საერთოდ საქართველოს სახელმწიფო გლეხებს კისერზე აწვავთ სხვადასხვა გადასახადების მძიმე ტვირთი, რომელთა ზიდვა ართმევდა მათ აუარებელ დროსა და მატერიალურ დოვლათს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის გლეხი კულტურული მიწის თითო დესეტინაზე ქუთაისის გუბერნიაში — 10 ფუთი სიმინდის ღირებულ თანხას (3 მან. და 84 კაპ.) იხდიდა, ხოლო თბილისის გუბერნიაში — დაახლოებით 4,5 ფუთისა.

3. სახელმწიფო გლეხთა კლასობრივი ბრძოლა

სახელმწიფო გლეხთა კლასობრივი ბრძოლა, ისე როგორც დროებით-ვალდებულ გლეხთა, სხვადასხვა ფორმებში ვლინდებოდა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, შეიარაღებული გამოსვლა იყო. ხშირად ამ გამოსვლაში სოფლის მშრომელი მოსახლეობის ყველა კატეგორია ღებულობდა მონაწილეობას, ზოგჯერ კი — მარტო სახაზინო გლეხი. ასეთი იყო, მაგალითად, თავისი მამოძრავებელი ძალებით 1878 წლის აჯანყება კახეთში. მღელვარებამ მოიცვა, კერძოდ, ქიზიყის სოფლები, რომლებიც მთლიანად სახელმწიფო გლეხებით იყვნენ დასახლებულნი. გამოძიებისა და კავკასიის ადმინისტრაციის მიერ მოწყობილი სამართლო პროცესის მასალებმა მაქსიმალური სიცხადით დაადგინეს ხალხის აზვირთების ნამდვილი მიზეზები და საბაბი. სახელმ-



წიფო გადასახადების სიმძიმე, ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გაუთავებელი განრივი, სასოფლო, სამაზრო გუბერნიო ხელისუფლების შეუზღუდველი თვითნებობა — აი რამ აიძულა ქიზიყის, ისედაც არასახარბიელო მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი, მოსახლეობა იარაღი აეღო ხელში. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებათა მთელი სიმძიმე კისერზე აწვა სწორედ ულარიბეს გლეხს, რომლებიც ისედაც ძლივს ახერხებდნენ ცხოვრება-არსებობას. რაც შეეხება კულაყებს, ისინი ქრთამისა და სხვადასხვა საჩუქრებით თავს აღწევდნენ ფულადსა და ნატურალურ გადასახადებს, სახალხო რაზმებში სამსახურს, სატრანსპორტო საშუალებათა განრიგსა და სხვ. ყველა ეს უსამართლობა, რომელსაც საერთოდ ყოველთვის ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით საგრძნობი ვახდა 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროსა და მის მომდევნო ხანაში, როდესაც საერთაშორისო მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით სახალხო რაზმეულის ფორმირება იქნა გამოცხადებული. ამას ხმამალა ამბობდნენ კახეთის აჯანყების მონაწილე, პასუხისგებაში მიცემული გლეხები⁸⁸.

ჩვენთვის საინტერესო მოვლენის გამომწვევი კონკრეტული ვითარება დამაჯერებლადაა დახასიათებული ადვოკატ გამრეკელის სიტყვაში, რომელიც მან სასამართლო პროცესზე წარმოსთქვა. „Народ,— თქვა მან, долгое время находившийся под гнетом целого ряда злоупотреблений со стороны местных властей, потеряв терпение, собрался заявить о своих нуждах уездному начальнику. В одно и то же время выставка ароб и людей для транспортировки тяжестей, шоссировка дорог и высыпка гравия, составление призывных списков, производимое со всеми несправедливостями, все это в совокупности возбудило народ выразить свои нужды, излить горе в такой форме, которая называется восстанием. Трудно себе представить, какими тяжкими последствиями сопровождался для крестьян подобный порядок. Не говоря уже о тех возмутительных злоупотреблениях, допускаемых старшинами при жеребьевке милиционеров, власти игнорировали всякое чувство справедливости, вымогали последние крохи уже от прежде разоренного население“.

⁸⁸ „Мы,—აცხადებდნენ ისინი,— бедные и потому не в состоянии были дать взятки полицейским и сельским должностным лицам и у нас отняли (в годы войны) арбы, быков и буйволов; теперь еще требуют, чтобы мы отправились в поход; богатых же, давших взятки, освободили как от выставки подвод, так и от ройлской повинности» (Газета «Обзор», 1878 г., № 322; შედარე ვაზ. „ღროება“, 1878 წ., № 250.

⁸⁹ ვაზ. „Обзор“, 1878 г., № 321.



ნია. Злоупотребления старшин дошли, наконец, до того, что крестьяне лишились возможности во время убранья урожая. Как будто на зло, урожай (1878 г.) был обильный, однако народ, голодавший почти 15 лет, не помнит. И вот в этот момент, единственный в их неприглядной, безотрадной жизни, во всеоружии силы являющиеся старшины и последний луч надежды, в кои веки озаривший на мгновение полуразрушенные бесприютные хижины бедняков, гаснет, словно он и появился только затем, чтобы... мрак, нависший над народом, сделался еще тяжеле и ужаснее. Отсутствие кредита, несостоятельность валюты, разоренное хозяйство, личные и имущественные притеснения, недостаток средств для пропитания семьи, все это наполняло душу бедняков отчаянием».

ჩვენთვის საინტერესო მოძრაობის დასაწყისი და მსვლელობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება. 1878 წლის დასაწყისში სიღნაღის მაზრის სოფლებში გაერცელდა ხმები, რომ მთავრობა აპირებს სახალხო რაზმის შექმნას და რომ მამასახლისებმა მაზრის ადმინისტრაციის მითითებით ამ მიზნით უკვე შეადგინეს გასაწვევ პირთა სიებიო. ამ სიებიდან, ხმების თანახმად, კენჭისყრით უნდა შეერჩიათ გლეხების საჭირო რაოდენობა და რაზმში ჩაერიცხათ.

გლეხებმა, რომლებმაც ამას წინათ დიდი ფიზიკური და მატერიალური მსხვერპლი გაიღეს, კატეგორიული უარი განაცხადეს როგორც ამაზე, ისე მეტი რაოდენობით (200-ზე მეტი) ურმების გამოყვანაზე. აღნიშნული ღონისძიების ბოიკოტირება აიხსნება, რა თქმა უნდა, არა იმით, რომ სიღნაღის მაზრის სოფლის მშრომელ მოსახლეობას არ სურდა მონაწილეობა მიეღო საქართველოს ისტორიული მტრის, სულთანის თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ მრავალი სხვა გარემოებით, რომელთა შორის მთავარი იყო ხალხისთვის სრულიად უცხო მილიციაში ჩარიცხვის კენჭისყრის წესი. გვითხარით რამდენ კაცს ითხოვთ ჩვენგან და მზად ვართ მოგცეთ ორჯერ და სამჯერ მეტიც, თანაც სულ დარჩეული ბიჭები. მაგრამ არა კენჭისყრითო — გაიძაზოდნენ თურმე აჯანყებული გლეხები⁹⁰. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ სოფლის მამასახლისების მიერ თვითნებურად შედგენილ გასაწვევ პირთა სიების დაუყოვნებლივ მოსაპობას.

მთავრობის განკარგულების საწინააღმდეგო პროტესტი იმიტომაც იყო გამოწვეული, რომ ამ უკუღმართად შედგენილი სიების წყალობით ბევრ ოჯახს უკანასკნელი მუშახელი ეცლებოდა და ამით საშუალება ესპობოდა სრულიად აეღო 1878 წლის მოსავალა, რომელსაც ძალიან კარგი პირი უჩანდა. ეს მით უფრო იყო საყუ-

⁹⁰ ვ. ზ. „ღრობა“, 1878 წ., № 114.



რადღებო და ანგარიშგასაწევი, რომ თხუთმეტი ცუდი მოუსავლიანი წლის შედეგად კახეთის გლეხები უკიდურეს სიღარიბეში ჩაეკარნენ ჩაეკარნენ ისინი თხოვდნენ სამაზრო ხელისუფლებას შეეცათ მათთვის მოსავლის აღების საშუალება⁹¹.

4 ივნისს დილით სოფ. ზემო მაჩხაანის გლეხებმა, რომლებმაც საკმაო რაოდენობით მოიყარეს თავი, ალყა შემოარტყეს მამასახლისს დავით ბოსტოლანაშვილს და გასაწევე პირთა სია მოსთხოვეს. მაგრამ რადგან დამაკმაყოფილებელი პასუხი,⁹² ვერ მიიღეს ძლიერ სცემეს. ამ ამბების მსვლელობა-მიმდინარეობის დროს ხალხი განუწყვეტლივ ყვიროდა, რომ მილიციონერებს კენჭისყრით არმაც და არამაც არ მისცემდა ხმას. იმავე დღეს შემთხვევის აღვილზე ქალაქ სიღნაღის პრისტავის თანაშემწე პრაპორშჩიკი ჯანიევი გამოცხადდა და წესრიგის აღდგენა სცადა, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. ამით გაბრაზებულმა ჯანიევმა თავის მხლებელს გზირ სოლომონ ბეჟანიშვილს უბრძანა შეეპყრო ერთი, სხვაზე უფრო აქტიურად მოქმედი, ახალგაზრდა გლეხი. მაგრამ აზვირთებული მასა თავს დაესხა გზირს, სცემა იგი და დაქერილი ამხანაგი გაათავისუფლა.

ზედა მაჩხაანში მომხდარმა მღელვარებამ საგონებელში ჩააგდო მაზრის ადმინისტრაცია. მან გადასწყვიტა 5 ივნისისათვის დანიშნული კენჭისყრა დროებით გადაედო იმ მიზნით, რომ ალაზნის მიდამოებში განლაგებულ ჯარების უფროს გენერალ-მაიორ იოსებ ორბელიანისათვის კაზაკთა ერთი ასეული ეთხოვა და ამ ძალის დასწრება-დახმარებით შეედგინა სახალხო რაზმეულთა ლაშქარი. სიღნაღის მაზრის უფროსი გრაფი ტიზენგაუზენი მართლაც ეწვია ხსენებულ გენერალს, რომელიც იმ დღეს (5 ივნისს) სტუმრად იმყოფებოდა თავად რევავ ვაჩნაძესთან სოფელ ბაქურციხეში. ის და მისი თანმხლები პირები — თარჯიმანი ლევან ანდრონიკაშვილი და მცველები ბასიკო ბოსტოლანაშვილი — ბაქურციხის გზაზე მდებარე ანაგის ხეობაში შეხვდნენ ვაჭირიდან, მაშნაარიდან, საკობო და სხვა სოფლებიდან მომავალ გლეხთა დიდ ჯგუფს. აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს ტიზენგაუზენს და გამოუცხადეს, რომ კახეთის მოსახლეობა მზადაა ქუღზე კაცი მისცეს ხელისუფლებას, მა-

⁹¹ „Дайте нам сперва возможность, — ვაძახობდნენ გლეხები, — собрать урожай, чтобы мы могли внести подати, а после мы не только выставим все наши подводы, но даже все поголовно пойдем защищать паряи отечество“ („Обзор“, 1878 г., № 309).

⁹² მამასახლისმა მათ მისცა გასაწევე პირთა სიის შავი, გლეხებმა კი მოითხოვეს თეთრი, რომელიც ამ დროისთვის უკვე სამაზრო სამმართველოში იყო გავრეული.



გრამ კატეგორიულად წინააღმდეგია „საღდათობისა“ და სახალხო
 ლაშქრის კენჭისყრის წესით შედგენისა. გრაფმა სცადა ანდრონიკაშვილს
 ბული მასის დაშოშმინება, მაგრამ უკანასკნელი არამცთუ არ დას-
 ცხრა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო განრისხდა; ის თავს დაესხა
 მამასახლის მკედლიშვილს, ჩამოგლიჯა განსხვავების ნიშნები და
 უზომოდ სცემა იგი. იგივე ბედი ელოდა მაზრის უფროსსაც, მაგრამ
 მან, ისარგებლა რა აჯანყებულთა მთელი ყურადღების მკედლიშვილ-
 ზე გადატანით, გაქცევა მოასწრო და ბაკურციხეში ამოჰყო თავი.
 აქ, თავად რევაზ ვაჩნაძის სახლში, გრაფი ზემოთ ხსენებულ იოსებ
 ორბელიანს, ინეინერ ლუქანიცის, მომრიგებელ მოსამართლის თა-
 ნაშემწებს ხოსროევსა და დრაგომიროვს, თბილისის საოლქო სასა-
 მართლოს პროკურორის თანაშემწეს გუდიმა ლევკოვიჩსა და პო-
 რუჩიკ კურილოს შეხვდა.

მაზრის უფროსს ჯერ სანახევროდაც არ დაემთავრებინა თხო-
 ბა მომხდარ ამბებზე, რომ ვაჩნაძის სახლს მიუახლოვდა არაჩვე-
 ულებრივი სისწრაფით მზარდი, სულ მალე 5 ათას კაცამდე გამრავ-
 ებული აჯანყებულთა მასა. გენერალმა ორბელიანმა, რომელმაც
 მღელვარების მონაწილეთა გაფანტვა სამხედრო ძალის გამოყენე-
 ბით გადასწყვიტა, შეადგინა ტელეგრამის ტექსტი ბაკურციხეში კა-
 ზაკთა ასეულის გამოგზავნის შესახებ. მაგრამ გლეხებმა ჩაშალეს
 ეს გეგმა: ხელთ იგდეს ტელეგრამა და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს ის.
 ხალხი, შეიარაღებულ ჯოხებით, კომბლებითა და ხანჭლებით, ვარს
 შემოერთყა ვაჩნაძის სახლს. იგი მოითხოვდა ტიზინგაუზენის, ჯანი-
 ევის, მაზრის თავდაზნაურთა წინამძღოლის ზაქარია ანდრონიკაშვი-
 ლისა და სხვათა გაცემას. ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოხუ-
 ცი და ახალგაზრდა — ყველა ერთხმად ყვიროდა, რომ მათ ძარცვა-
 ვენ და ანადგურებენ და რომ ისინი კატეგორიული წინააღმდეგე
 არიან მილიციის კენჭის ყრით შედგენისა⁹³.

გენერალ ორბელიანის, რევაზ ვაჩნაძისა და სხვათა ყოველგვა-
 რი ცდა დაეშალათ მოზღვავებული ხალხი — უშედეგო აღმოჩნდა.
 აჯანყებულებმა, რომლებმაც გაუბედავი მოქმედებისათვის ქალებ-
 ბის საყვედური დაიმსახურეს, მთლიანად დაკარგეს მოთმინების
 უნარი — ისინი შეიჭრნენ ვაჩნაძის სახლში იმ მიზნით, რომ ანგა-
 რიში გაესწორებიათ ყველასათვის, ვინც მათ ავიწროებდა და სულს
 ხდიდა. «Наконец, — ნათქვამია მომდევნო ამბების შესახებ საბრალ-
 დებულო დასკვნაში, — толпа хлынула в комнату, где нахо-

⁹³ „ჩვენ, — ყვიროდნენ აჯანყებულები, — შხად ვართ ვეშახტოთ შე-
 ფეს, ყველა თანაბმად გავყვით თქვენს მიერ ნაჩვენებ გზას, მაგრამ კენჭისყრით
 მილიციონერებს ვერ მოგცემთ... ვიმსახურებთ ისე, როგორც მსახურობდნენ
 ჩვენი მამები და პაპები“ („Обзор“, 1878 г., № 39).

дился уездный начальник, граф Тизенгаузен, и потребовала от него призывные списки. Когда же он объявил, что у него призывных списков при себе нет, его стали жестоко бить палками. Удары переносились и на лиц, которые защищали его, именно: переводчика князя Андроникашвили, всадника Бостоганашвили, князя Сосо Вачнадзе⁹⁴ и рядового Мирошникова (денщика князя Орбелиани). Наступило (некоторое) затишье. Граф Тизингауз объявил, что если они успокоятся по получении призывных списков, то он даст им бумагу в Сигнах, «своему помощнику, который, по предъявлении ее выдает им подлинные призывные списки. Толпа успокоилась. Тизенгаузену дали кусок бумаги и чернила. Когда он стал писать записку, ее вырвали у него, крича, что это им не нужно, а нужны самые списки. При этом осмотрели лежащий там портфель кн. Орбелиани, и, не найдя в нем никаких списков, снова стали наносить побои графу Тизенгаузену, вытащили его на балкон, а оттуда на улицу, в массу народа, продолжая наносить побои. Здесь подняв его на ноги, стали требовать призывные списки. Тогда он предложил отправиться с ним в Сигнах, обещая дать там списки. Толпа на это согласилась. Графа посадили на почтовую тройку и значительная часть пошла с ним по направлению в Сигнах. Но в Анаге большинство толпы отстало, а передовые требовали, чтобы он дальше не ехал, причем один... громко кричал, и угрожал палкой. Наконец, в толпе произошла ссора, которой граф Тизенгаузен воспользовался и уехал в Сигнах»⁹⁵.

სიღნაღის მახრის უფროსის ბედი გაინაწილა გენერალ-მაიორმა ორბელიანმა. აჯანყებულებმა ის აივანზე გამოათრიეს, იქიდან ეზოში ჩაიყვანეს და საშინლად სცემეს, რის გამო მას თავისი ხის ფეხი გაუტყდა. საგრძნობლად დაზარალდნენ აგრეთვე პროკურორის ამხანაგი ლევეკვიჩი, პორუჩიკი კურილო და სხვები.

აბოზოქრებული ხალხი გაუსწორდა არა მარტო მისთვის საქულველ ადამიანებს, არამედ სულ ერთიანად დაღუწა რევავ ვაჩნაძის ოჯახის ძვირფასი აევი და ჭურჭლეულობა. დაამტკრიეს, კერძოდ, ერთი ბროლის ლიუსტრა, თან წაიღეს ხმლები, დამბაჩები, რეკოლვერები და თოფები, დაამსხვრიეს მინები, ჩაამტკრიეს კარები და ფანჯრები, გააფუტკეს განჯინები, სკივრები და სხვა ნივთები. ერთი სიტყვით, რევავ ვაჩნაძის ოჯახი საფუძვლიანად გაძარცვეს. მას დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს. ეს ზარალი სპეციალურმა კომისიამ სამ ათას მანეთად შეათასა⁹⁶.

⁹⁴ რევავ ვაჩნაძის შვილი. — ი. ა.

⁹⁵ „Обзор“, 1878 г., № 309.

⁹⁶ იქვე.



თავადის სახლთან დილაადრიაანად შეკრებილმა გლეხებმა⁹⁷ დღის პირველ საათისათვის ნელ-ნელა პირი სახლისკენ დაიხრეს. გზაში იპინი თავს დაესხნენ კარდანახელ მამასახლისს სამადაშვილის სახლს და დაამტვრიეს ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდათ. ასევე მოექცნენ აჯანყებულნი ანაგის, ვაჭირისა და საკობოს სტაროსტებს მჭედლიშვილს, ათაბეგოვსა და ფხოველიშვილს⁹⁸. ნაკლებად არც შედუქნენ სანდრო ჭრელაშვილი (სოფ. ანაგა) დაზარალებულა. მასზე შური იძიეს იმის გამო, რომ ის, ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნით, მონაწილეობდა, თურმე, ვასაწვევ პირთა სიების შედგენაში⁹⁹.

ამრიგად, როდესაც გაუსწორდა ყველა მტარვალს და ჩაშალა ფაქტიურად სახალხო ლაშქრის შექმნის საქმე, აზვირთებული ხალხი დაიშალა. დაიწყო აჯანყების მონაწილეთა დაქერები, ამოქმედნენ საგამომძიებლო ორგანოები. 1878 წლის 15 ნოემბერს ქალაქ სიღნაღში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელშიაც, როგორც უკვე ზევითაც აღვნიშნეთ, გამოაგლინა სახალხო მოძრაობის ნამდვილი მიზეზები. პასუხისგებაში მიცემული გლეხები ეჭვმიუტანელი ფაქტებით ლაპარაკობდნენ თავიანთ მძიმე სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაზე და გაბედულად ამხელდნენ სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო ადმინისტრაციის თვითნებობასა და თავგასულობას. თვით სახელმწიფო ბრალმდებელი კი იძულებული იყო აღენიშნა, რომ აჯანყება მოხდა იმ არაჩვეულებრივი ბოროტმოქმედების გამო, რომელსაც მიმართავდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები გადასახადების აკრეფის, სახალხო რაზმების შედგენისა და მოსახლეობიდან სატრანსპორტო საშუალებათა გამოყვანის დროს.

სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით პასუხისგებაში მიცემულ 20 გლეხიდან¹⁰⁰ თერთმეტს¹⁰¹ 15 წლის კატორღა მიესაჯა¹⁰².

⁹⁷ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ყველა ეს ერთი დღის, სახელდობრ 5 ივნისის, განმავლობაში ხდებოდა.

⁹⁸ ფხოველიშვილი გლეხების მიერ მიყენებულ მატერიალურ ზარალს 450 მანეთად აფასებდა („Однѣ“, 1878 წ. № 109).

⁹⁹ სანდრო ჭრელაშვილის დექანში აჯანყებულებს, მისივე მოწმობით, დაუმტკრევიათ შურტელი, დაუღვრიათ ღვინო და არავი, გაუფუჭებიათ ტყავი და სხვ. („Однѣ“, 1878 წ. № 109).

¹⁰⁰ აი მათი გვარები: დიმიტრი კუდაშვილი, თომა მირინაშვილი, გეგენა დარჩიაშვილი, გეგენა ალხანაშვილი, ილია მირინაშვილი, ილია მჭედლიშვილი, ილია ნალბანდიშვილი, სესია მეყუდიშვილი, იასე ნარეკლიშვილი, მელანია ხელაშვილი, პეპე დავითაშვილი, საბედა გულზადარიშვილი, გიორგი შიოშვილი, დარიაკო შართაშვილი, ჭანდირ სიფყარიშვილი და ივანე ბაყაშვილი.

¹⁰¹ მათ შორის ორ ქალს — საბედა გულზადარიშვილსა და მელანია ხელაშვილს.

¹⁰² „Однѣ“, 1878 წ., № 311

კახეთისა და საერთოდ საქართველოს სხვა კუთხის სათელმწიფო გლეხებს, როგორც მოსალოდნელიც იყო, არც მერე შეუწყვეტიათ ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის მაცრამ აქ არ შეეჩერდებოთ, რადგანაც დაინტერესებულ მკითხველს სათანადო მასალა შეუძლია ნახოს სახაზინო გლეხებისადმი მიძღვნილ ჩვენს ადრე გამოცემულ მონოგრაფიაში¹⁰³.

თავი VII

მთავრობის ღონისძიებანი სახელმწიფო გლეხთა მიწათმოქმედებისათვის. 1900 წლის 1 მაისის კანონი

რას აკეთებდა მთავრობა იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც სული მოედგა მცირემიწიანობა-უმეწიობით უკიდურესობამდე მისულ სახაზინო გლეხს? სათანადო მასალის გულდასმით შესწავლა გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის მთელ მანძილზე მას არ გაუტარებია არც ერთი საერთო ხასიათის ღონისძიება მწარმოებელი კლასის ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის მიწით უზრუნველყოფა-მომარაგების მიმართულებით. უფრო მეტიც, ეს საკითხი გასული საუკუნის 80—90 წლებამდე საერთოდ არ ყოფილა რამდენადმე მაინც სერიოზული განხილვის საგანი. „За небольшими исключениями, — წერდა ჩვენ მიერ ზემოთ უკვე დასახელებული ი. მედვედევი, — касающимися водворения в Закавказье немецких колонистов и русских переселенцев, — земельное положение казенных крестьян этого края никогда не было предметом каких-либо регулирующих его законодательных актов. Равным образом, в Закавказском крае не было предпринимаемых систематических мер по обеспечению этих крестьян землями и нормированию их надела, подобных тем, какие так широко принимались во внутренних губерниях империи в период попечительства над казенными крестьянами Министерства государственных имуществ»¹⁰⁴ (ხაზი ჩვენია.—ი.ა.).

ამის უმთავრეს მიზეზად მთავრობა ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილის მომთაბარულ ცხოვრებას, მიწების ბოლომდე

¹⁰³ იველისებვა ჩენი „Государственные крестьяне Грузии в XIX веке“, т. II, 1962, стр. 146—162.

¹⁰⁴ И. Г. Антелава, Реформа поземельного устройства государственных крестьян Закавказья в конце XIX века, 1952, стр. 27.

ვაუმჯვენელობასა და ხელოვნური მორწყვის საკითხის მოუგვარებლობას ასახელებდა¹⁰⁵.

ყოველივე ზემოთქმული, რა თქმა უნდა, იმას როგორც უნდა რომ ხელისუფლება სრულებით არაფერს აკეთებდა ამ მხარეთულებით და გულხელდაკრეფილი უყურებდა სოფლის მშრომელი მოსახლეობის მცირემიწიანობით გამოწვეულ უკიდურეს სიღარიბეს. ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალებიდან ჩანს, რომ ზოგჯერ მთავრობა გამომდინარე ფისკალური ინტერესებიდან და შეშფოთებული გლეხების კატეგორიული მოთხოვნით, გამოუყოფდა ხოლმე მათ მიწის ნაკვეთებს. ასე, მაგალითად, 1872 წელს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა უწყებამ მოამარაგა მიწით (თუმცა სრულიად არასაკმარისი რაოდენობით) სახაზინო გლეხის 74 ოჯახი,¹⁰⁶ 1873 წელს — 22 ოჯახი¹⁰⁷ და 1874 წელს — 13 ოჯახი¹⁰⁸. თბილისის გუბერნატორის ანგარიშის თანახმად კი, 1876 წელს სახელმწიფო გლეხებს, გერმანელ კოლონისტებსა და სამსახურიდან გადამდგარ სამხედრო ჩინებს მიუღიათ სულ 2053 დესეტინა მიწა¹⁰⁹.

მაგრამ მთავრობის ასეთ საქმიანობას, რომელსაც არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი და თანაც ეხებოდა მწარმოებელი კლასის მხოლოდ უძნეშველო ნაწილს, არ შეეძლო სახაზინო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის რამდენადმე მაინც საგრძნობი გაუმჯობესება. უფრო სერიოზული ღონისძიებების გატარებას კი მეფის ხელისუფლება ერიდებოდა. და მაინც სახელმწიფოს შემოსავლის გადიდების სურვილმა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ იძულებული გახადეს საფუძვლიანად განეხილა გლეხთა საკითხი. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მან დაიწყო რიგი საერთო ხასიათის ღონისძიებათა გატარება სახაზინო გლეხთა მიწათმოწყობის მიმართულებით.

ასე, მაგალითად, 1881 წლის 22 მაისს დამტკიცებულ იქნა დებულება სახაზინო მიწების იჯარით აღებისას გლეხთა კოლექტივებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ ამ კანონის თანახმად, გლეხთა საზოგადოებას უფლება ეძლეოდა იჯარით აეღო ხაზინის მიწა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის მათი საცხოვრებელი ადგილიდან საკმარის მოშორებით იმყოფებოდა. ამას გარდა, გლეხებს ფულადი გარანტიის გაღების მაგივრად წება დაერთოთ სასოფლო

105 Всеподданейший доклад министерства государственных имуществ по поездке на Кавказ в 1889 г. СПб., 1890 г., стр. 11—12.

106 ЦГИАГ, ф. 246, оп. 1, д. 595, лл. 101—113.

107 იქვე.

108 იქვე.

109 იქვე, ფონდი 5/12, საქმე 3975, ფურც. 5—35.

კრების განაჩენი წარედგინათ¹¹⁰. 1883 წლის 5 იანვარს გათქვევუნდა შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი, რომელიც უმიწო და მცირემიწიან გლეხთა გადასახლებას ეხებოდა. ცირკულიარში მითითებული იყო, რომ თავისთავად მიწის სინაკლებე კიდევ არ გამოკმაო საფუძველი უშუალო მწარმოებლის გადასახლებისა და მისი მიწით მომარაგებისა. ასეთი ღონისძიებების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო მიზანშეწონილად მიჩნეული, თუკი დამტკიცდებოდა, რომ იქ, სადაც გლეხი ცხოვრობდა, ნამდვილად არ იყო იჯარით გასაცემი მიწა და თანაც შეუძლებელი იყო კულტურული მრეწველობის გაშლა — ვამართვია. დასახლებული ცირკულიარი კრძალავდა მიეცათ გლეხისათვის მიწა იმ შემთხვევაშიც, თუკი მას ის წინათ გააჩნდა, მაგრამ მერე გაჰყიდა და ამით დაეარგა თავისი არსებობის ძირითადი წყარო¹¹¹. დასასრულ, 1884 წლის ბოლოს მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო გლეხთა საზოგადოებისათვის საჯარო ვაჭრობის გარეშე მიწის იჯარით ვაცემის შესახებ.

ეს ღონისძიებები, ცხადია, დღის წესრიგისაგან არ ბსნიდა ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიწით მომარაგების საკითხს. ამ უკანასკნელის მეტ-ნაკლებად მოგვარება მხოლოდ ძირეულ რეფორმას შეეძლო, რომლის აუცილებლობას თვით მთავრობის წრეებშიც კარგად გრძნობდნენ ბოლო დროს.

დაიწყო რეფორმის მომზადება, რომელიც არსებითად 16 წელი (1884-1900) გაგრძელდა. დასასრულ, 1900 წლის 1 მაისს, სხვადასხვა ინსტანციებში ხანგრძლივი დებატების შემდეგ, მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო გლეხების მიწათმოწყობის შესახებ¹¹². კანონი, რომლის მთელი აზრი საბოლოოდ არსებული მდგომარეობის ფიქსირებასა და ამ მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტაციის შედგენაში გამოიხატა, არ ითვალისწინებდა უმიწო და მცირემიწიან გლეხებისა და გლეხთა საზოგადოებისათვის მიწის ნაღელის გამოყოფასა და ამ ნაღელის გარკვეულ ნორმამდე აყვანას (ასეთი ნორმები საერთოდ არ დაწესებულა). მხოლოდ გამოწაკლისს, განსაკუთრებით „საპატიო შემთხვევებში“, ჰქონდა ნება მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, კავკასიის მთავარმართებელთან შეთანხმებით, გაედიდებინა გლეხთა ნაღელეები ან გამოეყო

¹¹⁰ Сборник правительственных распоряжений и решений по устройству быта крестьян и поселян Кавказского края. 1880—1883 гг. Составил М. П. Кучаев. Тифлис, 1883, стр. 81.

¹¹¹ იქვე, გვ. 93.

¹¹² კანონის ტექსტი იხ. ი. ანთელავის წიგნი „Реформа поземельного устройства“, გვ. 266—269.

ახალი სახაზინო მიწების ხარჯზე, რომელიც პრინციპში ხელუხლებლად ითვლებოდა, როგორც კოლონისტებისათვის განკუთვნილი ფონდი.

განსახილველი კანონის საფუძველს წარმოადგენდა გლეხისათვის მის ფაქტიურ განკარგულებაში მყოფი მიწის არა საკუთრებად, არამედ მუდმივ მფლობელობის უფლებით მიცემის იდეა. მართალია, ცენტრალური კომისიის რეკომენდაციით, ამის შესახებ კანონში პირდაპირ არაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ სხვადასხვა პუნქტებში შეტანილი შეზღუდვები საეცებით ნათლად საზღვრადნენ გლეხების დამოკიდებულების ხასიათის მათთვის გამოყოფილ (უფრო სწორად, მათ სარგებლობაში მყოფ) მიწებისადმი. მე-5 მუხლის თანახმად, მაგალითად, გლეხი, რომელიც სახაზინო მიწით სარგებლობდა, იზდიდა ყოველწლიურ სახელმწიფო საღალო გადასახადს. მე-12 მუხლი კატეგორიულად უკრძალავდა სოფლის მშრომელ მოსახლეობას სანადელო მიწის გაყიდვასა და დაგირავებას. მე-13 მუხლი კი სახელმწიფოს აცხადებდა იმ წიაღისეულის ბატონ-პატრონად, რომელიც სანადელო მიწების ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა.

ერთი სიტყვით, 1900 წლის „რეფორმას“ არ გადაუჭრია აგრარული საკითხი და სახაზინო გლეხთა დიდი ნაწილი ძველებურად დარჩა მიწით მოუმარაგებელი. აგრარული პრობლემის ასეთი გადაწყვეტა ხელს უწყობდა ბატონყმურ ურთიერთობათა გაღმონაშთების კონსერვაციას და აღერხებდა კაპიტალიზმის გამარჯვებას. ამიერკავკასიის ქვეყნების ბურჟუაზიული განვითარება კი შესაძლებელი იყო მაშინ ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთების სრული ლიკვიდაციით, სახელმწიფო და მემამულეთა მიწების გლეხებისათვის გადაცემით და ისეთი უაზრო და მავნე ინსტიტუტების გაუქმებით როგორცაა „неотчуждаемость крестьянских наделов, круговая порука, запрещение свободного выхода из крестьянской общины“¹¹².

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე 1900 წლის 1 მაისის „რეფორმა“ შეიძლება დახასიათდეს როგორც ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა არა გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის ნამდვილად გაუმჯობესებას, არამედ ძველი დრომოკმული წესების კონსერვაციით კლასობრივი ბრძოლის საშიში შედეგების თავიდან აცილებასა და ხაზინის შემოსავლის გადიდებას.

¹¹² В. И. Ленин, Соч., т. 4, стр. 396.

ბანსოფილზეა მისამი

თავი VIII

ხ ი ზ ნ ე ბ ი

1. ხიზნები 1864 წლის რეფორმამდე

ბატონყმურ საქართველოში ხიზანი ეწოდებოდა ფეოდალის მიწაზე დასახლებულ გლეხს, რომელიც პირადად თავისუფალი იყო, სარგებლობდა მემამულის მიწით უვადო-მემკვიდრეობითი უფლების საფუძველზე და იხდიდა ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ გადასახადს, რომლის შეცვლა არც ერთ მხარეს არ შეეძლო. მემამულეს უფლება არ ჰქონდა გაეძევიებინა ხიზანი, თუ კი ეს უკანასკნელი ასრულებდა თავის ვალდებულებებს, ხიზანს კი, როგორც პირადად თავისუფალს, შეეძლო წასულიყო მემამულისაგან. არსებობდა ხიზანთა ორი კატეგორია: თავისუფალი და ყმა ხიზანი. თავისუფალი ხიზანი არავისი ყმა არ იყო. ყმა ხიზანი კი იმ გლეხს ეწოდებოდა, რომელიც ერთი მემამულის ყმა იყო და მეორესთან ხიზნური უფლებებით დასახლდებოდა.

თავისუფალი ხიზანი გლეხთა კლასობრივი ბრძოლის შედეგად წარმოიშვა. ბატონისაგან გაქცევით, თავდახსნით თუ სხვა გზით ყმობას თავდაღწეული, პირადად თავისუფალი, მაგრამ უმიწო გლეხი უმეტეს შემთხვევაში იძულებული ხდებოდა სხვა მემამულის მიწაზე დასახლებულიყო. რაც შეეხება ყმა ხიზანს, მისი წარმოშობა დაკავშირებული იყო მცირემამულიანი ფეოდალის მეურნეობის კრიზისულ მოვლენებთან. ასეთი ფეოდალის მეურნეობაში, ყმის შრომა ინტენსიურ გამოყენებას ვერ პოულობდა და მებატონე იძულებული ხდებოდა თავისი ყმა ხიზნად დაესახლებინა სხვა, უფრო მსხვილ მიწათმფლობელთან.

ხიზანთა ძირითად მასას მიწისმოქმედი გლეხები შეადგენდნენ, მაგრამ არსებობდნენ აგრეთვე მჭედელი, ფეიქარი, მეწისქვილე, ხაბაზი, დალაქი, მექვაბე, მღვდელი, მსახური, ვაჭარი და სხვა ხიზნები.

ხიზნობა როგორც კლასობრივი ბრძოლის ფორმა თავიდანვე ბატონყმობის თანამგზავრი იყო, მაგრამ როგორც სოციალური ინსტიტუტი, ის ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როცა საქართველოში თავი იჩინეს საერთოდ გვიანდელი ფეოდალური მისათვის დამახასიათებელმა ნიშნებმა. ხიზნობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება ბატონყმურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში დაწყებული რღვევის პირველი ნიშნების შედეგი იყო.

ბატონყმობის გაუქმებამდე ხიზნებსა და მემამულეებს შორის კლასობრივი ბრძოლის შინაარსი შეადგენდა ბრძოლა ხიზნური უფლებების შენარჩუნება-გაფართოებისათვის, რეფორმის შემდეგ კი ხიზნანთა ბრძოლის მიზანი ხიზნურ სარგებლობაში მყოფი მიწების სრული გასაკუთრება იყო¹.

2. საგლეხო რეფორმა და ხიზნანთა საკითხი

საგლეხო რეფორმის მომზადების პერიოდში, 1862 წელს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ მოითხოვა ყმების ხიზნებად გადაყვანა². მემამულეთა ამ აზრის დასაბუთების ცდა მოცემული იყო ცნობილ დოკუმენტებში „შეკრება 21 ჰაზრისა ორასორმოცდა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულთა ბატონყმობაზედ“, რომელიც 1863 წელს შესდგა³. ამ დოკუმენტის საფუძველზე დიმიტრი ყიფიანმა შეადგინა პროექტი ბატონყმობის გაუქმების შესახებ, რომელიც მოწონებულ იქნა თავადაზნაურთა სამაზრო ყრილობებზე იმავე 1863 წელს. მემამულეთა აზრით ყმების ხიზნურ მდგომარეობაში გადაყვანა 1861 წლის 19 თებერვლის დებულების დედააზრს გამოხატავდა, რადგან ხიზნურ ურთიერთობაში ბატონყმური დამოკიდებულება არ არსებობდა.

მთავრობა მემამულეთა ინტერესებს იცავდა, მაგრამ მას არ შეეძლო მთლიანად დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები. იმ მიწებს, რომლებსაც ხიზნები ათეული წლების განმავლობაში მემკვიდრეობითი უფლების საფუძველზე ამუშავებდნენ, მემამულეები თავიანთ სრულ საკუთრებად თვლიდნენ. ამიტომ ყმების ხიზნებად გადაყვანა ნიშნავდა მათ უმიწოდ განთავისუფლებას. ეს კი 1861 წლის

¹ ხიზნანთა საკითხის შესახებ რეფორმამდელ საქართველოში იხ. ჩვენი სტატიები: 1. „ხიზნა გლეხთა ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის“, წიგნი: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაე. 34, 1962 წ., გვ. 43—65 და 2. „კლასობრივი ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში“, იქვე, ნაე. 35, 1963 წ., გვ. 141—154.

² „საისტორიო მოამბე“, წიგნ. 4, 1950 წ., გვ. 111—112.

³ პ. გუგუშვილი, „ქართული ეურნალისტიკა“, თბ. 1941, გვ. 391—470; შ. ჩხეტია, „საისტორიო მოამბე“, წიგნ. 4, 1950 წ., გვ. 137—182.

19 თებერვალს დებულებას ეწინააღმდეგებოდა. მთავრობა შიშობდა, რომ ყმების ასეთი განთავისუფლება გამოიწვევდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას და ამასთან უმიწოდ სუფლებული გლეხები ვერ შესძლებდნენ სახელმწიფო გადასახადების გადახდას. ამ მოსაზრებებით მთავრობამ უარყო ყოფილი ყმების ხიზნებად გადაყვანის თავადაზნაურული პროექტი.

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულების პირველი მუხლით გაუქმებულად ცხადდებოდა ბატონყმური დამოკიდებულება იმ ხიზნებისა, რომლებიც ერთი მემამულის ყმები იყვნენ და ხიზნებად სახლობდნენ სხვა მემამულეებთან. ამ გლეხებს ორი წლის განმავლობაში უნდა ეხადათ იგივე გადასახადები, რასაც აქამდე უხდიდნენ თავიანთ მებატონეს (მუხლი 7). ამ ორი წლის შემდეგ ისინი თავისუფლდებოდნენ წინანდელ მებატონესთან ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან და რჩებოდნენ ისეთსავე ხიზნურ ურთიერთობაში, როგორც თავისუფალი ხიზნები⁴.

ამრიგად, 1864 წლის რეფორმა შეეხო მხოლოდ ყმა ხიზნებს. ისინი ყმობისაგან განთავისუფლდნენ და თავისუფალი ხიზნების მდგომარეობაში დარჩნენ, ე. ი. რეფორმის შემდეგ ხიზნათა ერთი კატეგორია დარჩა. რეფორმა არ შეხებია ხიზნურ ურთიერთობას. მთავრობა ფიქრობდა, რომ ხიზნათა საკითხს თავის დროზე ცალკე განიხილავდა⁵.

3. ხიზნათა საკითხის გადაჭრის პირველი ცდები

1864—71 წლების საგლეხო რეფორმის შედეგად უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხთა მრავალრიცხოვანი მასა წარმოიშვა. გლეხები ეკონომიურად მთლიანად მიწათმფლობელებზე იყვნენ დამოკიდებულნი.

მიწაზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად მიწის საიჯარო ფასიც იზრდებოდა. გლეხი იძულებული იყო აედო მიწა მემამულისაგან მაღალ საიჯარო ფასებში. გლეხი ხშირად მემამულეს მიწის იჯარის ფასად მოსავლის ნახევარზე მეტს აძლევდა. ასეთ პირობებში მემამულისათვის ხელსაყრელი არ იყო ხიზნობა, მიწის სარგებლობის მუდმივობით და ერთხელ დაწესებული ბევარა-გადასახადების უცვლელიობით. ამიტომ მემამულეებმა დაიწყეს წერილობითი ხელშეკრულებების დადება ხიზნებთან მოკლევადიანი იჯარის შესახებ. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი გაქცევა დაუწყეს ხიზნებს მიწებიდან.

⁴ „სისტორიის მოამბე“, 4, 1950, გვ. 413—415.

⁵ Барон Николай, Воспоминания из моей жизни, Москва, 1892 г., стр. 25—27.

მემამულეები აცხადებდნენ ხიზნები მიწის უბრალო მოიჯარაძრე-
ები არიანო და ამ საფუძველზე ერეკებოდნენ მათ მამაპაპებელ
ვილებიდან. მემამულეებს ამ საქმეში პოლიცია და სასამართლო
განობები ეხმარებოდნენ. ხიზნების საჩივარი, მათი მიწებიდან აყრი-
სა და გაძევების შესახებ უყურადღებოდ რჩებოდა. დავა მემამუ-
ლეებსა და ხიზნებს შორის ზოგიერთ შემთხვევაში სერიოზულ
„უწესრიგობას“ იწვევდა.⁶

ხიზნებსა და მემამულეებს შორის ურთიერთობის გამწვავებამ
მთავრობა აიძულა ხელი მოეციდა ხიზნათა საკითხის გადაჭრისათვის.

1866 წ. 17 ოქტომბრის სსდომაზე გლახთა მოწყობის ამიერ-
კავკასიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარყო ხიზნებზე ნადელის
მიცემა იმ მოტივით, რომ ხიზნები თავისუფალი პირები არიან და
მათ არ შეიძლება შეეხოს კანონები, რომლებიც ყმებისათვის იყო
გამოცემულიო⁷. მემამულეები ერეკებოდნენ ხიზნებს უკვე არა
ცალკეული კომლობით, არამედ მთელი ჯგუფობით და სოფლობი-
თაც კი⁸. 1869 წ. თბილისის გუბერნატორი ორლოვსკი აღიარებდა,
რომ შექმნილი მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო და ხიზნების გასახ-
ლება მემამულეთა მიერ ხიზნების სრულ დარბევას იწვევდა. საკი-
თხის მოსაგვარებლად ის შემდეგ წინადადებას აყენებდა: დარჩნენ
ხიზნები თავიანთ მიწებზე აქამდე არსებული პირობებით კიდევ
ორი წლის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე ორივე მხარე ნებაყოფ-
ლობით უნდა მორიგდეს მიწის დაქირავების პირობების შესახებ
წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე⁹. ამრიგად, გუბერნა-
ტორი მოითხოვდა, რომ მემამულეებს საშუალება მისცემოდათ
ხიზნები ვადიან მოიჯარაძრეებად გადაეყვანათ. ორლოვსკის ამ
წინადადებას არავითარი შედეგი არ მოყოლია. ბრძოლა მემამულე-
ებსა და ხიზნებს შორის უფრო მწვავედებოდა. 1875 წ. გუბერნატო-
რი აღიარებდა, რომ დავა და საჩივარი ხიზნებსა და მემამულეებს
შორის იზრდება, რომ ის — გუბერნატორი — ყოველგვარი უწეს-
რიგობის თავიდან აცილების მიზნით, მოქმედებს შემარიგებლო-
ბის პრინციპით, მაგრამ მიღებულმა ზომებმა სასურველი შედეგ-
ები არ გამოიღო, მემამულეები, სულ უფრო და უფრო აღიღებენ
ხიზნურ გადასახადებს. ამიტომ გუბერნატორი საჭიროდ თვლიდა

⁶ Кучаев М. Н., Материалы для изучения хизанского положения в Грузии (см. «Материалы для изучения экономического положения государственных крестьян Закавказского края», том I, Тифлис, 1885 г., стр. 388).

⁷ Ан-Пари, Грузинские хизаны и идеологи хизанства, Тифлис, 1913 г., стр. 30—31.

⁸ საქართველოს სსრ ცსაა, ფ. 12, საქმე № 268, ს. ფ. 45.

⁹ Кучаев, Материалы.. стр. 388.

ხიზანთა საკითხის საჩქაროდ მოგვარებას¹⁰. ბოლოს, 1876 წლის ივნისში, საკითხი განიხილა გლეხთა კომიტეტმა, რომლის მიერ შემუშავებული დადგენილება დაამტკიცა მეფისნაცვალმა. ამ დადგენილებით:

1) თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის გლეხთა საგანგოებს უნდა შეეგროვებინათ ცნობები ხიზნების რაოდენობისა და მათი მდგომარეობის შესახებ; 2) მიეღოთ ზომები მოდავე ხიზნებისა და მემამულეების შესარიგებლად და ხელი შეეწყოთ მხარეთა შორის საიჯარო ხელშეკრულების დადებისათვის; 3) ამ ცნობების საფუძველზე გუბერნიის გლეხთა საგანგოებს უნდა შეედგინათ პროექტი ხიზანთა საკითხის გადაჭრის ღონისძიებათა შესახებ; 4) ხიზანთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე დაეა და საჩივრები ხიზნებსა და მემამულეებს შორის ამოღებული უნდა ყოფილიყო სასამართლოს კომპეტენციიდან და დაქვემდებარებოდა გლეხთა საქმის ადგილობრივ დაწესებულებებს¹¹.

ამ დადგენილების შედეგი იყო სენატორ კლუშინის 1876 წლის 23 ივნისის ცირკულიარული წერილი, რომლითაც დაეა-საჩივრები ხიზნებსა და მემამულეებს შორის დაექვემდებარა გლეხთა დაწესებულებებს. ცნობების შეგროვება მეტისმეტად გაჭიანურდა. ის 1883-1884 წწ. დამთავრდა და წარმოდგენილი მასალების საფუძველზე თავისი დადგენილება გამოიტანა ქუთაისის გუბერნიის გლეხთა საგანგომ 1883 წ. 16 თებერვალს, ხოლო თბილისისამ — 1884 წლის 14 ივლისს¹².

ცნობების შეგროვების პერიოდში მთავრობის მოხელეები ცდილობდნენ, სადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, ხიზნების ნაწილი ვადიან მოიჯარადრეზებად გადაეყვანათ. ასე მაგ., ქუთაისის გუბერნიის გლეხთა საგანგოს წევრებმა გენ. მაიორ მაჭავარიანმა და სტ. სოვ. ერისთავმა განაცხადეს, რომ მათ ზუგდიდის და სენაკის მაზრებში შეძლეს მრავალი ხიზანის წერილობით, ვადიან ხელშეკრულებაზე გადაყვანა¹³.

თბილისის გუბერნატორმა, გენ. მაიორმა გროსმანმა, საგანგოში ხიზანთა საკითხის საბოლოო განხილვამდე საჭიროდ სცნო წინასწარ მოესმინათ მემამულეებისათვის და გაეგოთ თუ რა პირობებში და როგორ ფიქრობდნენ ისინი ხიზანთა საკითხის გადაჭრას. ამ მიზნით 1884 წლის მაისში მოწვეულ სხდომაზე მემამულეთა ერთი

¹⁰ Куцаев, იქვე, გვ. 339.

¹¹ იქვე, გვ. 393.

¹² იქვე, გვ. 393.

¹³ საქართველოს სსრ ცსსა, ფ. 12, საქმე 268, ს. ფ. 37.



ნაწილი ხიზნებს მიწის უბრალო მოიჯარადრეებად სთვლიდა და გადაჭრით ილაშქრებდა მათზე ნადელის მიცემის წინააღმდეგ. მემამულეთა ამ ნაწილის აზრით, ძველი ისტორიული ხიზნებზე ახლა უკვე აღარ არიან, ისინი დროთა განმავლობაში ან ყმებად იქცნენ, ან სახელმწიფო გლეხების კატეგორიაში გადავიდნენ, ისინი კი, რომლებსაც ახლა ხიზნებს უწოდებენ, სრულიადაც არ არიან ხიზნები, იმ აზრით, როგორც ეს გაეგებოდათ წინათ, არამედ არიან მოიჯარადრენი, მიუხედავად იმისა დადებული აქვთ მათ მემამულეებთან საიჯარო ხელშეკრულება, თუ არა. ამ საფუძველზე თავადაზნაურთა ეს ჩვეულებრივი მოითხოვდა, რომ მემამულეთა და ხიზნებად წოდებულ ამ მოიჯარადრეთა ურთიერთობა საერთო სამოქალაქო კანონებს დაქვემდებარებოდა და დავა-საჩივრები სასამართლო ორგანოებს გადაცემოდა¹⁴. მემამულეთა ეს თვალსაზრისი ყველაზე უფრო კარგად გამოხატა მსხვილმა მიწათმფლობელმა თავ. იოსებ ციციშვილმა, რომელიც ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხიზნებისათვის ამა თუ იმ სახით ნადელის მიცემის მომხრენი იყვნენ. ციციშვილი ამბობდა. ნადელის მიცემას მოითხოვენ ისინი, რომლებსაც მამული არ გააჩნიათ და ნადელის მიცემის მოთხოვნით არაფერს არ კარგავენ, ან ისინი, რომლებსაც ხიზნები სულ არა ჰყავთო; ციციანოვებს ბევრი ხიზნები ჰყავთ, რეფორმის დროს მათ საკუთარი მიწების ნახევარი დროებითვალდებულ გლეხებს მისცეს, დანარჩენი მიწების 1/4—1/5 კი ხიზნებს უჭირავთ და თუ ციციანოვების ხიზნებს მიწები მიეცემათ, მაშინ თვითონ ციციანოვები აღმოჩნდებიან ხიზნების მდგომარეობაშიო; ამიტომ არავითარ შემთხვევაში ნადელის მიცემა არ შეიძლება, ხიზნები ნებაყოფლობით უნდა მოურიგდნენ მემამულეებსო; ერთხელ და სამუდამოდ გავაგებინოთ ხიზნებს — აცხადებდა ციციანოვი, რომ მათ ჩვენს მიწებზე არავითარი უფლებები არა აქვთო¹⁵.

მემამულეთა მეორე ნაწილი ცნობდა ხიზნების, როგორც გლეხთა განსაკუთრებული კატეგორიის არსებობის ფაქტს და საჭიროდ აღიარებდა მათსა და მემამულეებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას. ამათგან ზოგიერთები, როგორც მაგ., იოსებ ივანეს ძე შალიკოვი და სხვ. საჭიროდ ცნობდნენ ხიზნებზე ნადელის მიცემას ვამოყიდვის გზით, მთავრობის დახმარებით, მხოლოდ იმ პირობით. თუკი მემამულეები ამის თანახმანი იქნებოდნენ, იქ კი, სადაც მემამულეებს ამის სურვილი არ ექნებოდათ — ხიზნებს მთავრობამ

¹⁴ Кучаев, Материалы, გვ. 396 და შემდეგ; შტრ. ცსსა, ფ. 12, საქ. № 268, ს. ფ. 17.

¹⁵ იქვე, გვ. 397.

უნდა მისცეს სახაზინო მიწები¹⁶. არსებითად მემამულეთა ამ ჯგუფის მოთხოვნა არაფრით არ განსხვავდებოდა იმ მემამულეთა მოთხოვნებისაგან, რომლებიც ნადელის მიცემის წინ იყვნენ, რადგან ნებაყოფლობისა და სურვილის საფუძველზე ხიზნისა და მემამულის ურთიერთობის მოწესრიგება შეუძლებელი საქმე იყო.

სხვები — მემამულეთა ამ ნაწილიდან, როგორც მაგ., გიორგი ზურაბის ძე ანდრონიკოვი, მოითხოვდნენ, რომ ყოველი ცალკე მხარისა და ადგილისათვის მომხდარიყო ხიზნური გადასახადების და ხიზნებზე მიცემული ნადელების ზუსტი აღრიცხვა, აქედან დადგენილი ყოფილიყო გადასახადთა საშუალო ნორმა და შემდეგ ამ ნორმის საფუძველზე დადებულ იყოფილიყო საიჯარო ხელშეკრულება მემამულეებსა და ხიზნებს შორის 12 წლის ვადით. ამ ვადის შემდეგ კი მომხდარიყო გადასახადების რეგულიაცია. ვინც ამ პირობით დარჩენას არ მოისურვებდა უნდა გასახლებულიყო მამულიდან ყოველგვარი საზღაურის გარეშე; თუ ვადის შემდეგ მემამულე მოისურვებდა ხიზნის გასახლებას — ხიზანს უნდა მისცემოდა ნაგებობებისა და ნარგავების ღირებულება¹⁷.

მემამულეების მესამე ნაწილი აცხადებდა, რომ ხიზნების მოწყობა მემამულეთა საქმე არ არისო, ეს საქმე მთავრობამ უნდა იყოს. ხიზნების გადასახდებით თავისუფალ სახაზინო მიწებზე, ან მთავრობამ ხიზნებს უნდა მისცეს სესხი მიწის შესასყიდად საკუთრებაში, სადაც ეს ადვილობრივი პირობების მიხედვით შესაძლებელი იქნება¹⁸.

თათბირზე ხიზნებისათვის მათ სარგებლობაში მყოფი მიწების გამოსყიდვის გზით მიცემის დამცველად გამოვიდა დავით ჭაიხოსროს ძე ყიფიანი მისი აზრით ხიზანი მემამულის მიწის საკუთრების მონაწილეა: „Хизанские отношения заключают в себе ограничение права собственности помещика, относительно тех земель, которые составляют предмет хизанского права. Вся суть дела заключается именно в этом ограничении права собственности помещика“¹⁹.

მთავრობის მოხელეები, გამოდიოდნენ რა სახელმწიფო ინტერესებიდან, საჭიროდ თვლიდნენ ხიზნებზე ნადელის მიცემას. თბილისის გუბერნიის გლეხთა საგანგოს წევრი ლიუბომირსკი

¹⁶ იქვე, გვ. 398.

¹⁷ Кучаев, გვ. 358.

¹⁸ საქ. სსრ ცსსა, ფ. 12, საქმე 268, ს. ფ. 17.

¹⁹ Кучаев, გვ. 401.

მოითხოვდა ნადელის მიცემას იმ ოდენობით, რომლითაც ხიზნებმა ფაქტიურად სარგებლობდნენ. ქუთაისის საგანგოს წევრები წინააღმდეგობრივად მიხედვით, ე. ი. დროებით ვალდებულ გლეხების მსგავსად²⁰.

თათბირზე თავისი განსაკუთრებული აზრი წერილობით წარადგინა ილია ჭავჭავაძემ. ის ხიზნური ურთიერთობის შენარჩუნების მომხრე იყო, მისი აზრით მიწის ხიზნური მფლობელობა ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას. ილიას მიხედვით ხიზნობის ინსტიტუტი ადათობრივი სამართლის ნაცვლად დაწერილი კანონის ძალას უნდა დაქვემდებარებოდა.

გუბერნიის გლეხთა საგანგომ მიწა მემამულეთა ხელშეუხებელ საკუთრებად ცნო და ხიზნებზე ნადელის მიცემის აზრი უარყო²¹.

1885 წლის მაისში ხიზანთა საკითხი განიხილა მთავარმართებლობის საბჭომ. მემამულეები აქაც თავის წინანდელ აზრს იცავდნენ იმის შესახებ, რომ ხიზნები მოიჯარადრეები არიან და საკითხი საერთო სამოქალაქო კანონებს უნდა დაექვემდებაროსო. ყველაზე უფრო ნათლად მემამულეთა ეს აზრი გამოხატეა თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ. ის ამბობდა, რომ თავადაზნაურობამ ერთხელ მისცა გლეხებს მიწები და ამჟამად მას უმიწო გლეხებისათვის არაფრის მიცემა არ შეუძლიაო, არაა საჭირო ხიზნებზე განსაკუთრებული მზრუნველობა, რადგან ისინი კარგად და უზრუნველყოფილად ცხოვრობენ²².

საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი იყო 3 კანონპროექტი: საბჭოს წევრის კუჭავეისა, ილია ჭავჭავაძისა და დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანის.

ილია ჭავჭავაძე იცავდა თავის წინანდელ შეხედულებას ხიზნობის ინსტიტუტზე და მისი კანონით განმტკიცებას მოითხოვდა. მისი პროექტის მიხედვით მიწა მემამულის საკუთრებაა, ხოლო სახლი და სხვა ნაგებობანი, პირუტყვი, სას. სამეურნეო იარაღები და ხიზნის მიერ გაშენებული ბალ-ვენახები — ხიზნის საკუთრებაა. ილიას პროექტის მესამე პარაგრაფის მიხედვით მემამულეს შეეძლო აეყარა ხიზანი, ხიზანსაც ჰქონდა წასვლის უფლება. ხიზნის სარგებლობაში მყოფი მიწის რაოდენობა მხარეთა შეთანხმებით უნდა დაწესებულიყო; შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხიზნის სარგებლობაში უნდა დარჩენილიყო მიწა, რომლითაც ის სარგებლობდა

²⁰ Кучаев, გვ. 400—401.


²¹ იქვე, გვ. 402.

²² საქართველოს ცსსა, ფ. 12, საქ. 268, ს. ფ. 40—41.

დებულების გამოქვეყნებამდე (§ 6). თუ შემამულე ხიზანს შიხანს და სარგებლობაში 4 დესეტინა ურწყავ ან 2 დესეტინა მიწას, მაშინ ხიზანს წასვლის შემთხვევაში თავისი საკუთრებაში მამულისათვის უნდა დაეტოვებინა საანაზღაუროს გარეშე (§ 7). ხიზანს უფლება ეძლეოდა ესარგებლნა შემამულის ტყით, წყლით, საძოვრით. ამისათვის ხიზანს უნდა ეხადა განსაზღვრული გადასახადები, რომელიც მხარეთა შეთანხმებით უნდა დაწესებულიყო. დავისა და უთანხმოების შემთხვევაში ყოველწლიური გადასახადი შემდეგი რაოდენობით უნდა განსაზღვრულიყო: საკარმიდამო მიწისათვის, რომელიც 1200 კვ. საექნზე მეტი არ უნდა ყოფილიყო — 3 მანეთი; სახნავ-სათესი მიწისათვის და ბალ-ვენახიდან — შემოსავლის 1/4 ნაწილი, მინდორზე გაშენებული ხეხილიდან — მოსავლის 1/3, სათიბისათვის — მოსავლის 1/3; ტყით, წყლით, საძოვრით და სხვა სერვიტუტული უფლებებისათვის გადასახადი იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენიც დაწესებული იყო სახაზინო ნიბრის მიხედვით მოცემული ადგილისათვის (§ 18). ხიზანს უფლება ჰქონდა, თუკი შემამულე ამის თანახმა იქნებოდა, გაეყიდა, ანდერძად მიეცა, ან გაეჩუქებინა თავისი უფლებები მთლიანად და არა ნაწილობრივ (§ 20). ილიას აზრით ამ საფუძველზე ხიზნობა უნდა დარჩენილიყო. პროექტის მიხედვით ხიზნად ითვლებოდნენ ის მიწათმოქმედი გლეხები, რომლებიც მიწერილნი იყვნენ სოფლის საზოგადოებაზე, ცხოვრობდნენ მიწათმფლობელის მამულში და ჰქონდათ მუდმივი საზღ-კარობა და მიწის სარგებლობის შესახებ შემამულესთან არ იმყოფებოდნენ კანონიერი ან საშინაო აქტით შედგენილი ვადიან ხელშეკრულებით ურთიერთობაში, რომელიც მხარეთათვის სადაო არ იყო (§ 1). ხიზნებად ჩითვლებოდნენ ის გლეხებიც, რომლებიც ამ დებულების შემდეგ დასახლდებოდნენ შემამულეთა მიწებზე პირველ პარაგრაფში ნაჩვენები პირობების საფუძველზე (§ 22). ილიას პროექტი ცნობდა აგრეთვე მხარეთა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე ხიზნის შერ მიწის გამოსყიდვას, მთავრობის დახმარებით (§ 23)²³.

ილიას პროექტი ხიზნური ურთიერთობის მოწესრიგებას ისახავდა მიზნად და არა მის მოსპობას, ილია იცავდა ხიზნებს შემამულეთა ძალმომრეობისაგან, რომლებიც დაქინებით მოითხოვდნენ ეცნოთ ხიზნები, როგორც ვადიანი მოიჯარადრეები, რომ ვადის შემდეგ მათი თავისუფალი გაძევება შესძლებოდათ. წინააღმდეგ ამისა

²³ ილიას პროექტი იხ. საქ. სსრ კსსა. ფ. 12, საქმე 268, გვ. 62—65 აგრეთვე პ. იოვითის პუბლიკაცია „საისტორიო მოამბე, წ. 3, 1947 წ., გვ. 221—228.



ილიას სურდა დაკანონებული ყოფილიყო ხიზნობა, როგორც მუდმივ შემკვიდრებობითი ურთიერთობა. ილიას პროექტი ხიზნობა არა ლეგებებს აფართოებდა, მაგრამ ამით ხიზნების მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელი იყო, ხიზანი მემამულის კაბალაში რჩებოდა.

ილიას პროექტი შედეგი იყო მისი მცდარი შეხედულებისა ხიზნობის ისტორიული და ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ. მისი აზრით პირველი დიდი უსამართლობა ისტორიაში ეს იყო მიწის საზოგადო საკუთრების დარღვევა და კერძო საკუთრების გაჩენა, მაგრამ ჩვენ უძლურნი ვართ — ამბობდა ილია — მოვსპოთ ეს უსამართლობა. ხიზნობაში კი თავის შემდგომ განვითარებას პოულობს მიწის საზოგადო საკუთრების ელემენტი, კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვით. მას შემდეგ, რაც საზოგადო საკუთრების მოსაპობის ნიადაგზე მიწის მუშა უმიწოდ დარჩა და მიწის მესაკუთრე უმუშაბელოდ, ერთადერთი გამოსავალი იყო მიწის ხიზნური მფლობელობა. ილიას აზრით ხიზნობა ერის საჭიროებამ დაბადა, ის „შექმნა თვითონ ერის ცხოვრებამ, თვითონ ერმა გამოხარშა თავის ცხოვრების მდულარებაში და წამლად დაიდვა იმ ტკივილის მოსარჩენად, რაიც სამწუხარო მოვლენამ მიწისა და ხელის განცალკევებისამ აუტეხა დროთა მიმავლობაში. სულიერმა ძალ-ღონემ ერისამ მთელი საუკუნოები იმოქმედა ამაზედ, მთელი საუკუნოები მოახმარა ამას, ტანი ააყრევინა და გამოიყვანა კუთვნილს გზაზე შემდეგის წარმატებისათვის“²⁴. ილია ფიქრობდა, რომ ერის სურვილით შექმნილი ხიზნობა გაზრდის გზაზე იმყოფებოდა და ამიტომ ხელი უნდა შევეწყოთ მის განვითარებას — ამბობდა ის. მისი აზრით, „ხიზნობის ბუნებაში ადამიანის პირადობის შემხუთავი არა არის რა. პირიქით, ხიზნობა ყოველგვარს შეხუთავს ეურჩება და დიდის გულმოდგინებით კპატრონობს ადამიანის პირად უფლებასა“²⁵. ეკონომიური თვალსაზრისით ხიზნობა, ილიას აზრით, ხელს უწყობდა ქვეყნის სამეურნეო წარმატებას.

ილიას ეს აზრი მცდარია. ხიზნობას არ შეეძლო ხელი შეეწყო ქვეყნის სამეურნეო წარმატებისათვის, პირიქით, ის ხელს უშლიდა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას და ისტორიული აუცილებლობა ხიზნობის ინსტიტუტის ლიკვიდაციას მოითხოვდა.

ილიას პროექტს მთავარმართებლობის საბჭოში დაუპირისპირდა დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანის პროექტი. დ. ქ. ყიფიანი სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგა ხიზნობის საკითხში.

²⁴ ი. ქაეჭავაძე, ობზ. ტ. VIII, გვ. 181.

²⁵ იქვე.



ილიას იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ხიზნობა ერის სასიცოცხლო ინტერესებშია შექმნეს, დ. ქ. ყიფიანი აღნიშნავს: „действительно народ произвел хизанство, как произвели народы рабство, сословность и другие институты Феодализма и средневекового варварства“²⁶.

დ. ლ. ყიფიანი მოითხოვდა ხიზნობის ინსტიტუტის მოსპობას. მისი პროექტის²⁷ მიხედვით ხიზნებს უნდა მისცემოდა მათ სარგებლობაში მყოფი მიწების სრულ საკუთრებაში გამოსყიდვის უფლება, მასთან გამოსასყიდი თანხის გამოანგარიშების საფუძველი უნდა ყოფილიყო მიწის არა ახლანდელი საბაზრო ფასი, არამედ იმ ბეგარა-გადასახადების ღირებულება, რომელსაც ხიზნები უზღიდნენ მემამულეს. ამ პროექტით მხარეთა შეთანხმებით ხიზნური ურთიერთობის შეწყვეტის მიზნით წესდებოდა 3 წლის ვადა. ამ ხნის განმავლობაში ხიზან-მემამულეს შორის არსებული ურთიერთობა უცვლელად უნდა დარჩენილიყო. თუ ამ 3 წლის შიგნით შეთანხმება არ მოხდებოდა ხიზნებს უფლება ექნებოდათ გამოესყიდათ მიწა შემდეგი ნორმით: არა უმეტეს 1 დესეტინა საკარმიდამო ნაკვეთისა და 10 დესეტინა სახნავ-სათესი მიწისა. გამოსასყიდი თანხა გამოანგარიშებული უნდა ყოფილიყო ხიზნის წლიური გადასახადის 6%-იანი კაპიტალიზაციის საფუძველზე. მთავრობა მიწების გამოსყიდვაში იმ წესით უნდა დახმარებოდა ხიზნებს, როგორც დრ. ვალდებულ გლუხებს. როგორც ვხედავთ, დ. ქ. ყიფიანიც მიწას მემამულის საკუთრებად თვლიდა, მაგრამ სამართლიანად აღიარებდა, რა, რომ ხიზნობა დრომოკმული მოვლენა იყო, მოითხოვდა მის მოსპობას ხიზნური მიწების გამოსყიდვის საფუძველზე.

მთავარმართებლობის საბჭოს სხდომაზე საკუთარი პროექტით გამოვიდა ამ საბჭოს წევრი მ. ნ. კუჭავეი. კუჭავეი ხიზნებს რუსეთის იმპერიის დასავლეთის გუბერნიების ჩინშევიკებს ადარებდა. ჩინშევიკები, — ამბობდა ის, — მუდმივად სარგებლობენ მემამულეთა მიწებით და მათ მიწის მესაკუთრებთან ერთად იურიდიული უფლება აქვთ ამ მიწებზე და ხიზნებიც ასეთნი არიანო²⁸. მისი აზრით ხიზნობა წარმოადგენდა „ბატონყმობის განსაკუთრებულ ფორმას“²⁹. აკრიტიკებდა რა ილიას იმ მოსაზრებას, რომ ხიზნობა მომავალში უნდა გავრცელდეს, როგორც ხელსაყრელი მოვლენა, მ. ნ. კუჭავეი აცხადებდა, რომ ეს აზრი უტოპიურია, რადგან მომა-

26 საქ. სსრ ცსსა, ფ. 12, საქმე 268, გვ. 42.
 27 იქვე.
 28 საქ. სსრ ცსსა, ფ. 12, საქმე 268 ს. ფ. 45.
 29 იქვე, ს. ფ. 46.



ვალში ახალი მიწების ათვისება მოხდება იჯარის საფუძველზე, ამ მოსაზრებით, რომ მიწის ფასის ზრდის გამო მემამულე უკვე ვერ გადასახადებს არ დასჯერდება, იჯარადარი კი არ დასჯერდება ვიერ შეთანხმებას. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად კუჭაევს მოყავდა ის ფაქტი, რომ ბევრმა მემამულეებმა უკვე დასდევს წერილობითი ხელშეკრულება ხიზნებთან მიწის იჯარით აღების შესახებ და თუ ეს ყველგან მასიურად არ ვავრცელდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე მხარე მოელის ხიზანთა საკითხის გადაჭრას³⁰. კუჭაევი დაასკვნოდა, რომ ილიას პროექტს ხიზანთა დიდი ნაწილის უშიწოდ დატოვება მოყვებოდა³¹. რაც შეეხება დ. ქ. ყიფიანის პროექტს, მას კუჭაევი ძირითადად მისაღებად თვლიდა.

მთავარმართებლობის საბჭომ სცნო, რომ ხიზნებისა და მემამულეების ურთიერთობა არ იყო მოიჯარადრისა და მესაყუთრის ურთიერთობა³² და შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარდგენილიყო უმაღლესი მთავრობის წინაშე. ეს კანონ-პროექტი მაქსიმალურად იცავდა მემამულეთა ინტერესებს (რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო) სახელმწიფოსა და ხაზინის ინტერესების შესაბამისად. პროექტის მიხედვით ხიზნად ცნობილი იქნენ ის გლეხები, რომლებსაც ჰქონდათ რა მკვიდრობა კერძომფლობელთა მიწებზე, არ იყვნენ მესაყუთრეებთან ვადიან ხელშეკრულებით ურთიერთობაში. კანონპროექტი ხიზნის საკუთრებად სცნობდა სახლს და სხვა სამეურნეო ნაგებობებს, რომელიც თვითონ ხიზნის მიერ იყო აშენებული, აგრეთვე ხიზნის მიერ გაშენებულ ბაღ-ვენახს. მემამულეს ყოველთვის ჰქონდა უფლება უარი ეთქვა ხიზნისათვის მიწით სარგებლობაზე და ამ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაჭრილიყო მემამულისა და ხიზნის ურთიერთ შეთანხმებით, ხოლო თუ შეთანხმება არ მოხდებოდა, მემამულე ვალდებული იყო გადაეხადა ხიზნისათვის ნამდვილი ღირებულება ხიზნის საკუთრებისა და აგრეთვე აენახლადურებინა ის ხარჯები. რაც ვაუწყებია ხიზანს მიწის გაუმჯობესებისათვის. თუ ხიზანი თავისი სურვილით სტოვებდა მემამულის მიწას, მაშინ ხიზნის მთელი საკუთრება მემამულეს რჩებოდა უფასოდ. პროექტის მიხედვით ხიზნის სარგებლობაში რჩებოდა ის მიწა, რომლითაც ის ახლა სარგებლობდა, იმავე გადასახადებით, რასაც აქამდე იხდიდა. ცვლილება ხიზნურ ურთიერთობაში შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ხიზნის თანხმობით. დავა მემამულეებსა და ხიზნებს შორის ექვემ-

³⁰ იქვე, ს. ფ. 46.

³¹ იქვე, ს. ფ. 50.

³² ხაჭ. სსრ ცსსა, ფ. 12, საქმე, 268, ს. ფ. 52.

დებარებოდა გლეხთა დაწესებულებებს. კანონპროექტით ორივე მხარეს უფლება ჰქონდა შეთანხმების საფუძველზე მიწის სარგებლობა ვადაიანად ექცია. მიწის გამოსყიდვა ხიზნის მომხდარიყო შეთანხმების საფუძველზე და იმ წესით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ადგილობრივი დებულებით ყოფილი უძველესი მიწათმფლობელების მიმართ.

მთავარმართებლობის საბუკოს კანონპროექტი ზოგიერთი ცვლილებებით დამტკიცებულ იქნა უმაღლესი მთავრობის მიერ 1891 წლის 3 ივნისს.

4. 1891 წლის 3 ივნისის კანონი

1891 წლის 3 ივნისის კანონი³³ მემამულეთა ინტერესებს იცავდა. კანონის პირველი მუხლი ვანსაზღვრავდა თუ ვინ უნდა ყოფილიყო ცნობილი ხიზნად. ამ მუხლში ნათქვამია: „ამ დებულების ძალით ხიზნებად ირიცხებიან ის მიწათმფლობელები, რომლებიც ამ დებულების გამოცხადებამდე დასახლებულნი არიან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მებატონეთა მამულებში და რომელთაც ამ მიწის მფლობელობისა და სხვაგვარი სარგებლობის შესახებ ვადიანი პირობა არა აქვთ მებატონეებთან არც მიღებულის წესით შეკრული და შემოწმებული და არც თუნდა შინაურული, რომელსაც ორივე მხარე უარს არ ყოფდეს“. ამრიგად საკმარისი იყო მემამულეს ეთქვა, რომ გლეხი ხიზანი არ არის და მაშინ ამ უკანასკნელს უნდა დაემტკიცებინა თავისი ხიზნური უფლებები ან მიწა უნდა დაეტოვებინა. კანონის ეს მუხლი საშუალებას აძლევდა მემამულეს უბრალო შინაურული პირობის ქალაქის საფუძველზე, რის დატყუებასაც ხშირად ახერხებდა იგი, უარეყო ხიზნური უფლება და მიწიდანაც აეყარა.

კანონი უფლებას აძლევდა მემამულეს უარი ეთქვა ხიზნისათვის მიწით სარგებლობაზე. ამ შემთხვევაში მემამულეს ერთი წლით ადრე უნდა გაეფრთხილებინა ხიზანი (მუხ. 5). მემამულე, რომელიც აძევებდა ხიზანს ვალდებული იყო მიეცა მისთვის საზღაური ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. კანონის მე-7 მუხლით: „თუ მებატონემ ხიზანს მამულზე უარი უთხრა, მაშინ ვალდებულია, იმ რიგად დააჯილდოვოს ხიზანი, როგორც ერთმანეთში მორიგდებიან. თუ ამგვარი მორიგება არ მოხდა, მაშინ ვალდებულია, უზღოს ხიზანს განსაკუთრებულ დაფასების მიხედვით ერთი ორად ღირებული ყოველივე იმისა, რაც ხიზანს აუშენებია, გაუშენებია და დაუ-

³³ გაზ. „იურია“, 1897 წ., № 170 (აგვისტოს 11).

რგავს მებატონის მამულში და აგრეთვე იმისიც რაც რამ ხარკი მოსვლია მფლობელობის დროს მებატონის სამოსახლო, სახსარებისა, სათიბებისა და საბაღო ადგილების განსაკარგებლად“. კანონის უფლებას აძლევდა ხიზანს, უარი ეთქვა მებატონის მიწით ხარკებზე და ხეზე, რისთვისაც მას ამის შესახებ ერთი წლით ადრე უნდა ეცნობებინა მემამულისათვის. ამ შემთხვევაში, ე. ი. თუ ხიზანი თავისი სურვილით ტოვებდა მიწას — „მაშინ ის მიწა და ყოველივე შიგა აშენებული და დანერგული მებატონის ხელში გადადის და არც ვალდებულია მებატონე, ხიზანი რითიმე დააჯილდოვოს“ (მუხ. 6).

როგორც ვხედავთ, მემამულის უფლება აეყარა ხიზანი, ერთგვარად შეზღუდული იყო ხიზნის საკუთრებად ცნობილი ქონებას ორმაგი ღირებულების გადახდით, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ვეიდენბაუმი „Закон 3-го июня 1891 года построенный по внешности к интересам обеих сторон, по существу благоприятствовал только одним помещикам. Землевладелец, уплатив двойную стоимость хизанских построек и пр., приобретал усадьбу и готовое хозяйство. Следовательно действительная жертва его выражалась ordinarily стоимостью перечисленных выше предметов. Но она легко могла быть возмещена при сдаче земли новому съемщику на более выгодных условиях“³⁴.

კანონის ის მუხლი, რომელიც ხიზანს წასვლის უფლებას აძლევდა წმინდა ფორმალური ხასიათის იყო, რადგან ამ შემთხვევაში ხიზანი მემამულეს უფასოდ უტოვებდა ათეული წლების განმავლობაში მისი შრომით გაკეთებულ მიწას, შენობებს და სხვა სამეურნეო ნაგებობებს, ხიზნის მიერ გაშენებულ ბაღ-ვენახებს. კანონი წამსვლელი ხიზანს უფლებას აძლევდა თავისი ხიზნური უფლებები მიეყიდა მესამე პირისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს პირი ვალდებული იყო მემამულისათვის წინდაწინ გადაეხადა მომავალი წლის გადასახადები. ასეთ პირობებში „в практике крестьянских учреждений не найдется ни одного случая добровольного отказа хизана от владельческой земли. Статья закона, дающая ему такое право, есть чисто кабинетное сочинение, придуманное только для логической последовательности, в виду права помещика отказать хизану пользоваться землею“³⁵.

1891 წლის 3 ივნისის კანონი ხიზნის განკარგულებაში ტოვებდა ყველა იმ საკარმიდამო, სახნავ-სათესი და სხვ. სახის მიწას, რომლითაც ის სარგებლობდა ამ დებულების გამოცემამდე. ხიზანს უფლება ჰქონდა აგრეთვე ესარგებლა მემამულის ტყით, წყლით, საძოვ-

³⁴ Вейденбаум, Хизаны в Грузии, Тифлис, 1913, стр. 29.

³⁵ Вейденбаум, იქვე, გვ. 29—30.

რებით და სხვ. იმავე პირობებში, რა პირობებითაც დებულების გამოცემამდე სარგებლობდა. ამგვარად, ხიზნისა და მემამულის ურთიერთობა უცვლელი რჩებოდა. 1891 წლის 3 ივნისის კანონის³⁶ მეშვეობით 10 მუხლით მიწის უვადო მფლობელობა მამულის პატრონის მიერ, როგორც საფუძველზე. „შეიძლება ვადიანად იქცეს ან საკუთრებად შეიძინონ ხიზნებმა მათი ნამფლობი მეზატონის მამული მთავრობის დახმარებით“.

1891 წლის 3 ივნისის დებულება აკანონებდა ხიზნობას და ამავე დროს ის თითქოს ხიზნური ურთიერთობის მოსპობის გზასაც სახავდა (მეათე მუხლი), მაგრამ ამ გზით ხიზნური ურთიერთობის მოსპობა, მხოლოდ მემამულის საარგებლოდ და მისი სურვილით შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა მემამულეები ვერ დააკმაყოფილა ამ კანონმაც და მათ მაშინათვე დაიწყეს მის წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც ახალი კანონის გამოცემა მოჰყვა.

ნ. ხიზნთა რაოდენობა

ხიზნთა რაოდენობის ზუსტი დადგენა რეფორმის წინა ხანისათვის თითქმის შეუძლებელია, რადგან კამერალურ აღწერებში ხიზნები ცალკე არ აღირიცხებოდნენ. თბილისის გუბერნატორის ცნობით 1861 წლისათვის გუბერნიაში ირიცხებოდა 5938 კომლი ხიზანი³⁶. იმავე ხანისათვის, გ. თუმანოვის ანგარიშით, ქუთაისის გუბერნიაში 1.169 კომლი ხიზანი იყო³⁷. ამრიგად, რეფორმის წინ საქართველოში დაახლოებით 7.107 ხიზნთა კომლი ირიცხებოდა.

1876 წლისათვის კუჭავის ანგარიშით თბილისის გუბერნიაში იყო სულ 6.155 კომლი ხიზანი, აქედან რეფორმის შემდეგ დასახლდა ხიზნებად 1.468 კომლი³⁸, ქუთაისის გუბერნიაში იყო — 2.532 კომლი, აქედან რეფორმის შემდეგ გახდა ხიზანი 1.025 კომლი. თუ ამ ცნობებს დაეუჭერებთ რეფორმის შემდეგ, 12 წლის განმავლობაში, სულ საქართველოში ხიზნად დასახლებულა 2.483 კომლი, ე. ი. საშუალოდ წლის განმავლობაში ხიზნთა რიცხვი იზრდებოდა 207 კომლით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1876 წლიდან მთელი 8 წლის განმავლობაში წარმოებდა სხვადასხვა ცნობის შეგროვება ხიზნების შესახებ. ეს ცნობები დამუშავებული და გამოცემული იქნა ამიერ-

³⁶ Кучаев, Материалы... 387; Документы по истории Грузии (1862—1917) под редакцией Ш. К. Чхетия, Тб. 1954, стр. 160.

³⁷ Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, 1902 г., стр. 37.

³⁸ Кучаев, Материалы..., стр. 426.

კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მიერ 1893³⁹ და ხელმწიფედ 1899 წელს⁴⁰. ამ ცნობების მიხედვით თბილისის გუბერნიის 1882-1884 წლებში იყო 6.774 კომლი ხიზანი⁴¹, მათში 25.706 კომლი⁴² სქესის, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში—2.680 კომლი⁴², სულ საქართველოში — 9.454 კომლი. ამ 8 წლის განმავლობაში, 1876 წლიდან 1884 წლამდე, თბილისის გუბერნიაში ხიზანთა რიცხვი გაზრდილა 616 კომლით, ე. ი. წელიწადში საშუალოდ ხიზანთა რიცხვი იზრდებოდა 77 კომლით, ქუთაისის გუბერნიაში კი დაახლოებით 16 კომლით.

მაზრების მიხედვით ხიზანთა რაოდენობა 1882—1884 წლებში შემდეგნაირად იყო განაწილებული:

მაზრები	თბილისის გუბერნია		მაზრები	ქუთაისის გუბერნია	
	ხიზანთა რაოდენობა კომლებში	მამრ. სული		ხიზანთა რაოდენობა კომლებში	მამრ. სული
გორის	3.222	12.751	ზუგდიდის	1.798	6.199
ბორჯომის	1.384	5.419	ოზურგეთის	252	848
ღუშეთის	975	4.040	შორაპნის	214	777
თბილისის	458	1.761	ლაჩხუშის	174	900
თიანეთის	320	941	სენაკის	126	515
თელავის	257	504	ქუთაისის	97	371
სიღნაღის	137	290	რაჭის	19	75
სულ:	6.774	25.706	სულ:	2.680	9.685

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, თბილისის გუბერნიის ხიზნური მოსახლეობის თითქმის ნახევარი გორის მაზრაში ცხოვრობდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ზუგდიდის მაზრაზე მოდიოდა გუბერნიის ხიზანთა 2/3.

შემდგომი ცნობები თბილისის გუბერნიისათვის გვაქვს 1894 წლისათვის, ხოლო ქუთაისის გუბერნიისათვის 1901 წლისათვის. ამ ცნობების მიხედვით თბილისის გუბერნიაში იყო 6.361 კომლი ხიზანი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 1.337 კომლი⁴³. ამრიგად,

³⁹ Свод статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях под редак. Е. Кондратенко, Тифлис, 1893 г.

⁴⁰ Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края, под ред. Е. Кондратенко, Тифлис, 1899.

⁴¹ Сборник ст. данных. стр. 15.

⁴² იქვე, გვ. 42—62.

⁴³ Материалы по вопросу о распространении действий крестьянского Поземельного Банка на Закавказский край, С.-Петербург, 1904, стр. 107.

1884 წლიდან ხიზანთა რიცხვი ორივე გუბერნიაში კლებულობს. სახელდობრ თბილისის გუბერნიაში 10 წლის განმავლობაში ხიზანთა რიცხვი შემცირდა 413 კომლით (6774—6361) და ქუთაისის გუბერნიაში 17 წლის განმავლობაში — 1343 კომლით. მახრების მიხედვით ხიზანთა ეს რაოდენობა შემდეგნაირად იყო განაწილებული:

თბილისის გუბერნია 1894 წლის ცნობებით			ქუთაისის გუბერნია 1901 წლის ცნობებით		
მაზრები	ხიზანთა რიცხვი კომლებში	მამრ. სული	მაზრები	ხიზანთა რიცხვი კომლებში	მამრ. სული
გორის	3,617	12,605	ზუგდიდის	881	ცნობა
ბორჩალოს	1,200	5,429	სენაკის	180	
ღუშეთის	882	4,040	ოზურგეთის	130	არ
თბილისის	446	1,761	შორაპნის	78	
თიანეთის	216	951	ქუთაისის რაქის	56	არის
				12	
სულ:	6,361	25,540	სულ:	1,337	

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს რეფორმის შემდეგ პირველი 20 წლის განმავლობაში ხიზანთა რაოდენობა, არც ისე სწრაფად და „კატასტროფულად“, როგორც ამას კატეგორიულად ამტკიცებდნენ თავადაზნაურები 1913 წელს, მაგრამ მაინც იზრდებოდა. უმიწობისა და მცირემიწიანობისა გამო გლეხების მისწრაფება გამხდარიყვნენ ხიზნებად გასაგებია, მაგრამ საკითხავია რატომ უშვებდნენ ამას მემამულეები, რომლებიც, როგორც აღნიშნეთ, დაჟინებით მოითხოვდნენ ხიზნების მოიჯარადრებად გადაქცევას? გარდა ბუნებრივი ზრდისა ხიზანთა რიცხვის ზრდა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ბევრი მიწის მოიჯარადრე გლეხი, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც მემამულეებთან ვაღიანი წერილობითი ხელშეკრულება არ ჰქონდათ დადებული — თავისთავს ხიზნად აცხადებდნენ და ზოგიერთი მათგანი ახერხებდა კიდევ თავისი ხიზნური უფლების დამტკიცებას. მეორეს მხრივ, როგორც ამას კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, ხიზნების ზრდას თვითონ მემამულეებიც უწყობდნენ ხელს: მამულების გაუმიჯნაობის გამო მასიური იყო მემამულეების ურთიერთ შორის დავა მამულების გარშემო. საქართველოში იშვიათად თუ მოიძებნებოდა ისეთი მემამულე, რომელსაც მეორე მემამულესთან დავა არ ჰქონებოდა მიწის რომელიმე ნაკვეთზე და მემამულე, რომელსაც დავის მოგების იმედი არ ჰქონდა, სიამოვნებით აძლევდა პირველ შეხვედრილ გლეხს ამ მიწას ხიზნურ და შედარებით შეღავათიან

პირობებშიც კი, რომ მისგან რაიმე სარგებელი მაინც მიიღო (ეს იყო უმთავრესად გაუკაფავი, გასაწმენდი და სახნავ-სათესად გასაკეთებელი მიწის ნაკვეთები, რომელსაც ხიზნად დანაწილებდნენ გლეხი მძიმე შრომით ამუშავებდა).

6. ხიზნური მიწათმფლობელობა

ოფიციალური სტატისტიკური მასალების მიხედვით, 1882—1884 წლებში თბილისის გუბერნიის ხიზნების სარგებლობაში იყო სულ 982,2 დესეტინა საკარმიდამო მიწა, ანუ საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა 386 კვ. საყენი, სულ არ ჰქონდა საკარმიდამო მიწა 587 კომლს⁴⁴. ქუთაისის გუბერნიაში ხიზნებს ჰქონდათ 868 დესიატინა საკარმიდამო მიწა⁴⁵ ანუ საშუალოდ კომლზე 0,28 დესიატინა. ხიზნების უზრუნველყოფა სახნავ-სათესი მიწებით შემდეგ სურათს იძლეოდა: თბილისის გუბერნიაში საშუალოდ 1 კომლ ხიზანზე მოდიოდა 5 დესეტინამდე მიწა, ე. ი. 1 დესეტინით მეტი, ვიდრე დროებითვაღდებულ გლეხებზე, 3,5 ჯერ ნაკლები ვიდრე სახელმწიფო გლეხებზე და 5 ჯერ ნაკლები ვიდრე გერმანელ კოლონისტებზე⁴⁶. ამასთან ხიზნების 22,4% ფლობდა სახნავ-სათესი მიწას 0-დან 2,5 დესეტინამდე და 43,8% — კი 2,5 დესეტინიდან — 5 დესეტინამდე. სულ არ ჰქონდათ სახნავ-სათესი მიწა ხიზანთა 11,54% ანუ 782 კომლს⁴⁷. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უმიწაწყო ხიზნების უდიდესი უმრავლესობა მოდიოდა სიღნაღისა და თელავის მაზრებზე: სიღნაღის მაზრაში ხიზნების 62,5% არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა, თელავისაში კი — 94,5%-ს. რაც შეეხება ბალ-ვენახის მიწებს, ასეთი სულ არ ჰქონდა 6.125 კომლს ანუ გუბერნიის ხიზანთა საერთო რიცხვის 90,42%-ს. გაცილებით უარესი იყო ხიზანთა უზრუნველყოფა სახნავ-სათესი მიწით ქუთაისის გუბერნიაში. აქ ხიზნებს ჰქონდათ სულ 4.141 დესეტინა ანუ 1 კომლზე საშუალოდ მოდიოდა 2 დესეტინამდე სახნავ-სათესი მიწა.

ფ. ჯოგინაიშვილის გამოანგარიშებით 1903 წლისათვის თბილისის გუბერნიაში საშუალოდ 1 კომლ ხიზანზე მოდიოდა 3,60 დესიატინა ყოველგვარი მიწა, ქუთაისის გუბერნიაში კი — 1,93 დეს⁴⁸.

⁴⁴ Сборник ст. данных..., ვ. 16.

⁴⁵ იქვე, ვ. 19.

⁴⁶ იქვე, ვ. 17.

⁴⁷ იქვე, ვ. 17.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ Ф. Гогичайшвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, Тифлис, 1903, стр. 17.

ო. სიომინის მიერ მოყვანილი ცნობების მიხედვით XX საუკუნის დასაწყისისათვის აღმოსავლეთ საქართველოში 1 კომლ ხიზნები მოდიოდა საშუალოდ 4,01 დესეტინა ყოველგვარი მიწა, რომელიც რომელი სქესის 1 სულზე — 1,02 დესეტინა⁵⁰.

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს ხიზანთა საკმაოდ დიდ ნაწილს არ ჰქონდა საკმაო რაოდენობის სახნავ-სათესი და სხვა სახის მიწა და ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ იჯარით აეღოთ მიწები. სამწუხაროდ არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ რა ზომით იყო გავრცელებული მიწის იჯარით აღება ხიზნებს შორის.

არსებობს ქრ. ვერმიშევის გამოკვლევა ხიზანთა მდგომარეობის შესახებ 80-იან წლებში ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში. ბაგრატიონ-მუხრანსკი უმსხვილესი ქართველი მემამულე იყო. რომელმაც ერთმა პირველთაგანმა ხელი მოჰკიდა სავაჭრო მიწათმოქმედებას და მეურნეობაში დაქირავებული შრომა და გაუმჯობესებული სასოფლო სამეურნეო იარაღები გამოიყენა.

ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში სულ იყო 77 კომლი ხიზანი. უმრავლესობა ოსები იყვნენ, შემდეგ მოდიოდნენ ქართველები, სომხები და სხვ. ხიზნებს ეკირათ უმთავრესად მთიანი ადგილები, რომლებიც დასახლებული ცენტრებიდან დაშორებით მდებარეობდნენ. ხიზნები 4 კატეგორიად იყოფოდნენ და ატარებდნენ საზომ-საწყაოთა სახელს, რომლითაც ცხადათაა გამოხატული ხიზნის სარგებლობაში მყოფი მიწისა და დაწესებულ გადასახადებს შორის არსებული თანაფარდობა. ხიზანთა ეს კატეგორიებია:

1) „ლიტრის“ ხიზნები, შედარებით ყველაზე უფრო შეძლებული ხიზნები, რომლებსაც 20 დლიური მიწა აქვთ. ასეთი სულ იყო 9 კომლი.

2) „სამი ჩარეკის“ ხიზნები, რომლებსაც 15 დლიური („ლიტრის“ 3/4) მიწა აქვთ. ესენი მხოლოდ 5 კომლს შეადგენდნენ.

3) „ნახევარი ლიტრის“ ხიზნები, რომლებსაც 10 დლიური („ლიტრის“ 1/2) მიწა აქვთ. აღნიშნულ მამულში ხიზანთა ეს კატეგორია ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო (28 კომლი).

4) „ჩარეკის“ ხიზნები, რომლებსაც 5 დლიური („ლიტრის“ — 1/4) მიწა აქვთ, სულ 26 კომლი.

გარდა ამ კატეგორიისა იყვნენ უმიწო ხიზნებიც, რომლებსაც მხოლოდ მცირე ზომის საკარმიდამო ნაკვეთი ჰქონდათ. მათი რიცხვი 9 კომლს შეადგენდა⁵¹.

⁵⁰ О. Семи н, Великая годовщина... Киев, 1911, стр. 34.

⁵¹ Хр. Вермишев, Хизаны и хизанство, 1884, стр. 10—13.

7. ხიზანთა ბეგარა-გადასახადები



ხიზანთა გადასახადები იმდენად სხვადასხვანაირი ლოდ მრავალფეროვანი იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა საერთო ნორმის დადგენა. გადასახადი ნატურალური და შრომამოკებითი იყო. ღალა მერყეობდა მოსავლის 1/3-დან 1/10-მდე, ზოგან ის ერთდღიურ მიწაზე, 1 კოდ მარცვლეულს შეადგენდა, ზოგან უფრო მეტს.

1894 წლის ცნობებით თბილისის გუბერნიაში 6361 კომლი ხიზნებიდან მხოლოდ ფულად გადასახადს იხდიდა 623 კომლი, მხოლოდ ნატურალურ გადასახადს — 5027 კომლი და ორივეს ერთად — შერეული წესით — 711 კომლი⁵².

1882—1884 წლების ცნობებით, თბილისის გუბერნიაში ხიზან კომლთა რიცხვი, რომლებიც სულ არ იხდიდნენ ფულად გადასახადს — 2.679 კომლს შეადგენდა⁵³. დანარჩენები (6.774 კომლიდან) გადასახადებს შერეული წესით იხდიდნენ.

ხიზანთა გადასახადების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ქრ. ვერმიშევის ცნობები ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულის შესახებ. ეს გადასახადები ამ მამულში ყოველთვის ერთნაირი არ იყო და იცვლებოდა მემამულის შეხედულებებისა მიხედვით. ხიზანთა ვალდებულება-გადასახადები კატეგორიების მიხედვით სხვადასხვანაირი იყო.

„ლიტრის“ ხიზანი ვალდებულია:

1) მოუხნას მემამულეს 2 დღიური მიწა მაისის ბოლო რიცხვებსა და ივნისის დასაწყისის შორის პერიოდში, საკუთარი მუშა-საქონელით;

2) თევის ღროს უნდა გამოიყვანოს გუთნეული მუშასაქონელით 2 დღის განმავლობაში. ამავე ორი დღის განმავლობაში უნდა გამოიყვანოს ერთი მთესველი;

3) წლის განმავლობაში მემამულეს უნდა მიუტანოს 24 ურემი მუშა (თვეში ორ-ორი ურემი);

4) ზამთრის 4 თვის განმავლობაში უნდა იმუშაოს მემამულის სასარგებლოდ 20 დღის განმავლობაში სხვადასხვა სამუშაოზე;

5) ამავე ოთხი თვის განმავლობაში უნდა დაამზადოს 2 ურემი სარი და მიუტანოს სავენახეში მემამულეს;

6) მკის ღროს უნდა გამოიყვანოს მომკელი, რამდენ დღესაც მოითხოვს მემამულე ან მოურავი;

⁵² საქ. სსრ ცსსა, ფ. 12, საქმე 410, ს. ფ. 4—5.

⁵³ Сб. ст. д. о зем. и способ. хоз-ва..., стр. 17—18.

7) 3—4 დღეში უნდა მიზიდოს მემამულის სახლში მოწვეულ კირჩხული საკუთარი ურმით;

8) ლეწვის დროს, რომელიც 2 თვის განმავლობაში დება, უნდა გამოიყვანოს ერთი მუშა.

დანარჩენი კატეგორიის ხიზნები ასეთივე სახის გადასახადებს იხდიდნენ მათ სარგებლობაში მყოფი მიწის რაოდენობის პროპორციულად. „სამი ჩარქის“ ხიზნის მოვალეობა დიდად არ განსხვავდებოდა პირველი კატეგორიის ხიზნის მოვალეობისაგან: მას არ გამოყავდა მთესველი, შეშის მოტანა დაწესებული იყო პირველი კატეგორიის ხიზნის 3/4-ის რაოდენობით, ე. ი. 18 ურემი. ასევე ყველა სხვა ვალდებულებას და სამუშაოს ის ასრულებდა „ლიტრის“ ხიზნის ვალდებულების 3/4-ის რაოდენობით. „ნახევარ ლიტრის“ ხიზანი იხდიდა „ლიტრის“ ხიზნის გადასახადთა ნახევარს, „ჩარქის“ ხიზანი არ ღებულობდა მონაწილეობას ხვანაში, თესვაში, რადგან მას მუშა-საქონელი არა ყავდა. ის არ იყო ვალდებული აგრეთვე შეშა მიეტანა მემამულისათვის. მუშაობდა 5 დღეს 4 თვის განმავლობაში, უნდა მოეზადებინა და მიეტანა 1/2 ურემი სარი, მკის დროს კი „ლიტრის“ ხიზნის თანასწორად უნდა გამოეყვანა მომკელი, ლეწვის დროს ოთხ ასეთ ხიზანს 1 მუშა გამოაყავდა. რაც შეეხება უმიწო ხიზნებს, ისინი კვირაში 1 დღეს მუშაობდნენ მემამულის სასარგებლოდ. ყველა კატეგორიის ხიზნები ყოველ სახნავ დესეტინა მიწაზე მემამულეს აძლევდნენ 2 კოდ მარცვლეულს და სხვ.⁵⁴

ვერმიშევის გამოანგარიშებით „ლიტრის“ ხიზანს მემამულის სასარგებლოდ უნდა გამოემუშავებინა წელიწადში 144 კაცდღე და 116 საქონელდღე; ხიზანთა ბეგარა-გადასახადების რაოდენობაზე და მათ ფულად ღირებულებაზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ცხრილი⁵⁵:

ხიზანთა კატეგორია	ხიზნის პირადი მუშაობა		ამხსნაობა მუშაობა ურემი	მარცვლეულის წლის (დალა) ღირებულება	სულ ხიზნის გადასახადი მანეთებში
	კაც-დღე	საქონელ- დღე			
„ლიტრის“ ხიზანი	144	116	77,30	40—53,2	117,3—130,5
„სამი ჩარქის“	114	92	62,55	30—40	92,44—102,55
„ნახევარ ლიტრის“	81	60	43,3	20—26,6	63,3—69,9
„ჩარქის“ ხიზანი	42	10	16,55	10—13,3	26,55—29,85

⁵⁴ Вермишев, დასახ. შრომა, გვ. 15—16—17.

⁵⁵ Вермишев, იქვე, გვ. 17.



უმიწო ხიზნები წელიწადში მემამულის სასარგებლოდ 50-52/ დღეს მუშაობდნენ, რაც ფულზე გადაყვანით 15-დან 16 მანეთამდე შეადგენს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ვერმიშევის მანეთობაა 11-ლი შეფასება, როგორც თვითონ შენიშნავს — მინიმალურია. 1 დესეტინა ყოველგვარ მიწაზე „ლიტრის“ ხიზანი იხდიდა 11,75 მანეთიდან — 13,5 მანეთამდე, „სამი ჩარეკის“ ხიზანი — 12,34 მანეთიდან 13,66 მანეთამდე, „ნახევარ ლიტრის“ ხიზანი — 13,58 მანეთს და „ჩარეკის“ ხიზანი — 11,94 მანეთს⁵⁶. საშუალოდ ყველა კატეგორიის ხიზანი 1 დეს. ყოველგვარ მიწაზე იხდიდა 12,91 მანეთს. 1 დესეტინა სახნავი მიწიდან კი ხიზანი იხდიდა მანეთებში⁵⁷:

ხიზნთა კატეგორია	მუშაობით	მარცვლულით	სულ
„ლიტრა“	11,6 — 15,46	3	15,6 — 23,46
„სამი ჩარეკი“	12,51 — 16,68	8	20,51 — 24,68
„ნახევარი ლიტრა“	12,99 — 17,32		20,99 — 25,32
„ჩარეკი“	9,93 — 13,2	8	17,93 — 21,2

საშუალოდ ბაგრატიონ-მუხრანსკის ხიზანი დესეტინა სახნავ მიწაზე იხდიდა 21,70 მანეთს. ამრიგად, 1864 წლიდან 1884 წლამდე, ე. ი. 20 წლის განმავლობაში ბაგრატიონ-მუხრანსკის ხიზნებმა 1 დესეტინა ყოველგვარ მიწაზე გადაიხადეს 258,20 მანეთი, ხოლო 1 დესეტინა სახნავ მიწაზე — 434 მანეთი, მაშინ, როცა თბილისის გუბერნიაში 1 დესეტინა მიწის საშუალო ღირებულება უდრიდა 23 მანეთს⁵⁸. გამოდის, რომ ხიზნები გადასახადების სახით ყოველწლიურად იხდიდნენ დესეტინა მიწის ფასს.

პროფ. ს. ავალიანის გამოანგარიშებით დროებით-ვალდებული გლეხი 1 დესეტინა მიწისათვის ყოველწლიურად იხდიდა (ღალის ღირებულების ჩათვლით) 9 მანეთს⁵⁹. თუ ამ ნორმას ჩავთვლით ხიზნის გადასახადად საშუალოდ საქართველოში (რაც, რა თქმა უნდა, მინიმალური იქნება) გამოვა, რომ 1904 წლამდე, ე. ი. რეფორმიდან 40 წლის განმავლობაში ხიზნებმა 1 დესეტინა მიწისათვის გადაიხადეს 360 მანეთი.

1894 წლის ცნობებით ხიზნური გადასახადები ფულზე გადაყვანით თბილისის გუბერნიაში შეადგენდა სახნავ-სათესი მიწისათვის საშუალოდ 22 მანეთს 1 კომლზე, ტყით, წყლით, საძოვრებით

⁵⁶ Вермышев, г. 28.

⁵⁷ იქვე, გვ. 28

⁵⁸ Сборн. ст. Данн... გვ. 20.

⁵⁹ Авалиани, Кр. вопрос... ტ. IV, გვ. 156.

და სხვა სარგებლობისათვის ხიზნის ბეგარა-გადასახადი შეადგენდა საშუალოდ 40 მანეთს⁶⁰. გარდა ამისა, ხიზნები იხდიდნენ სახელმწიფო ფო, საგუბერნიო, საერობო და ადგილობრივ გადასახადებს. მათ ლებდნენ სახელმწიფო ბეგარას. გადასახადების ეს თანხა იმდენად დიდი იყო, რომ როცა ხიზანთა ერთმა ნაწილმა 1891 წლის 3 ივნისის კანონის საფუძველზე სურვილი გამოთქვა მათს სარგებლობაში მყოფი მიწის გამოსყიდვის შესახებ — მთავრობამ მათზე სესხის შიკემა სარისკო საქმედ ჩასთვალა⁶¹.

ამრიგად, ხიზნური ბეგარა-გადასახადები ბატონყმურ ხასიათს ატარებდნენ.

8. კლასობრივი ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის (1864—1900 წწ.)

მემამულეები გადასახადების გადიდების გზით ცდილობდნენ გაეძევიანათ ხიზნები მიწიდან. მთავრობა და მისი მოხელეები მემამულეების მხარეზე იყვნენ. ამ მხრივ საინტერესოა მემამულე ფალავანდიშვილებისა და მათი ხიზნების საქმე.

როგორც საქმეში დაცული მასალებიდან ჩანს, ბრძოლა ფალავანდიშვილებსა და მათ ხიზნებს შორის დიდი ხნის წინათ დაწყებულია. ამ ბრძოლის შედეგი ყოფილა 1839 წლის აღმასრულებელი ექსპედიციის განკარგულება, რომლითაც დაუწესებიათ ხიზნური გადასახადები⁶². ამჯერად ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის 1883 წელს დაწყებულია. საქმე იმით დაიწყო, რომ მემამულეებმა მომრიგებელ შუამავალთან შეთანხმებით დანიშნეს ტყის მცველები და გლეხებს ტყით სარგებლობის უფლება აუკრძალეს. სოფ. ტრეგვანის ჯერ დროებით ვალდებულმა გლეხებმა და შემდეგ ხიზნებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მემამულეთა ამ ღონისძიებას და გარეკეს ტყეში მისული მემამულეები და ტყის მცველები და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაცენეს მემამულეებს. მთავრობამ ადგილზე სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა. მისი დახმარებით მემამულეებმა ძალდატანებით, შუქარით და დაშინებით გამოსტაცეს ხიზნებს ხელწერილები გადიდებული გადასახადების შესახებ. ხიზნებმა მემამულეების ასეთი მოქმედება გაასაჩივრეს და როცა საქმე გამორკვევამდე მივიდა, ფალავანდიშვილები იძულებული შეიქნენ თვითონვე მოესპოთ ეს საბუთები⁶³. მომრიგებელმა შუამა-

60 საქ. სსრ ცსსა, ფ. 12, საქმე 410, ს. ფ. 4—7.

61 იქვე, ს. ფ. 6—7.

62 საქ. ცსსა, ფ. 12, საქმე № 53, ს. ფ. 33.

63 იქვე, ს. ფ. 4.

ვალმა ყველა ხიზნის მიმართ ერთნაირი გადასახადები დააწესა/ ჩვეულებურ მინდევით კი ხიზანთა ცალკეული კომლები გადასახადს რაოდენობის გადასახადებს იხდიდნენ. გუბერნიის გლეხთა სახეობის კომ 1884 წლის აპრილში ხიზნების საჩივარზე ამ საქმის გამო დაავალა მომრიგებელ შუამავალს თითოეული ხიზანისათვის ცალკე დაედგინა გადასახადი. ხიზნები არ დაკმაყოფილდნენ ამ გადაწყვეტილებით და საჩივარი შეიტანეს მმართველი სენატის სახელზე. ამასობაში მომრიგებელ შუამავალს გუბერნიის გლეხთა საგანგიოს დადგენილების შესასრულებლად გამოჰქონდა გადაწყვეტილებანი და პოლიციის დახმარებით დაუყოვნებლივ სისრულეში მოჰყავდა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, შემამულეებმა ჩანახის ზომა წინანდელთან შედარებით 2 ჯერ გააძიდეს⁶⁴. ამის გამო ხიზნებმა შეწყვიტეს გადასახადების გაღება და უარი თქვეს მომრიგებელი შუამავლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე⁶⁵. ისინი ითხოვდნენ შეჩერებულიყო მომრიგებელი შუამავლის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულება, სანამ სენატი მათ საჩივარზე გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. მდგომარეობა დღითიდღე მწვეავდებოდა. ბრძოლა ხიზნებსა და შემამულეებს შორის სხვა სოფლის საზოგადოებებშიც დაიწყო. 1885 წლის 5 ივნისის თარიღით სოფლების წორბისის, ხთანას და ციხიანის ხიზნები თავიანთ განცხადებაში ჩიოდნენ, რომ ფალავანდიშვილებმა მათ პოლიციის დახმარებით ჩამოართვეს ხელწერილები ვადიდებულ გადასახადებზე. ხიზნების საჩივარი ამ საქმის გამო გუბერნატორმა მომრიგებელ შუამავალს თავ. თ. ციციანოვს გადასცა, რომელმაც მოსპო ეს საბუთები და ახალი, უფრო ვადიდებული გადასახადები დააწესა⁶⁶.

იმავე 1885 წლის 14 ივნისის თარიღით სოფლების: სამწყაროს, მებლეტის, მულრისის და ფრინევის ხიზნები წერდნენ თავიანთ საჩივარში, რომ ჩვენი საჩივარი ფალავანდოვების მიერ ვადიდებულ გადასახადებზე ძალდატანებით ჩამოართმეული ხელწერილების შესახებ — ვადასცეს ჩვენს დაუძინებელ მტერს. მომრიგებელ შუამავალს თომა ციციანოვს, რომლის გადაწყვეტილებაც ვავასჩივრეთ, მაგრამ ჩვენი განცხადება დამალა ციციანოვის თანაგამზრახველმა, გუბერნიის გლეხთა საგანგიოს წევრმა თავ. აბაშიძემ, ხოლო „მომრიგებელი შუამავალი, სარგებლობს რა იმით, რომ უფროსობა ჩვენ ყოველგვარი დაცვის გარეშე მისი (მომრიგებელი

64 ცსა, ფ. 12, საქმე № 53, ს. ფ. 4.

65 იქვე.

66 ცსა, ფ. 12, საქმე, 53, ს. ფ. 14.

შუამავლის. — ვ. გ.) თვითნებური, არაადამიანური მართლმსაჯულების ქვეშ ვვტოვებს“, თავზე გვახვევს დადგენილებას დადგენილებათზე⁶⁷. როგორც საქმიდან ჩანს მომრიგებელი შუამავლები ფერს არ ეკითხებოდა ხიზნებს, თვითნებურად ლებულობდა მემამულეთათვის სასარგებლო დადგენილებებს, ხელს აწერიებდა ხიზნებს ამ დადგენილებებზე და ასლებისათვის ახდევინებდა მათ 1-დან 5 და მ მანეთამდე ფულს, მაშინ, როცა კანონით 15 კაპ. უნდა აეღო⁶⁸. მომრიგებელი შუამავალი, აშკარად უკანონოდ და თვითნებურად მოქმედებდა: აპატიმრებდა კიდევ ხიზნებს⁶⁹.

მემამულეთა და მთავრობის მოხელეთა თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა — ამაზე თვალსაჩინოდ ლაპარაკობს ყორნისის სოფლის საზოგადოების ხიზნების 1885 წლის 30 ივლისის განცხადება გუბერნატორის სახელზე, რომელშიაც ნათქვამია: მომრიგებელი შუამავალი თავად ფალავანდოვებთან ერთად, მათი შინამოსამსახურებით, იასაულებით და პრისტავებით, შეიარაღებულნი და ცხენებზე ამხედრებულნი, შემოესიენ ჩვენს სოფლებს და ისე აგვაწიოკეს, რომ თურქი ბაში-ბუზუკებიც კი არ ჩაიდენდნენ ამას. ისინი დაჯირითობდნენ ჯერ კიდევ აუღებელ პურის ყანებში და თავისი ცხენების ჩლიქებით სთელავდნენ მას, იმ საბაბით, რომ გაეგოთ დათესილი ყახების რაოდენობა; ბევრს ჩვენთაგანს ართმევდნენ საქონელს, ცხენებს და ჩალის ფასად ყიდდნენ. მათ ასტეხეს შფოთი და რამდენიმე დღის განმავლობაში პირდაპირ შეგვეკამეს ჩვენ, არ დაკმაყოფილდნენ ჩვენს მიერ მირთმეული კვების პროდუქტებით. დაიარებოდნენ სოფლებში და თითქოს ამოწმებდნენ თავიანთი ხელის სიმარჯვეს და ხმლების სიმახვილეს, ერთის მოქნევით თავს კვეთდნენ შენვედრილ საქონელს და მიათრევდნენ შესაქმელად. არც კვნესამ, არც ტირილმა ჩვენი ცოლებისა და ბავშვებისა, არც ხვეწნა-მუდარამ შებრალების შესახებ, ვერ შეძლო თავ. ფალავანდოვების და მომრიგებელი შუამავლის ბარბაროსობის ოდნავ მაინც შერბილება. მომრიგებელი შუამავალი ემუქრებოდა ჩვენს რწმუნებულებს, რომ თუ ისინი არ შეწყვეტენ საჩივრების შეტანას, დაუყოვნებლივ ჩამოხრჩობილი იქნებიან და სხვ.⁷⁰ გლებთა საგანგომო ხიზნების არც ერთი თხოვნა არ დააკმაყოფილა და მომრიგებელი შუამავალი ყველა საქმეში გაამართლა.

გლებთა დაწესებულების ასეთი მოქმედება არ იყო ერთეული შემთხვევა. დუშეთის მაზრაში 1888 წელს მომრიგებელმა შუამა-

67 იქვე, ს. ფ. 10.

68 ცსსა, ფ. 12, საქმე 53, ს. ფ. 10 და 64.

69 იქვე, ს. ფ. 47.

70 ცსსა, ფ. 12, საქმე 53, ს. ფ. 38.



ვალმა თავ. ამილახვარის 5 ხიზანი გლეხი ვადასახადებდეს ვადიუხ/ დელობის გამო 7 დღე-ღამის განმავლობაში ციხეში ჩასდევნილნი. თა საგანგომ, ხიზანთა საჩივარი ამ საქმის გამო უშედეგოდ დასტოვდა; ხიზნებმა საქმე სენატში ვადასაჩივრეს, რომელმაც საჩივარი მთავარმართებელს დაუბრუნა, ამ უკანასკნელმა კი ისევ გლეხთა საგანგოს გადასცა, მაგრამ მომრიგებელი შუამავალი ჩოლოყავეი პასუხისგებაში არ იქნა მიცემული, იმ მოტივით, რომ ის დამნაშავე არ იყო, რადგან კანონი არ იცოდაო⁷¹.

მმართველმა სენატმა 1865 წლის 10 დეკემბრის ბრძანებულებით ხიზანთა საჩივარი, როგორც ისეთი, რომელიც უურადლების ღირსი არ იყო, უშედეგოდ დასტოვა⁷².

ბრძოლა ფალავანდოვებსა და მათ ხიზნებს შორის ამით არ დამთავრებულა. 1889 წლის 26 ივნისს, სოფ. ოეირის ხიზნები აცხადებდნენ, რომ 1887 წლიდან მემამულეთა მოთხოვნით მომრიგებელმა შუამავალმა ახალი დადგენილებები მიიღო გადიღებულო ვადასახადებოს შესახებ და პოლიციის დახმარებით ძალაში მოყავს თავისი გადაწყვეტილებაო⁷³.

უურადლებას იპყრობს ის გარემოება, რომ მემამულეებსა და ხიზნებს შორის კლასობრივი ბრძოლის მოყვანილ მაგალითში ხიზნებს შეგნებული ჰქონდათ თავიანთი კლასობრივი ინტერესების ერთიანობა, ორგანიზებული მოქმედების საჭიროება, მომრიგებელი შუამავლისა და გუბერნიის გლეხთა საგანგოს გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომლებსაც ხიზანთა ცალკეული კომლების მიმართ ცალკეული გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ, თავიანთ განცხადებაში ხიზნები წერდნენ: „ჩვენი საქმე საერთოა და ამიტომ ცალ-ცალკე გადაწყვეტილებები არ უნდა იყოსო“⁷⁴. როგორც საქმიდან ჩანს ხიზნების ბრძოლაში ადგილი ჰქონდა ორგანიზებულობისა და აგიტაციის, მოქმედებისაგან მოწოდების ელემენტებს; ერთი ხიზანი დააბატიმრა მომრიგებელ შუამავალმა იმისათვის, რომ მან შეკრიბა 7 კაცი, დადიოდა სოფლებში და ყველას ეუბნებოდა, რომ საყოველთაო, ერთობლივი საჩივრები შეეტანათ და არა თითოეულად⁷⁵; ორი ხიზანი, რომლებიც აგრეთვე დააბატიმრებულნი იქნენ, გზაზე დახვდნენ გლეხებს, რომლებსაც ურმით ღალა მიჰქონდათ

71 იქვე.
 72 იქვე.
 73 ცსსა, ფ. 12, საქმე № 53, ს. ფ. 49.
 74 იქვე, ს. ფ. 86.
 75 იქვე, ს. ფ. 35.
 76 იქვე, ს. ფ. 47.

და უკან დააბრუნეს; 8 ხიზანი დაპატიმრებული იქნა ხიზანთა საკითხის გარშემო ცრუ ხმების გავრცელებისათვის⁷⁷.

ეროვნული
გაზეთი

ხშირად მემამულეები თვითონ იწვევდნენ გლეხებს მამულებში შემოსავლის წყაროს გაზრდის მიზნით, აძლევენ მათ ხიზნურ პირობებში ისეთ მიწებს, რომელთა იჯარით გაცემა შეუძლებელი იყო. გლეხებიც, რომლებსაც მიწები არ ჰქონდათ, სჩებდნენ და სწმენდნენ ჭირკვებისაგან მიწას და წინათ მიუვალ და გამოუსადეგარ ადგილს სახნავ-სათესად და ბალევენახად აქცევდნენ. ასე დასახლდნენ მაგ., გორის მაზრაში თავ. ციციანოვების მამულში, თვით მემამულეთა მოწვევით ჯავისა და სხვა ხეობის 300 კომლი ოსები XIX საუკუნის პირველ ნახევარში⁷⁸. 1885 წელს ხიზნებსა და მემამულე ციციანოვებს შორის ბრძოლა დაიწყო გადასახადების გარშემო. მემამულეებმა თვითნებურად გაადიდეს ხიზნური გადასახადები, გადასახადების ეს გადიდება ზომა-წონის ერთეულების სიდიდის გადიდებაში გამოიხატებოდა: თუ წინათ ხიზნები ღალას 20 გირვანქიანი ჩანახით იხდიდნენ, ახლა მემამულეებმა ჩანახის ზომა 30 გირვანქამდე აიყვანეს და ამრიგად ღალაც 1,5 ჯარ გადიდდა. მომრიგებელმა შუამავალმა ჩანახის ზომად 27 გირვანქა დააწესა, თითქოსდა თვით ხიზნების განცხადების საფუძველზე, მაშინ, როცა ხიზნებისათვის არავის არაფერი არ უკითხავს. ციციანოვებმა ხიზნებს წაართვეს საქონლის ძოვების უფლება, შეუვარდნენ თავიანთი კაცებით სახლებში და ძალით დაუწყეს წართმევა ზომაზე მეტი გადასახადებისა. ხიზნების ვერაფერთარმა საჩივარმა და თხოვნამ ვერ გასჭრა. უკიდურეს მდგომარეობამდე მისული 400 კომლი გლეხი, რომელსაც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მძიმე და განუწყვეტელი ფიზიკური შრომით მიუვალი და უსარგებლო მიწა-წყალი სახნავ-სათეს და შემოსავლიან ადგილად უქცევია, იძულებულია მიატოვოს ეს ადგილი: „რადგან ჩვენი ხსნა არ არის — წერდნენ ისინი 1888 წ. ხელმწიფე იმპერატორის სახელზე უქვეშევრდომილეს თხოვნაში — გთხოვთ მოგცეთ სადმე სახაზინო მიწა, ან უბრძანოთ ადგილობრივ ხელისუფლებას გვახდევინონ გადასახადი ძველი ჩანახით⁷⁹“. მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება მემამულეთა მიმართ ოდნავი ურჩობისათვის აპატიმრებდა ხიზნებს და პოლიციური და იძულებითი ზომების სხვა ღონისძიებებით მემამულის ძალა-უფლებას უმორჩილებდა მათ.

ციციანოვები ტყით სარგებლობისათვის წინათ დაწესებული 2 მანეთის მაგიერ თხოულობდნენ ხიზნებისაგან 5-დან 10 მანეთამდე,

⁷⁷ ცხსა, ფ. 12, საქმე № 53, ს. ფ. 47.

⁷⁸ იქვე, გვ. 38.

⁷⁹ საქ. სსრ ცხსა, ფ. 12, საქმე 143, ს. ფ. 38—39.

გარდა ამისა, თხოულობდნენ მუშა ხელის გამოყვანას, რაც წინათ არ შედიოდა ხიზანთა ვალდებულებაში. მემამულეებმა, მთავრების, ორგანოების წინაშე დასვეს საკითხი ხიზნების მოღვაწეობის შესახებ, იმ მოტივით, რომ ჩვეულებით დაწესებულ ვალდებულებებს არ ასრულებენ⁸⁰. ცხადია, ხიზნების აყრა ახლა ხელსაყრელი იყო მემამულეთათვის: გაშენებულ და განაყოფიერებულ ადგილ-მამულს ისინი გაცილებით ხელსაყრელ პირობებში გასცემდნენ საიჯაროდ. 1893 წელს ამ საქმეში ჩაერია მმართველი სენატიც. მაგრამ ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა: 1894 წელს გუბერნიის გლეხთა საგანგებო ისევ არჩევდა ციციანოვების და მათი ხიზნების საქმეს⁸¹. უკიდურესობამდე მისული და გაწამებული ხიზნები აცხადებდნენ: „ჩვენ ველარ შეგვიძლია სარგებლობა და ცხოვრება თავად ციციანოვების მამულში, საცა, რომ ჩვენ ორმოცდაათი წელიწადი მეტი გვიცხოვრნია, ვაგვიჩეხნია ტყე და ვაგვიყეთებია სახნავ მამულათ⁸². გუბერნატორი დაარწმუნეს, — წერდნენ ხიზნები, — რომ ჩვენ ბუნტოვშიცები ვართ „ამის გამოისობით იყვენ დაბეზლებულნი... თერთმეტი კაცი მწარე ზამთარში, დაშორებულნი ცოლ-შვილისაგან და ექვსი კვირა გორის სამიკიტნოებში ეყარნენ, მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს ადგილი სახელმწიფო საპრობილებში, საცა სხამენ მკვლელებს და სხვაფრივ დამნაშავეებთ⁸³“.

ხშირად, პოლიციური ძალმომრეობის გზით მომრიგებელი შუამავლისა და მემამულის მიერ დაწესებული გადასახადის წაღების შემდეგ, ხიზანს თითქმის არაფერი არ რჩებოდა სახლში, დაწესებულ გადასახადს მთელი წლის მოსავალი ვერ ფარავდა და გლეხს თავისი ოჯახის გამოსაკვები და სათესლეც კი არ რჩებოდა⁸⁴. იყო შემთხვევა როცა ხიზანს მხოლოდ სიმინდი ეთესა და მას ღალად პურს თხოვდნენ⁸⁵.

მემამულეები თავიანთი გაზრდილი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მიმართავდნენ დაშინებას, მუქარას, იძულების ნაცად მეთოდს, სადაც კი ეს არ გადიოდა აშკარა მოტყუების წინაშეც არ ჩერდებოდნენ, სარგებლობდნენ გლეხის შეუღნებლობით და გამოუტყდელობით, დასტყუებდნენ ფულს მიწის საფასურად,

⁸⁰ იქვე, ს. ფ. 18.

⁸¹ საქ. სსრ ცსსა, ფ. 12, საქმე 143, ს. ფ. 35.

⁸² იქვე, ს. ფ. 46.

⁸³ იქვე, 47.

⁸⁴ იქვე, საქმე 283, ს. ფ. 6.

⁸⁵ იქვე, ს. ფ. 3—4.

სამაგიეროდ უბრალო ქალაქის ნაგლეჯს მისცემდნენ, გლუხს
 თავისი თავი ამ შესყიდული მიწის მესაკუთრე ეგონა; თუ უბრალოდ
 ნასყიდობის ბარათზე ხელი მოაწერა გამყიდველმა გლუხს
 „რომ ვერა ზეციური და ვერა ქვეყნიური ძალა იმათ ნასყიდ
 მამულს ვერ ჩამოართმევს. იმათ არ იციან, რომ ამისათვის კანონით
 სხვა წესებია დადგენილი“⁸⁶ და რამდენიმე ხნის შემდეგ
 მემამულე საჩივარს აღძრავდა, რომ ეს გლუხი მისი ხიზანია და
 არა მესაკუთრე. ამას ნათლად ადასტურებს შორაპნის მახრის სოფ.
 სარეგვეშის მემამულე სოკოლოვების და მათი 25 კომლი ხიზან
 გლუხების — ბუხნიკაშვილების დავა. 1900 წელს მემამულე სოკო-
 ლოვებმა საჩივარი აღძრეს ხიზნების წინააღმდეგ იმის შესახებ,
 რომ ისინი 1890 წლიდან არ იხდიან ხიზნურ გადასახადებს. ამ
 ხიზნების სარგებლობაში იყო 23 მიწის ნაკვეთი, სულ 190 ჰექტეა.
 მემამულეები თხოულობდნენ გადაახდევინონ მათ წლიური გადა-
 სახადი 243 მანეთი, სულ 9 წლისა 2.187 მანეთი. გლუხებმა განა-
 ცხადეს, რომ ყველა ეს მიწა მათ საკუთრებას შეადგენს და
 შექენილი აქვთ კანონიერი აქტებით და შინაურული დოკუმენტე-
 ბით. ამის დასამტკიცებლად ხიზნებმა წარადგინეს ორი ნასყიდო-
 ბის სიგელი და 15 შინაურული დოკუმენტი. დავა ხიზნებსა და მე-
 მამულეებს შორის 1865 წლიდან წარმოებდა. გლუხებმა
 ვერ შეძლეს მიწებზე საკუთრების უფლების დამტკიცე-
 ბა. მომრიგებელმა შუამავალმა საქმე მემამულეების სასარგე-
 ბლოდ გადაწყვიტა, რომლითაც გლუხებს 1 წლის შივნით უნდა
 გადაეხადოთ 2.187 მანეთი⁸⁷. მომრიგებელი შუამავლის ეს გადა-
 წყვეტილება ხიზნებმა გაასაჩივრეს ქუთაისის გუბერნიის გლუხთა
 საგანგისოში. გლუხები ამტკიცებდნენ, რომ ისინი სოკოლოვების
 ხიზნები არ არიან და ხიზნური პირობებით სარგებლობდნენ მხო-
 ლოდ 40 ჰექტეა და 750 კვ. საყ. მიწის ნაკვეთით, საიდანაც
 წესიერად აძლევდნენ მემამულეს ხიზნურ გადასახადებს. სხვა
 მიწები მათი საკუთრებაა 83 ჰექტეა და 885 კვ. საყენი მიწის შესახებ
 აქვთ 2 ნოტარიალური ნასყიდობა 1855 წლის 21 იანვრისა და 1870 წ.
 9 თებერვლისა — აზნაურ ლევან ჩიკვაიძესაგან და გენ.-მაიორ სპი-
 რიდონ მაჭავარიანისაგან, სხვა მიწების შესახებ კი აქვთ 15 საშინაო
 დოკუმენტი⁸⁸. გლუხთა ეს განცხადება მომრიგებელმა შუამავალმა
 ოქმში არ შეიტანა და დაუჯერა მემამულეთა სიტყვიერ განცხადებას,
 მაშინ, როცა მემამულეები ამ გლუხებს 9 წლის განმავლობაში არ

⁸⁶ ს. მესხი, ჩაწერები, ტ. 11, თბილისი, 1903 წ., გვ. 315—316.

⁸⁷ ცსსა, ფ. 12, საქმე 1114, ს. ფ. 27.

⁸⁸ ცსსა, ფ. 12, საქმე 1114, ს. ფ. 7.

სთხოვდნენ ხიზნურ გადასახადებს. გუბერნიის გლეხთა საგანგებო მოპრიგებელი შუამავლის უკანონო გადაწყვეტილება დაამტკიცა. ხიზნებმა საგანგებო ეს დადგენილება მმართველი სენატის წინაშე გაასაჩივრეს. საქმე 1902 წ. იმით დამთავრდა, რომ გლეხები იძულებულნი შეიქმნენ შეთანხმებოდნენ მემამულეებს მიწის ხელახლა გამოსყიდვაზე მთავრობის დახმარების გარეშე.

ზუგდიდის მაზრის სოფ. დარჩელში მცხოვრები გლეხები შონია, შეროზია და აბესაძე ჩიოდნენ სასამართლოში, რომ მიწა, რომელიც მათ აქვთ, მათი საკუთრებაა, თავადი ანჩაბაძე კი მათ ხიზნებად თვლის და ხიზნურ გადასახადებს თხოულობს⁸⁹. 1891 წელს გლეხებმა ანჩაბაძეს უარი უთხრეს გადასახადების მიცემაზე. საქმეში ჩაერია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, რომელმაც გლეხებს იძულებითი წესით გადაახდევინა გადასახადები. მთავართებელმა და შემდეგ სენატმა გუბერნატორის ეს მოქმედება სწორად ჩასთვალეს, იმ მოტივით, რომ სასამართლოს მიერ დადგენილების გამოტანამდე გლეხებმა ანჩაბაძეს ხიზნური გადასახადები უნდა აძლიონ⁹⁰.

1890-იან წლებში სენაკის მაზრის სოფ. სალხინოში მცხოვრები გლეხები (ლაშხიები) აცხადებდნენ, რომ ისინი არ ცხოვრობდნენ, სალომე მიურატის მიწებზე, ეს მიწები მათი საკუთრებაა, რომელიც მათ შემკვიდრებოთ მიიღეს. გლეხები თუმცა ეხმარებოდნენ ეკატერინე დადიანს⁹¹, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ნებაყოფლობითი დახმარება და მას გლეხები ასრულებდნენ არა ვალდებულების გამო და არა, როგორც ხიზნები. ლაშხიებმა წარადგინეს საბუთი, რომ 1816 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა ისინი გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადებისაგან, გარდა ერთი ფარეშის გამოყვანისა⁹². გლეხებმა ვერ დაამტკიცეს, რომ ისინი მესაკუთრეები იყვნენ. 1890 წელს მოპრიგებელ შუამავალმა ლაშხიები სალომე მიურატის ხიზნებად სცნო, რაც დამტკიცდა გუბერნიის გლეხთა საგანგებო მიერ⁹³.

მთავრობის ცდა საკანონმდებლო აქტით მოეწესრიგებინა ხიზნისა და მემამულის ურთიერთობა — უშედეგოდ დამთავრდა. მთა-

⁸⁹ იქვე, საქმე № 1232, ს. ფ. 5.

⁹⁰ იქვე, ს. ფ. 5—6.

⁹¹ ნიკოლოზ მინჯვალის თვის დას, სალომე მიურატს, მისცა გარდაკვლილი დედოფლის — ეკატერინე დადიანის საკუთრებიდან მთელი სალიპარტიანო ყველა იქ მცხოვრები დრ. ვალდებული და ხიზნი გლეხებით — 1889 წ.

⁹² იქვე, საქმე № 333, ს. ფ. 24.

⁹³ იქვე, ს. ფ. 25.



ერობა თავიდანვე ორმხრივი პოლიტიკის გატარების გზას იღებდა; ერთის მხრივ არ უნდოდა მემამულეთა ინტერესების შელახვა, მეორე მხრივ ხიზნების მთლიანად უმიწოდ აყრისაც ეშინოდა. ტანჯვით მისი ცდა ხიზნებისა და მემამულეების შერიგებისაკენ იყო მიმართული. ასეთ დუალისტურ პოლიტიკას თავიდანვე მარცხი ეწერა. 1891 წლის 3 ივნისის დებულებამ ვერავითარი გარკვეულობა ვერ შეიტანა ხიზნისა და მემამულის ურთიერთობაში. კანონით ხიზანი მემამულის კაბალაში რჩებოდა. გლეხთა საკითხისა და კერძოდ ხიზანთა საკითხის გადაჭრა მემამულური მიწათმფლობელობის მოსაპოვის გარეშე შეუძლებელი იყო. ამას კარგად გრძნობდა მაშინდელი ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. აი რას წერდა მაგ., 1875 წ. გლეხთა ინტერესების მხურვალე დამცველი სერგეი მესხი: „სანამ გლეხი საკუთარი მამულის პატრონი, დამოუკიდებელი მემამულე არ შეიქნება, მანამ ნაბატონარებსა და იმის ნაყმევებს შუა ახლანდელი დამოკიდებულება არ მოისპობა“⁹⁴. ს. მესხი ხიზნების სარგებლობაში მყოფ მიწებს მათ საკუთრებად თვლიდა და მოითხოვდა მათზე ამ მიწების გადაცემას.

1891 წლის კანონმა მიწა მემამულეების ხელუხლებელ საკუთრებად ცნო. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი საყოველთაოდ არ გამოცხადებულა, ახალი კანონი ეკლესიაში არ წაუკითხავთ, ის დაიბეჭდა მხოლოდ ადგილობრივ პრესაში. ბევრმა ხიზანმა არც კი იცოდა კანონის არსებობა, ხოლო ვინც კი გაიგო, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მასზე⁹⁵. მემამულეები სარგებლობდნენ ამ გარემოებით და სხვადასხვა საშუალებებით ითანხმებდნენ ხიზნებს ვადიანი წერილობითი ხელშეკრულების დადებაზე: „Кое где... землевладельцы спешили заключить (задним числом иной раз) письменные акты и устанавливали новые отношения“⁹⁶. იყო შემთხვევა, როცა სასამართლოს გამოჰქონდა დადგენილება ხიზნების, როგორც მოიჯარადრეების გასახლების შესახებ, იმის გამო, რომ მოსამართლემ, როგორც ამას შემდეგში თვითონ აღიარებდა, არ იცოდა ხიზანთა დებულების არსებობა⁹⁷. ცხადია, რომ 1891 წლის დებულებას ოდნავ მაინც არ შეეძლო დამშვიდება შეტანა ხიზნურ მოსახლეობაში. დავა-საჩივრები და ბრძოლა ხიზ-

⁹⁴ ს. მესხი, ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1903, გვ. 229.
⁹⁵ Иванович, Обезземеление хизан, „Русское богатство“, № 26, 1896
⁹⁶ Заваров, Пересмотр хизанского положения. „Новое обозрение“, № 3455.
⁹⁷ ივანოვიჩის დასახ. სტატია.

ნებსა და მემამულეებს შორის უფრო მწვაედებოდა.

ფაქტებიც, რომელიც გორის მაზრას შეეხება:

1) სოფ. წაბლოვანში მემამულეებმა ღალის გაყიდვით მოიგონეს ასეთი ხერხი: წინადადება მისცეს გლეხებს 1 დლიური მიწისათვის (1/2 დესეტინა) ეხადათ 2 კოდი და 2 ჩანახი მარცვლეული, ე. ი. ორჯერ მეტი ვიდრე წინათ, მაგრამ იმ პირობით, რომ დლიურის ზომაც ორჯერ მეტად ჩაეთვალათ. ასეთი შეთანხმების პირობებში ღალაც უცვლელი რჩებოდა. პირველ წელს მემამულეებმა ორი დლიური მართლაც ერთ დლიურად ჩათვალეს, მაგრამ მეორე წელს 1 დლიურად მიიღეს 1,5 დლიური, ხოლო მესამე წელს კი 1 დლიურად 1 დლიური ჩათვალეს და ამრიგად ღალაც ორჯერ გადიდებული აღმოჩნდა. არც ამას დასჯერდნენ მემამულეები და ჩანახის ზომაც გაადიდეს; თუ ოცი წლის წინათ ჩანახი 20 გირვანქას იწონიდა, ახლა მისი წონა 25-დან 28 გირვანქამდე აღიოდა.

2) სოფ. ღუმაცხოში მემამულემ ხიზანს გადასახადი გაუდიდა, რაზედაც ხიზანმა უარი განაცხადა. ამის გამო მემამულემ მას 5 დლიური დაფარცხული და დასათესად მომზადებული მიწა წაართვა და ვენახის ღობე დაუნგრია.

3) სოფ. სატივეში მემამულემ წინადადება მისცა ხიზანს (1891 წელს) ვადიანი ხელშეკრულების დადების შესახებ. რაკი ხიზანი ამაზე არ დათანხმდა, მემამულემ მას ნახნავი მიწა ჩამოართვა და 30 მანეთი ფულიც წაართვა.

4) სოფ. კამპერაში მემამულე გადასახადს ადიდებდა დლიურის შემოკლებით და ჩანახის გადიდებით: 1875 წ. ჩანახი 20—21 გირვანქას იწონიდა, 1891 წ. — 27 გირვანქას, ხოლო 1896 წ. — 28—29 გირვანქას. ერთმა გლეხმა, რომელიც წონა-ზომის ამ მუდმივი ზრდის შესახებ ლაპარაკობდა, მოსწრებულად შენიშნა: „კოდი იმდენად დიდი გახდა, რომ მოზრდილ მამაკაცს მისი აწევა არ შეუძლია, რაც უღმერთობაა“⁹⁸.

ხიზნები რითაც შეეძლოთ და როგორც შეეძლოთ იცავდნენ თავიანთ ინტერესებს. ხშირად საკმე ხიზნებსა და მემამულეებს შორის შეტაკებამდე მიდიოდა.

ათეული წლების განმავლობაში წარმოებდა ბრძოლა გორის მაზრის სოფ. ბიჭნისის ხიზნებსა (ხაჩიძეები, გიგაშვილები, ჩადუნელები და სხვ.) და მათ მემამულეებს (მურვანიშვილები, ელიოზაშვილები და სხვ.) შორის. 1864 წლისათვის მემამულეებს იმისათ-

⁹⁸ ეს ცნობები ამოღებულია ივანოვიჩის დასახ. სტატიიდან; შტრ. აგრეთვე იხ. კარბელაშვილის სტატია „ხიზნათა ბედი“. „სახალხო გაზეთი“ — № 1178, 1914 წ.

ვის მიუღწევიათ, რომ დაუდევიათ წერილობითი პირობა, რომლის შემდეგაც ხიზანთა ნაწილი იძულებული გამხდარა დაეტოვებინა მურვანიშვილების მიწა⁹⁹. 1882 წელს მემამულე დიმიტრი შვიციანი ნოვს აუქმლებია ხიზანი სიმონა ხაჩიძე და მიწა მიუცია ვადით. 1898 წელს გორის მაზრის მომრიგებელმა შუამავალმა გლეხები ხაჩიძეები და გიგაშვილები მოიჯარადრეებად სცნო. გლეხებმა მხოლოდ 1912 წელს მიაღწიეს იმას, რომ ისინი ხიზნებად ეცნოთ.

1890-იან წლებში თავ. მინგრელსკიმ დაიწყო ხიზნების აყრა მისი მამულებიდან იმ მოტივით, რომ ისინი მოიჯარადრეები არიანო. სოფ. ჯოღჯიანში მცხოვრები 49 კომლი გლეხი თავის თხოვნაში ამტკიცებდა, რომ ისინი ხიზნები იყვნენ და არა მოიჯარადრეები. მათ შორის ორ კომლს — თოლორაიებს სასამართლოს დადგენილებით უნდა დაეცალათ მიწა. როცა ეს გლეხებმა არ შეასრულეს მემამულის რწმუნებულებმა პრისტავის განკარგულებით გლეხებს მათი ქონება სახლებიდან გამოუყარეს, სახლებს სახურავი ააგლიჯეს, საქათმე, საღორე და სხვა წყნელის ნაგებობანი ძირფესვიანად მოსპეს. გუბერნიის გლეხთა საგანგომო გლეხების საჩივარი მემამულეთა ამ ძალმომრეობის შესახებ, 1898 წელს განუხილველად დასტოვა, იმ საბაბით, რომ საქმე მას არ ექვემდებარებოდა.

ამრიგად, რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში ხიზნებსა და მემამულეებს შორის კლასობრივი ბრძოლის არსს წარმოადგენდა ხიზნების ბრძოლა მიწისათვის.

9. 1900 წლის 5 ივნისის კანონი

ქართველი თავადაზნაურობა ვერ დააკმაყოფილა 1891 წლის 5 ივნისის კანონმა. განსაკუთრებით სამძიმოდ დაინახა მან ხიზნის აყრის შემთხვევაში შენობების და სხვ. ორმაგი ღირებულების ანაზღაურება. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ უქვეშევრდომილესი თხოვნით მიმართა ხელმწიფე იმპერატორს. თავადაზნაურთა ეს თხოვნა მთავარმართებლის განკარგულებით განსახილველად გადაეგზავნა გუბერნიის გლეხთა საგანგოს, რომელმაც 1893 წლის ნოემბერ-დეკემბერში სწორად სცნო თავადაზნაურების მოთხოვნები და საჭიროდ ჩასთვალა დებულების პირველი მუხლის შეცვლა. საგანგომო დაადგინა, რომ ხიზნებად ცნობილ იქნენ ისინი, რომლებიც ხიზნებად დასახლდნენ 1876 წლის 23 ივნისის ცირკულიარის გამოცემამდე¹⁰⁰. 1894 წ. ოქტომბერში შეიქმნა კომისია მთავარმართველობის საბჭოს წევრის ტ. ს. პუშჩუროვის თავმჯდომარეობით

⁹⁹ საქ. სსრ ცსსა, ფ. № 138, საქმე № 106, ს. ფ. 38.

¹⁰⁰ საქ. სსრ ცსსა, ფონდი 12, საქმე № 281, ს. ფ. 2.

1891 წლის 3 ივნისის დებულების გადასახიზავად¹⁰¹. კომისიამ საკითხის განხილვას 1894 წლის ნოემბერ-დეკემბერში 8 სხდომა მიუძღვნა. მან სწორად სცნო გუბერნიის გლეხთა საგანგებო წესის¹⁰² 1876 წლის შემდეგ დასახლებული ხიზნები მოიჯარადრეზად აღიზნა.

1891 წლის დებულების მეორე მუხლის შესახებ თავადაზნაურობა თავის თხოვნაში მოითხოვდა ხიზნის სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთის რაოდენობის განსაზღვრას (1891 წლის დებულებით ხიზნის სარგებლობაში რჩებოდა ის მიწა, რომლითაც ხიზანი სარგებლობდა დებულების გამოცემამდე). თავადაზნაურობა ილაშქრებდა მომქმედი კანონის მეოთხე მუხლის წინააღმდეგაც, რომელიც წინანდელი ჩვეულებითი უფლებით დაწესებული ხიზნური გადასახადების შეცვლას დასაშვებად თვლიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხიზანი ამის თანახმა იყო. მხარი დაუჭირა რა მემამულეთა მოთხოვნას, კომისიამ საჭიროდ სცნო 1891 წლის დებულების მეორე მუხლის შეცვლა და მოითხოვა დაწესებულყო ხიზნის სარგებლობაში არსებული მიწის ნორმად თბილისის გუბერნიაში 5 დღიური, ქუთაისისაში კი — 4 ქვევა. რაც შეეხება ტყით, წყლით, საძოვრებითა და სხვ. სერვიტუტული უფლებებით სარგებლობის წესს, ის უნდა დაწესებულყო ხიზნის მემამულესთან განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე¹⁰³.

მემამულეები მოითხოვდნენ, რომ ნაგებობანი და ნარგავები ცნობილი ყოფილიყო ხიზნისა და მემამულის საერთო საკუთრებად. კომისიამ დებულების ეს მესამე მუხლი უცვლელად დატოვა. იმ მოსაზრებით, რომ მემამულეს უფლება აქვს ამტკიცოს მისცა თუ არა მან ხიზანს მზა ნაგებობანი და ბაღი და თუ დაამტკიცებს — მისი საკუთრება იქნება¹⁰⁴.

განსაკუთრებული იერიში მიჰქონდათ მემამულეებს ორმაგი ღირებულების ანაზღაურების წინააღმდეგ: ამით ხიზნის აყრის უფლება ფაქტიურად მოსპობილიაო — აცხადებდნენ¹⁰⁵. ისინი ილაშქრებდნენ აგრეთვე ხიზნური უფლება-მოვალეობის ხიზნის მიერ მესამე პირზე გადაცემის უფლების წინააღმდეგ. მემამულეთა აზრით ეს არის სულ ახალი რამ, რომელსაც არასოდეს არ იცნობდა ხიზნური ჩვეულება¹⁰⁶. კომისია სავსებით დაეთანხმა მემამულეთა ამ მოთხოვნებს; ორმაგი ღირებულების მაგიერ ერთმაგი ღირებუ-

101 იქვე, ს. ფ. 1.

102 იქვე, ს. ფ. 6.

103 საქ. სსრ ცსსა, ფონდი 12, საქმე № 281, ს. ფ. 7.

104 იქვე, ს. ფ. 8—9.

105 იქვე, ს. ფ. 9.

ლების გადახდა დააწესა, ხიზანს არ უნდა მისცემოდა მიწის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯები და სხვა.

ამრიგად, 1891 წლის დებულების გადამსინჯავმა კომისიამ (მცნ. 11) მამულეთა თითქმის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. პეტროპოლისში ახალი კანონის პროექტი არ მიიღეს და ისევ უკან დააბრუნეს. აქ ის ისევ იქნა განხილული 1897 წელს და ბოლოს 1900 წლის 5 ივნისის გამოცემა ახალი დებულება ხიზნების შესახებ.

ახალი კანონით, მემამულე ხიზნის აყრის შემთხვევაში ვალდებული იყო აენახლაურებინა მისთვის ამ უკანასკნელის საკუთრებად ცნობილი ქონების მხოლოდ ერთმეტი ღირებულება. მემამულე ვალდებული არ იყო აენახლაურებინა ხიზნისათვის მიწის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯები, არ იყო განსაზღვრული თუ რაში გამოიხატებოდა ჩვეულებით დაწესებული ხიზნური გადასახადები. ახალმა კანონმა ერთმეტი ღირებულების ანახლაურების დაწესებით ხელფები გაუხსნა მემამულეს დაუბრკოლებლად აეყარა ხიზანი მიწიდან. ამგვარად, ახალმა კანონმა ხიზნის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესა. ვ. გ. ვეიდენბაუმის სამართლიანი შეფასებით: „изданные законы имели в виду не устройство их (ხიზნების) быта, а доставление землевладельцам способов освободить от них свои земли“¹⁰⁶.

1900 წლის 5 ივნისის დებულებით მომრიგებელ შუამავლებს ევალებოდათ შეედგინათ ე. წ. ხიზნური ოქმები, რომელშიც ჩაწერილი უნდა ყოფილიყო ხიზნის სარგებლობაში მყოფი მიწის რაოდენობა და საზღვრები და ხიზნებისა და მემამულეების უფლება-ვალდებულებანი.

ახალი კანონის შედეგი იყო ხიზანთა ექსპროპრიაციის მასიური პროცესი.

10. ხიზანთა საკითხი რსდმპ II ყრილობაზე

მიუხედავად კაპიტალისტური ურთიერთობის შედარებით სწრაფი განვითარებისა რუსეთი და მით უმეტეს საქართველო გლეხურ ქვეყნად რჩებოდა. კაპიტალისტური ურთიერთობა უაღრესად შევიწროებული იყო ბატონყმური ურთიერთობის ნაშთებით. ეს იყო გლეხთა მცირემიწიანობისა და მისი ნახევრად ბატონყმური ექსპლოატაციის მთავარი წყარო. აგრარული საკითხის თავისებურებას რუსეთში ლენინი, პირველ რიგში, ხედავდა ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ გლეხთა მასების ბრძოლაში. მარქსისტება,

¹⁰⁶ Вейденбаум, დასხ. შრომა, გვ. 30.

აყენებდნენ და იცავდნენ „მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ბრე-
წვილ მიწისმფლობელთა ხელში გადავიდეს, რუსეთის აგრარულ
მა საკითხმა გარდაუვალად წარმოშვა ასეთი მოთხოვნის განხორციელება
ყველა მარქსისტის მიერ, მიუხედავად უთანხმოებისა, რაც დაკავ-
შირებულია იმასთან, თუ როგორ უნდა მოეწყოს გადასაცემი მიწის
მფლობელობა და გამგებლობა (გაყოფა, მუნიციპალიზაცია, ნაციო-
ნალიზაცია)“¹⁰⁷. რუსეთში აგრარული საკითხის ამ თავისებურების
გამო, ლენინი თვლიდა, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის საფუძ-
ველს სწორედ აგრარული საკითხი წარმოადგენდა და ის განსაზღვ-
რავდა ამ რევოლუციის ნაციონალურ თავისებურებას“¹⁰⁸.

აგრარული მოძრაობის ამ მარქსისტულ-ლენინური შეფასები-
დან გამომდინარეობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა
პარტიის აგრარული პროგრამა, შემუშავებული ლენინის მიერ, რო-
მელიც გლეხური რევოლუციის პროლეტარულ პროგრამას წარმო-
ადგენდა და რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონობის იდეაზე
იყო დამყარებული. რსდმპ აგრარული პროგრამა ამ პარტიის სა-
ერთო პროგრამის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. ის იყო ბატონ-
ყმობის შუასაუკუნეობრივი ნაშთების რევოლუციური გზით ლიკვი-
დაციისა და სოფლად კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გაშლისათ-
ვის, სოციალიზმისათვის ბრძოლის პროგრამა.

1903 წელს რსდმპ II ყრილობაზე გაიშალა კამათი პროგრამის
აგრარული ნაწილის გარშემო. ყრილობის 21-ე სხდომაზე I (14)
აგვისტოს კოსტროვმა (ნ. ჟორდანიამ) წამოაყენა წინადადება პროგ-
რამაში შეტანილი ყოფილიყო მოთხოვნა დროებითადადებულ გლე-
ხებზე და ხიზნებზე იმ მიწებს საკუთრებაში გადაცემის შესახებ,
რომლითაც ისინი სარგებლობდნენ. ამ წინადადების წინააღმდეგ
გამოვიდა ტროცკი იმ მოტივით, რომ ყრილობის 9/10-მა შეიძლება
არც კი იცოდეს ხიზანთა მდგომარეობა და მხოლოდ ერთი კაცის
მოთხოვნის საფუძველზე პროგრამაში ასეთი მოთხოვნის შეტანა
მიზანშეწონილი არ იქნებაო. ლენინმა, თავის სიტყვაში, იმავე სხდო-
მაზე ხიზნობა დაახასიათა, როგორც დამონების უმნიშვნელოვანესი
ფორმა. აი რას ამბობდა ვ. ი. ლენინი ყრილობაზე: „ჩვენ, რომ
შევდგომოდით ბატონყმობის მოსპობის შესახებ ყველა მოთხოვნის
კონკრეტულებას, მთელი ტომები გამოგვივიდოდა. სწორედ ამიტომ
მივუთითებთ დამონების მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ფორმებსა და
სახეებზე... ტროცკის მითითება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია აღვი-
ლობრივ მოთხოვნებს შევევსოთ, — სწორი არ არის იმ მხრივ, რომ

107 ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც. ტ. 18, გვ. 72.

108 ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც. ტ. 13, გვ. 529.



ხიზნებისა და დროებითვალდებულთა საკითხი მარტო ადგილობრივი საკითხი როდია. თან ეს საკითხი ცნობილია აგრარულ პარტიის რატურაში¹⁰⁹. ამგვარად, ლენინი თვლიდა, რომ ხიზნების მარტო ადგილობრივი, ქართული საკითხი არ იყო, რომ ხიზნობა „დამონების უმნიშვნელოვანესი ფორმა“ იყო და მოითხოვდა პარტიის პროგრამაში შეეტანათ ხიზნებზე მათ სარგებლობაში მყოფი მიწების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნა. ყრილობის დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ლენინს. რსდმპ II ყრილობამ პარტიის პროგრამის აგრარული ნაწილის მეოთხე პარაგრაფი შეავსო მოთხოვნით გლეხთა კომიტეტების მიერ კავკასიაში გლეხებზე იმ მიწების საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომლებითაც ისინი სარგებლობენ, როგორც დროებითვალდებულნი, ხიზნები და სხვ¹¹⁰.

11. ბრძოლის გამწვავება ხიზნებსა და მემამულეებს შორის

1900 წლის 5 ივნისის დებულების გამოცემის შემდეგ ხიზანთა მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა. მემამულეებმა ხიზანთა მასიური აყრა დაიწყეს მათ სარგებლობაში მყოფი მიწებიდან. ზუგდიდის მაზრის მემამულეებმა ხიზანთა ოქმების შედგენის დროს მოითხოვეს ხიზნების გასახლება. მემამულეთა ეს განცხადება მომრიგებელმა შუამავალმა საკმარისად ჩასთვალა და ხიზნურ ოქმებს არ ადგენდა. ხიზნები თავიანთ თხოვნაში წერდნენ, რომ ხიზნურ გადასახადებს ჩვენ წესიერად ვიხდით, გთხოვთ დაგვტოვოთ ჩვენს მიწებზე და მომრიგებელ შუამავალმა ოქმი შეგვიდგინოს¹¹¹. ქუთაისის გუბერნატორის ცნობით, 1900 წლიდან 1904 წლამდე მომრიგებელი შუამავლის 118 ასეთი გადაწყვეტილება იყო გასაჩივრებული¹¹², რომელთაგან გუბერნიის გლეხთა საგანგებო 1904 წლისათვის გაარჩია მხოლოდ 9 და მომრიგებელი შუამავლის უკანონო გადაწყვეტილება (გამოეცხადოს ხიზნებს მემამულეთა სურვილი მათი გასახლების შესახებ და ხიზნური ოქმი არ შესდგეს) — სწორად სცნო. ხიზნებმა საჩივარი შეიტანეს მმართველის სენატის სახელზე და ბოლოს გუბერნატორმა აღიარა, რომ ასეთ შემთხვევაში ხიზნური ოქმის შედგენა საეალდებულო იყო. საქმიდან ჩანს, რომ მემამულეები ახერხებდნენ ხიზნების გაძევებას: 109 ხიზანმა შეწყვიტა

¹⁰⁹ Второй съезд РСДРП. Москва, 1959, стр. 242—244. შტრ. ე. ი. ლენინი, ობზ., მე-4-ე გამოც., ტ. 6, გვ. 618.

¹¹⁰ Второй съезд РСДРП, Москва, 1959, стр. 247—248, 423.

¹¹¹ საქართველოს სსრ ცსსა, ფ. 13, საქმე 7, ს. ფ. 52.

¹¹² იქვე. ს. ფ. 52.



მემამულეებთან ხიზნური ურთიერთობა შეთანხმების საფუძველზე, 75 ხელშეკრულება შეკრა ნადელის გამოსყიდვაზე¹¹³. მისგანვე შეიქმნა ისეთი რამე, რომ ხიზნები აქებებდნენ ერთმანეთს არ დაედვათ მემამულეებისათვის რაიმე შეთანხმება¹¹⁴.

აგრარული მოძრაობის ნიადაგზე სწორი იყო მემამულეთა მკვლევლობის ფაქტები, მათი სახლკარისათვის ცეცხლის წაქიდება, გლეხების ტყეში გავარდნა და სხვა საშუალებებით თავდაცვა. 1902 წ. ივლისში სოფ. ხოვლეში მემამულე სვიმონ ვეზირიშვილი მისმა ხიზნებმა მოკლეს, იმისათვის, რომ მან ისინი მიწიდან აყარა¹¹⁵. ხიზნებმა მოკლეს მემამულეები თომა ციციანოვი, გვერდწითელი, მალრაძე და სხვ.¹¹⁶.

1904 წელს პრინცესა მორატმა თავისი ხიზნების აყრა მოისურვა სოფ. რიყედან (ზუგდიდის მაზრა). მომრიგებელმა შუამავალმა და ქუთაისის გუბერნიის გლეხთა საგანგებო დააკმაყოფილეს მემამულის მოთხოვნა — ხიზნების — ჯიმშელეიშვილების, ვეკუებისა და ლიპარტიების გასახლების შესახებ, მაგრამ ხიზნებმა იმას მიადწიეს, რომ 1906 წლის დეკემბერში მმართველმა სენატმა გააუქმა გუბერნიის გლეხთა საგანგებო ეს აშკარა უკანონო გადაწყვეტილება¹¹⁷.

რსდმპ პროგრამაში დროებითვალდებულ და ხიზან გლეხებზე იმ მიწების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის შეტანამ, რომლებიც მათ სარგებლობაში იყო და ამის საფუძველზე ადგილობრივი სოციალდემოკრატიული ორგანიზაციების აგიტაცია-პროპაგანდამ ფრთა შეასხა გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას. გლეხობა თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ არსებული წყობილების პირობებში მისი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელი იყო, რომ მემამულურ-თვითმპყრობელური ხელისუფლების ვერავითარი კანონი ვერ გადაწყვეტდა აგრარულ საკითხს, რომ შუასაუკუნეობრივ მიწათმფლობელობის მოსპობა მხოლოდ რევოლუციური გზით იყო შესაძლებელი.

1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში გლეხთა რევოლუციური კომიტეტები თვითონ სწყვეტდნენ თავიანთ საქმეს, იტაცებდნენ მემამულეთა მიწებს, არ იძლეოდნენ არავითარ გადასახადებს. რევოლუციურმა ხალხმა გარეკა მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოხელეები. გლეხობა ფიცს დებდა, ერთსულოვნად ბოლომდე ებრძოლათ თავიანთი მზავრელების

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ იქვე, ს. ფ. 53.

¹¹⁵ „ივერია“, 1902 წ. № 164.

¹¹⁶ ცსსა, ფ. 13, საქმე № 616, ს. ფ. 8.

¹¹⁷ იქვე, ფ. 13, საქმე № 2251, ს. ფ. 5—6.



წინააღმდეგ. გლეხობის ამ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურ როლს შეასრულა ნაწილეობას იღებდნენ ხიზნები. რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ხიზნების ინსტიტუტის ლიკვიდაციის მოთხოვნაა. ე. ი. ვეიდენბაუმის მოწმობით, რომელიც მოვლენების თანამედროვე და ხიზანთა მდგომარეობის კარგი მცოდნე იყო, რევოლუციაში „Хизаны играли деятельную и едва ли не главную роль“¹¹⁸. საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც კი ხიზნობა არსებობდა, გლეხობა ერთხმად მოითხოვდა მის მოსპობას¹¹⁹.

რევოლუციის დამარცხებით გათამამებული მემამულეები რეაქციის წლებში მასიურად ერეკებოდნენ ხიზნებს მიწებიდან. ხიზნებიც ბრძოლას განაგრძობდნენ და მათი ოფლით განაყოფიერებულ მიწას იოლად არ თმობდნენ. არსად საქართველოში არ შეწყვეტილა შეტაკებანი ხიზნებსა და მემამულეებს შორის აგრარულ ნიადაგზე რეაქციის წლებშიაც.

ხიზნური ოქმების შედგენის დროს მომრიგებელი შუამავალა და ხელისუფლებას ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები ახერხებდნენ ავტოლემბინათ ხიზნები უარი ეთქვათ მიწაზე. ამის ნათელ ილუსტრაციას იძლევა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: თუ 1894 წელს თბილისის გუბერნიაში 6361 ხიზანთა კომლი ითვლებოდა, 1910 წელს, ე. ი. 17 წლის შემდეგ მომრიგებელ შუამავალთა მიერ შეგროვებული ცნობებით 4348 კომლი ანუ 2013 კომლით ნაკლები იყო ვიდრე 1894 წელს¹²⁰. ამგვარად, ხიზნური მოსახლეობის 1/3 ექსპრობირებული იქნა. (სამწუხაროდ არ მოგვეპოვება სტატისტიკური ცნობები გამოსყიდვითი ოპერაციების მიმდინარეობაზე ხიზნურ მოსახლეობაში. ასეთ პროცესს რა თქმა უნდა, ჰქონდა ადგილი, მაგრამ ის უმნიშვნელო იყო და ხიზანთა რიცხვის ასეთი შემცირება უმთავრესად ხიზნების მოიჯარადრეთა კატეგორიაში გადაყვანით უნდა აიხსნას). 1911 წლის ცნობით თბილისის გუბერნიაში უექველად ხიზანთა რიცხვი შეადგენდა 3196 კომლს¹²¹, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში ხიზნური მოსახლეობა 1152 კომლით შემცირდა. ასეთვე მდგომარეობა იყო ქუთაისის გუბერნიაში. თუ ამ გუბერნიაში 1882—84 წწ. ცნობით 2.680 კომლი ხიზანი იყო, 1911 წლისათვის მათი რიცხვი 1.337 კომლამდე დავიდა¹²², ე. ი. 18—20 წლის განმავლობაში ხიზანთა რიცხვი განახევრდა.

¹¹⁸ Вейденбаум, Хизаны в Грузии, 1913, стр. 30.
¹¹⁹ იხ. ვაზ. „მოგზაური“, 1905 წ., № 11, 12, 13, 15 და სხვ.
¹²⁰ სცსა, ფონდი 13, საქმე № 2679, ს. ფ. 70.
¹²¹ იქვე, ს. ფ. 166.
¹²² იქვე, ს. ფ. 70.

მემამულეების ცდა გაეძევინათ ხიზნები მიწებიდან ხიზან-
გლებთან მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა.



1909 წ. ზუგდიდის მაზრის სოფ. კახათის, ახალგაზრდა მამამულეებისა და დავითიანის დროებითვალდებულ, ხიზან გლეხებსა და მემამულე მინგრელსკის შორის დაიწყო ბრძოლა საძოვრების გარშემო. 1905 წლიდან გლეხები უფასოდ აძოვებდნენ საქონელს ჯოღჯიანის საძოვრებში. 1909 წ. მინგრელსკის მამულის მმართველმა თავ. ქოჩაქიძემ აუკრძალა გლეხებს საქონლის ძოვება. გლეხებმა საჩივრით მიმართეს ზუგდიდის მაზრის უფროსს და ეს უკანასკნელი იძულებული შეიქნა „შეტაკების თავიდან აცილების მიზნით“, როგორც დროებითი ღონისძიება, 1909 წ. 24 ივნისს მიეღო ასეთი დადგენილება: მიეცეს გლეხებს საძოვრებით სარგებლობის უფლება იმ პირობებში, როგორც ეს დავის დაწყებამდე იყო და საქმე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს ქუთაისის გუბერნატორს¹²³. 1910 წლის 12 თებერვალს გუბერნიის მმართველობამ გააუქმა ზუგდიდის მაზრის უფროსის ზემოაღნიშნული დადგენილება¹²⁴. ამ დადგენილების ძალით მინგრელსკის მამულების მმართველმა საძოვარზე „ობრანა“ დააყენა და გლეხებს არ აძლევდა საქონლის ძოვების საშუალებას. მაშინ გლეხები ძალით შეიჭრნენ საძოვრებში და საქონელი შეუშვეს. მამულის მმართველმა კანკიამ მეველეების დახმარებით საქონელი დააკავა და არ აძლევდა მუპატრონეებს, თუ თითო სულზე 30 კაპ. არ გადაახდიდნენ¹²⁵. პირველი შეტაკება ამ ნიადაგზე 1910 წლის 6 მაისს მოხდა. ამ როგორ აგვიწერს ამ შეტაკებას ქუთაისის გუბერნიის გლეხთა საგანგის წევრი პოლკოვნიკი ზისერმანი: „толпа из 21 женщины и 11 мужчин стоворившись ни платить ни копейки за потраву и силою отнять задержанных животных, напала на Канкия, разрушила ограду и выпустила оттуда задержанный скот, швирая в тоже время камнями в Канкия и в его сторожа¹²⁶. იმავე 6 მაისს კახათის სოფლის მამასახლისმა სტრაენიკების დახმარებით ზუგდიდს ჩაიყვანა 21 ქალი და 11 მამაკაცი. დაპატრონებულებმა მაზრის უფროსის კითხვაზე, თუ ვინ იყვნენ უწყსოების დამწყებნი და წამქეზებლები, ერთხმად უპასუხეს, რომ თუ ისინი დამნაშავენი არიან, მაშინ ყველანი ერთნაირად უნდა ჩაითვალოს დამნაშავეებად და მათგან არავისი გამოცალკეება არ არისო საქირო¹²⁷.

123 ცსსა, ფონდი 13, საქმე 1245, ს. ფ. 4.

124 იქვე, ს. ფ. 16.

125 იქვე, ს. ფ. 19.

126 იქვე, ს. ფ. 5.

127 ცსსა, ფონდი 13, საქმე 1245, ს. ფ. 23.

7 მაისს მაზრის უფროსმა თავისი თანამემწე გაგზავნა ადგილზე და დაავალა მას გამოეცხადებინა გლეხებისათვის, რომ დამოუკიდებელი ბოდნენ გუბერნიის მმართველობის 1910 წლის 12 თებერვლის დადგენილებას და მემამულესთან შეეკრათ საიჯარო ხელშეკრულება საქონლის ძოვებაზე. 8 მაისს თვითონ მაზრის უფროსი ჩავიდა ადგილზე და 13 მაისს გუბერნატორს მოახსენებდა, რომ „მიღებული ზომების შედეგად, წესრიგი აღდგენილია“¹²⁸. 6 მაისის შეტაკების გამო დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე კაცი. მათ შორის 6 კაცს რომელთაგან 5 ქალი იყო, ვიცე-გუბერნატორმა მაკაროვმა 17 მაისს დაპატიმრების ვადა ერთი თვით გაუგრძელა. ესენი იყვნენ: 1) კოსთა მათეს ძე არახამია, 2) ფეფიკი ხახუს ასული ქეცია-მარკოზია, 3) კესა კიკურას ასული კვარაცხელია-ხარებავა, 4) მატროსისოს ასული სარსანია-ახალია, 5) ტატი ჩქოფოია-ციციჩია და 6) ანეტა არახამია-მიქელაძე¹²⁹.

მაზრის უფროსის — ლავროვის განცხადება „წესრიგი აღდგენილია“, ნაადრევი აღმოჩნდა. გლეხებს სხვაგან არსად არ ჰქონდათ საძოვარი და საქონლისათვის წყლის დასაღვევინებელი ადგილი. 6 მაისის ამბებს მოჰყვა მთელი რიგი შეიარაღებული შეტაკებანი ერთის მხრივ ხიზნებსა და დროებითვალდებულ გლეხებსა და მეორე მხრივ მემამულესა და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს შორის.

